

ი. ყავაშვილი, ი. იცავილი

ცულის რასერვაციის მანავანტი სოფლის მართვაში

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი

წყლის რესურსების მენეჯმენტი
სოფლის მეურნეობაში



დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამოცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში განხილულია წყლის რესურსების გამოყენების პრინციპები სოფლის მეურნეობაში, წყალსამეურნეო კომპლექსში შემავალი ყველა წყალმოსარგებლის და წყალმომხმარებლის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი პროფესიული განათლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველთათვის.

რეცენზენტი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-759-3

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	წინასიტყვაობა	7
თავი 1.	სოფლის მეურნეობის განვითარება და წყალუზრუნველყოფა	9
	1.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პიპოთება	9
	1.2. წყლის რესურსების მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა	10
	1.3. წყალუზრუნველყოფის მიზნების და ამოცანების გადაჭრა კითხვები	12
	ლიტერატურა	13
	ვებ გვერდები	14
თავი 2.	წყლის რესურსები	15
	2.1. მსოფლიოს წყლის რესურსები	15
	2.2. საქართველოს წყლის რესურსები	18
	2.2.1. საქართველოს მდინარეები	18
	2.2.2. საქართველოს მდინარეების მყარი ჩამონადენი	21
	2.2.3. საქართველოს ტბები	22
	2.2.4. საქართველოს წყალსაცავები	23
	2.2.5. საქართველოს მიწისქვეშა წყლები	24
	2.2.6. საქართველოს ჭაობები	25
	2.2.7. საქართველოს მყინვარები	26
	2.3. წყლის წრებრუნვა კითხვები	26
	ლიტერატურა	28
	ვებ გვერდები	29
თავი 3.	წყალსამეურნეო კომპლექსები	30
	3.1. ცნება წყალსამეურნეო კომპლექსის შესახებ	30
	3.2. წყალმომხმარებლები და წყალმოსარგებლეები	30
	3.3. წყალსამეურნეო კომპლექსების კლასიფიკაცია კითხვები	31
	ლიტერატურა	33
	ვებ გვერდები	34
თავი 4.	წყალსამეურნეო კომპლექსის ძირითადი მონაწილენი და მათი მოთხოვნები წყლის რესურსებისადმი	35
	4.1. საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა	35
	4.2. სოფლის მეურნეობა	37
	4.3. მრეწველობა და თბოენერგეტიკა	45
	4.4. ჰიდროენერგეტიკა	47
	4.5. რეკრეაცია	48
	4.6. თევზის მეურნეობა	50
	4.7. წყლის ტრანსპორტი და ხე-ტყის დაცურება კითხვები	54
	ლიტერატურა	56
	ვებ გვერდები	58

თავი 5.	მორწყვითი მელიორაცია	59
5.1.	სარწყავი სისტემის შემადგენელი ელემენტები	59
5.2.	ზედაპირული-თვითდინებითი რწყვა	61
5.2.1.	რწყვა ჰორიზონტალური ფილტრაციით	61
5.2.2.	რწყვა ვერტიკალური ფილტრაციით	63
5.2.3.	ლიმანური მორწყვა	64
5.3.	დაწვიმება	67
5.3.1.	აეროზოლური მორწყვა	72
5.4.	წვეთური მორწყვა	72
5.4.1.	ფერტიგაცია	76
5.4.2.	წყლის რეჟიმის რეგულირება მულჩირებისა და წვეთური მორწყვის გამოყენებით	77
5.4.3.	ქვენიადაგიდან მორწყვა	82
5.5.	საქართველოს დარაიონება და ცალკეული კულტურების რწყვა	84
	კითხვები	90
	ლიტერატურა	91
	ვებ გვერდები	91
თავი 6.	დაშრობითი მელიორაცია	92
6.1.	დაშრობითი მელიორაციის ზოგადი დებულებები	92
6.2.	დაშრობა ღია ქსელით	94
6.3.	დაშრობა დახურული ქსელით	96
6.4.	ვერტიკალური დრენაჟი	98
6.5.	კოლმატაჟი	98
6.6.	ჭაობის რწყვა	99
6.7.	მექანიკური დაშრობის სისტემები	99
	კითხვები	100
	ლიტერატურა	100
	ვებ გვერდები	100
თავი 7.	ბიცი და ბიცობი ნიადაგების მელიორაცია	101
7.1.	ნიადაგების დამლაშების მიზეზები	101
7.2.	ბიცი ნიადაგების მელიორაცია	102
7.3.	ბიცობი ნიადაგების მელიორაცია	103
	კითხვები	104
	ლიტერატურა	104
	ვებ გვერდები	104
თავი 8.	წყალმომარაგება და საძოვრების გაწყლოვანება	105
8.1.	ზოგადი დებულებები	105
8.2.	წყალმოთხოვნილების ნორმები და რეჟიმი	106
8.3.	საძოვრების გაწყლოვანება და წყალმომარაგება	108
	კითხვები	109
	ლიტერატურა	109
	ვებ გვერდები	110

თავი 9.	წყლის ბალანსი და წყალსამეურნეო გაანგარიშება	111
9.1.	წყალსამეურნეო ბალანსი	111
9.2.	წყლის რესურსების მენეჯმენტის ძირითადი მეთოდები დე-ფიციტის პირობებში	112
9.3.	წყალსაცავები და მათი მახასიათებლები	113
9.4.	წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გაანგარიშებანი კითხვები	115
	ლიტერატურა	116
	ვებ გვერდები	116
თავი 10.	სარწყავი სისტემების მენეჯმენტი და წყლის რესურსების მდგრადი განვითარება	117
10.1.	სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების მდგრადი განვითარება	117
10.2.	სარწყავი სისტემების მართვის პრობლემები და ამოცანები	118
10.3.	სარწყავი სისტემების მოდელირება	121
10.4.	სარწყავი სისტემის სტოქასტიკური მოდელი კითხვები	125
	ლიტერატურა	127
	ვებ გვერდები	128
თავი 11.	სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის გაწმენდა. წყლის ხარისხის აღმდგენი და დამცავი ლონისძიებები	129
11.1.	წყლის მდგომარეობის ძირითადი ცნებები და მახასიათებლები	129
11.2.	ბუნებრივი წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროები	130
11.3.	წყალსატევების სისუფთავის აღმდგენი და დამცავი ლონისძიებები	133
11.4.	ბუნებრივი წყლების თვითგანმენდა და მისი ინტენსიფიკაცია	139
11.5.	წყლის რესურსების დაშრეტის მიზეზები და მისი აღმოფხვრის ლონისძიებები კითხვები	139
	ლიტერატურა	141
	ვებ გვერდები	141
თავი 12.	წყალსამეურნეო კომპლექსის ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლები	142
12.1.	წყალსამეურნეო კომპლექსის სტრუქტურის საფუძვლიანობა	142
12.2.	კომპლექსური ჰიდროკვანძის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა	144
12.3.	წყალსამეურნეო კომპლექსის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა	145
12.4.	წყალსამეურნეო კომპლექსის საერთო ეკონომიკური ეფექტურობა	146
12.5.	წყალდამცავი ლონისძიებების ეკონომიკური ეფექტურობა კითხვები	149
	ლიტერატურა	151
	ვებ გვერდები	152

თავი 13. ეკოლოგიური მონიტორინგი და საქართველოს წყლის კანონმდებლობა	153
13.1. ეკოლოგიური მონიტორინგის ცნება	153
13.2. ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემების დაგეგმარება	156
13.3. საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ	157
13.4. საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"	159
13.4.1. საქართველოს წყლის სტატუსი, სახელმწიფო ფონდი და წყლის ჯგუფები	160
13.4.2. წყლის სამართლებრივი დაცვა	161
13.4.3. წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება და სახელმწიფო მართვა	163
13.5. საერთაშორისო კონვენციები	166
13.6. ევროკავშირის წყლის პოლიტიკა	168
კითხვები	170
ლიტერატურა	170
ვებ გვერდები	171
საქართველოს წყლის და სოფლის მეურნეობის კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი	172

წინასიტყვაობა

მცენარის ზრდა-განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობს უამრავი გარე და შიდა ფაქტორი, მაგრამ მათ შორის წყალს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრიორიტეტი იზრდება იმითაც, რომ იგი მართვადი ფაქტორია.

ცოცხალი ორგანიზმების და მათ შორის მცენარის ზრდა-განვითარება წყლის გარეშე შეუძლებელია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ცოცხალი უჯრედის წონის უმეტეს ნაწილს წყალი წარმოადგენს და ზოგიერთ ცოცხალ ორგანიზმებში მისი მნიშვნელობა 90%-ს აღწევს. ამასთან, წყალს გადააქვს საკვები ნივთიერებები, აწესრიგებს თერმორეგულაციას, მონაწილეობას იღებს ფოტოსინთეზის პროცესში და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წყლის რესურსები თითქმის ყველა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნარმოებელ ქვეყანაში შეზღუდულია და განიცდის მის დეფიციტს წლის გარკვეულ პერიოდში მაინც. ამ პერიოდში მცენარის წყლის რესურსებით არაოპტიმალურმა უზრუნველყოფამ შეიძლება უარყოფითად გადაწყვიტოს მოსავლის ბედი.

ხშირ შემთხვევაში მცენარეთა წყლით უზრუნველყოფა ბუნებრივ პირობებში ვერ ხერხდება და აუცილებელი ხდება მისი ხელოვნური გზით რეგულირება. მაგრამ სა-სოფლო-სამეურნეო კულტურების წყალუზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს რთულ ამოცანას და საჭიროებს რიგი პრობლემების გათვალისწინებას, რადგანაც იგი დაკავშირებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც მცენარეს უხდება ზრდა-განვითარება, იმ ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს მცენარეში, ნიადაგის მახასიათებლებზე და სხვ.

გამომდინარე აქედან, ადამიანის წინაშე დგება ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გონივრული გადაჭრის აუცილებლობა, როგორიცაა წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში.

„**წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში**“ - კომპლექსური დის-ციპლინაა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ-ქიმიურ, ბიოლოგიურ, საინჟინრო და სო-ციალურ მეცნიერებებს. მისი ძირითადი მიზანია, სოფლის მეურნეობის ხარისხიანი წყლით დროული უზრუნველყოფა პროგრამული და ეკოლოგიურად უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად ბიოსფეროს ეკოსისტემების შესაძლო მაქსიმალური შენარჩუნებით.

„**წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში**“ მოიცავს არა მხოლოდ არსებული წყლის რესურსების დიფერენცირებულ აღწერას, ამჟამინდელი სიტუაციის, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, ეკოლოგიური სისტემის პოტენციალური მო-

ცულობის ანალიზს, არამედ იგი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას წყლის რესურსების გონივრული განაწილების და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების მიზნით.

სამელიორაციო დანიშნულების ნაგებობების დაგეგმარების და მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი საინჟინრო გა-დაწყვეტის მიღებას, რომელიც თანამედროვე საინჟინრო-ტექნიკურ მიღწევებს უნდა ეფუძნებოდეს. ამიტომ, საგნის „წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობა-ში“ სწავლების ძირითადი მიზანია სტუდენტების პროფესიული ცოდნის და უნარების ამაღლება არსებული წყლის რესურსების მარაგის ინტეგრირებული შეფასებისთვის და მისი მდგომარეობის პროგნოზირებისათვის, სარწყავი წყლის დანაკარგების შემცირების მეთოდების და მელიორაციული დანიშნულების საინჟინრო ნაგებობების პროექტი-რება-ექსპლუატაციის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

შესაბამისად, სახელმძღვანელო აერთიანებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების თეორიულ და ტექნიკურ მიღწევებს, მოქმედი სტან-დარტების მოთხოვნებს, პროექტირების ნორმებს და წესებს, საქართველოს წყლის კა-ნონმდებლობის ორგანიზაციულ და იურიდიულ ასპექტებს.

და ბოლოს, „წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში“ უნდა ემსა-ხურებოდეს საპოლო მიზნის მიღწევას - ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას, რაც სოფლის-მეურნეობის მრავალი დარგის სპეციალისტის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შედეგადაა შესაძლებელი.

სახელმძღვანელოს ავტორები მადლობას მოახსენებენ საქართველოს სახელმწი-ფო აგრარული უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დეპარტა-მენტის უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სრულ პროფესორ ედუარდ კუ-ხალაშვილს სახელმძღვანელოს რეცენზირების დროს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებებისათვის.

ავტორები

თავი 1. სოფლის მეურნეობის განვითარება და ფინანსურული მეცნიერებები

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს სეგმენტს და მისი ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის, ავრცელების, გრძელვადიანი პროგნოზებისა და პროგრამების შედეგენა. მხოლოდ გრძელვადიანი პროგნოზის შედეგადაა შესაძლებლი გონივრული ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობაში.

წინამდებარე თავში განხილულია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების პერსპექტივა, წყლის რესურსების მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა და წყალსამეურნეო სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღების და წყალუზრუნველყოფის მიზნების და ამოცანების სერმები.

1.1. სოფლის მეურნეობის განვითარების ჰიპოთეზა

სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგებს, სახალხო მეურნეობის დაგეგმარების და მართვის მეთოდების სრულყოფას და წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას.

თავის მხრივ, სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო და წარმოების აუცილებელი პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდაზე, მოხმარების დონესა და სტრუქტურაზე, ანუ წარმოების ამა თუ იმ პროდუქციაზე მოხმარების მოთხოვნის გაზრდაზე ან შემცირებაზე.

სოფლის მეურნეობაში წყლის მოხმარების სწორი განსაზღვრისათვის აუცილებელია გვერდეს წყალსამეურნეო კომპლექსის (წ.ს.კ) ყველა მონაწილის განვითარების პროგნოზი პერსპექტივაში, რაზეც ეფუძნება წყალთა მეურნეობის მართვის დაგეგმარება. იმის გათვალისწინებით, რომ წყლის ჯამური მოცულობა ყოველთვის დაკავშირებულია პროდუქციის მოცულობასთან, უპირველეს ყოვლისა, სავალდებულოა, განისაზღვროს იმ პროდუქციის მოცულობა, რომლის წარმოებაც არის როგორც ახლო, აგრეთვე შორეულ მომავალის პერსპექტივაში.

სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს ხალხის სულიერი და მატერიალური მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება მწარმოებლური ძალის რაციონალური განვითარების ბაზაზე.

ვინაიდან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანები უნდა ვითარდებოდეს მოსახლეობის ზრდის პერსპექტივის განვითარების გათვალისწინებით, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩატარდეს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროგნოზირება. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მოსახლეობის უკანასკნელი აღნერის (1998 წლის 1 იანვრის) მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით) შეადგენდა 5 438 600 მოსახლეს, თუმცა ექსპერტების მონაცემებით მათი რაოდენობა შეადგენდა 4 400 000-ს.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ინტენსივობა მიღწეული რაოდენობის პირდაპირობიულია, ამიტომ მოსახლეობის ზრდას ექსპონენციალური ხასიათი აქვს. ასეთივე ტენდენცია ახასიათებს მთელი სამყაროს მოსახლეობის ზრდას.

მწარმოებლობის ამაღლებამ და კაპიტალდაბანდების ზრდამ წარმოების პროგრესულ პროცესებში აუცილებლად უნდა გამოიწვიოს წარმოების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა და შესაბამისად - ეროვნული შემოსავლების გაზრდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა შეიძლება ნაკლებად ინტენსიური იყოს, ვიდრე წარმოების. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ძირითად წყალმომხმარებელს და მასზე მოდის მთლიანი წყალაღების მოცულობის დაახლოებით 70 %, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მცირე მატებამაც შეიძლება გამოიწვიოს წყალმოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა.

თანამედროვე პირობებში წარმოების და სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დანახარჯების გარეშე. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ენერგეტიკის მნიშვნელოვანი ტემპებით განვითარება. ენერგეტიკის განვითარების ძირითად მიმართულებას მთელს მსოფლიოში წარმოადგენს თბური და ატომური ელექტროსადგურების სიმძლავრის გაზრდა. ატომური სადგური, ისევე როგორც თბური, ფუნქციონირებისთვის მოითხოვს წყლის დიდ რაოდენობას (უწყვეტი წყლის მიწოდება ხარჯით $Q = 50 \text{ მ}^3/\text{წმ 1 მლნ.კვტ სიმძლავრეზე}$).

იმისათვის, რომ მივიღოთ სოფლის მეურნეობის საპროგნოზო მონაცემები, განვითარების ჰიპოთეზაში დაწვრილებით განიხილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მიმართულებების (ხორბალი, სილოსი, რძე, შაქრის ჭარხალი, ხორცი, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, ბამბა) ზრდის ტენდენცია.

1.2. წყლის რესურსების მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა

წყალსამეურნეო სისტემა, რომელიც, როგორც მისი ძირითადი ნაწილი, ჩართულია მელიორაციული სისტემა, შედგება სხვადასხვა ფუნქციის მქონე ერთმანეთთან რთულად დაკავშირებული მრავალი ელემენტისგან, რის გამოც მას რთულს უწოდებენ. ასეთი სისტემები განსაკუთრებულია არა მარტო მასში შემავალი ელემენტების დიდი რაოდენობის ($10^4 \dots 10^7$), არამედ ელემენტებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო, ამიტომ მათი უფრო ეფექტური შესწავლა შესაძლებელია სისტემური ანალიზის პოზიციიდან (რთული პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტისთვის მეთოდოლოგიური საშუალებების ერთობლიობა). ამისთვის აუცილებელია გათვალისწინებული იყოს წყალსამეურნეო სისტემის ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედება, როგორც რთული სისტემის შემადგენელი სტრუქტურული ნაწილებისა და გამოვლენილ იყოს მათი როლი სისტემის ფუნქციონირების საერთო პროცესში.

წყლის რესურსების მენეჯმენტის სისტემის შექმნა იწყება ქვეყნის ან რეგიონის სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზიდან (ბლოკი 1), რომლის საფუძველზე ხდება წყალთა მეურნეობის განვითარების პროგნოზირება (ბლოკი 1.1). იგი განსაზღვრავს წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეების შემადგენლობას, წარმოების მოცულობას და შესაბამისად თითოეული მონაწილის წყალმოთხოვნილების მოცულობას (წ.ს.კ. - $S_i(V)$; ბლოკი 2).

წარმოების ხასიათი, მისი სტრუქტურა და ტექნოლოგია განსაზღვრავს წ.ს.კ-ს მონაწილეების მოთხოვნას წყლის ხარისხისადმი $S_i(V_k)$ (ბლოკი 2_a).


სისტემური ანალიზის მეორე ეტაპზე დგინდება განსაზილველი სისტემის საზღვრები, განისაზღვრება წყლის რესურსების მოცულობა სივრცესა და დროში $V(x; y; \tau)$ - და ხარისხი $V_b(x; y; \tau)$ (3 და 3_b ბლოკები).

საჭირო და არსებული წყლის რესურსების მოცულობას და ხარისხს ერთმანეთს ადარებენ წყალსამეურნეო $\pm \Delta V$ და ჰიდროქიმიური $\pm \Delta V_b$ ბალანსების მეშვეობით. (4 და 4_b ბლოკები).

თუ ბალანსის შედეგად მივიღებთ $-\Delta V_l$, მაშინ აუცილებელი ზემოქმედება $+\Delta V_s$ ტოლი იქნება.

ზემოქმედება $U_{\{ \pm \Delta V \}}$ იყოფა 3 ჯგუფად: ეკონომია და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება (ბლოკი 5.1), ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გადანაწილება დროში (ჩამონადენის რეგულირება, ბლოკი 5.2) და ჩამონადენის გადანაწილება სივრცეში (ჩამონადენის გადაგდება, ბლოკი 5.3);

სისტემის ხარისხობრივი შემადგენელის ზემოქმედება $U_b\{\pm \Delta V_x\}$ (ბლოკი 5_b) რეალიზდება მეთოდების ორ ჯგუფად: წყლების თვითგანმენდა (ბლოკი 5.1_b) და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა (ბლოკი 5.2_b). თითოეული მათგანი მოიცავს ბალანსის მართვის სხვადასხვა მეთოდებს.



ნახაზი 1.1. წყალსამურნეო სისტემის შექმნის და ფუნქციონირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღების სექტანტი (1 – სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზი; 1.1 – წყალთამურნეობის განვითარების პროგნოზი; 2 – მოთხოვნილებები წყლის რესურსებისადმი $S_1(v)$; 2.1, 2.2, ...2.n – წ.ხ.კ.-ის I, II და n-ური მომხმარებლების წყალმოთხოვნილებები $S_1(v)$; $S_2(v)$... $S_n(v)$; 2_b – მოთხოვნები წყლის ხარისხისადმი $S_1(v_b)$; 2.1_b, 2.2_b, 2_n_b წ.ხ.კ.-ის I, II და n-ური მონაწილეების მიერ წყლის ხარისხისადმი წყენებული მოთხოვნები. $S_1(V_b)$; $S_2(V_1)$... $S_n(V_b)$; 3 – არსებული წყლის რესურსები $V(x,y,t)$; 3.1 – ზედამიზული წყლის რესურსები; 3.2 – მიწისქვეშა წყლის რესურსები; 3_b – წყლის რესურსების ხარისხი $V_b(x,y,t)$; 3.1_b – ზედამიზული წყლის რესურსები; 3.2_b – მიწისქვეშა წყლის რესურსები; 4 – წყალსამურნეო ბალანსი $\pm \Delta V$; 4_b – პიდროქიმიური ბალანსი $\pm \Delta V_b$; 5 – წყალსამურნეო ბალანსის მართვის მეთოდები $U(\pm \Delta V)$; 5.1 – წყლის ხარისხის რაციონალური გამოყენება და კერძომა; 5.1.1 – ხაწარმოში უწყლო ტექნოლოგიების და პარასტ გაციების დანერგვა; 5.1.2 – დაბრუნებადი და განმეორებადი წყალმომარაგების სისტემების დაწერება და ბრძოლა არასაწარმოო დანაკარგებობა; 5.1.3 – სოფლის მეურნეობაში მოწყვის პროცესები მეთოდების დაწერება; 5.1.4 – ცალკეული წყალმომხმარებლების გამოთხვევა; 5.2 – ჩამონადენის გადანაწილება დროში (ჩამონადენის რეგულირება); 5.2.1 – წყალსაცავში ჩამონადენის რეგულირების სხვადასხვა ხახები (ხრული და არახრული წლიური, მრავალწლიური); 5.2.2 – აგრი და სატყო-ტექნიკური დონისძიებები; 5.2.3 – მიწისქვეშა წყლების ძარავის ხელოვნურად შექსება; 5.3 – ჩამონადენის გადანაწილება სივრცეში (ტერიტორიული გადანაწილება); 5.3.1 – ჩამონადენის გადაგდება მდინარის აუზებს შორის; 5.3.2 – ქვეწის, რეგიონის ერთიანი წყალსამურნეო სისტემის შექმნა; 5.3.3 – სხვა აუზის მიწისქვეშა წყლების გამოყენება; 5_b – პიდროქიმიური ბალანსის მართვის მეთოდები $U(\pm \Delta V_b)$; 5.1_b – თვითგაწმენდა; 5.1.1_b – ნაკადების ხელოვნური აერაცია; 5.1.2_b – ჩამდინარე წყლების გაციება; 5.1.3_b – ბიოლოგიური თვითგაწმენდა; 6 – ნაგებობები $T(u)$; 6_b – ნაგებობები $T_b(u)$; 7 – კაპიტალდაბანდებების, შრომის და მატერიალური რესურსების შეზღუდვები; 8 – უფექტურობა $\mathcal{E}(T)$; 8.1 – გკონომიკური უფექტურობა; 8.2 – ეკოლოგიური უფექტურობა; 8.3 – სოციალური უფექტურობა; 9 – წყალსამურნეო სისტემის მართვის ავტომატიზაციული სისტემა; 9.1 – მატერიალური წყაროების მართვის უფექტურობა (წყალგანაწილება); 9.2 – ინფრამაციული წყაროების მართვის უფექტურობა; 10 – გადაწყვეტილებების მიზანი).

მართვის მეთოდების და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილებების (მე-5 დონის ბლოკები) მიღების შემდეგ, განისაზღვრება წყალსამეურნეო კომპლექსის მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები. ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია წყლის რაოდენობის $T\{U\}$ და ხარისხის $T\{U_b\}$ მარეგულირებელი ნაგებობები განხილულ იქნეს ცალ-ცალკე (ბლოკი 6 და 6_b), თუმცა ხშირ შემთხვევაში ერთმა ნაგებობამ შეიძლება შესარულოს ორივე ფუნქცია.

სქემის ეს დონე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით, რომელებშიც შედიან დარგობრივი და პირველ რიგში კი მელიორაციული ნაგებობები.

მართვის ამა თუ იმ მეთოდის და ტექნიკური საშუალებების (ჰიდროტექნიკური ნაგებობები) შერჩევის დროს აუცილებელია, შეფასებულ იქნეს წყალსამეურნეო სისტემის თითოეული შემოთავაზებული ვარიანტის ეფექტურობა კაპიტალდაბანდებების, შრომის და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით (ბლოკი 7), დანახარჯების და მიღებული ეფექტის ურთიერთშედარების გზით (ბლოკი 8).

წყლის რესურსების მენეჯმენტის სისტემის შექმნის ეფექტურობა შეფასებული უნდა იყოს არა მარტო ეკონომიკური (ბლოკი 8.1), არამედ ეკოლოგიური (ბლოკი 8.2) და სოციალური (ბლოკი 8.3) ეფექტურობის თვალსაზრისითაც.

თუ შერჩეული ვარიანტი აკმაყოფილებს ეფექტურობის მოცემულ კრიტერიუმებს და არ სცილდება დადგენილ საზღვრებს, შეიძლება შემდეგ ეტაპზე გადასვლა - წყლის რესურსების მენეჯმენტის სისტემის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება განიხილოს როგორც ჩვეულებრივი, აგრეთვე მართვის ავტომატიზირებულ რეჟიმში (ბლოკი 9). მართვის ავტომატიზირებული სისტემის შემთხვევაში წ.ს.კ. შედგება ორი ნაწილის-გან - ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემა მ.ა.ს-ტიპი (ბლოკი 9.1) და ადმინისტრაციული პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (ბლოკი 9.2).

წ.ს.კ-ს ამა თუ იმ სტრუქტურის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი პირი ან პიროვნებათა ჯგუფი (ბლოკი 10), რომელთაც გადაწყვეტილების მიმღები პირი (გ.მ.პ.) ეწოდება.

თუ განსახილველი ვარიანტის ყოველმხრივი შეფასებისას შედეგი არადამაკმაყოფილებელია, აუცილებელია მიღებული გადაწყვეტილების განხილვა. პირველ რიგში განიხილება ნაგებობების ტექნიკური საშუალებების შედგენილობა, ხოლო ექსპლუატაციის სტადიაზე იცვლება წყალგანაწილების მიმდევრობა. ეს პროცესი წარმოდგენილია უკუკავშირის პირველი დონით (წყვეტილი ხაზი I, ნახ 1.1.);

თუ ამ შემთხვევაშიც შედეგები არ დააკმაყოფილებს ეფექტურობის კრიტერიუმებს, უნდა გადაიხედოს წყალსამეურნეო და ჰიდროენერგიური ბალანსების მართვის მეთოდები (უკუკავშირის მეორე დონე - წყვეტილი ხაზი II).

ამჯერადაც, არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში, იცვლება წ.ს.კ-ს მონაწილეების შემადგენლობა ან მონაწილეთა განლაგების სქემა განსახილველი რეგიონის ფარგლებში (უკუკავშირი III). რის შემდეგაც ეფექტურობის არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში, უკვე კორექტირდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და დაცვის სისტემის გეგმა, (უკუკავშირი IV). საბოლოოდ კი, ხორციელდება წ.ს.კ - დან მონაწილეების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოთიშვა.

1.3. წყალუზრუნველყოფის მიზნების და ამოცანების გადაჭრა

წყალთა მეურნეობის როლი საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების და მიზნების სისტემაში შეიძლება განხილულ იქნას სქემის სახით, რომელშიც ყველაზე მაღალი (ნულოვანი) დონის მიზნები წარმოადგენენ საბოლოოს, ხოლო ყველაზე დაბალი დონის ამოცანები შეიძლება გადაწყდეს არსებული რესურსების საფუძველზე.

პირველი დონე მიზნების სისტემაში შედგება იმ ამოცანებისაგან, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას საზოგადოების განვითარებისთვის. ასეთ მიზნებს განეკუთვნება:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
2. მოსახლეობის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება;
3. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
4. მშვიდობის დამყარება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

მეორე დონეზე მოცემულია მხოლოდ ის მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია რაციონალური წყალსარგებლობის ამოცანებთან:

1. წარმოებისა და კომუნალური მეურნეობის განვითარება;
2. მომსახურეობის სფეროს განვითარება;
3. სოფლის მეურნეობის განვითარება;
4. თევზის მეურნეობის განვითარება;
5. ენერგეტიკის განვითარება;
6. ტრანსპორტის განვითარება;
7. ბუნებრივი პიორობებისა და რეკრეაციული რესურსების შენარჩუნება-გაუმჯობესება;
8. უნიკალური ეკოსისტემების შენარჩუნება;
9. სიცოცხლის და შრომის პირობების გაუმჯობესება;
10. მდგრადობის ამაღლება საომარ მოქმედებისადმი;
11. ბუნებრივი რესურსების მოხმარების საკითხებში საერთაშორისო კონფლიქტების აღმოფხვრა.

მესამე და მეოთხე დონეებზე მოცემულია მხოლოდ ის ამოცანები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წყალმოხმარების უზრუნველყოფასთან:

1. წყლის რესურსებით უზრუნველყოფა;
2. წყალმოხმარების და წყალგანაწილების ტექნოლოგიების სრულყოფა;
3. ჩამდინარე წყლების გაწმენდა და დაბრუნებადი და უწყლო ტექნოლოგიების დანერგვა;
4. ჩამონადენის რეგულირება წყალსაცავებით;
5. მიწისქვეშა წყლების გამოყენება და შევსება;
6. მდინარის გადაგდება;
7. ზღვისა და კოლექტორულ-გრუნტის წყლების გამტკნარება;
8. ნალექების სტიმულირება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთობლივი განხილვის დროს ვლინდება ბუნებრივი რესურსების, კერძოდ წყლის რესურსების მოთხოვნილება.

კითხვები

1. რა მონაცემებია საჭირო სოფლის მეურნეობაში წყლის მოხმარების სწორი განსაზღვრისათვის?
2. რა წარმოადგენს წარმოების განვითარების საფუძველს?
3. რა არის რთული წყალსამეურნეო სისტემა?
4. როგორ ხორციელდება წყლის რესურსების მენეჯმენტის სისტემის შექმნა?
5. რა არის წყალუზრუნველყოფის მიზნები?

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
2. **Andrea Castelletti, Ropolfo Soncini-Sessa.** *Topics on System Analysis and Integrated Water Resources Management.* Elsevier Science; 1 edition, 2007.
3. **Gault, F. D., Hamilton, K. E., Hoffman, R. B. and McInnis, B. C.** *The design approach to socio-economic modelling, Futures*, 3-25, 1987.

4. **Rodolfo Soncini-Sessa; Francesca Cellina; Francesca Pianosi; Enrico Weber.** *Integrated and Participatory Water Resources Management - Practice, (Developments in Integrated Environmental Assessment)*, 2007.
5. **Бородавченко И.И., Лозановская И.Н., Орлов Д.С., Михура В.И.** *Комплексное использование и охрана водных ресурсов*. М.: Колос, 1983.
6. **Методы системного анализа в мелиорации и водном хозяйстве.** Под ред. чл.-корр. ВАСХНИЛ Б.Г. Штепы. Л.: Гидрометеоиздат, 1983.
7. **Пряжинская В.Г.** *Моделирование водохозяйственных систем: эколого-экономические аспекты*. Москва. Российская академия наук, Институт водных проблем, 1992.
8. **Социальные факторы повышения эффективности сельскохозяйственного производства.** Елгова: Латвийская сельскохозяйственная академия. 1991.
9. **Сергеев С.С.** *Сельскохозяйственная статистика с основами социально-экономической статистики*. Москва: Финансы и статистика. 1999.
10. **Юшманов О. Л. и др.** *Комплексное использование и охрана водных ресурсов*. Москва, Агропромиздат, 1985.
11. **Шабанова В.В.** *Системный подход к разработке методов комплексного мелиоративного регулирования. Применение системного анализа в ирригации и дренаже*. М., Наука, 1976.
12. **Шабанова В.В.** *Системный подход к разработке методов комплексного мелиоративного регулирования. Методы системного анализа в мелиорации и водном хозяйстве*. Л.: Гидрометеоиздат, 1983
13. **Математические модели глобального развития.** Л.: Гидрометеоиздат, 1980.

3) გვერდები

1. www.geocities.com
2. www.iwaponline.com
3. www.fao.org
4. www.granderwater.com
5. www.unesco.org

თავი 2. ჟყლის რესურსები

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მოიშალა მრავალი ქვეყნის ნების სისტემები. შეინიშნება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, ყველაზე ძვირფასი - მტკნარი ნების რესურსების გამოლევა. ნების უკონტროლო ამოღებამ, ნეალდამცავი ტყის ზოღების გაჩენამ და ჭაობების დაშრობამ გამოიწვია მცირე მდინარეების მასიური გაქრობა. მცირდება მსხვილი მდინარეების ნების მარაგი და ზედაპირული ნების მოდინება შიდა ნებისაცავებში.

ნინამდებარე თავში მოცემულია მსოფლიო ნების რესურსების მარაგი, მტკნარი ნების მარაგი და გადანაწილება დედამიწაზე. განხილულია ნების რესურსების საკმარისიანობა ევროპის ქვეყნებისათვის. შემოთავაზებულია მსოფლიო ნების რესურსების ნების ბალანსის განტოლება.

ნინამდებარე თავში ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოს ნების რესურსებს. მოცემულია საქართველოს მტკნარი ნების მარაგის მონაცემები. განხილულია საქართველოს მდინარეების ქსელი: ჩამონადენის ტერიტორიული განაწილება და მრავალხლიური რეგვადობა, ჩამონადენის შიგანწლიური განაწილება, მდინარეების მყარი ჩამონადენი. ცალკე ქვეთავებადაა მოცემული საქართველოს ტბები, ნეალდაცავები, მიწისქვეშა ნებები, ჭაობები და მყინვარები. მოცემულია ჰიდროსფეროს ზოგადი განმარტება და განხილულია ჰიდროლოგიური ციკლი.

2.1. მსოფლიოს ნების რესურსები

წარმოებაში, სოფლის მეურნეობასა და კომუნალურ მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება მტკნარი ნები - მდინარის, მიწისქვეშა და ტბების. ეს ნებები ყველაზე ხელმისაწვდომია, მათი რეგულირება შედარებით ადვილია და უზყვეტად ახლდება ნების მიმოქცევის გამო. მტკნარი ნები შეადგენს ჰიდროსფეროს 2,53 %-ს. მაგრამ ადამიანი თითქმის არ გამოიყენებს მის ძირითად ნაწილს - მყინვარებს. გამოყენებადი ნაწილი შეადგენს ჰიდროსფეროს საერთო მოცულობიდან დაახლოებით 1%-ს. ზუსტად ამაში მდგომარეობს არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ ნების გლობალური დეფიციტის წარმოშობის მიზეზი.

უმთავრეს ნების რესურსებს, რომლებიც გამოსადეგია მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, ზღვები, მიწისქვეშა ნებები, მყინვარები და ატმოსფერული ტენი. გამომდინარე აქედან, ჰიდროსფეროს შემადგენელი ყველა კომპონენტი, იმ ნებების გამოკლებით, რომელიც არის მინერალების და ბიომასის შედგენილობაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც ნების რესურსების ნები. (ცხრ 2.1).

ჰიდრორესურსების ყველაზე ძვირფასი ნაწილი - მტკნარი ნები კონტინენტებზე არათანაბრადაა განაწილებული. მდინარეების და მიწისქვეშა ჩამონადენით ყველაზე უზრუნველყოფილია ეკვატორული სარტყელი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ ამერიკის და აფრიკის ეკვატორული ნაწილები, სადაც ნელინადში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 25-50 ათასი მ³ მდინარის ჩამონადენი და 10-25 ათას მ³-ზე მეტი მიწისქვეშა ჩამონადენი. ტროპიკული, სუბტროპიკული სარტყელების და ევრაზიის სამხრეთის ნებალუზრუნველყოფა თითქმის 10-ჯერ ნაკლებია. ნების რესურსებით ძალიან სუსტად არის უზრუნველყოფილი შუა აზიის სამხრეთი, ავღანეთი, არაბეთი, საკარა.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ავსტრალია. იმის და მიუხედავად, რომ ავსტრალიის ტერიტორიაზე საერთოდ ცოტა ნების, მისი ფარდობითი ნებალუზრუნველყოფა მსოფლიოს საშუალო ნებალუზრუნველყოფაზე მაღალია.

მსოფლიოს ნების მარაგის 95% -ოკეანეების და ზღვების მარილიანი ნებებია, რომელიც ადამიანის მიერ არ გამოიყენება. მტკნარი ნებების რაოდენობა შეადგენს 2,53-ს%, აქედან მნიშვნელოვანი ნილი (68,7%) თავმოყრილია ანტარქტიკის და არქტიკის ყინულოვან საფარში. მტკნარს უზოდებენ ნებალს, რომლის მარილიანობა არ აღემატება 1%-ს, ე. ი. შეიცავს არაუმეტეს 1 გრ. მარილს 1 ლიტრში.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მთლიანად ქვეყანაში წყლის რესურსები საკმარისი იყოს, მსოფლიოში ამჟამად მაინც არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც არ განიცდიდეს სიძნელეებს გარკვეული ტერიტორიების წყლით მომარაგებაში. ცხრილში 2.2. მოცემულია წყლის რესურსებით წყალუზრუნველყოფის მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნებისათვის.

მსოფლიოს წყლის მარაგი

ცხრილი 2.1.

წყლის სახე	მოცულობა (ათასი კმ³)	წილი მსოფლიოს მარაგში (%)		წყლის ცვლის აქტიურობა (კმ³/წელი)
		სულ	მტკნარი	
მსოფლიო ოკეანის წყლები	1 338 000	96,50	-	2 600
მიწისქვეშა წყლები	2 3400	1,70	-	2 000
მტკნარი წყალი	10 530	0,76	30,1	880
ნიადაგის ტენი	16,5	0,001	0,05	1
მყინვარები	24 064,1	1,74	68,7	9 700
მიწისქვეშა ყინული	300	0,022	0,86	10 000
წყალი ტბებში	176,4	0,013	-	17
მტკნარი	91	0,007	0,26	-
მლაშე	85,4	0,006	-	-
ჭაობის წყლები	11,5	0,0008	0,03	5
მდინარეების წყლები	2,1	0,0002	0,006	0,044
ბიოლოგიური წყალი	1,1	0,0001	0,003	-
ატმოსფეროს წყალი	12,9	0,001	0,04	0,22
მთლიანი ჰიდროსფერო	1 385 985	100	-	2 400
მტკნარი წლები	35 029	2,53	100	-

დედამიწის წყლის გარსის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია მსოფლიო ოკეანეში და ცხადია, ოკეანე ასრულებს მთავარ როლს დედამიწაზე წყლის წრებრუნვაში. ყოველ-წლიურად ოკეანეთა ზედაპირიდან ორთქლდება 505 ათასი კმ³ წყალი, აქედან 90% ნალექების სახით ისევ უბრუნდება ოკეანეებს, დანარჩენი კი მოდის ხმელეთზე. მსოფლიო წყლის რესურსები რაოდენობრივად აღინიშნება წყლის ბალანსის განტოლებით. წყლის ბალანსის ძირითადი კომპონენტებია: ატმოსფერული ნალექები, რომლებიც მოდის ოკეანისა $X_{\text{თ}}$ და ხმელეთის ზედაპირზე $X_{\text{ხ}}$ აორთქლდება ხმელეთისა $E_{\text{ხ}}$ და ოკეანის ზედაპირიდან $E_{\text{თ}}$. წყლების ჩადინება ოკეანეში მდინარეების საშუალებით (Y), რომელიც შეიცავს გრუნტის და ზედაპირულ წყლებს.

წყლის რესურსებით წყალუზრუნველყოფის მდგომარეობა

ცხრილი 2.2.

წყლის რესურსების მდგომარეობა	ქვეყნები
წყლის რესურსები საკმარისია მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად	ავსტრია, აშშ, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი, იუგოსლავია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, საქართველო, რუსეთი, სლოვაკეთი, ფინეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, შვედეთი
წყლის რესურსები საკმარისია მიმდინარე პერიოდის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ვერ დააკმაყოფილებს სამომავლო მოთხოვნებს	ბულგარეთი, თურქეთი, ლუქსემბურგი, საბერძნეთი, უნგრეთი
წყლის რესურსები არაა საკმარისი მიმდინარე პერიოდის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად	კვიპროსი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი

ა. ა. სოკოლოვის მონაცემების მიხედვით, საშუალოდ წელიწადში $E_{\text{ნგ}}=72$ ათასი კმ³; $E_{\text{ობ}}=505$ ათასი კმ³; $X_{\text{ნგ}}=119$ ათასი კმ³; $X_{\text{ობ}}=458$ ათასი კმ³; $Y=47$ ათასი კმ³. მსოფლიოს წყლის ბალანსის მონაცემები მოცემულია ცხრილი 2.3.-ის სახით.

მსოფლიოს წყლის ბალანსი

ცხრილი 2.3.

მაჩვენებლები		დონატინისთვის მთლიანობაზე მცდელობრივი მარაგი	ცენტრალური ასაკის მარაგი	სამეცნიერო მარაგი	სმელეთი	
ფართობი	მლნ. კმ ²	510	361	149	119	30
ნალექები	მმ	1 130	1 270	800	924	300
	ათასი კმ ³	577	458	119	110	9
აორთქლება	მმ	1 130	1 400	485	529	300
	ათასი კმ ³	577	505	72	63	9
ზედაპირული წყლების ჩამონადენი (ოკეანეებში ჩაღინებადი)	მმ	-	124	300	376	-
	ათასი კმ ²	-	44,7	44,7	44,7	-
მიწისქვეშა წყლების ჩამონადენი	მმ	-	6	15	19	-
	ათასი კმ ³	-	2,2	2,2	2,2	-
ორივე ერთად	მმ	-	130	315	395	-
	ათასი კმ ³	-	47	47	47	-

ვინაიდან დედამიწაზე (სმელეთზე და მსოფლიო ოკეანეში) ტენის მარაგი შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად, ამიტომ წყლის ბალანსის განტოლება ჩაიწერება შემდეგ-ნაირად:

მსოფლიო ოკეანისთვის

$$X_{\text{ობ}} + Y = E_{\text{ნგ}}. \quad (2.1.)$$

სმელეთისთვის

$$X_{\text{ნგ}} - Y = E_{\text{ნგ}}. \quad (2.2.)$$

მთლიანად დედამიწისთვის

$$(E_{\text{ობ}} + E_{\text{ნგ}}) = (X_{\text{ობ}} + Y) + (X_{\text{ნგ}} - Y). \quad (2.3.)$$

როგორც ტოლობიდან ჩანს, აორთქლება ოკეანის და სმელეთის ზედაპირიდან ტოლია ოკეანის ზედაპირზე მოსული ნალექების და სმელეთის ზედაპირიდან ჩამონადენის ჯამისა, დამატებული სმელეთის ზედაპირზე მოსული ნალექებისა და სმელეთიდან გადინებული ზედაპირული ჩამონადენის სხვაობა.


2.2. საქართველოს წყლის რესურსები

საქართველოს წყლის რესურსების თავისებურებანი განპირობებულია გეოლოგიური და კლიმატური პირობებით. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიის უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში, განაპირობებენ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში მტკნარი წყლის ფენის ისეთი საშუალო სიმაღლით ფორმირებას, რომ ამ მხრივ საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ ნორვეგიას (1 188 მმ), შვეიცარიას (1 046 მმ) და ავსტრიას (805 მმ) ჩამორჩება.

აღანიშნავია, რომ ერთ კვადრატულ კილომეტრზე წლის განმავლობაში ფორმირებული წყლის საშუალო რაოდენობა ტერიტორიის მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული: დასავლეთ საქართველოსთვის იგი 1,34 მლნ.მ³/კმ² შეადგენს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის -0,37 მლნ.მ³/კმ². საშუალო წლიური ჯამური ჩამონადენი, რომელიც უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირდება, 52,7 კმ³-ს შეადგენს. ჩამონადენის დაახლოებით 410 კმ³ მინისქვეშა წყლების წილზე მოდის. გარდა ამისა, მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის საშუალოდ 8,68 კმ³ წყალი წელიწადში, აქედან მტკვრისა და ჭოროხის საშუალებით თურქეთიდან შემოდის 7,75 კმ³ წყალი.

ტრანზიტული ჩამონადენის ჩათვლით, საქართველოს მდინარეების მტკნარი წყლის რესურსები 61,45 კმ³ შეადგენს, საიდანაც 48 კმ³ - შავ ზღვაში ჩაედინება, ხოლო 13,45 კმ³ - მეზობელ სახელმწიფოთა (აზერბაიჯანი, რუსეთი) ტერიტორიებზე გაედინება. მთლიანად, საქართველოს მტკნარი წყლის რესურსები წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

- | | |
|--------------------------|----------|
| 1. ზედაპირული ჩამონადენი | – 31,1% |
| 2. მყინვარები | – 30,1% |
| 3. მიწისქვეშა ჩამონადენი | – 21,7% |
| 4. ტრანზიტული ჩამონადენი | – 8,68% |
| 5. წყალსაცავები | – 3,175% |
| 6. სხვა | – 2,635% |
| 7. ჭაობები | – 1,890% |
| 8. ტბები | – 0,723% |
| | 100% |



მტკნარი წყლის ეს რესურსები წარმოადგენენ განახლებად რესურსებს, რომელიც ატმოსფერული ნალექების ხარჯზე ფორმირდებიან, ხოლო მყინვარებში მოქცეული წყლის მარაგის 96% წარმოადგენს საუკუნოვან მარაგს, რომელიც არ მონაწილეობს წყლის ყოველწლიურ წრებრუნვაში.

2.2.1. საქართველოს მდინარეები

საქართველოში 26 060 მდინარეა და მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათას კმ-ს შეადგენს. აქედან, შავი ზღვის აუზის მდინარეების რაოდენობაა 18 109, ხოლო კასპიის ზღვის აუზის - 7 951. საქართველოს მდინარეთა დიდი ნაწილი მთის მდინარის ტიპს მიეკუთვნება. აქ რელიეფის ზედაპირის დიდი დანაწევრების შედეგად არ გვხვდება დიდი სიგრძის და დიდი ფართობის აუზის მქონე მდინარეები. მდინარეთა საშუალო სიგრძე 2,3 კმ-ია. საქართველოს ჰიდროგრაფიულ ქსელს 25 კმ-ზე მოკლე მდინარეები წარმოადგენენ. ასეთ მდინარეთა რაოდენობა 25 905, რაც საქართველოს მდინარეთა საერთო რაოდენობის 99,4%-ს შეადგენს.

მდინარეთა ქსელის სიხშირე ტერიტორიულად თანაბრად არ არის განაწილებული. ზოგადად, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ნალექების შემცირე-

ბასთან ერთად, ქსელის სიხშირე მცირდება. დასავლეთ საქართველოში სიხშირის საშუალო სიდიდე 1,07 კმ/კმ²-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 0,68.

მდინარეთა ქსელის სიხშირის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურული პირობები. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ვლინდება კავკასიონის მაღალმთიან ზონაში - ზღვის დონიდან $2\ 400 \div 2\ 600$ მ-ზე მაღლა, სადაც მდინარეთა ქსელის სიხშირე მცირდება ჰაერის ტემპერატურის შემცირების მიმართულებით. რეგიონებში, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა - 29° -ია, მდინარეთა ქსელის სიხშირე $0,3 \div 0,4$ კმ/კმ²-ს შეადგენს.

წყლის მდინარეული რესურსების განაწილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის

ცხრილი 2.4.

№	ტერიტორიები	ჩამონადენი კმ ³			ჩამონადენი წელიწადში		
		ფართობი ათასი კმ ²	სულ	საკუთარი	ტრანსიტი	ათასი გეგმა	ათასი გეგმა/ადგინდება
1	საქართველო მათ შორის:	69,7	62,8	53,6	9,2	7,7	10,6
	ა) დასავლეთ საქართველო (შავი ზღვის აუზი)	32,4	47,7	40,7	7,0	12,3	17,7
	ბ) აღმოსავლეთ საქართველო (კასპიის ზღვის აუზი)	37,3	15,1	12,9	2,2	3,4	4,6
	გ) მდ.მტკვრის აუზისათვის (ცალკე)	34,7	12,9	10,7	2,2	3,0	3,9
2	სომხეთი	29,8	7,9	6,5	1,4	2,2	2,1
3	აზერბაიჯანი	86,6	30,5	8,7	21,8	1,0	1,4
	ა) მდ.მტკვრის აუზისათვის (ცალკე)	68,9	27,5	5,7	21,8	0,82	

კლიმატური პირობების გარდა, მდინარეთა ქსელის სიხშირის განაწილებაში დიდ როლს თამაშობს ადგილის გეოლოგიური აგებულება. ძლიერ დანაპრალებული მთის ქანები მკვეთრად ამცირებენ ქსელის სიხშირეს და ზრდიან მიწისქვეშა წყლების მარაგს.


წყლის მდინარეული რესურსების განაწილება

ცხრილი 2.5.

№	კონტინენტის დასახელება	მდინარეთა ჩამონადენი კმ ³ /წელიწადში	ჩამონადენი 1 სულ მოსახ- ლებზე ათასი კმ ³ /წელიწადში	
			1	2
1.	ევროპა	3 114	5,18	
2.	აზია	13 400	7,94	
3.	აფრიკა	4 020	13,67	
4.	ჩრდ. ამერიკა	6 522	26,17	
5.	სამხ. ამერიკა	11 500	74,68	
6.	ავსტრალია	1 890	12,90	
7.	ანტარქტიდა	1 050	-	
8.	დედამიწა მთლიანად	41 500	11,0	

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ რეგიონში მდინარეთა ქსელის ფაქტიური სიხშირე, სარწყავი სისტემების გათვალისწინებით, გაცილებით მეტია ბუნებრივზე. მარტო ზემო ქართლის ზეგანის სარწყავი სისტემების არხების საერთო სიგრძე 16 500 კმ-ია, რაც 3-ჯერ აღემატება ამ რეგიონის ბუნებრივ მდინარეთა საერთო სიგრძეს.

მდინარეთა ჯამური ჩამონადენი წელიწადში საშუალოდ 53,4 კმ³-ს შეადგენს. მდინარეთა ჩამონადენი წყლებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიოში - 765 მ³/კმ². ზედაპირული ჩამონადენის მოდული საშუალოდ 24 ლ/კმ²-ს შეადგენს.



მდინარე რიონი

ა) ჩამონადენის ტერიტორიული განაწილება და მრავალწლიური რყევადობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მდინარეები თავისი სიგრძითა და წყალშემკრები აუზების ფართობით პატარა არის, ისინი წარმოადგენენ უხვწყლიან მდინარეებს. განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში მდინარეები ხასიათდებიან დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით და პოტენციური ენერგიის დიდი მარაგით. ისინი მიედინებიან ვიწრო და ღრმა ხეობებში, ქმნიან ვიწრობებს, ჩქერებს, ჭორომებს, ჩანჩქერებს და კალაპოტის სხვა ფორმებს.

დასავლეთ საქართველოში უხვწყლიანობით გამოირჩევიან კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი ფერდობის მდინარეები: ბზიფი, კოდორი, ენგური, ცხენისწყალი, რიონი და მისი შენაკადები, რომლებიც სათავეს მარადი თოვლიდან იღებენ. კოლხეთის დაბლობში, ძირითადად, პატარა მდინარეებია. ისინი სათავეს მთისწინების გორაქ-ბორცვიან ზოლში იღებენ და ხასიათდებიან ძლიერი მეანდრირებით და მცირე სიჩქარეებით.

აღმოსავლეთ საქართველოში უხვწყლიანობით გამოირჩევა მდ. მტკვარი და მისი პირველი რიგის შენაკადები: დიდი ლიახვი, არაგვი, ალაზანი, იორი, ფარავანი, ქციახრამი და სხვ.

საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსები შედგება ადგილობრივად ფორმირებული და მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ჩამონადენისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული წყალი შემოდის თურქეთიდან-დებედით. საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსები ტრანზიტული ჩამონადენის გათვალისწინებით 61,45 კმ³-ს შეადგენს. დასავლეთ საქართველოს წყლები ჩაედინება შავ ზღვაში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს წყლები, კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანის და რუსეთის ტერიტორიების გავლით. ამასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის საერთო რესურსი 3,5-ჯერ აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს წყლის რესურსს.

საქართველოს ფარგლებში ყველაზე უხვწყლიანი მდინარეა რიონი, რომლის საშუალო წლიური ჩამონადენი - 12,66 კმ³-ია. მას მოსდევს მდ. მტკვარი (საქართველოს ფარგლებში) - 9,39 კმ³; ჭოროხი - 8,73 კმ³, ენგური - 6,04 კმ³, კოდორი - 3,94 კმ³.

მდინარეთა წყლები კონტინენტული არათანაბრადა განაწილებული. ევროპასა და აზიაში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 70%-ია, მსოფლიოს მდინარეების წყლის მარაგის მხოლოდ 39%-ია.

ბ) ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება

მდინარეთა წლიური ჩამონადენი წლის განმავლობაში არათანაბრადა განაწილებული. ჩამონადენის შიგაწლიურ მსვლელობას განსაზღვრავს კლიმატური ფაქტორები, პირველ რიგში, ნალექები, ჰაერის ტემპერატურა და აორთქლება, წყალშემკრები

აუზის რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, ნიადაგის და მცენარეული საფარის ხასიათი და სხვ.

უკანასკნელ ათწლეულებში ჩამონადენის შიგანლიურ განაწილებაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არღვევს წყლის ობიექტების ბუნებრივ მდგომარეობას.

მდინარეთა საზრდოობის წყაროებისა და ჩამონადენის დროში განაწილების, ჩამონადენის სიდიდისა და მასზე ბუნებრივი ფაქტორების გავლენის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე პირობითად შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი რაიონი:

1. კოდორ-ენგურის ზემო წელის რაიონი, სადაც მდინარეები, ძირითადად, მყინვარული წყლებით საზრდოობენ. გაზაფხულის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 25%-ს აღწევს.
2. შავი ზღვისპირა და ალაზნის რაიონი, სადაც მდინარეებს შერეული საზრდოობა აქვთ. გაზაფხულის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 25÷50%-ს შეადგენს.
3. მტკვარ-იორის - მდინარეებს აქვთ შერეული საზრდოობა; გაზაფხულის ჩამონადენი წლიური ჩამონადენის 26,75%-ს შეადგენს.
4. ტბიან-წყაროებიანი რაიონი - მდინარეებს აქვთ შერეული საზრდოობა; გაზაფხულის ჩამონადენის 26,50%-ს შეადგენს.

დასავლეთიდან აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით კლიმატის კონტინენტურობის ზრდასთან ერთად მატულობს თოვლის წყლებით საზრდოობა; ამასთან ერთად, მცირდება წვიმის წყლებით საზრდოობის წვლილი. იზრდება გაზაფხულის ჩამონადენი. ეს ვრცელდება იმ აუზებზე, რომლებიც უფრო დაბალ სიმაღლებრივ სარტყელში იმყოფებიან.

მაღალმთიან სარტყელში, სადაც მდინარეები მყინვარისა და თოვლის ნადნობი წყლებით საზრდოობენ, უხვწყლიანობა დამახასიათებელია ზაფხულ-შემოდგომის სეზონისათვის. საშუალომთიან ზონაში მატულობს წვიმის წყლითა და სეზონური თოვლით საზრდოობის წვლილი. აქ ყველაზე უხვწყლიანია გაზაფხულ-ზაფხულის ან მხოლოდ გაზაფხულის სეზონი.

შავი ზღვის სანაპიროს მდინარეები, ძირითადად, წვიმებით საზრდოობენ და თითქმის მთელი წლის განმავლობაში უხვწყლიანი არიან. თოვლის წყლის საზრდოობის წვლილი დამოკიდებულია ტემპერატურულ რეჟიმზე. საქართველოს ტერიტორიაზე სიმაღლის ზრდასთან ერთად მდინარეთა კვებაში იზრდება თოვლის ნადნობი წყლების წვლილი. წვიმის წყლებით საზრდოობას მეტ-ზაკლებად სტაბილური ხასიათი აქვს. წვიმით საზრდოობა, უპირატესად, დამახასიათებელია საშუალომთიანი და დაბალმთიანი აუზებისათვის.

მინისქვეშა საზრდოობა შეიძლება დაიყოს: მრავალწლიურ მდგრად საზრდოობად, რომელიც წარმოადგენს წყალგაცემის სხვადასხვა ასაკის წყლიანი ჰორიზონტებიდან და სეზონურ საზრდოობად, რომელიც განპირობებულია წვიმისა და ნადნობი წყლების ინფილტრაციით. მდინარე მტკვრის აუზში მინისქვეშა საზრდოობის დიდი წვლილი ახასიათებთ მის მარცხენა შენაკადებს: ქალაქი, არაგვი, იორი. ამ მდინარეთა ჩამონადენში მინისქვეშა წყლების მონაწილეობის წილი 30%-ს აღწევს, ხოლო თეთრი არაგვის ზემო წელში, სადაც გავრცელებულია ნაპრალოვანი ვულკანური ქანები - 50%-ს.

მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადების აუზებში მინისქვეშა საზრდოობის პირობები რამდენადმე უარესდება და კავკასიონის მთიან ნაწილში მინისქვეშა ჩამონადენის 20÷40%-ს შეადგენს. დინების შუა წელში მინისქვეშა საზრდოობის წილი მნიშვნელოვნად მატულობს - 60% და მეტი.

2.2.2. საქართველოს მდინარეების მყარი ჩამონადენი

საქართველოს მდინარეები მყარი ჩამონადენის დიდი მოცულობით ხასიათდებიან, რაც დაკავშირებულია მთიან რაიონებში ეროზიული პროცესების ინტენსიურ განვითარებასთან. მდინარეთა მყარი ნატანის ჩამოყალიბებაში ძირითადი როლი მიუძღვის

ფიზიკური გამოფიტვის, დენუდაციის და ეროზიის პროცესებს. მდინარის ნაკადში, ფრაქციების გადადგილების მიხედვით, მყარი ნატანი პირობითად იყოფა: მღვრიე, ატივნარებულ და ფსეურულ ნატან მასალად.

საქართველოს მდინარეთა **საშუალო სიმღვრივე** ფართო დიაპაზონში იცვლება $23 \div 4\ 600$ გრ/მ³. მაღალი სიმღვრივის მაჩვენებლებით ხასიათდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობის აღმოსავლეთი ნაწილის მდინარეები, სადაც გავრცელებულია თიხოვანი ფიქალები, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან გამოფიტვის პროცესებს.

ტერიტორიის მიხედვით **შეტივნარებული ნატანის** წლიური ჩამონადენი საკმაოდ ცვალებადია: შავი ზღვის სანაპიროს მდინარეები, რომლებიც სათავეს მცირე კავკასიონზე იღებენ, ნატანის ჩამონადენის მცირე მნიშვნელობით ხასიათდებიან. დიდ მდინარეებს ატივნარებული ნატანის მნიშვნელოვანი რაოდენობა შეაქვთ შავ ზღვაში _ 2-დან 11 მლნ.ტ.-მდე წელიწადში.

ფსეურული ნატანის ჩამონადენის გაზომვები გართულებულია და მის შესაფასებლად გამოიყენება წყალსაცავების მოსილვის დროს მიღებული მყარი ნატანის ბალანსის განტოლებები.

საქართველოსთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის აუზის მდინარეების მყარი ნატანის ჩამონადენს, რამდენადაც ზღვის სანაპიროებისა და პლაჟების ფორმირება მდინარეთა მიერ ზღვაში გამოტანილი მყარი მასალის ხარჯზე მიმდინარეობს.

ყოველწლიურად საქართველოს მდინარეების მიერ შავ ზღვაში საშუალოდ ჩაიტანება $28\ 272,8$ ათასი ტონა მყარი მასალა. აქედან $94,50\%$ მოდის ისეთ მდინარეებზე, როგორიცაა: ბზიფი, კოდორი, ენგური, რიონი, ჭოროხი; მხოლოდ მდ. ჭოროხს ყოველწლიურად საშუალოდ $12\ 757,5$ ათასი ტონა მყარი მასალა ჩააქვს შავ ზღვაში.

აღნიშნული ჩამონადენი, ფრაქციების მიხედვით, პროცენტულად შემდეგნაირადაა განანილებული: კენჭი (ფრაქცია 20 მმ-ზე მეტი) - $9,0\%$. ხრეში (ფრაქცია $2 \div 20$ მმ) - $8,0\%$; ქვიშა და ლამი - 83% . მყარი ჩამონადენის მთელი რაოდენობის შემთხვევაში 17% კენჭნარ-ხრეშიან ფრაქციაზე მოდის, რომელიც ზღვის ნაპირის ფორმირების ძირითად მასალას ნარმოადგენს. ასეთი მცირე წილი განპირობებულია მდინარის სიგრძის მიხედვით მსხვილ ფრაქციათა წილის შემცირებით, რასაც ხელს უწყობს უშუალოდ მდინარეთა კალაპოტებიდან და ჭრილებიდან ამ მასალის ინტენსიური გატანა მშენებლობის მიზნებისათვის. მდინარეთა კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, მკვეთრად ამცირებს მდინარეთა მყარი ნატანის ჩამონატანს და ამით არღვევს სისტემის: ზღვა - ნაპირი, ბუნებრივ ბალანსს, რის შედეგადაც ზღვის ტალღებით ნაპირის დანგრევის პროცესი შეიძლება უფრო ინტენსიური გახდეს.

2.2.3. საქართველის ტბები

საქართველო პატარა ტბების ქვეყანაა. აქ სულ დაახლოებით 860 ტბაა. ტბების წყლის რესურსები სამრეწველო წყალმომარაგებისა და მოსახლეობის წყალმოთხვისის დასაკმაყოფილებლად თანამედროვე პერიოდში უმნიშვნელოდ გამოიყენება. ვინაიდან, ტბის წყლის ყოველწლიური განახლება უმნიშვნელოა, (არ აღემატება $1,5\%-ს$), ამიტომ ტბები, ძირითადად, გამოიყენება ტრანსპორტის, თევზის მეურნეობისა და რეკრეაციული მიზნებისთვის. საქართველოს ტბების სარკის ზედაპირის ფართობი დაახლოებით $170\ \text{კმ}^2$ -ს შეადგენს, რაც ქვეყნის მთელი ტერიტორიის $0,24\%-ია$.



რიწის ტბა

მნიშვნელოვანი ზომის ტბების რაოდენობა ტბების მთელი რაოდენობის $1,7\%-ია$ მაშინ, როდესაც მათი ჯამური ფართობი ტბების მთელი ფართობის $88\%-ს$ აღემატება.

საქართველოს ტბების წყლის მარაგი საშუალოდ 723,24 მლნ.მ³-ს შეადგენს. ამ მოცულობის გარკვეული ნაწილი მონაწილეობს მდინარეთა ჩამონადენის ფორმირებაზე.

საქართველოს ტბების სიღრმეები მერყეობს რამდენიმე ათეული სანტიმეტრიდან 101 მ-მდე (რინის ტბა). დაახლოებით 600-მდე ტბას აქვს 2-დან 50 მ-მდე სიღრმე.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს ტბები მცირე წილით ჩამონადენის გამო ჰქონდა რეალური რეზიმში მონაწილეობას არ იღებენ. რაც შეეხება პერსპექტივას, შესაძლებელია ისინი ფართოდ იქნენ გამოყენებული რეკრეაციული წყალსარგებლობისთვის და ასევე ზოგიერთის მოცულობათა ხელოვნურად ბოლომდე შევსება გაზრდის დარეგულირებელი წყლის მარაგს, რომელიც წყლის დეფიციტის პირობებში შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც წყალსაცავი. მათი გამოყენება შესაძლებელია რეკრეაციული წყალსარგებლობისთვისაც.

2.2.4. საქართველოს წყალსაცავები

საყოველთაო ურბანიზაციის პირობებში მტკნარი წყლის პრობლემა სულ უფრო გლობალურ მასშტაბებს იძენს. ამიტომ დღის წესრიგში დგება მდინარეთა ჩამონადენის რეზიმის კორექტირება (დარეგულირება) წყალსაცავების მეშვეობით.

წყალსაცავი წარმოადგენს ხელოვნურ წყალსატევს, რომელიც ემსახურება ტერიტორიისა და წლის პერიოდების მიხედვით არათანაბრად განაწილებული მდინარის ჩამონადენის დარეგულირებას წყლის რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით.

მსოფლიოში ამჟამად 1 მლნ.მ³-ზე მეტი მოცულობის მქონე 13 ათასამდე წყალსაცავია, რომელთა წყლის საერთო მოცულობა 5,5 ათასი კმ³-ს აღემატება, წყლის სარკის ზედაპირის ჯამური ფართი 400 ათას კმ²-ს შეადგენს.

მსოფლიოს ექსპერტთა პროგნოზირებით, უახლოესი 30-50 წლის განმავლობაში მდინარეთა ჩამონადენის 2/3-ს წყალსაცავებში დარეგულირებენ, რაც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ განვითარებას წყლის რესურსების ოპტიმალური გამოყენების გათვალისწინებით.

საქართველოს წყალსაცავებში აკუმულირებულია წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეისათვის ექსპლუატაციაშია 44 წყალსაცავი, თითოეული მოცულობით 0,5 მლნ.მ³-ს და მეტი. მათი საერთო მოცულობა 3,32 კმ³-ს შეადგენს, ხოლო ყოველწლიურად განახლებადი სასარგებლო მოცულობა -2,27 კმ³-ს.

წყალსაცავების წყლის ზედაპირის საერთო ფართობი 163 კმ²-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 0,23%-ს შეადგენს.

ამ წყალსაცავებიდან რვა წყალსაცავი დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი, რომელთაგან ერთი საირიგაციო, ხოლი დანარჩენი ენერგეტიკული დანიშნულებისაა. მათი საერთო სასარგებლო მოცულობა 0,85 კმ³-ია. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაკლებტენიანობა განაპირობებს წყალსაცავთა უმეტესობის ირიგაციული დანიშნულებით გამოყენებას.

კომპლექსური დანიშნულების წყალსაცავები რამდენიმე სახის წყალმომხმარებლის უზრუნველყოფას ემსახურებიან. მაგალითად, უზრუნველყოფას წყალსაცავის ძირითადი დანიშნულება ენერგეტიკა, ირიგაცია და სასმელი წყალმომარაგებაა. თუმცა, მეტნაკლებად ყველა წყალსაცავი, ძირითადი დანიშნულების გარდა, გამოიყენება თევზის მეურნეობისათვის, რეკრეაციისა და ისეთი სტიქიური მოვლენის შედეგების შესარბილებლად, როგორიცაა წყალდიდობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში შენდება სპეციალური კაშხლები და წყალსაცავები, რომელთა დანიშნულებაც მხოლოდ წყალდიდობებთან ბრძოლაა.



შინვალის წყალსაცავი

საქართველოს ზოგიერთი წყალსაცავი შექმნილია ყოფილი ტბების ქვაბულებში. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან შაორის, თბილისისა და სხვა წყალსაცავები. ზოგიერთი ხელოვნური წყალსაცავი ფაქტობრივად ბუნებრივ ტბას წარმოადგენს, მაგრამ პირობითად იწოდება წყალსაცავად, რადგან მათი საზრდოობა ხელოვნური არხებით წარმოებს.

წყალსაცავების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია მდინარეთა ხეობებში კაშხლებით კალაპოტის გადაკეტვის გზით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ჯვრის, ლაჯანურის, წალკის, უინგალისა და სხვა წყალსაცავები.

საქართველოს წყალსაცავების უმეტესობა ჯვრის, ტყიბულის, თბილისის, უინგალის, მარაბდისა და სხვ., შექმნილია მდინარის ჩამონადენის სეზონური რეგულირების მიზნით, ხოლო შაორის, სიონისა და წალკის წყალსაცავები - მრავალწლიური რეგულირებისათვის. გალის, ლაჯანურის, გუმათის, ვარციხისა და სხვა წყალსაცავებს კი მხოლოდ დღელამური რეგულირების უნარი აქვთ.

წყალსაცავები წყლის სწრაფი აღრევითა და განახლებით გამოირჩევიან. მაგალითად, ჯვრის წყალსაცავში წყლის მარაგის სრული განახლება 25 დღელამეში ხდება, ხოლო სიონის წყალსაცავში - ერთ წლიწადში.

ცხადია, წყალსაცავის აშენება გარკვეულწლილად ცვლის ეკოლოგიურ სისტემას: წყლით იფარება ხეობის ნაწილი, ჩნდება მეწყერული პროცესის ახალი კერები, მატულობს პარარის და ნიადაგის ტენიანობა, ირღვევა მდინარის თხევადი და მყარი ჩამონადენის რეჟიმი წყალსაცავის ქვემო წლში და სხვ. მაგრამ რადგან სხვა ალტერნატივა ჯერჯერობით არ არსებობს და წყალსაცავების მშენებლობა გარდაუვალია, მათი პროექტირებისას აუცილებელია მრავალმხრივი ანალიზის ჩატარება წყალსაცავის პარამეტრების და მისი გამოყენების ოპტიმიზაციისათვის, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი ეკოლოგიური ცვლილებები. ამის საფუძველზე უნდა შეირჩეს წყალსამეურნეო სისტემის ისეთი პარამეტრები და გარემოს დამტავი ღონისძიებები, რომლის დროსაც ეკოლოგიურ სისტემაზე მიყენებული ზიანი მინიმალური იქნება, ხოლო სისტემის ეფექტურობა კი მაქსიმალური.

2.2.5. საქართველოს მიწისქვეშა წყლები

წყლის რესურსების დიდი ნაწილი (თითქმის იმდენივე, რაც მსოფლიო ოკეანეში) მიწისქვეშ იმყოფება. ყველა სახის მიწისქვეშა წყალი პირობითად იყოფა ყოველწლიურად განახლებად (დინამიკურ) და საუკუნოვან (სტატიკურ) წყლებად. დინამიკურ მიწისქვეშა წყლების მარაგი შეადგენს 12 000 კმ³-ს. ეს არის ე. წ. აქტიური წყალგაცვლის ზონა, რომელიც ამოდის მიწის ზედაპირზე წყაროების, ნაკადულების, ორთქლის წყლის შადრევნების - გეიზერების სახით, ანდა დრენირდება მდინარეების მიერ და საბოლოო ჯამში, ქმნიან მდინარეთა ჩამონადენის მდგრად ნაწილს.

მიწისქვეშა წყლები მტკნარი წყლების მარაგის შედარებით სტაბილური წყაროა, რომელიც სასმელი წყალმომარაგების სფეროში სისუფთავითაც გამოირჩევა. მათ ფორმირებაზე გავლენას ახდენს კლიმატური, რელიეფური და დედამიწის სტრუქტურულ-ჰიდროგეოლოგიური ფაქტორები. მიწისქვეშა წყლების დიდი ნაწილი ხასიათდება მაღალი მარილიანობით (მინერალური წყლები) და ტემპერატურით (თერმული წყლები).

სახალხო მეურნეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინერალური და თერმული წყლების მარაგს. გარდა სამკურნალო დარგისა, 40°-60° C ტემპერატურის მქონე წყალი გამოიყენება სათბურებში, ხოლო 100°-მდე ტემპერატურის წყალი კი ბინების გასათბობად (ისლანდია). გეოთერმული ელექტროსადგურები ფუნქციონირებენ მთელ რიგ ქვეყნებში. ყოველივე აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგორესურსების დაზოგვის თვალსაზრისით.

საქართველო მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რაც მის ტერიტორიაზე მოსული უხვი ატმოსფერული ნალექებითაა (93,3 კმ³ წლიწადში) განპირობებული.

უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რე-სურსების მარაგი 21,7 კმ³-ს (311 მმ) აღწევს, რაც მთელი ტერიტორიის ზედაპირული ჩამონადენის 43% და წლიური ატმოსფერული ნალექების 23%-ს შეადგენს.

აღნიშნული წყლები უმეტესად დაბალი მინერალიზაციისაა და სასმელად გამო-სადეგია. ძირითადად გვხვდება ორი ტიპის სასმელი მიწისქვეშა წყალი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ჰიდროკარბონატული მიწისქვეშა წყლები, რომელთა მინერალიზაციის ხარისხი 0,2-0,3 გ/ლ-ია. ასეთი წყლების მარაგი სამხრეთ საქართველოში 0,63 კმ³-ს შეადგენს. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება 0,3-1,0 გ/ლ მინერალიზაციის მქონე სასმელი მი-წისქვეშა წყლები, რომელთა მარაგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2,52 კმ³-ს შეადგენს. მიწისქვეშა წყლის რესურსების განახლების ძირითად წყაროს ატმოსფერუ-ლი ნალექები და ზედაპირული წყლები წარმოადგენენ. ამასთან, საქართველოს ტერი-ტორიაზე აღრიცხულია 1 400-მდე სამკურნალო მინერალური წყარო, რომელთა საერ-თო დებიტი დღე-ღამეში 100 მლნ. ლიტრზე მეტია.

2.2.6. საქართველოს ჭაობები

ჭაობებს მიეკუთვნება ჭარბტენიანი, ამოუშრობი ფართობები, რომლებიც დაფა-რულია არაუმცირეს 30 სმ ტორფის ფენით. ტორფს თავისი სტრუქტურის მეშვეობით უნარი აქვს დააკავოს წყლის დიდი რაოდენობა (თავისი მოცულობის ≈95%), ამიტომ ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ ტერიტორიის ჰიდროლოგიური რეჟიმის შექმნაში. ამ წყლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი დაშრობის შემდგომ. ამას მოჰყვება უარყოფითი ეკოლოგიური ცვლილებანი - ჭაობების წყლების გამოყენება გაუმართლე-ბელია.

უახლოეს წარსულში საქართველოში ჭაობებს მნიშვნელოვნი ფართობი ეკავათ, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე. საკუთრივ ტორფიანი ჭაობები საქართ-ველოში ცოტა იყო, მაგრამ ჭარბტენიან მინებთან ერთად მათი ფართობი 256 ათას ჰექტარს შეადგენდა; აქედან, და-სავლეთ საქართველოზე მოდიოდა 225 ათასი ჰექტარი.


ამჟამად ჭაობებისა და ჭარბტე-ნიანი მიწების ნაწილი ამოშრობილია. ჭაობები გვხვდება მხოლოდ კოლხეთის დაბლობის დასავლეთით, ზღვისპირა ნა-ნილში და მათი საერთო ფართობი დაახლოებით 627 კმ²-ია. ეს ტერიტორია ხასიათდება სიმაღლის დაბალი ნიშნუ-ლებით, დედამიწის ზედაპირისა და ჰი-დროგრაფიული ქსელის მცირე ქანობით, რაც ხელს უწყობს წყლის მასის აკუმულირებას.

კოლხეთის დაბლობის ჭაობების წყლის მარაგი დაახლოებით 1,89 კმ³-ს შეადგენს. ამ მარაგის ნაწილი აორთქლების დროს იხარჯება, ნაწილი კი ხვდება მდინარეთა ქსელ-ში და ინფილტრაციის გზით შავ ზღვაში ჩაედინება.

ჭაობები მოქმედებენ კლიმატურ, ჰიდროლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ რეჟი-მებზე და ამდენად წარმოადგენენ ლოკალური ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორო-ბის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს.

საქართველოს ჭაობები გენეზისით მიეკუთვნებიან დაბლობის ჭაობებს და გან-ვითარების ჰიდროლოგიური სტადიაში იმყოფებიან. მაღლობის ჭაობების მცირე ფართობები ჯა-ვახეთის ზეგანზე და ზოგიერთ სხვა რაიონშია განლაგებული.

ბუნებაში წყლის წრებუნვის შესაბამისად წყალი ჭაობებში მუდმივად გადაად-გილდება დროსა და სივრცეში, მაგრამ ეს გადაადგილება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.



ჭაობი

ამიტომ ამ წყლების მარაგის განახლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხორციელდება, რის გამოც ისინი ნელა აღდგენადს მიეკუთვნებიან.

2.2.7. საქართველოს მყინვარები


მტკნარი წყლის მსოფლიო მარაგის 3/4 თავმოყრილია არქტიკის, ანტარქტიდისა და მაღალი მთების მყინვარებში. საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარები, ძირითადად, გავრცელებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ განშტოებებზე - ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის, ოდიშის, ლეჩხუმისა და რაჭის ქედების ყველაზე ამაღლებულ რაიონებში. დასავლეთით მდ. ბზიფის სათავეებსა და აღმოსავლეთით მდ. არაგვის სათავეებს შორის.

საქართველოში სულ აღრიცხულია 734 მყინვარი, რომელთა საერთო ფართობი 511,12 კმ²-ია, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 0,73%-ს შეადგენს. მყინვართა უმეტესი ნაწილი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს მყინვარების უმეტესობა პატარა ზომისაა (1 კმ²). მყინვარები, რომელთა ფართობი 10 კმ²-ზე მეტია, ნარმოდგენილია შემდეგი მდინარეების აუზებში: მდ. ენგურის აუზში - ჭალაათი (12,3 კმ²), ლეხტირი (35,8 კმ²), ტვიბერი (24,7 კმ²), ხალდე (10,5 კმ²), ყვითლოდი (12,1 კმ²), ადიში (10,2 კმ²), ქვიში (19,3 კმ²) და მდ. თერგის აუზში - სუათისი (11,1 კმ²).

მყინვარებში მოქცეული წყლის მარაგი წარმოადგენს მყინვარული რესურსების მნიშვნელოვან მახასიათებელს. მყინვარების სისქისა და მოცულობის უშუალო გაზომვები საქართველოს მყინვარებისათვის შესრულებული არ არის. ამის გამო, მხოლოდ მყინვარების ფართობსა და მოცულობას შორის ემპირიული დამოკიდებულებითაა შესაძლებელი მყინვართა მოცულობის შეფასება.

საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარები აკუმულირებულია 30 130 მლნ.მ³ ყინული. ამ მოცულობის ორ მესამედზე მეტი აკუმულირებულია მდ. ენგურის აუზში - 22 462 მლნ.მ³, რაც 4,1-ჯერ აღემატება მდ. ენგურის საშუალო წლიურ ჩამონადენს. მყინვარების აღნიშნული ყინულის მარაგის ნაწილი ზაფხულის განმავლობაში დნება და ქმნის ზედაპირულ ჩამონადენს, რომელიც მონაწილეობს წყლის წრებრუნვაში. საქართველოს მყინვარების საშუალო წლიური მყინვარული ხასიათის ჩამონადენი 1,50 კმ³. ე. ი. ყოველწლიურად წყლის წრებრუნვაში მონაწილეობს საქართველოს მყინვარების საერთო წყლის მარაგის მხოლოდ 5%. ამ მარაგის 95% საქართველოს მყინვარებში მოქცეულ საუკუნოვან წყლის მარაგს წარმოადგენს.



ყაზბეგი

2.3. წყლის წრებრუნვა

ჰიდროსფერო არის დედამიწის წყლის გარსი - ზღვების, ოკანეების, კონტინენტალური წყლების (გრუნტის წყლების ჩათვლით) და ყინულის საფარის ერთობლიობა. ჰიდროსფეროს უმთავრეს თვისებას წარმოადგენს ბუნებრივი წყლების ერთობლიობა (მსოფლიო ოკეანე, ხმელეთის წყლები, წყლის ორთქლი ატმოსფეროში, მიწისქვეშა წყლები), რომელიც ხორციელდება ბუნებაში წყლის წრებრუნვის პროცესის შედეგად.

დედამიწაზე წყლის წრებრუნვა ანუ **ჰიდროლოგიური ციკლი** არის წყლის ციკლური გადაადგილების პროცესი დედამიწის ბიოსფეროში. იგი მოიცავს აორთქლების შედეგად წყლის მოდინებას ატმოსფეროში და მის უკან დაბრუნებას კონდენსაციის და ნალექების შედეგად.

ზოგადად, წყლის წრებრუნვა შედგება აორთქლების, კონდენსაციისა და ნალექებისგან. მაგრამ იგი შეიცავს სამ ძირითად "კვანძს":

1. **ზედაპირული ჩამონადენი:** წყალი ზადაპირული წყლების ნაწილი ხდება;
 2. **აორთქლება - ტრანსპირაცია:** წყალი ჩაიუონება ნიადაგში, კავდება კაპილარული წყლის სახით და შემდეგ ბრუნდება ატმოსფეროში დედამიწის ზედაპირიდან აორთქლების შედეგად ან შთაინთქმება მცენარეებით და გამოიყოფა ორთქლის სახით ტრანსპირაციის შედეგად;
 3. **გრუნტის წყლები:** წყალი ხვდება და გადაადგილდება მიწაში, კვებავს ჭებსა და წყაროებს, რის შედეგადაც უბრუნდება ზედაპირული წყლების სისტემას.

წრებრუნვის სქემის მიხედვით ატმოსფეროში წყლის ფონდი დიდი არ არის. მასზე ზეგავლენას ახდენს ადამიანის მოლვანერობის გლობალური შედეგები. დღეისთვის მსოფლიოში ნალექების და მდინარის ჩამონადენის აღრიცხვა კარგადაა ორგანიზებული, მაგრამ აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს წრებრუნვაში წყლის მოძრაობის ყველა ძირითადი გზის უფრო სრული კონტროლი.



აქვე უნდა აღინიშნოს წყლის წრებრუნვის ორი ასპექტი:

1. ალსანიშნავია, რომ ზღვა აორთქლების შედეგად უფრო მეტ წყალს კარგავს, ვი-დრე იღებს ნალქების სახით, ხოლო ხმელეთზე პირიქითაა. ანუ, ნალქების ის ნა-ნილი, რომელიც შედის ხმელეთის ეკოსისტემაში, წარმოიშვება ზღვიდან აორთქლების შედეგად. დადგენილია, რომ უმრავლეს რეგიონებში ნალქების 90% მოდის ზღვიდან.
 2. შეფასებებიდან ჩანს, რომ მტკნარი ტბებისა და მდინარეების წყლის წონა 0,25 გეოგრამია ($1 \text{ გეოგრამი} = 1\,020 \text{ გრამს}$), ხოლო წლიური ჩამონადენი 0,2 გეოგრა-მია. გამომდინარე აქედან ბრუნვის დრო შეადგენს დაახლოებით ერთ წელიწადს. წელიწადში ნალქებისა ($1,0 \text{ გეოგრამი}$) და ჩამონადენს ($0,2 \text{ გეოგრამი}$) შორის სხვაობა $0,8$ -ს შეადგენს. ეს არის ნიადაგქვეშა წყლის ჰორიზონტებში წყლის წლიური მოდინების სიდიდე. ადამიანის მოღვაწეობის შედეგად ჩამონადენის გაზრდას შეუძლია გამოიწვიოს წრებრუნვისთვის მეტად მნიშვნელოვანი - გრუნტის წყლების შემცირება.

დედამიწაზე წყლის მოძრაობა ხდება მზის ენერგიის მეშვეობით. მზის სხივები ხვდება დედამიწაზე, გადასცემენ თავის ენერგიას წყალს და ათბობენ, რის შედეგედაც წყალი გადაიქცევა ორთქლად. საშუალოდ, ყოველ ერთ საათში, ერთი კვადრატული მეტრიდან ორთქლდება 1 კგ წყალი. თეორიულად, 1 000 წელიწადში მსოფლიო ოკეანის მთელი წყალის მარაგი შეიძლება გადავიდეს ორთქლის მდგომარეობაში. ატმოსფერული ნალექები აბრუნებენ წყალს მსოფლიო ოკეანეში და ასე ხორცილედება წრებრუნვა ბუნებაში.

აღსანიშნავია, რომ წრებრუნვაში მოძრაობს არა მხოლოდ სუფთა წყალი. წყლის ორთქლის შემადგენლობაში ოკეანის ზედაპირიდან ხვდება ზღვის მარილის იონებიც და ატმოსფერულ ნალექებთან ერთად მოედინება ხმელეთზე. ეს მარილები შესაბამისად ხვდება მდინარის წყლებში და მათი მემკვეობით უბრუნდება ოკეანეს, ხოლო ნაწილი რჩება ხმელეთზე. ხმელეთიდან ოკეანეში ხვდება უფრო მეტი ნივთიერება, ვიდრე ბრუნდება ოკეანიდან ხმელეთზე.

განასხვავებენ **მცირე და დიდ წრებრუნვას**. მცირე წრებრუნვაა, როდესაც ატ-მოსფერული წყალი ნალექების სახით ხვდება მსოფლიო ოკეანეში, ხოლო დიდი წრებრუნვაა, როდესაც წყალი ხვდება ხმელეთზე.

ყოველწლიურად დედამიწაზე მოდის დაახლოვების 100 ათასი კუბური კილომეტრი ნალექი. ეს წყლები ავსებენ მდინარეებს, ტბებს და ხვდებიან მთის ქანებში. ამ წყლის ნაწილი ბრუნდება ზღვებსა და ოკეანეებში, ნაწილი ორთქლდება, ხოლო ნაწილი გამოიყენება ცოცხალი ორგანიზმების მიერ ზრდა-განვითარებისათვის.

კითხვები

1. როგორია მსოფლიო წყლის განაწილება?
2. რამდენია მსოფლიო მტკნარი წყლის მარაგი და როგორ არის იგი განაწილებული?
3. მსოფლიო წყლის რესურსების წყლის ბალანსის განტოლება.
4. საქართველოს წყლის მარაგი, მტკნარი წყლის მარაგი და მისი გადანაწილება.
5. საქართველოს მდინარეთა რაოდენობა, ქსელის სიხშირის ტერიტორიული განაწილება და ჯამური ჩამონადენი.
6. ჩამონადენის ტერიტორიული განაწილება და მრავალწლიური რყევადობა.
7. ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება.
8. მდინარეთა მყარი ჩამონადენი.
9. საქართველოს ტბების აღწერა.
10. რა არის წყალსაცავი, რას ემსახურება? საქართველოს ძირითადი წყალსაცავების დახასიათება.
11. მინისქვეშა წყლები. მინერალური და თერმული წყლების მარაგი.
12. ჭაობების წყლის მარაგი.
13. რა არის ჰიდროსფერი? როგორ ხორციელდება წყლის წრებრუნვა?
14. რას ნიშნავს მცირე და დიდი წრებრუნვა?

ლიტერატურა

1. მიშველაძე პ. თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები. თბილისი, "მე-რანი-3" 2000.
2. ღოლობერიძე მ. წყლის ეკოსისტემები. დაცვა და რაციონალური გამოყენება. თბილისი, მეცნიერება, 1992.
3. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
4. ხმალაძე გ. საქართველოს წყლის რესურსები. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი 1 (2) 1997.
5. Alan R. Freeze, John A. Cherry. *Groundwater*, Prentice Hall, 1979.
6. Dennis Cooke G., Eugene B. Welch, Spencer Peterson, Stanley A. Nichols. *Restoration and Management of Lakes and Reservoirs*, Third Edition, CRC, 2005.
7. Grunwald Michael, *The Swamp*, Simon & Schuster, 2007.
8. Herbert Wang, Mary P. Anderson. *Introduction to Groundwater Modeling: Finite Difference and Finite Element Methods*, Academic Press, 1995.
9. James L. Wescoatt Jr, Gilbert F. *Water for Life: Water Management and Environmental Policy* (Cambridge Studies in Environment), Cambridge University Press, 2003.

10. **Masaru Emoto.** *The Secret Life of Water*. Atria; First Edition, First Printing edition, 2005.
11. **Matthew R. Bennett, Neil F. Glasser.** *Glacial Geology: Ice Sheets and Landforms*. Wiley, 1996.
12. **Patrick O'Sullivan, C. S. Reynolds.** *The Lakes Handbook: Limnology and Limnetic Ecology*, Wiley-Blackwell, 2004.
13. **Peter H. Gleick.** *Water in Crisis: A Guide to the World's Fresh Water Resources*, Oxford University Press, USA, 1993.
14. **Shiklomanov I. A., John C. Rodda.** *World Water Resources at the Beginning of the Twenty-First Century*. Cambridge University Press; illustrated edition edition, 2003.
15. **Singh V.P.** *Dam Breach Modeling Technology (Water Science and Technology Library)*, Springer; 1 edition, 1996.
16. **Tetsuya Kusuda, Hiroyuki Yamanishi, Jeremy Spearman, Joseph Z. Gailani.** *Sediment and Ecohydraulics*, Elsevier Science, 2007.
17. **Trudi Strain Trueit.** *The Water Cycle (Watts Library Series)*. Scholastic Library Publishing, 2002.
18. **Vischer D. L., Hager W. H.** *Dam Hydraulics*, Wiley; 1 edition, 1998.
19. **Белоусова А. П., Гавич И. К., Лисенков А. Б. и др.** *Экологическая гидрогеология*. Издательство: "Академкнига", 2007.
20. **Важнов А.Н.** *Гидрология рек*. М.: Изд-во МГУ, 1976.
21. **Егоров Н.И.** *Физическая океанография*. Л.: Гидрометеоиздат, 1974.
22. **Жуков Л.А.** *Общая океанология*. Л.: Гидрометеоиздат, 1988.
23. **Иванов К.Е.** *Гидрология болот*. Л.: Гидрометеоиздат, 1953.
24. **Калашников В. И.** *Тайны воды: Реки, озера, моря и океаны: Занимательное естествознание*. Издательство: "Белый город", 2008.
25. **Мировой водный баланс и водные ресурсы Земли**. Л.: Гидрометеоиздат, 1974.
26. **Михайлов В.Н., Добровольский А.Д.** *Общая гидрология*. М.: "Высшая школа", 1991.
27. **Михайлов В. Н., Добровольский А. Д., Добролюбов С. А.** *Гидрология*. Издательство: "Высшая школа (Москва)", 2008.
28. **Широкова В. А., Фролова Н. Л.** *Окены и моря*. Издательство: "Академкнига", 2007.

3) ბ ვ ე რ ფ ე ბ ი

1. <http://water.usgs.gov>
2. www.enviroliteracy.org
3. <http://pubs.caes.uga.edu>
4. <http://ga.water.usgs.gov>
5. <http://oceanworld.tamu.edu>
6. <http://academic.evergreen.edu>

თავი 3. წყალსამეურნეო პომალებები

ფართომასშტაბიანი წყალსამეურნეო მშენებლობა მზარდი წყალმომარცვნილების დასაკმაყოფილებლად ძირითადად ხორციელდება შესაძლებელი უარყოფითი შედეგების გაუთვალისწინებლად, რასაც მივყავართ წყლის ობიექტების მასიურ ნეგატიურ ცვლილებებთან.

წინამდებარე თავში განხილულია წყალსამეურნეო კომპლექსები და მათი დასაბუთება ბუნებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით. მოცემულია წ.ს.კ-ს წყალმოსარგებლებთა და წყალმომხმარებელთა დახასიათება. განსაზღვრულია წყალმომხმარება და წყალარინება. ცალკე თავადაა გამოყოფილი წ.ს.კ-ს კლასიფიკაცია მათი გავრცელების მასშტაბების, ნაგებობათა ტიპებისა და მონაწილეთა რაოდენობის მიხდვით

3.1. ცნება წყალსამეურნეო კომპლექსის შესახებ

წყალსამეურნეო კომპლექსი განიხილება როგორც წყლის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით გატარებული ღონისძიებების კომპლექსი, რაც საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად დავაკმაყოფილოთ წყალმომხმარებლები წყლის რესურსებით.

წყალსამეურნეო კომპლექსის დასაბუთებისას აუცილებელია სამი, ერთმანეთან დაკავშირებული პირობის გათვალისწინება: ბუნებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური.

ბუნებრივ ნაწილში განიხილება წყალსამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების შესაძლებლობა, განისაზღვრება მისი დადებითი და უარყოფითი გავლენა გარემოზე.

ეკონომიკურ ნაწილში განიხილება უველა ობიექტის და ცალკეული წყალმომხმარებლების ინტერესები. მისი ამოცანაა ეკონომიკური ეფექტის მაქსიმიზაცია და წყლის მიუღებლობის დროს ზარალის მინიმიზაცია. წ.ს.კ-ს დასაბუთების ეს ნაწილი ობიექტურად ანანილებს ჯამურ კაპიტალდაბანდებას და დანახარჯებას.

წ.ს.კ-ის ტექნიკური ნაწილი განსაზღვრავს ტექნიკური ამოცანების - ნაგებობების და ღონისძიებების ურთიერთკავშირებს, რომლებიც განაპირობებენ წ.ს.კ-ის მოქმედებას კონკრეტული ადგილობრივი პირობებისათვის.

წყალსამეურნეო კომპლექსმა უნდა უზრუნველყოს მთლიანად სახალხო მეურნეობის და არა (ცალკეული დარგების ეკონომიკური ეფექტიანობა, არ უნდა დაუშვას გარემო პირობებზე მავნე ზემოქმედება. ნაგებობებმა ხელი უნდა შეუწყონ წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისა და დაშრეტისაგან და უნდა უზრუნველყონ საკმაოდ მარტივი და საიმედო ექსპლუატაციას.

წ.ს.კ-ის კომპონენტებად ან მონაწილეებად ითვლებიან: წყალმომარაგება, წყალარინება, ჰიდროტექნიკური მელიორაცია, ჰიდროენერგეტიკა, წყლის ტრანსპორტი, ხე-ტყის დაცურება, თევზის მეურნეობა, რეკრეაცია, წყლის ტურიზმი. ამ შემთხვევაში ჰიდრორაციაში მორწყვისა და დაშრობის გვერდით განიხილება: მიწის ფართობების დაცვა წყალდიდობებისაგან; ბრძოლა წყლისმიერ ეროზისათან, ღვარცოფებთან, მეწყერებთან, ნაპირების ჩამონგრევასთან და ნიადაგების დამლაშება-დატბორვასთან.

წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: წყალმომხმარებლები და წყალმოსარგებლები.

3.2. წყალმომხმარებლები და წყალმოსარგებლები

წყალმომხმარებლებთა ჯგუფს მიეკუთვნებიან სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებმიც წყალგამოყენება დაკავშირებულია წყლის ამოღებასთან წყალსატევებიდან და წყალდენებიდან. ამასთან ერთად, წყლის გარკვეული ნაწილი შეიძლება გახარჯულ იქნას დაუბრუნებლივ. ძირითადი წყალმომხმარებლებია: ნარმოება, კომუნალური წყალმომარაგება და სასოფლო-სამეურნეო ირიგაცია. ეს უკანასკნელი სახალხო მეურნეობა-ში გამოყენებული წყლის თითქმის ნახევარს ხარჯავს.

წყალმოსარგებელთა ჯგუფში შედიან ის დარგები, რომლებიც არ იღებენ წყალს, მაგრამ იყენებენ მას სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებისათვის. მაგალითად: ელექტროენერგიის მიღებისათვის, გემთსავალი ორმულების და თევზის ქვირითობის პირობების შექმნისათვის, ხე-ტყის დაცურებისათვის, წყალზე დასვენებისა და ტურიზ-მის უზრუნველყოფისათვის.

მაგრამ წყლის რესურსებით სარგებლობის დროს წყალმომხმარებელთა და წყალმოსარგებლეთა შორის ზღვარი იშლება. მაგალითად, ენერგეტიკული დანიშნულებისათვის შექმნილი წყალსაცავიდან წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება წყლის მარაგის ნაწილი წ.ს.კ-ის სხვა მონაწილეთათვის. იგივე მოვლენას ფართო მასშტაბებში ადგილი აქვს იმ წყალსაცავებზე, რომელთაც იყენებენ თბო- და ატომური ელექტროსადგურების გაცი-ვების სისტემებში. ანალოგიური დასკვნები შეიძლება მოვიყვანოთ თევზის მეურნეობის მიერ წყლით სარგებლობის შემთხვევაშიც: ქვირითობისთვის მცირებულიანი ფართობების დატბორვის დროს ორთქლდება წყლის გარკვეული ნაწილი. ამიტომ უფრო მიზან-შეწონილი იქნება, თუ ეს ორი კატეგორია გაერთიანდება ერთში - წყალმოსარგებლენი.

წყალსარგებლობაში არსებითია წყალმომხმარება და წყალარინება. **წყალმოხმა-რება** ეწოდება წყლის მოხმარებას წყლის ობიექტიდან ან წყალმომარაგების სისტემი-დან. **წყალარინება** ან ჩამდინარე წყლების გადაგდება ეწოდება ჩამდინარე წყლების გაყ-ვანას დასახლებული პუნქტიდან, სანარმოდან ან სხვა წყალმოსარგებლობის პუნქტები-დან.

წყალარინების მოცულობაში შედის ყველა სახის ჩამდინარე წყლების ჯამური რაოდენობა, რომლებიც ჩაედინება უშუალოდ წყალსატევებში (წყლის წყაროში), მი-ნისკება ჰორიზონტებში და გასაწმენდ გაუდინარ ღრმულებში; აგრეთვე წყალი, რო-მელიც მიეწოდება გასაწმენდად სხვა ორგანიზაციებს.

წყალმოხმარების და წყალარინების შეუთანხმებლობა წ.ს.კ-ის მონაწილეებს შო-რის ურთიერთდაპირისპირებას იწვევს. მაგალითად, წყლის ტრანსპორტი დაინტერესე-ბულია, რათა ნავიგაციის პერიოდში ჰქსის ქვედა ბევრში შენარჩუნებული იყოს გემთსვლისათვის საჭირო სიღრმეები, ხოლო ჰიდროენერგეტიკა - პირიქით, დაინტერე-სებულია, რათა შემოდგომა - ზამთრის პერიოდში პიკური დატვირთვების დაფარვისათ-ვის წყალსაცავში დაგროვილი იყოს საჭირო რაოდენობის წყალი. წყალდიდობის დროს ჰიდროენერგეტიკისათვის საჭიროა წყლის დაგროვება წყალსაცავში, ხოლო თევზის მეურნეობა მოითხოვს წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაგდებას წყალსაცავიდან თევზის ქვირითობისათვის ოპტიმალური წყლის სიღრმის შენარჩუნების მიზნით. ასეთი წინააღმდეგობების გადაჭრა ხორციელდება წ.ს.კ-ის ფორმირების პროცესში და მათი აღმოფხვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა წ.ს.კ-ის ოპტიმალური ფუნქციონირე-ბისათვის.

ამასთანავე, არსებობს რიგი წინააღმდეგობებისა წყლის ხარისხისადმი. მაგალი-თად: ჰიდროენერგეტიკას, ნაოსნობას, ხე-ტყის დაცურებას არ გააჩნიათ დიდ მოთხოვ-ნები წყლის ხარისხისადმი. მაგრამ რეკრეაციისათვის, წყალმომარაგებისთვის, თევზის მეურნეობისა და მორწყვისათვის წყლის ხარისხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამ სა-კითხის გადაწყვეტაც წ.ს.კ-ის ფორმირების პროცესში მიმდინარეობს.

3.3. წყალსამეურნეო კომპლექსების კლასიფიკაცია

წ.ს.კ-ის კლასიფიკაცია ხდება მისი გავრცელების მასშტაბების, ნაგებობათა ტი-პების და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით (ნახ. 3.1.).

გავრცელების მასშტაბების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ: **გლობალური ან სახ-ელმნიფოთაშორისი, სახელმწიფოებრივი, ზონალური და აუზური წყალსამეურნეო კომპლექსები.**

გლობალურს ან სახელმწიფოთაშორისს შეიძლება მივაკუთვნოთ სასაზღვრო მდინარეების ან რამდენიმე სახელმწიფოზე ტრანზიტით გამავალი მდინარეების წყლის რესურსების გამოყენების პროექტები. შემდგომში შეიძლება განხილულ იქნეს კლიმა-


ტური რესურსების, აისბერგების და ყინულოვანი საფარის წყლის რესურსების სახელმ-ნიფოთაშორისო გამოყენების პროექტები.

სახელმწიფო ბრივიაზ წ.ს.კ., თუ იგი წარმოდგენილია ისეთი პროექტების რეალიზაციით, როგორიცაა ქვეყნის ერთიანი წყალსამეურნეო სისტემის შექმნა. აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში ასეთი სისტემები უკვე არსებობს.

სახელმწიფო ბრივი წ.ს.კ-ის საერთო თვისიებას წარმოადგენს წყალსამეურნეო ამოცანების განხილვა მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზის საფუძველზე, პოლიტიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.

ზონალური ტ.ს.კ. ითვალისწინებს ქვეყნის ამა თუ იმ ეკონომიკური რეგიონის წყალსამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. ასეთი კომპლექსის ძირითადი მიზანია წყლის მეურნეობის სრულყოფა და მისი შესაძლებლობების უფრო სრულად და ეფექტურად გამოყენება მოცემული ეკონომიკური რაიონის განვითარებისთვის.

აუზური ნ.ს.კ-ები შედარებით სრულად არის დამუშავებული როგორც მელიორაციაში, ისევე ენერგეტიკაში. პრაქტიკულად მსხვილი მდინარეების ყველა აუზისათვის



ნახ.3.1. წყალსამუშაოების კომპლექსის ტიპები

ა) ერთ,კვანძიანი დარგობრივი; ბ) ერთ,კვანძიანი დარგთაშორისი;

გ) კასკადური დარგთაშორისი;

დ) სააუზთაშორისო დარგობრივი ჩამონადენის ლოკალური გადავდებით;

ე) სააუზთაშორისო მრავალდარგობრივი;

3) — ბუნებათდაცვითი; K_0 — ჯანდაცვა; K_1 — ნყალმომარავება;

$K_{2\delta}$ — მორნცყა; $K_{2\delta}$ — დაშრობა; K_3 — ენერგეტიკა; K_4 — ტრასპორტი;

K_5 — თევზის მეურნეობა; K_6 — წყალარინება; K_7 — დასკურნება;

K₈ — ბუნების დაკვაბა;

I-დაშრობის ზეგავლენა (გადაშრობა, ტყის პროდუქტიულობის შემცირება)

II-წყალსაკავის ზეგავლენა (შეტბორება, წყალმკიორბა, ნაპირების გადამუშავება),

III- მდინარის კალაპოტში დარეგულირებული ხარჯის ზეგავლენა (წყლის მოდინების არარსებობა, ჭალის დაშრობა, მიწების დამღაშება), IV-წყლანირების ზეგავლენა
ნყლის ხარისხზე)

შედგენილია წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების, წყლისა და მიწის რესურსების დაცვის სქემები 15-20 წლის პერსპექტივით.

ნ.ს.კ-ის აუზური სქემები სრულყოფილად ითვალისწინებენ განსახილველი რაიონის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და საფუძვლიანად გეგმავენ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ტექნიკური თვალსაზრისით, წყალსამეურნეო კომპლექსის კლასიფიკაცია ხდება ნაგებობების ტიპების და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. ერთკვანძიან დარგობრივ (ნახ. 3.1.ა) ნ.ს.კ-ს გააჩნია ენერგეტიკული ან ირიგაციული დანიშნულება.

ამჟამად არაკომპლექსურ პიდროვანების პრაქტიკულად აღარ ქმნიან, უფრო ხშირად ვხვდებით ერთკვანძიან, მრავალდარგობრივ წყალსამეურნეო კომპლექსებს (ნახ. 3.1.ბ).

სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, მოცემულ აუზში ერთკვანძიანი ნ.ს.კ-ები ტრანსფორმირდებიან მრავალკვანძიან ან სადარგთაშორისო კასკადურ ნ.ს.კ-ში (ნახ. 3.1.გ). ეს უკანასკნელი ყველაზე გავრცელებული ნ.ს.კ-ის ტიპია.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი აუზის წყლის რესურსები არ არის საკმარისი ნ.ს.კ-ის ფორმირებისთვის შესაძლებელია ჯერ სააუზთაშორისო დარგობრივი (ნახ. 3.1.დ) და შემდგომ კი სააუზთაშორისო მრავალდარგობრივი ნ.ს.კ-ის ტიპის (ნახ. 3.1.ე) შექმნა.

ამ პროექტების განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი პირობების შეცვლა და ამ მხრივ მოგვცეს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი ეფექტიც. ამიტომ, იქმნება ნ.ს.კ-ს კიდევ ერთი ტიპის შექმნის აუცილებლობა -წყალდაცვითი ნ.ს.კ., რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს ბუნებათდაცვითი კომპლექსის სისტემაში. წყლის დაცვით კომპლექსს უნდებენ ნაგებობების და მოწყობილობების ისეთ სისტემას, რომელიც გამოიყენება წყლის საჭირო რაოდენობის და ხარისხის შესანარჩუნებლად წყლის განსახილვები მიერთები. წყლის დაცვით კომპლექსში შედის დასაშრობი მიერთები, წყალსაცავები, წყლის ობიექტები და ნაგებობები, დაბინძურებული მონაკვეთები, რომლებიც ამცირებენ ნ.ს.კ-ის უარყოფით ზეგავლენას.

კითხვები

1. წყალსამეურნეო კომპლექსის ცნება და დასაბუთების პირობები.
2. ნ.ს.კ-ის მონაწილეები.
3. რა სხვაობაა წყალმომხმარებელსა და წყალმოსარგებლეს შორის?
4. რა არის წყალმომხმარება, წყალარინება?
5. წყალსამეურნეო კომპლექსების კლასიფიკაცია და დახასიათება.
6. წყალსამეურნეო კომპლექსის კლასიფიკაცია ტექნიკური თვალსაზრისით.
7. რა არის წყლის დაცვითი კომპლექსი?

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
2. **Larry W. Mays.** *Optimal control of hydrosystems*. New York: M. Dekker, 1997.
3. **Larry W. Mays.** *Urban Water Supply, Management Tools*. USA, 2004.
4. **MWH**, *Water Treatment: Principles and Design*, Wiley; 2 Edition, 2005.
5. **Neil S. Grigg.** *Water Resources Management: Principles, Regulations, and Cases*. McGraw-Hill Professional; 1 edition, 1996.
6. **Pashardes P., Swanson T.M., Xepapadeas A.** *Current Issues in the Economics of Water Resource Management: Theory, Applications and Policies (Economy & Environment)*. Springer; 1st edition, 2002.
7. **Rakesh Hooja, Ganesh Pangare.** *Users in Water Management*. Rawat Publications, 2002.
8. **Thomas V. Cech.** *Principles of Water Resources: History, Development, Management, and Policy*. Wiley; 2 Edition, 2004.

9. **Water Environment Federation**, *GIS Implementation for Water and Wastewater Treatment Facilities: WEF Manual of Practice No. 26*, McGraw-Hill Professional; 1 edition, 2004.
 10. **Yeou-Koung Tung, Ben-Chie Yen**. *Hydrosystems Engineering Uncertainty Analysis*. ASCE New York, Press and McGraw-Hill, 2005.
 11. **Yeou-Koung Tung, Ben-Chie Yen, C. Steve Melching**. *Hydrosystems Engineering Reliability Assessment and Risk Analysis*, 2005.
 12. **Авакян А.Б., Широков В.М.** *Комплексное использование и охрана водных ресурсов:* Учеб. пособие. - Мн.: Ун-кое, 1990.
 13. **Алферова Л.А., Нечаев А.П.** *Замкнутые системы водного хозяйства промышленных предприятий, комплексов и районов*. М.: Стройиздат, 1984.
 14. **Арсеньев Г.С.** *Основы управления гидрологическими процессами: водные ресурсы*. Учебник. Санкт-Петербург: РГГМУ, 2005.
 15. **Беличенко Ю.П., Березюк ВТ., Дубровина О.Б., Микшевич Н.В.** *Рациональное использование водных ресурсов: учебное пособие*. Свердловск: Изд-во Урал. ун-та, 1990.
 16. **Беличенко Ю.П., Швецов М.М.** *Рациональное использование и охрана водных ресурсов*. М.: Россельхозиздат, 1986.
 17. **Зарубаев Н. В.** *Комплексное использование и охрана водных ресурсов*. Л.: 1976.
 18. **Николадзе Г.И., Сомов М.А.** *Водоснабжение*. Учебник для вузов. М.: Стройиздат, 1995.
 19. **Обрезков В.И., Малинин Н.К., Кароль Л.А. и др. Под ред. В. И. Обрезкова**. *Гидроэнергетика*. Учебник для студентов высших учебных заведений. М.: Энергоиздат, 1981.
 20. **Юшманов О.Л., Шабанов В.В. и др.** *Комплексное использование и охрана водных ресурсов*. М.: Агропромиздат, 1985.
 21. **Яковлев С.В., Прозоров И.В., Иванов Е.Н., Губий И.Г.** *Рациональное использование водных ресурсов: Учебник для вузов по специальности "Водоснабжение, канализация, рациональное использование и охрана водных ресурсов"* М.: Высш. шк., 1991.

კებ გვერდები

1. www.hydrosystems-inc.com
 2. www.hydroenvironmental.com
 3. www.redp.org.np

თავი 4. წყალსამეურნეო კომალების ძირითადი მონაზილენი და მათი მოთხოვნები წყლის რესურსებისადმი

წყალსამეურნეო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მასში შემავალი ყველა წყალმოსარგებლის და წყალმომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინება. ამიტომ, მოცემულ თავში, დეტალურადაა განხილული წყალსამეურნეო კომპლექსის ყველა ძირითადი მონაზილე: საყოფაცხოვრებო - კომუნალური მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და თბოენერგეტიკა, ჰიდროენერგეტიკა, რეკრეაცია, თევზის მეურნეობა და წყლის ტრანსპორტი.

მოცემულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმომარაგებისათვის წყლის ნორმები და წაყენებული მოთხოვნები წყლის ხარისხისადმი; მონაცემები წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის და სარწყავი წყლის შესახებ; ზოგადი მონაცემები მორწყვის შესახებ და ძირითადი სახეები; ცნობები დამღაშებული ნიადაგების შესახებ, მათი კლასიფიკაცია და მელიორაცია; მონაცემები საქართველოში არსებული რეგულარული სარწყავი სისტემის შესახებ. მელიორაციის ერთ-ერთი სახე - დაშრობა: მარეგულირებელი ქსელები, გადამობი ქსელები, გამტარი ქსელები, წყალმიმღები და ა.შ.; წყალმომარაგების სისტემები; წყლის მოხმარების ნორმა.

აგრეთვე, განხილულია თბოენერგეტიკა და მრეწველობა, დახასიათებულია საქართველოს მნიშვნელოვანი რეკრეაციული ზონები, შეფასებულია რეკრეაციული ფაქტორები. ყურადღებაა გამახვილებული თევზბარენი დანიშნულების წყალსატევების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, ექსპლუატაციაზე; წყლის ტრანსპორტსა და ხე-ტყის დაცურებაზე.

4.1 საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა

კომუნალური წყალმოთხოვნილება უშუალოდაა დაკავშირებული - ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების მცხოვრებთა წყალმოხმარებასთან (სასმელად, საჭმლის მოსამზადებლად, დასარეცხად, ნაგებობათა და სათავსოების დასასუფთავებლად და სხვა), ქალაქის საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან (სამრეცხაოები, საპარიკმახეროები, აბანოები და სხვა), მოსახლეობის მომსახურეობის სფეროსთან (გათბობის ქსელი, აუზები, ვაჭრობის ქსელი, ქუჩების მოვლა და სხვა); ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციებთან. საერთო წყალმოთხოვნილებაში საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმოთხოვნილების წილი დიდი არაა, მაგრამ, მისი აუცილებლობიდან გამომდინარე, დასახლების წყალმომარაგება, ნებისმიერი ქვეყნის უმთავრესი ამოცანაა.

საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობას, როგორც წყალმომხმარებელს, აქვს რიგი თავისებურებანი, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება წყლის ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნილებაში - როგორც ფიზიკური თვისებების (ტემპერატურა, გამჭვირველობა, ფერი, სუნი, გემო), ისე ქიმიური მაჩვენებლების მიმართ (მჟავიანობა, სიხისტე, მმრალი დანალექის რაოდენობა, ტყვიის, დარიშხანის, ფტორის, სპილენძისა და სხვა ელემენტების შემცველობა). უმთავრესი მოთხოვნაა პათოგენური მიკრობების არსებობის დადგენა, რომელთა შემცველობის მიხედვით წყალს ყოფენ რამოდენიმე ტიპად (ჯანმრთელი, საეჭვო, არასაიმედო, არაჯანმრთელი და გამოუყენებადი).

ყველაზე საუკეთესო ფიზიკური და ქიმიური თვისებები აქვს წყალგაუმტარ შრეებს შორის მდებარე არტეზიულ წყლებს. ისინი არ არიან ქიმიური ნივთიერებებით გაჭუჭყიანებულნი, რადგან მათზე ნაკლებად მოქმედებს საყოფაცხოვრებო-კომუნალური და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები. მათი ხარისხი ზედაპირული წყლების ხარისხზე უკეთესია. ზედაპირული წყლების ხარისხის გაუმჯობესება ხორციელდება სპეციალური დამუშავებით (წყალმომზადება), რაც ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებების შესაბამისად წყლის გაფილტვრას, კოაგულაციას (მინარევების დასალექად); დაქლორვას ან ფტორირებას (დეზინფექციის მიზნით); ამიაკით გამდიდრებას (გემოვნების გასაუმჯობესებლად).

საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმომარაგებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია წყლის გამოყენების თანაბარზომიერება მთელი წლის და დღე-ლამის განმავლობაში. ტემპერატურის გაზრდასთან ერთად, წყლის გამოყენება რამდენადმე იზრდება. ამ მხრივ, სეზონური რყევადობა არ აღემატება 15-20%, როდესაც დღე-ლამური რყევადობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წყლის 70% გამოიყენება დღის საათებში. ამ რყევადობების გათვალისწინების საფუძველზე წყალმოთხოვნილების გამოსაანგარიშებლად იყენებენ დღე-ლამური უთანაბრობის

$$კოეფიციენტს \ K_{ლ.} = \frac{Q_{მაქ.დღ.}}{Q_{საშ.დღ.}} \quad (\text{მაქსიმალური დღე-ლამური წყალმოთხოვნილების ფარდობა საშუალო დღე-ლამურ წყალმოთხოვნილებასთან}) \quad \text{(მაქსიმალური დღე-ლამური წყალმოთხოვნილების ფარდობა საშუალო დღე-ლამურ წყალმოთხოვნილებასთან})$$

ფარდობა საშუალო დღე-ლამურ წყალმოთხოვნილებასთან) და საათობრივი უთანაბრობის კოეფიციენტს $K_{ხო}$; (წყალმოხმარების მაქსიმალური საათობრივი ნორმის ფარდობა საშუალო დღე-ლამურ საათებთან). ჩვეულებრივ, დღე-ლამური უთანაბრობის კოეფიციენტი არ აღემატება 1,2; როცა საათობრივი უთანაბრობის კოეფიციენტი ვარირებს შუალედში 1,8÷2.

საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმომარაგების ნორმები დამოკიდებულია როგორც საცხოვრებელი ფონდის კეთილდღეობაზე, ასევე კლიმატურ და ხშირად ისტორიულ პირობებზე (წყალგამოყენების დიდი ნორმები დამახასიათებელია სამხრეთ რაიონებისათვის, ხოლო მცირე ნორმები კი ჩრდილოეთ რაიონებისათვის).

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმოხმარების საერთო ხარჯი იანგარიშება შემდეგი ფორმულით

$$Q = \frac{N \cdot q \cdot K_{ლ.} \cdot K_{ხო.}}{86,4 \cdot 10^3}, \quad (4.1.)$$

სადაც:	N	არის მოსახლეობის რაოდენობა;
	q	ერთი მოსახლის საშუალო დღე-ლამური წყალმოთხოვნილების ნორმა, ლ/დღ.;
	$K_{ლ.}, K_{ხო.}$	დღელამური და საათობრივი უთანაბრობის კოეფიციენტები.
	$86,4 \times 10^3$	დღე-ლამეში წამების რაოდენობა.

ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ ადამიანის ყველა პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია 150÷250 ლიტრი წყალი (მათ შორის, სასმელად და საჭმლის მოსამზადებლად 2,5÷3 ლ). პატარა ქალაქებში, სადაც კანალიზაციის ეფექტური სისტემები არაა, მოთხოვნილება წყალზე კლებულობს 75÷100 ლიტრამდე დღე-ლამეში. ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის წყალმოთხოვნილება ნაკლებია, ხოლო სამხრეთ ქვეყნებისათვის კი მნიშვნელოვნად იზრდება.

საქართველოს დასახლებული პუნქტების სასმელი და საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალუზრუნველყოფის წყაროს მდინარეები, წყაროები და მიწისქვეშა წყლები წარმოადგენენ. საქართველოს ყველა ქალაქი, რაიონული ცენტრი და ქალაქის ტიპის დასახლება აღჭურვილია წყალმოხმარებების ცენტრალიზებული სისტემით. ყველაზე დიდ წყალმომარებელს თბილისი წარმოადგენს (საერთო კომუნალური წყალმომარაგების 53%). წყალმოხმარება თბილისის ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 600 ლ/დღე-ლამეს შეადგენს, მაგრამ ამავე დროს წყალმომარაგების სისტემათა უმეტესობა მოძველებულია, მათი ეფექტურობის კოეფიციენტი მხოლოდ 0.3÷0.4-ის ტოლია, რაც არა მარტო იწვევს წყლის დიდ დანაკარგებს, არამედ ზრდის სასმელი წყლის დაბინძურების საშიშროებასაც.

რაც შეეხება კანალიზაციის სისტემას, იგი 84 დასახლებული პუნქტიდან, მხოლოდ 45-ში ფუნქციონირებს, რომელთაგან მხოლოდ 30 სისტემა არის აღჭურვილი გამწმენდი ნაგებობით. ამ სისტემების უმეტესობაც სავალალო ტექნიკურ მდგომარეობაში იმყოფება.

სოფლის რაიონებში მოქმედებს 27 წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა, რომელთა წლიური წყალმოხმარება 36.7 მლნ მ³-ს შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის 50% უზრუნველყოფილია წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემით, 30% - წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემით კანალიზაციის გარეშე, ხოლო მოსახლეობის 20% წყალს წყაროებიდან და ჭებიდან იღებს.

დასახლებულ პუნქტებში სასმელი და სამეურნეო წყალმოთხოვნილების ნორმები

ცხრილი 4.1.

ნაგებობათა კეთილმოწყობის ხარისხი	წყალმოთხოვნილების ნორმა ერთ მოსახლეზე % ლ/დ.ლ. კ	უთანაბრობის კოეფიციენტები		
		საშ. დ.ლ.	მაქს. დ.ლ.	$K_{\varphi,\varphi}$
წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური ცხელი წყლით მომარაგება	275÷400	300÷420	1,09÷1,05	1,25÷1,20
წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, აბაზანები გაზის ბაკებით	180÷230	200÷250	1,11÷1,09	1,30÷1,25
წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, აბაზანის გარეშე	125÷150	140÷170	1,12÷1,13	1,50÷1,40
წყალგაყვანილობა, კანალიზაციის გარეშე	30÷50	40÷60	1,33÷1,20	2,00÷1,80

საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობაში წყალმოთხოვნილების პროგნოზირებისათვის ითვალისწინებენ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპებს და ხევდრით წყალმოთხოვნილებას მოსახლეობის განვითარებისა და მოთხოვნილებათა დონის ამაღლების გათვალისწინებით.

4.2. სოფლის მეურნეობა

წყალმოთხოვნილების მოცულობის მიხედვით, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სახალხო მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის დანარჩენ დარგებს.

წყალმოთხოვნილება სოფლის მეურნეობაში მოიცავს პირველ რიგში ირიგაციას, წყალმომარაგებას და გაწყლოვაზებას. გარდა აღნიშნული წყალსარგებლობისა წყლის რესურსების გამოყენებაში ჩართულია აგრეთვე დაშრობა, დამლაშებული მინების დრენაჟული (გამორეცხვის შედეგად) ჩამონადენი და სხვა წყალგამყვანი ლონისძიებები, ე. ი. სოფლის მეურნეობის წყალმოთხოვნილების მოცულობა განისაზღვრება მოცემულ ქვეყანაში მინების მელიორაციის განვითარების დონით.

მსოფლიო წყალმოთხოვნილების დაახლოებით 70% სარწყავ წყალზე მოდის. ამიტომ სარწყავი ფართობების რაოდენობის სწორ განსაზღვრაზე ბევრადაა დამოკიდებული მსოფლიო წყალმოთხოვნილების განსაზღვრა.

თანამედროვე პირობებში სარწყავი ფართობების 60% თავმოყრილია მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში: ჩინეთში, ინდოეთში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და პაკისტანში.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთო სარწყავი ფართობი შეადგენს 270 მლნ.ჰა-ს, აქედან ინდოეთი - 57 მლნ.ჰა; ჩინეთი - 48 მლნ.ჰა; აშშ - 25 მლნ.ჰა; რუსეთი - 21 მლნ.ჰა; პაკისტანი - 15 მლნ.ჰა.

ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით საქართველოს ტერიტორია სხვადასხვაგარია. ამით აიხსნება სოფლის მეურნეობის განსხვავებული ხასიათი და თავისთავად ცხადია, განსხვავებული წყალმოთხოვნილებაც.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მთებს ტერიტორიის 53,6% უჭირავს, მთისწინებს - 33,4 და ვაკეებს - 13%.

ინტენსიური სოფლის მეურნეობის ზონა გავრცელებულია მთელი ტერიტორიის 70%-ზე ძირითადად და $1\,600 \div 1\,700$ მ. სიმაღლემდე.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა $500 \div 800$ მმ-ს შეადგენს. მათი განაწილება სეზონების მიხედვით არახელსაყრელია ივლის - აგვისტოში, როდესაც ყველაზე მეტად საჭიროა მცენარისათვის ნიადაგის ტენი, ადგილი აქვს ნალექების სიმცირეს. ამ თვეების ტემპერატურა $25 \div 40^{\circ}\text{C}$ შეადგენს და ამ მხრივ, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მორწყვა აუცილებელ მელიორაციულ ღონისძიებას წარმოადგენს.

მორწყვა ეს არის იმ ნიადაგების ხელოვნურად გატენიანება, რომლებიც მუდმივად ან პერიოდულად განიცდიან მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო წყლის ნაკლებობას. მორწყვითი მელიორაციის საბოლოო მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების საანგარიშო (საპროექტო) მოსავლიანობის უზრუნველყოფა.

ღონისძიებათა იმ კომპლექსს, რომელიც ტარდება უშუალოდ სარწყავ ფართობზე წყლის მისანიდებლად, გასანაწილებლად და ნიადაგის გასატენიანებლად - **მორწყვის წესი** ეწოდება, ყველა იმ ტექნიკურ საშუალებას და ხერხს კი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება წყლის მიწოდება-განაწილება და ნიადაგის გატენიანება - **მორწყვის ტექნიკა**. საკმაოდ ხშირად, ფართო გაგებით, მორწყვის ტექნიკაში გულისხმობენ აგრეთვე იმ ტექნიკურ საშუალებებსაც, რომლებიც განაპირობებს სარწყავ ფართობამდე წყლის მიყვანას. მორწყვის ტექნიკაში შემავალ იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც უშუალოდ რჩყვის საწარმოებლად გამოიყენება (გადასატანი მილსადენები, დასაწვიმი მანქანები და სხვ.), **სარწყავ ტექნიკას უზრდებენ**, ხოლო ამ უკანასკნელში შემავალ წვრილმან გადასატან ინვენტარს (სიფონი, მილაკი, ფარი და სხვ.) - **სარწყავ არმატურას**.

სარწყავ ფართობზე მცენარის ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა წყლის რეჟიმის შექმნა ნიადაგში. ამ ფაქტორის რეგულირება ხდება დაწესებულ ვადებში გარკვეული რაოდენობის წყლის მიწოდებით. იგი მცენარეს უქმნის კვებისა და სითბოს შესაფერ რეჟიმს, ნივთიერებათა გადამუშავების პირობებს.

მცენარის ნორმალური ვეგეტაციისათვის საჭირო რწყვის ვადებისა და ნორმების კომპლესს, რომელიც აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით შემუშავებული უნდა იყოს ისე, რომ ნიადაგის აქტიურ ფენაში დაცული იყოს წყლისა და აერაციის პირობები, **რწყვის რეჟიმი ეწოდება**.

მორწყვის (რწყვის) ნორმა ეწოდება წყლის იმ რაოდენობას, რომელიც მიეწოდება ერთ ჰა ფართობს ერთი რწყვის დროს. მისი ოდენობა სხვადასხვა კულტურისათვის ერთნაირი არ არის. მისი საშუალო სიდიდე ნიადაგის თვისებების და მცენარის სახეობის მიხედვით მერყეობს $600 \div 800$ მ³/ჰა ფარგლებში. გარდა ამისა, ერთსა და იმავე მცენარეს მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში მოთხოვნილება წყალზე ერთნაირი არა აქვს. ასე, მაგალითად, ბამბის კულტურას ყველაზე მეტი წყლის რაოდენობა ($55 \div 65$ %) ყვავილობის ფაზაში სჭირდება, მნიშვნელი პერიოდში წყალზე მოთხოვნა მცირდება.

მორწყვის ნორმა ითვალისწინებს საჭირო ტენიანობის შექმნას ნიადაგის აქტიურ ფენაში, რომლის სიღრმე დამოკიდებულია როგორც თვით კულტურაზე, ისე ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე. ასე, მაგალითად, ნიადაგის აქტიური ფენის საშუალო სიღრმედ ითვლება:

- ბოსტნეული კულტურებისთვის - 0.3-0.5 მ;
- მინდვრის კულტურებისათვის - 0.6-0.8 მ;
- მრავალნლიანი მცენარეებისათვის - 0.7-0.8 მ.

მორწყვის ნორმა იანგარიშება ფორმულით

$$m = 100H \alpha (r - r_0), \quad (4.2.)$$

სადაც: m არის მორწყვის ნორმა, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

H – აქტიური ფენა;

α – ნიადაგის მოცულობითი მასა;

r – ნიადაგის ზღვრული ტენტევადობა;

r_0 – რწყვის წინ ნიადაგში არსებული წყლის მარაგი %-ობით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის დადგენის ერთ-ერთ ძირითად ელემენტის წარმოადგენს **სარწყავი ნორმა** - წყლის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი ჰართობის მოსარწყავად ვეგეტაციის მთელ პერიოდში, რათა უზრუნველვყოთ საანგარიშმ მოსავლიანობა კონკრეტულ საპროექტო პირობებში.

სარწყავი ნორმა გამოიანგარიშება შემდეგი დამოკიდებულებით

$$M = W - W_1 - W_2 - W_3, \quad (4.3.)$$

სადაც: M არის სარწყავი ნორმა, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

W – საერთო წყალმოთხოვნილება, ანუ 1 ჰა-დან დახარჯული წყალი ვეგეტაციის პერიოდში, ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებით და მცენარის ტრანსპირაციით, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

W_1 – ნიადაგში არსებული წყლის მარაგიდან გამოყენებული წყალი, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

W_2 – ვეგეტაციის პერიოდში მოსული ატმოსფერული ნალექებიდან გამოყენებული წყალი, $\text{მ}^3/\text{ჰა}$;

W_3 – მცენარის მიერ ვეგეტაციის პერიოდში გამოყენებული გრუნტის წყალი, $\text{მ}^3/\text{ჰა}$.

ვეგეტაციის პერიოდში ჩასატარებელი რწყვის ვადები დამოკიდებულია მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, კლიმატურ პირობებზე, ნიადაგის თვისებებზე და ჩატარებულ აგროტექნიკაზე. რწყვები ისე უნდა განაწილდეს, რომ მცენარეს შექმნას ოპტიმალური პირობები მთელი ვეგეტაციის განმავლობაში. რწყვის წინ ნიადაგში ტენის რაოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სასურველ მინიმუმზე, რომელიც შეიძლება ავილოთ ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 70-90%-ის ფარგლებში, ნიადაგისა და მცენარის მიხედვით.

სამეურნეო დანიშნულების მიხედვით განიხილავენ შემდეგი სახის რწყვებს:

- ხენისწინა - ტარდება ხენის წინ ნიადაგის დასამუშავებლად ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად;
- სათადარიგო-სამარაგო - ერთნოვანი კულტურების დათესვამდე ან მრავალწლოვანი კულტურების ვეგეტაციის აქტიური პერიოდის დამთავრების შემდეგ, ნიადაგის ღრმა ფენებში წყლის მარაგის შექმნით მცენარის წყლით ნაწილობრივ უზრუნველსაყოფად;
- თესვის - თესლის დროულად გაღვივება-აღმოცენებისა და განვითარების პირველ პერიოდში მცენარის უკეთ განვითარებისათვის;
- რგვის - სარგავი კულტურების დარგვისას მათი უკეთ გახარების მიზნით;
- სავეგეტაციო - ვეგეტაციის პერიოდში მცენარის წყლით უზრუნველყოფისათვის;
- გამაგრილებელი (უმეტესად ხელოვნური დაწვიმებით) - დღის ყველაზე ცხელ პერიოდში მცენარისა და მისი გარემოს გასაგრილებლად მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების რეგულირების მიზნით;
- გამანოყირებელი - ნიადაგში სასუქის შეტანისა და თანაბრად განაწილების;
- მოყინვის საწინააღმდეგო - შემოდგომის და გაზაფხულის წაყინვების ასაცილებლად, განსაკუთრებით ბალებში. რწყვა ტარდება რამდენიმე საათით ადრე წაყინვის დაწყებამდე ან მის პერიოდში;
- საპროვოკაციო - სარეველების აღმოსაცენებლად, რომლებიც ისპობა ნიადაგის სათანადო დამუშავებით ან ქიმიკატებით;

- ჩარეცხვითი - ნიადაგიდან მავნე მარილების მოსაცილებლად;
 - სადეზინფექციო - მავნებლებთან საპრძოლველად.
- სასოფლო-სამეურნეო სარწყავი მიწათმოქმედებაში განიხილავენ რწყვის ოთხ ძირითად წესს:

- **ზედაპირული-თვითდინებითი რწყვა** - ნიადაგის ზედაპირზე წყლის თვითდინებითი მიწოდება. ყველაზე მეტად გავრცელებული და ამავე დროს ყველაზე უფრო სიფრთხილით ჩასატარებელია, რადგან ამ დროს მოსალოდნებილია ნიადაგის ირიგაციული ეროზის განვითარება. მისი ნაკლია წყლის დიდი დანაკარგები ფილტრაციაზე და აორთქლებაზე. ზედაპირული რწყვა შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსარწყავად ძირითადად მძიმე და საშუალო მექანიკური შემადგენლობის ნიადაგის მქონე მიწის ფართობებზე, რომელთა ზედაპირის დახრილობა 0.03-ს არ აღემატება.

ზედაპირული რწყვა, ნიადაგის ზედაპირზე წყლის განაწილების ტექნიკის და ნიადაგში გავრცელების ხასიათის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. ჰორიზონტალური ფილტრაციით, ანუ გვერდითი გაუონვით (რწყვა კვლებში მიშვებით, რწყვა კვალში დატბორებით, რწყვა გამოთესილი კვლებით, კონტურული რწყვა, რწყვა ნაპრალიანი კვლით);
 2. ვერტიკალური ფილტრაციით (რწყვა ჩვეულებრივი მოღვარვით, რწყვა ქართლური მოღვარვით, რწყვა ზოლებად მოღვარვით, რწყვა თავისუფალი მოღვარვით, რწყვა მთლიანი დატბორებით).
- **დანერიდებითი რწყვა** - ხელოვნური წვიმის სახით. რყვის ასეთმა წესმა ფართო მასშტაბი ჰქოვა არამდგრადი ტენიანობით მახასიათებელ რეგიონებში, სადაც ხშირ გვალვებთან ერთად უხვი ნალექიც მოდის. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ძირითადი ფართობები რთული რელიეფით ხასიათდება და მათი ზედაპირის დახრილობა საგრძნობლად მეტია 0.03-ზე.
 - **წვეთური რწყვა** ერთ-ერთი პროგრესული წესია მრავალწლიანი ნარგავებისათვის და მისი დანერგვა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს იქ, სადაც მორწყვის სხვა წესების გამოყენება გაძნელებულია. წვეთოვანი რწყვის სისტემის მუშაობის პრინციპი ასეთია: მორწყვის წყაროდან წყალი მცირე სიმძლავრის ტუმბოთი მიეწოდება მაგისტრალურ მილსადენებს. შემდეგ, გადადის გამანაწილებელ მილსადენებში და მათგან კი - უშუალოდ სარწყავი მილსადენებში, რომლებზედაც დამონტაჟებულია საწვეთურები.
 - **ნიადაგქვეშა (ნიადაგქვეშა-კაპილარული) რწყვა** - ქვენიადაგიდან წყლის მიწოდება. ნიადაგქვეშა რწყვის წესის გამოყენების არედ რეკომენდებულია მომატებული ქანობების მქონე სარწყავი მიწები მძიმე და საშუალო მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებით. რწყვის ამ წესის გამოყენებისას წყალი მცენარეს მიეწოდება მცენარეთა ფესვთა სისტემის ზონაში 0.4 - 0.5 მეტრ სიღრმეზე ჩალაგებულ პერფორირებულ მილებში. ნიადაგქვეშა რწყვას მართალია, აქვს მთელი რიგი უპირატესობები ზედაპირულთან შედარებით, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს ბაქტერიების ცხოველმოქმედებას, რწყვა ხორციელდება წყლის ნაკლები რაოდენობით, გამორიცხულია მექანიზმების მუშაობის ხელის შემშლელი დაბრკოლებები, საჭირო არა მინდვრის მოსწორება და ა.შ., მაგრამ მისი ფართო მასშტაბით გამოყენებას აბრკოლებს მაღალი სამშენებლო ღირებულება, ნიადაგში ჩაწყობილი მილების ამოლექვის ფაქტები და ნიადაგების ზედა ფენების დამლაშების ხშირი შემთხვევები და ა.შ.

მიწების მოსარწყავად განსახილველ ტერიტორიაზე აშენებენ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და არხთა სისტემას, რომელიც სარწყავი სისტემის სახელწოდებითაა ცნობილი.

საქართველოში ამჟამად ირიცხება 220 რეგულარული სარწყავი სისტემა. აქედან 135 (62%) - ფართობით 0,5 ათას ჰა-მდე და 10 (5%) - 10 ჰა-ზე მეტი ფართობით.

თითოეული მათგანი სარგებლობს კაშხლური ტიპის წყალამდებებით, დანარჩენ სისტემებში ვხვდებით უკაშხლო წყალამდებებს.

საქართველოს ძირითად სარწყავ სისტემებს წარმოადგენს:

- სამგორის სარწყავი სისტემები -** ზემო სამგორისა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემები - მდებარეობენ მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადის მდ. ივრის აუზში და ესაზღვრება თბილის და რუსთავს. მდინარე დარეგულირებულია მის ზემო დინებაში განლაგებული სიონის წყალსაცავით. სამგორის სარწყავი ფართობები ცალკეული მაგისტრალური არხების მიხედვით მოცემულია ცხრილში (4.2).

სამგორის სარწყავი სისტემის ფართობები, ათასი ჰა

ცხრილი 4.2.

№	არხების დასახელება	ბრუტო	ნეტო
1	ზემო მაგისტრალური არხი	17.0	14.2
2	ლილო-მარტყოფის არხი	4.9	4.1
3	ქვემო მაგისტრალური არხი	24.0	20.5
4	ღრმალელის არხი	1.7	1.4
5	გლდანის არხი	0.8	0.6
სულ ზემო სამგორის სისტემაზე		48.4	40.8
1	მარცხენა ნაპირის მაგისტრალური არხი	44.0	36.4
2	მარჯვენა ნაპირია მაგისტრალური არხი	14.4	13.0
სულ ქვემო სამგორის სისტემაზე		58.4	49.4

ზემო სამგორის სისტემა გამოიყენება კომპლექსურად: მიწების სარწყავად, ენერგეტიკისთვის და წყალმომარევებისთვის. სიონის წყალსაცავი იძლევა მდინარე ივრის წყლის ჩამონადენის მთლიან დარეგულირების საშუალებას. წყალსაცავის მოცულობაა 300 მ³. იგი აგრეთვე გამოიყენება თევზის მეურნეობის განვითარებისათვის.

- ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა** განლაგებულია მდინარეების ალაზნისა და ივრის შუამდინარეში, ორი დიდი მასივის - შიდა და გარე კახეთის ფარგლებში, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ცივ-გომბორის ქედზე. სარწყავი მასივის მთლიანი ფართობია 147.3 ათასი ჰა. სარწყავი ფართობი ბრუტო - 132.2 ათასი ჰა, ნეტო - 108.3 ათასი ჰა. მორწყვის წყაროს წარმოადგენს მდინარე ალაზანი, რომლის ხეობაში აშენებულია წყალმიმღები კვანძი, საიდანაც იწყება ზემო ალაზნის მაგისტრალური არხი. მიწების გამოყენება ძირითადად ხდება ვენახების და ბალების გასაშენებლად (70%-მდე).
- მუხრანის სარწყავი სისტემა** განლაგებულია მდინარეების არაგვსა და ქსანს შორის, რომლებიც სათავეს იღებენ კავკასიონის მთავარი ქედის განშტოებაში. მასივის მთლიანი ფართობი შეადგენს 15 000 ჰა-ს. ბრუტო - 12.5 ათასი ჰა, ნეტო - 10.9 ათასი ჰა. აქედან წყლის მექანიკური აწევით ირწყვება 1.16 ათასი ჰა, მიწები ძირითადად გამოყენებულია ვენახის, ბალების და ბოსტნეულის ქვეშ. სისტემაში წყლის მიწოდება ხდება მდინარე არაგვზე აგებული სათავე ნაგებობებიდან ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხით 9.2 ათასი ჰა ნეტო ფართობზე და მდინარე ქსანზე განლაგებულ სათავე ნაგებობიდან თელოვანის რუს მაგისტრალური არხით 1.7 ათას ჰა-ს ნეტო ფართობზე.

- **თები-ოკამის სარწყავი სისტემა** განლაგებულია ქსანის მარჯვენა ნაპირზე. ამ სისტემის რაიონში მთლიანი ფართობი 7.7 ათასი ჰაა. სარწყავი ფართობი ბრუტო - 7.1 ათასი ჰა, ნეტო - 6.4 ათასი ჰა. მიწები ძირითადად გამოყენებულია ხეხილის ბალის, ვენახის, თავთავიანი კულტურების ქვეშ. მორწყვის წყაროს ნარმოადგენს მდინარე ქსანი.
- **ვანათის, ტირიფონისა და სალთვისის სარწყავი სისტემები** განლაგებულია მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობებში. ვანათის სარწყავი სისტემის მთლიანი ფართობი 4.2 ათასი ჰაა. მორწყვის ფართობი ბრუტო 3.8 ათასი ჰა, ნეტო - 3.3 ათასი ჰა. ტირიფონის სარწყავი სისტემის მთლიანი ფართობი 36.2 ათასი ჰა. მორწყვის ფართობი ბრუტო - 33.6 ათასი ჰა, ნეტო - 29 ათასი ჰა. მიწების გამოყენება ძირითადად ხდება ბალებისთვის, ვენახებისთვის და სახნავად. სალთვისის სარწყავი სისტემის მთლიანი ფართობია 23 ათასი ჰა. სარწყავი ფართობი ბრუტო - 18 ათასი ჰა, ნეტო - 16.3 ათასი ჰა.
- **ტაშისკარის სარწყავი სისტემა** განლაგებულია მდინარე მტკვრის დინების მიმართულებით, მდინარის მარცხენა მხარეს ბორჯომის ხეობის ქვემოთ. სარწყავი სისტემის სარწყავი ფართობი ნეტო - 17.9 ათასი ჰა. მორწყვის წყაროს ნარმოადგენს მდინარე მტკვარი. მორწყვა ზედაპირულია: კვლებში და ზოლებში მიშვებით. გათვალისწინებულის გადასატანი მიღსადენების გამოყენება.
- **გარდაბნის სარწყავი სისტემა** განლაგებულია სამგორის სარწყავი სისტემის სამხრეთით. სისტემა აშენებულია 1867 წელს. ამ სისტემის სარწყავი ფართობი ნეტო - 12.8 ათასი ჰა საქართველოს ფარგლებში და 4.8 ათასი ჰა აზერბაიჯანშია განლაგებული. მაგისტრალურ არხებზე აგებულია მცირე სატუმბო სადგურები. გარდაბნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა მდინარე მტკვარზეა განლაგებული.
- **თელეთის მექანიკური სარწყავი სისტემა** განლაგებულია თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქ. თბილისის ქვემოთ. სარწყავი მიწების ათვისება ხდება ძირითადად სიმინდის, ბოსტნეული კულტურების, ბალებისა და ვენახების ქვეშ. მორწყვის წყაროს ნარმოადგენს მდ. მტკვარი. წყლის მიწოდება სისტემაში ხორციელდება სატუმბო სადგურებით.

საქართველოს არიდულ ზონაში ხშირადაა გავრცელებული დამლაშებული ნიადაგები, და წარმოშობის მიხედვით პირობითად იყოფა **პირველად** და **მეორად** დამლაშების ნიადაგებად. პირველადი დამლაშების მიზეზად მიჩნეულია მიმდინარე ბუნებრივი პროცესების აქტიური გავლენით მარილების სისტემატური დაგროვება ნიადაგში, გრუნტში და გრუნტის წყლებში. მეორადი დამლაშება უპირატესად ვითარდება სარწყავი მიწათმოქმედების პირობებით, როდესაც ნიადაგის სუსტი ბუნებრივი დრენირების გამო, ადგილი აქვს მიწერალიზებული გრუნტის წყლების დონეების ანევას.

არსებობს დამლაშებული ნიადაგების ორი ჯგუფი: **ბიცი ანუ მლაშობი** ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან ადვილად ხსნადი მარილების დიდი რაოდენობით მთელ პროფილში და **ბიცობები** - რომლებიც შეიცავენ ადვილად ხსნად მარილებს მხოლოდ გარკვეულ სილრმეზე (20-25 სმ ფენებად) მასში სჭარბობს დიდი რაოდენობით შთანთქმული ნატროიტი.

ბიცი (მლაშობი) ნიადაგების მელიორაცია იყოფა სამ ჯგუფად: **ბიოლოგიური**, რომელიც ითვალისწინებს მარილგამძლე ბალახების თესვას; **მექანიკური**, რომელიც გულისხმობს ნიადაგის ზედაპირზე არსებული მარილების შეგროვებას და გატანას; **ჰიდრომელიორაციული**, რაც გულისხმობს ნიადაგში არსებული მარილების გახსნას და ჩარეცხვას.

ბიცობი ნიადაგების მელიორაცია. ნიადაგის ბიცობიანობის ხარისხი დამოკიდებულია შთანთქმული ნატრიუმის რაოდენობაზე, რაც ნიადაგ-შთანთქმელ კომპლექსში განაპირობებს ბიცობების წყალ-ფიზიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა მკვეთრ გაუარესებას. ასეთ ნიადაგებში ჰქონდება ფენა არ არის დამლაშებული. ბიცობი ნიადაგების მელიორაციაში იგულისხმება: შთანთქმული


ნატრიუმის განდევნა და მისი კალციუმით ჩანაცვლება ნიადაგ-შთანთქმელ კომპლექსში, ბიცობიანი ზედაპირის დაშლა-გაფხვიერება და ტუტიანობის ნეიტრალიზაცია.

არსებობს **ბიცობების მელიორაციის** სამი მეთოდი: **ქიმიური**, რომელიც გულისხმობს ნიადაგში თაბაშირისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შეტანას; **ბიოლოგიური**, რომელიც გულისხმობს განსახილველი მიწის მასივებისათვის ბიცობიანობის ამტანი მცენარეების შერჩევას; **აგრობიოლოგიური**, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის ღრმა ხვნას, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას, მრავალწლიანი ბალახების თესვას, სიდერაციას და მორნყვით ნიადაგის ჩარეცხვას.

მელიორაციის ერთ-ერთ სახეს **დაშრობა** ნარმოადგენს, რომლის დროსაც ჭარბტენიან რეგიონებში სათანადო მელიორაციული ღონისძიებების გატარებით ნიადაგის ფორმებიდან და ზედაპირიდან განდევნიან ზედმეტ წყალს.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში (შავი ზღვის სანაპირო და კოლხეთის დაბლობი) ნალექები უხვად მოდის ($1\ 300 \div 2\ 700$ მმ); აორთქლების წლიური სიდიდე კი შეადგენს $400 \div 600$ მმ-ს, ამიტომ მიწები აქ ძირითადად დაჭაობებული და ჭარბტენიანია, რომლებიც დაშრობას საჭიროებენ.

ნებისმიერი დამშრობი სისტემა მოიცავს: მარეგულირებელ, გამტარ და წყალგადამღობ ქსელს, წყალმიმღებებს და შემდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს: წყალვარდნილები, რაბები, სათვალთვალო ჭები და სხვა; საგზაო ქსელს, საექსპლუატაციო ნაგებობებს (შენობები, ჰიდრომეტრიული პოსტები და სხვ.), ტყის ზოლებს და თვით დასაშრობი მიწის მასივს.



მარეგულირებელი ქსელის დანიშნულებაა ჭარბი ზედაპირული და გრუნტის წყლების შეკრება და დასაშრობი ტერიტორიიდან გაყვანა. **გადამღობი ქსელის** - დასაშრობი ტერიტორიის დაცვა გარეშე ზედაპირული და გრუნტის წყლებისაგან; **გამტარი ქსელის** - წყალმიმღებთან მარეგულირებელი და გადამღობი ქსელის დაკავშირება; **წყალმიმღების** - გამტარი ქსელიდან შემოდინებული წყლის მიღება და მისი გატარების უზრუნველყოფა. **ჰიდროტექნიკური ნაგებობების** - წყლის ნაკადის დანიშნულებისამებრ გატარება და გადანაწილება; **საგზაო ქსელის** - დასაშრობ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაუბრკოლებრივ მანევრირება; **საექსპლუატაციო ნაგებობების** - დამშრობი სისტემის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სამუშაოების კონტროლი და ზედამხედველობა; **ტყის ზოღების** კი - განსახილველ ტერიტორიაზე მიკროკლიმატის რეგულირება (ამავე დროს შეუძლია შეასრულოს ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ფუნქციაც).

დამშრობი სისტემა შეიძლება იყოს **ლია და დახურული** ტიპის. პირველ შემთხვევაში მარეგულირებელი ქსელი წარმოდგენილია ლია არსებით, ხოლო მეორე შემთხვევაში - ნიადაგის სიღრმეში ჩაწყობილი დრენების სახით.

დამშრობ სისტემებს ასევე განასხვავებენ **წყლის გაყვანის წესისა და წყლის რეზიმზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით.** სახელდობრ, პირველ შემთხვევაში დამშრობი სისტემები შეიძლება იყოს თვითდინებითი და წყლის მექანიკური გადატუმბვით, მეორე შემთხვევაში კი - ერთმხრივი მოქმედების, როდესაც დამშრობი ქსელი განკუთვნილია მხოლოდ ჭარბი წყლის გასაყვანად ტერიტორიიდან, და ორმხრივი რეგულირების, როდესაც ის ერთდროულად ასრულებს ნიადაგის დაშრობისა და დატენიანების ფუნქციას.

დრენების მიმართულების მიხედვით დახურული დრენაჟი შეიძლება იყოს ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კომბინირებული.

ჰორიზონტალური დრენაჟი არის **ტრანზიური და უტრანზიური.** უკანასკნელს ეკუთვნის სოროსებრი და ნაპრალისებრი დრენები და აგრეთვე დრენები ამა თუ იმ მასალისაგან, რომელთა ჩალაგება წარმოებს უტრანზიურ დრენჩამწყობით.

მასალების მიხედვით დრენაჟი არის ქვის, ხის, თუნის, ბეტონის და ტორფის, გაუმაგრებელ მიწის დრენებს **სოროსებრი ენოდება.**

ხერეტების მიხედვით სადრენაჟო თხრილები ორგვარია:

1. მილისებრი - თავისუფალი ხვრეტით;
2. დრენაჟი, რომელშიც დრენების ფართობი ამოვსებულია ფორმვანი წყალგამტარი მასალით - ლორლით, ფიჩითა და სხვა, რომელებზეც ზემოდან ეყრება ტრანშების გათხრის დროს ამოღებული მიწა.

საქართველოში ამჟამად აშენებულია მრავალი დამშრობი სისტემა, რომელთა შორის ერთ-ერთი უნიკალური და დიდი ობიექტია კოლხეთის დაბლობის დამშრობი სისტემის ობიექტი, რომელსაც 220 ათასი ჰექტარი ფართობი უკავია. მისი საზღვრებია: დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით - ამიერკავკასიის რეინიგზის ბათუმის შტო მდინარე კინტრიშამდე, აღმოსავლეთით - მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით - შავი ზღვის სანაპირო საავტომობილო გზა, სადგურ სამტრედიდან მდინარე კოდორამდე.

დამშრობი სისტემების ჩართვა წყლის რესურსების კომპლექსში მიზნად ისახავს დაშრობის შედეგად მიღებული ჭარბი წყლის გამოყენებას წ.ს.კ-ის სხვა დარგების წყალმოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, ადგილობრივი წყლის რესურსების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ისეთი წყალსარგებლობის ობიექტების მშენებლობა, როგორიცაა - წყალსაცავები, ტბორები, ფართობების გასატენიანებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რეკრეაციული ზონები, წყალმომარაგება და სხვა.

წყალმომარაგების სისტემები სოფლის მეურნეობაში ემსახურება დასახლებული პუნქტების, მეცხოველეობის ფერმებსა და კომპლექსებს, მანქანა-ტრაქტორის პარკებს და ა.შ.

მეცხოველეობის კომპლექსში **წყლის მოხმარების ნორმა** დამოკიდებულია კომპლექსის სახეზე, მის ტექნიკურ აღჭურვილობაზე, პირუტყვის რაოდენობაზე და

სხვ. ასეთ კომპლექსებში წყალი იხარჯება პირუტყვის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებაზე, ტექნოლოგიურ პროცესებში და დამხმარე ლონისძიებებზე, საკვების დამამზადებელ ბაზებში, ცხოველების ვეტერინარულ-სანიტარულ მომსახურებაზე და ა.შ. აქაც წყლის მოხმარების ნორმები შეიძლება საკმაოდ დიდ დაპაზონში იცვლებოდეს.

წყლის დღე-ლამური მოხმარების ნორმა ამავე დროს დამოკიდებულია პირუტყვის სახეობაზე და შეიძლება ერთ სულზე 2-დან 200 ლიტრამდე იცვლებოდეს.

სოფლებში წყლის მოხმარებას ერთ კომლზე ხშირად წყლის ნორმების გამსხვილებული მაჩვენებლებით განსაზღვრავენ, რომელიც ცხადია იცვლება ადგილობრივი პირობების მიხედვით.

სამხრეთ რეგიონებში მეცხოველეობისთვის ძირითადად საძოვრები გამოიყენება, სადაც წყლის რესურსები საკმაოდ შეზღუდულია, ამიტომ საჭირო ხდება ამ ტერიტორიების გაწყლოვანება. გაწყლოვანება როგორც წესი წარმოებს სეზონურად.

ტერიტორიების გაწყლოვანების სამი ძირითადი ფორმა არსებობს: 1. **ექს-ტენსიური**, ხორციელდება მხოლოდ წყლის წყაროების - გუბურების, ჭების, არხების და ა.შ. მოწყობით. ამ დროს წყლის თითოეული წყარო ეწყობა იმ ვარაუდით, რომ მან გააწყლოვანოს ტერიტორია რადიუსით 5 - 10 კმ; 2. **არასრული ანუ შეზღუდული** გაწყლოვანების დროს ეწყობა როგორც წყლის წყაროს ქსელი, აგრეთვე დამატებითი ნაგებობები და მოწყობილობები, რომელიც ხელს უწყობს ამ ქსელის გამოყენებას წყალმომარაგებისათვის; 3. **სრული გაწყლოვანების** დროს წყლით კმაყოფილდება არა მარტო გასაწყლოვანებელ ტერიტორიაზე მყოფი მომხმარებელი, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც.

ტერიტორიის გაწყლოვანების სქემების დაპროექტების დროს საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებზე: სად, რა რაოდენობის, როგორი ხარისხის და რა დროში უნდა იყოს მიწოდებული წყალი, საძოვრების წყალმომარაგების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რა სახის საძოვრებია - სეზონური თუ მთელი წლის განმავლობაში. გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე პირუტყვის და მათი ძოვების სახე, წყლის წლიური, დღე-ლამური და საათობრივი მოთხოვნილების გრაფიკი. სახნავ მინებზე ძირითადი წყალმომხმარებელია ადამიანი, მექანიზაცია და მუშა პირუტყვი დაკავებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მათი წყლით დაკმაყოფილებისათვის ეწყობა სხვადასხვა სახის ჭები, გუბურები და ა.შ., რომლებიც წარმოადგენენ გაწყლოვანების პირველად ცენტრებს. ასეთი ცენტრები ეწყობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემდეგ, ხოლო წყალი მომხმარებელს მიეწოდება ავტომანქანებით ან მუშა პირუტყვის გამოყენებით. მისაწოდებელი წყლის ნორმა განისაზღვრება სათანადო გაანგარიშების შედეგად.

4.3. მრეწველობა და თბოენერგეტიკა

ქვეყნის წყალთა მეურნეობის სისტემაში მრეწველობა ერთ-ერთ უდიდეს მომხმარებელს წარმოდგენს. წყალმოთხოვნილებაში მრეწველობა ყველაზე საპასუხისმგებლო დარგია, რომელიც მოითხოვს წყლის მიწოდების მაღალ საიმედოობას. მრეწველობაში საანგარიშო უზრუნველყოფად იღებენ 95÷97%.

წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის წყლის საჭირო რაოდენობის მოცულობა დამოკიდებულია: 1. წყლის გამოყენების სასიათზე; 2. გამოსაშვები პროდუქციის მოცულობაზე და სახეზე; 3. საწარმოს ტექნოლოგიასა და 4. საწარმო წყალმომარაგების სისტემებზე.

1. საწარმო პროცესის დროს წყლის გამოყენების ფორმები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ნედლეული, გამხსნელი, თბომატარებელი და მექანიკურად გახსნილი მინარევების მატრანსპორტირებელი.

წყლის დიდი რაოდენობა წარმოებაში გამოიყენება გაცივებისთვის; თბოენერგეტიკაში მთლიანი წყლის რაოდენობის 85% გამოიყენება ზეთის, ჰაერის

გასაცივებლად და ორთქლის კონდენსაციისთვის. მეტალურგიულ ქარხნებში კი წყლის ძირითადი რაოდენობა - გაციებისთვის.

წარმოებაში გარდა ტექნოლოგიური საჭიროებისა, წყალს იყენებენ მომსახურე პერსონალის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სახანძრო, სანიტარული საჭიროებისთვის და მწვანე ნარგავების მოსარწყავად.

2. **მრეწველობაში გამოყენებული წყლის მოცულობის** განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაშვები პროდუქციის სახეობას (ცხრილი 4.3.).

3. **კუთრი წყალმოხმარება დამოკიდებულია ტექნოლოგიაზე, რომელსაც იყენებს** საწარმო პროდუქციის გამოშვებისთვის. მაგალითად, ქიმიურ საწარმოებში ერთი და იგივე პროდუქციის სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებით წარმოებისთვის წყლის კუთრი ხარჯები იცვლება 5÷10-ჯერ;

4. საწარმოებში გამოყენებული წყლის მოცულობაზე დიდ გავლენას ახდენს **წყალმომარაგების სქემები.**

ყველაზე მარტივი - **პირდაპირდინებითი სქემა**, რომელიც საწარმოს წყალს აწვდის წყალაღების წყაროდან და იყენებს რა მას, შესაბამისი განმენდის შემდეგ ღვრის.

წყალმომარაგების საბრუნ სისტემებში ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებულ წყალს აცივებენ, წმენდენ და კვლავ უშვებენ წარმოებაში.

წყალმომარაგების **განმეორებად სქემების** დროს განსაზღვრულ პროცესში გამოყენებულ წყალს იყენებენ იგივე ან სხვა საწარმოს განსხვავებულ პროცესებში და ბოლოს შესაბამისი განმენდის შემდგომ ღვრიან.

შესაძლებელია ასევე ორი უკანასკნელი სქემის კომბინირება. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი წყალმომარაგების სისტემა უფრო პერსპექტიულია.

წყლის ნორმა პროდუქციის ერთეულზე

ცხრილი 4.3.

გამოსაშვები პროდუქციის სახე	წყლის ნორმა (მ ³)
სინთეტიკური ბოჭკო (ტ)	2 500÷5 000
სინთეტიკური კაუჩუკი და ხელოვნური ქსოვილები (ტ)	2 000÷3 500
ნიკელი (ტ)	4 000
სპილენდი (ტ)	500
თუჯი (ტ)	160÷200
ქაღალდი (ტ)	400÷800
ნავთობი - დაუმუშავებელი (გადამუშავება) (ტ)	30÷40
აზოტი (ტ)	600
ბამბის ქსოვილები (1000 მ)	20÷50

წარმოებისთვის საჭირო წყლის მოცულობის განსაზღვრისათვის იყენებენ შემდეგ მახასიათებლებს:

სრული წყალმოთხოვნილების მოცულობა ($W_{b,r}$), რომელიც წარმოადგენს წარმოების წყალტევადობას. იგი ახალი და დაბრუნებული წყლების მოცულობების ჯამია

$$W_{b,r} = W_{a,b} + W_{დაბ}. \quad (4.2.)$$

ახალი წყლის მოცულობა $W_{a,b}$ წარმოადგენს დაუბრუნებელი წყლის მოცულობათა ($W_{დაუბ,r}$) და წყალგაყვანის ($W_{წ.ბ.}$) მოცულობის ჯამს

$$W_{a,b} = W_{დაუბ,r} + W_{წ.ბ.} \quad (4.3.)$$

დაბრუნებულს $W_{დაბ.}$ უნდებენ წყლის იმ მოცულობას, რომელიც წყალ-მომარაგების სისტემებში მრავალჯერ გამოიყენება.

საქართველოში მრეწველობაზე მოხმარებული წყლის დიდი ნაწილი (77%) თბოენერგეტიკაზე მოდის.

1990 წლისთვის, საქართველოს სამრეწველო საწარმოების მიერ ჩაშვებული გამოყენებული წყლის მოცულობა 1 671 მლნ.მ³-ს შეადგენდა, აქედან 227 მლნ.მ³ - დაბინძურებული იყო.

4.4. ჰიდროენერგეტიკა

თანამედროვე პირობებში ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს წყალსამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. მასზე მოდის ჰიდროენერგეტიკული მოცულობის 95% მოქმედ ჰიდროელექტროსადგურებს ეკუთვნის. ენერგეტიკის ეს სახეობა ძლიერ პროგრესულია და რიგი უპირატესობები გააჩნია: ჰესს არ ესაჭიროება საწვავი და აქვს წყლის გამოყენების დიდი კოეფიციენტი, მისი რესურსების დაცვის ჩათვლით.

საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურები XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე იყო აშენებული (ბორჯომის, ახალი ათონის, გაგრის, სოხუმის და სხვ.). 1913 წლისათვის მათი საერთო სიმძლავრე 2 ათას კვტ-ს შეადგენდა. 1927 წელს ამუშავდა ზემო ავჭალის ჰესი (ზაჰესი), პირველი რიგის სიმძლავრით - 12.5 ათასი/კვტ.). მეორე მსოფლიო ომამდე აშენდა რიონის ჰესი (48 ათასი კვტ); აჭარისწყლის ჰესი (16 ათასი კვტ) და რიგი მცირე ჰესებისა.

შემდგომ ჰერიოდში აიგო შემდეგი ჰესები: ხრამის I (113.5 ათასი კვტ), სოხუმის (19.1 ათასი კვტ), ჩითახევის (21 ათასი კვტ); შაორისა და ტყიბულის (120 ათასი კვტ); ორთაჭალის (18 ათასი კვტ), გუმათის (66.8 ათასი კვტ) ლაჯანურის (112.51 ათასი კვტ); ხრამის II (110 ათასი კვტ), უინვალის (130 ათასი კვტ), ენგურისა (1600 ათასი კვტ) და ვარციხის (170 ათასი კვტ) კასკადის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში, ჰესებთან არსებული წყალ-საცავები ძირითადად ენერგეტიკული დანიშნულებისაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - კომპლექსური.

ჰიდროენერგეტიკისთვის წყალი წარმოადგენს მხოლოდ ენერგომატარებელს, რომელიც შეიძლება მივიღოთ ბუნებრივი ანდა ხელოვნურად შექმნილ სიმაღლეთა სხვაობის ხარჯზე, რის შემდგომ წყალი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა საჭიროებისათვის: მორნჟა, წყალმომარაგება, ნაოსნობა, თევზის მეურნეობა და სხვ.

აღნიშნული მიუთითებს წყალსამეურნეო კომპლექსში ჰიდროენერგეტიკის დადებით როლზე, მაგრამ დადებით თვისებებთან ერთად აღსანიშნავია მისი უარყოფითი მხარეებიც: პირველ რიგში - მორწყვის შეუთავსებლობა ენერგეტიკული ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის ექსპლუატაციისათან. ისინი ურთიერთებინააღმდეგებიან ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც სარწყავი წყლის წყალმოთხოვნილების გაზაფხულ-ზაფხულის მაქსიმუმი ჰიდროელექტროსადგურის წყალმოთხოვნილების მინიმუმს ემთხვევა. და პირიქით. ამიტომ აუცილებელი ხდება ჰესის ქვემოთ აგებულ იქნას მეორე ჰიდროენერგეტიკული მდინარის ჩამონადენის დასარეგულირებლად და რწყვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ წყლის რესურსებისადმი წაყენებული მოთხოვნები ჰიდროენერგეტიკაში სპეციფიკურია. კერძოდ, წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ უნდა იყოს საკმაოდ სტაბილური ხარჯები და წნევა ჰიდროტურბინების შეუფერხებელი და ეფექტური მუშაობისათვის; კომპლექსური წყალსაცავის მოქმედების შემთხვევაში დაწნევის ჰორიზონტი (დონე) არ უნდა დაეცეს 30-40%-ზე მეტად.

საქართველოს მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული რესურსების ჯამური პოტენციალი 159,4 მლდ.კვტ.სთ-ს შეადგენს. მთელი ჰიდროენერგეტიკული რესურსების 70,5% თავმოყრილია საქართველოს ხუთი უმთავრესი მდინარის: რიონის, მტკვრის, ენგურის, კოდორის და ბზიფის აუზებში.

ხვედრითი ენერგია ყველაზე მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს მდ. კოდორის (6,65 მლნ.კვტ.სთ. 1 კვ.კმ-ზე წელიწადში); მდ. ბზიფის (5,44) და მდ. ენგურის (5,18) აუზებში.

ქვეყნის საერთო ზედაპირული და ტრანზიტული ჩამონადენის ენერგია დაახლოებით 229 მლრდ.კვტ.სთს, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე - 26 მლნ.კვტ.სთ-ს შეადგენს, დიდი, საშუალო და მცირე ძირითადი მდინარის (319) ჰიდროენერგეტიკული რესურსები ენერგიის მიხედვით 137 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენს, ხოლო სიმძლავრის მიხედვით - 15 მლნ კვტ.სთ-ს. ჰიდროენერგეტიკული რესურსების აბსოლუტური მახასიათებლით საქართველო მეოთხე ადგილზე იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის (რუსეთის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის შემდეგ), ხოლო 1 კმ²-ზე ხვედრითი მახასიათებლით - ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტერიტორიული განაწილება საკმაოდ არათანაბარია. დასავლეთ საქართველოს წილზე მოდის დიდი და საშუალო მდინარეების ენერგორესურსების 72%. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს წილზე - 28%.

მდინარეთა თეორიული ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტექნიკურად შესაძლებელი გამოყენების ხარისხი, კონკრეტული პირობების მიხედვით 0,3-დან 0,9-მდე იცვლება, ხოლო საშუალოდ 0,6-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი (მცირე მდინარეთა გათვალისწინების გარეშე) 80-85 მლრდ.კვტ.საათს შეადგენს. ეკონომიკურად ეფექტური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (ენერგიის სხვა წყაროების არსებობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ფასები და სხვ.), საორიენტაციოდ 45-50 მლრდ.კვტ.სთს უდრის.

საქართველოს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი რეზერვი აქვს ჰიდრო-ენერგეტიკის განსავითარებლად, რომელიც დღევანდელ ეტაპზე, ელექტროენერგიის ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა წყაროს წარმოადგენს. მაგალითად, შვეიცარიაში 1963 წელს მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 98.7% ჰიდროენერგეტიკაზე მოდიოდა, შვედეთში - 93.1%, ნორვეგიაში - 99.5%. ამ ქვეყნებში, იმ დროისათვის შესაბამისად ათვისებული იყო ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 60%, 30.2% და 44.6%. მხოლოდ ამ რესურსების სრულად ათვისების შემდგომ მოხდა ენერგეტიკის სხვა სახეობების განვითარება, მაგალითად, შვედეთში იმატა ატომური ელექტროენერგიის წვლილმა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საკუთრივ ჰესის ეკოლოგიური სისუფთავისა, ჰესთან არსებული წყალსაცავის შექმნა გარკვეული ხარისხით ცვლის ლოკალურ ეკოლოგიურ სისტემას. ამიტომ გამოყენების სქემებიდან გამორიცხული უნდა იქნეს მდინარეთა ის მონაკვეთები და ხეობები, სადაც ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა მნიშვნელოვნად დააზიანებს ეკოლოგიურ წონასწორობას, საფრთხეს შეუქმნის ბუნებისა და ისტორიულ ძეგლებს, დაარღვევს ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანის კულტურულ-სოციალურ-სამეურნეო გარემოს.

ანალოგიური საკითხების გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებისას, რაც მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე უნდა მოხდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს, ჰიდროენერგეტიკასთან ერთად, თანაბრად ეხება წყლის რესურსების გამოყენების ნებისმიერ სქემას.

4.5. რეკრეაცია

რეკრეაცია (ლათ. *recreatio* - აღდგენა) არის ადამიანის შრომის პროცესში დახარჯული ძალების აღდგენა სარეკრეაციო დასასვენებელ ტერიტორიებზე. წყალსამეურნეო კომპლექსში რეკრეაცია წარმოადგენს წყალმოსარგებლებს.

წყლის ობიექტების რეკრეაციული მიზნით გამოყენება გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს ადამიანთა აქტიური ცხოვრების უნარის აღსადგენად

(ზღვაზე დასვენება, წყალჯომარჯობა, ტურიზმი), რომელიც შემდგომში დადებითად იმოქმედებს ჯანმრთელობაზე და სულიერ განვითარებაზე.

საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები და ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი საერთაშორისო დონის რეკრეაციული ზონების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ტერიტორია შეადგენს 69 700 კმ²-ს, საიდანაც 330 კმ² შავი ზღვის სუბტროპიკულ სანაპიროს უკავია. ქვეყანაში არის 860 ტბა, მრავალი ჩანჩქერი და 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 54 768 კმ-ს უტოლდება. საქართველოში აღირიცხება 2 000-მდე მინერალური წყარო.

აღსანიშნავია, რომ ჯერ მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს რამდენიმე მნიშვნელოვანი სარეკრეაციო ობიექტი, რომელთა შორის პოპულარულია: კუს ტბა, ლისის ტბა, თბილისის ზღვა (წყალსაცავი) და ა.შ.

კუს ტბა ზღვის დონიდან 686,7 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ტემპერატურა ზაფხულობით 23,5 °C აღწევს. ტბა ნახევრად წყალგამდინარეა, საზრდოობს ბუნებრივი ნალექებით, რომლებიც შემოედინება მიწისქვეშა გვირაბით.



კუს ტბა



ლისის ტბა - მისი სიგრძე 1 კმ-ია, სიგანე 800 მ, ხოლო სიღრმე 4 მ-ს არ აღემატება, წყლის სარკის ზედაპირის ფართობი 0,47 კმ²-ს შეადგენს. ტბის წყალი ოდნავ მომლაშოა, თუმცა იგი თევზის მომრავლებას ხელს არ უშლის.



ლისის ტბა



დამსვენებელთა რაოდენობით გამოირჩევა **თბილისის წყალსაცავი** (ე. წ. თბილისის ზღვა), სადაც ზაფხულის დასვენების დღეებში რამდენიმე ათასი კაცი ისვენებს. მის გარშემო აგებულია დასასვენებელი სახლები,

თბილისის ზღვის იახტ-კლუბი სადაც აფროსნობისა და ნიჩბოსნობის სექციები ფუნქციონირებს.

ზაფხულის თვეებში ბევრი დამსვენებელი ატარებს შვებულებას ბაზალეთის ტბასთან და სიონის წყალსაცავთან.

ბაზალეთის ტბა მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ზღვის დონიდან 879 მ-ზე. ზედაპირის ფართობი 1,22 კმ²-ია, მაქსიმალური სიღრმე 7 მ, წყლის მოცულობა დაახლოვებით 4 მლნ.მ³. საზრდოობს ატარ-სფერული ნალექებითა და დროებითი ნაკადებით, იანვარსა და თებერვალში ტბა დაფარულია ყინულით, რომლის სისქე ზამთარში 0,5 მ-მდე აღწევს. ივლისში ტემპერატურა 25 °C -მდეა.

სიონის წყალსაცავი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე იორზე თიანეთის რაიონის სოფელ სიონთან, თბილისიდან 70 კმ-ის მანძილზე. წყალსაცავი ჩამონადენის რეგულირების, ირიგაციის და ენერგეტიკის გარდა ფართოდ გამოიყენება რეკრეაციული მიზნებისათვის.

დასავლეთ საქართველოში რეკრეაციული თვალსაზრისით ყველაზე ღირშესანიშნავ წყალსატევს რინის ტბა ნარმოადგენს. **რინის ტბა** მდებარეობს ბიჭვინთის ჩრდილოეთით. ტბის წყალი ცივი და მტკნარია. მის გარშემო მთების სიმაღლე მერყეობს 2 200-3 500 მ-ს შორის. ტბაში ექვსი მდინარე ჩაედინება და ერთი (მდ.



თბილისის ზღვა

ლუფშარა) გამოედინება. რინა ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ტბაა საქართველოში (116 მ) და მდიდარია კალმახით. საშუალო წლიური ტემპერატურა ტბის მიდამოებში 7,8 C° (იანვარში - 1,1 C°, აგვისტოში 17,8 C°) საშუალო წლიური ნალექი დაახლოებით 2 000-2 200 მმ-ია. ზამთარი დროგამოშვებით თოვლიანია.

საქართველოს დასავლეთით მდებარე მრავალ რეკრეაციულ ზონებს შორის აღსანიშნავია შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული კურორტები, როგორიცაა: ბიჭვინთა, ახალი ათონი, ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ურეკი და სხვ.

სანაპირო ზოლი, ისევე როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველო, ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატური პირობებით, ზომიერი ზამთრითა და ხანგრძლივი ცხელი ზაფხულით. ზღვის კლიმატი იძლევა სისხლის მიმოქცევის და სასუნთქი გზების ორგანოების, აგრეთვე ნერვული სისტემის ფუნქციონალური მოშლის ეფექტური მკურნალობისა და დასვენების საშუალებას.

წყალსატევების რეკრეაციული ღირებულება ხასიათდება შემდეგი ფაქტორებით: ლანდშაფტის ტიპი, წყალსატევის ფორმა, სიღრმე და ფართობი, ნაპირების დაქანება, პლაჟების რაოდენობა, წყლის ფაუნის სიუხვე, სანაპირო მცენარეების მრავალფეროვნება, წყლის ტემპერატურა, კომფორტული დღეების ხანგრძლივობა, წყლის ხარისხი, სანაპირო ზოლის სისუფთავე, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების არსებობა, დაშორება დიდი ქალაქებიდან, მისასვლელი და სატრანსპორტო გზებით უზრუნველყოფა.

წყალსატევების რეკრეაციული მიზნით გამოყენების შემთხვევაში, ძირითადი უარყოფითი გავლენა გამოიხატება ბანაობის და წყლის ტურიზმის დროს, ძრავიანი კატერების და ნავების ექსპლუატაციისას წყლის დაბინძურებით. ამიტომ, წყალსატევების გამოყენება რეკრეაციული თვალსაზრისით აკრძალულია იმ ზონებში, სადაც გათვალისწინებულია წყალაღება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის. ასეთ ზონებს აგრეთვე განეკუთვნება თევზისაშენი და დაცული ტერიტორიები.

4.6. თევზის მეურნეობა

თევზისარენ წყალსატევებზე წყალსამეურნეო კომპლექსის ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია უმრავლეს შემთხვევაში უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ წყალსატევების ეკოლოგიურ პირობებზე, იწვევს თევზის პროდუქტიულობის შემცირებას, იხტიოფაუნის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუარესებას, თევზისა და წყლის მეურნეობის სხვა ობიექტების მარაგების გალევას.

თევზისარენ წყალსატევების ჭალაში ან სანაპირო ზოლზე პიდროკვანძის დაპროექტებისას ან სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად და რეგიონალურ ორგანოებთან შეთანხმებით, გათვალისწინებული უნდა იქნას თევზების ზრდაგანვითარების შემაფერხებელი ფაქტორების მაქსიმალური აღმოფხვრა.

პიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების ვარიანტების შერჩევის დროს აუცილებელია თევზის მარაგზე ამა თუ იმ ვარიანტის ზეგავლენის განხილვა, ამასთან უნდა უზრუნველყოფილი იყოს იმ ზონების ხელშეუხებლობა, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თევზების ბინადრობის თვალსაზრისით. ობიექტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნებათდაცვითი ლონისძიებები (წყალგამნენდი ნაგებობები, წყალმომარაგების სისტემები და ა.შ.). პროექტირების დროს აგრეთვე გასათვალისწინებელია სპეციალური გამაფრთხილებელი თევზდამცავი ლონისძიებები. წყალამღები ნაგებობები უნდა აღჭურვილ იქნას სპეციალური თევზდამცავი მოწყობილობებით, ხოლო კაშხლების დაპროექტებისას, ეკონომიკური ეფექტურობის და ტექნოლოგიური შესაძლებლობების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია თევზისტარი ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზების ბუნებრივ მიგრაციას. ნაგებობების განლაგება და სამუშაოების ნარმოება ხორციელდება იმ ადგილებში, ვადებში და ხერხებით, რომლებიც

მინიმალურ არახელსაყრელ ზემოქმედებას მოახდენს წყალსატევების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და თევზის მარაგზე.

ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას ბუნებრივ პირობებზე, კერძოდ კი, წყალსამეურნეო მშენებლობას არსებითი ზარალი მოაქვს თევზის მეურნეობისთვის. ამიტომ წყალსამეურნეო კომპლექსების შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თევზის ნორმალური ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, რასაც ემსახურება ჰიდროკვანძებზე თევზსატარი და თევზამნევი მოწყობილობების მშენებლობა.

თევზგამტარი ნაგებობები მათი მოქმედების პრინციპის მიხედვით დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფებად: მუდმივი (თავისუფალი) მოქმედების, რომლებიც ერთი ბიეფიდან მეორეში თევზის დამოუკიდებლად გადასასვლელად წარმოქმნიან თავისებურ გამჭოლ გზას; ციკლური და იძულებითი მოქმედებით, რომლებმიც თევზის გატარება ხდება დარების დარაბვით ან კიდევ სხვადასხვა კონსტრუქციის ამწე მოწყობილობათა და მექანიზმების საშუალებით.

ნაგებობების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ღარისებრი, გუბურებიანი და კიბისებრი თევზგამტარები: მათი გამოყენება უმეტეს შემთხვევაში ხდება 20 მ-მდე დანწევის შემთხვევაში.

ნაგებობათა მეორე ჯგუფში შედის სხვადასხვა კონსტრუქციის თევზგამტარი რაბები და თევზამნები, რომელთა გამოყენება უმეტესად რეკომენდებულია 20 მ-ზე მეტი დანწევის დროს.

კონსტრუქციულად თევზგამტარი წარმოადგენს დარებს ან არხებს, რომლებმიც წყლის დინების სიჩქარეები ისეთნაირად უნდა შეირჩეს, რომ თევზის შეეძლოს თავისუფლად მოძრაობა დინების სანინაალმდეგო მიმართულებით.

ცხრილში 4.4. მოცემულია დინების მაქსიმალურ სიჩქარეთა ის საორიენტაციო სიდიდეები, რომელთა გადალახვა შეუძლია სხვადასხვა ჯიშის თევზს თევზგამტარებში.

დარული ტიპის თევზგამტარები კონსტრუქციულად გლუვზედაპირიანი სწრაფდენებია (1,5 მ-მდე დანწევის დროს), ან ხელოვნური ხორკლიანობის მქონე სწრაფდენები (1,5 ÷ 7 მ დანწევის დროს). ასეთი ტიპის თევზგამტარი წაგებობა აშენებულია საქართველოში, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსში (მდ. მტკვარზე).

გუბურებიან თევზგამტარებს უმეტესად აშენებენ მდინარის ნაპირას, გადამლობი წაგებობის (კაშხლის, ზღურბლის და სხვ.) შემოსასვლელზე. ისინი კონსტრუქციულად წარმოადგენენ გუბურების რიგს და ძირითადად გამოიყენება მთის მდინარეებზე აშენებულ ჰიდროკვანძებზე.

საფეხურებიანი თევზგამტარები საფეხურიანი ლარებია; ყოველ ლარში ეწყობა განივი ტიხარები, რომლებიც წარმოქმნიან აუზების თანმიმდევრულ რიგს. ტიხარებზე რიგრიგობით ღარის კედლებთან ეწყობა ე.წ. "მცურავი" ხვრეტები. ცალკეული აუზისა და თვით "მცურავი" ხვრეტების ზომების შერჩევა თევზის ჯიშების მიხედვით ხდება (ცხრილი 4.6.).

აღნიშნულ თევზსატარებთან შედარებით იძულებითი მოქმედების თევზგამტარი წაგებობები (თევზგამტარი რაბები და თევზამნები) ფართო მასშტაბით გამოიყენება მაღალდანენევიანი ჰიდროკვანძების შემთხვევაში. ამ წაგებობების მეშვეობით ხორციელდება თევზების ხელოვნური გადაყვანა ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფში.

წაგებობების ადგილის შერჩევა უნდა მოხდეს თევზის გადაადგილების მიმართულების და წაკადის მოძრაობის სიჩქარის გათვალისწინებით. თევზგამტარი რაბები და თევზამნებები შეიძლება განლაგებულ იქნენ ჰიდროკვანძში უფრო კომპაქტურად და აშენდეს უფრო წაკლები დანახარჯებით, ვიდრე ყველაზე მარტივი კონსტრუქციის თევზგამტარი ღარები, გუბურები და საფეხურიანი თევზგამტარები. კონსტრუქციულად ყოველი თევზამნე შედგება ორი ძირითადი - დამჭერი და მატრანსპორტირებელი - ნაწილისაგან. თავის მხრივ, **დამჭერი ნაწილი შედგება** მიმყვანი არხისაგან, რომელიც ზედა ბიეფიდან იკვებება წყლით და საფანგისაგან. **მატრანსპორტირებელი ნაწილი** კი შედგება ამწევი კამერისა და ამწევი მექანიზმისაგან.

თევზის ტრანსპორტირება ასეთი მეთოდით არაეფექტურია, რადგან მკვეთრად განსხვავდება მათი ბუნებრივი მიგრაციისგან და ამიტომ იძულებითი მოქმედების თევზგამტარებმა ფართო გამოყენება ვერ ჰქოვა.

მოცემულია დინების მაქსიმალურ სიჩქარეები

ცხრილი 4.4.

თევზის ჯიში	წყლის დინების სიჩქარე, მ/წმ
ორაგული, კალმახი, ჭერეხი, ქარიყლაპია	2,3 ÷ 2,5
წვერა, კაპოეტი, სალამურა	1,8 ÷ 2,3
ფარგა, ზუთხი, თართი, კორეგონი, იდი	1,2 ÷ 1,5
კობრი, კაპარჭინა, ქორჭილა, ჩიქვი, ნაფოტა	0,6 ÷ 1,2

თუ კი ეს ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ეკოლოგიური წონასწორობის და თევზის მარაგის შენარჩუნებას, წარმოებს მოსალოდნელი ზარალის დაანგარიშება და იმ ღონისძიებების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების შემთხვევაში, მიიღება თევზის მარაგის შესანარჩუნებელი დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობის და მიზანშეწონილობის გადაწყვეტილება.

თევზსატარი ნაგებობების პროექტირებისათვის ნაკადის მისაღები სიჩქარეები (მ/წმ)

ცხრილი 4.5.

თევზის სახეობა	სიჩქარე ზღრუბლზე	მიმტაცი სიჩქარე	წამლები სიჩქარე
ზუთხისებრი			
მოზრდილი ინდივიდი	0,15 ÷ 0,2	0,6 ÷ 0,9	0,9 ÷ 1,2
მოზარდი	—	—	0,15 ÷ 0,2
ორაგულისებრი			
მოზრდილი ინდივიდი	0,2 ÷ 0,25	0,8 ÷ 1,0	1,1 ÷ 1,6
მოზარდი	—	—	0,25 ÷ 0,35
სხვა თევზები			
მოზრდილი ინდივიდი	0,15 ÷ 0,2	0,5 ÷ 0,7	0,9 ÷ 1,2
მოზარდი	—	—	0,15 ÷ 0,25

აუზის და ხვრეტების ზომები თევზის ჯიშების მიხედვით

ცხრილი 4.6.

თევზის ჯიში	აუზის ზომები მ-ში			“მცურავი” ხვრეტების ზომები, მ-ში	
	სიგანე	სიგრძე	სიღრმე	სიგანე	სიმაღლე
ზუთხი, თართი	5	6÷7	2	1÷1,5	1
ორაგული, წვერა	3	5÷6	0,8÷1,0	0,8	0,6÷0,7
სიგი, კაპარჭინა, კობრი, სალამურა	1,5÷2,0	2,2÷2,8	0,6÷0,8	0,5	0,4
წვრილი მტკნარწყლიანი თევზის ჯიშები	1,5	1,5	0,6	0,3	0,2

წყალსამეურნეო კომპლექსების შემუშავების დროს თევზის მარაგის ზარალის შეფასება და მისი შემცირების ღონისძიებების შემუშავება ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების მიერ თევზის მეურნეობის ორგანიზაციებთან და ბუნების დაცვის ოპრგანოებთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, როცა დაგეგმილი მშენებლობა ან სამუშაოები თევზის მარაგზე უარყოფით ზეგავლენასთან ერთად (გარკვეულ რეგიონებში და გარკველ ჯიშებზე) დადებით ზეგავლენასაც მოახდენს (სხვა რეგიონებისათვის ან სხვა ჯიშებისათვის), ან და მშენებლობის შედეგად წარმოიქმნება თევზის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ახალი წყალსაცავები, ეს ფაქტორი აგრეთვე გაითვალისწინება მოსალოდნელი ზარალის შეფასების დროს და სარენი თევზის მარაგის შენარჩუნება-წარმოების ღონისძიებების დაგეგმარების დროს.

თევზის მარაგის ზარალის შესაფასებლად აუცილებელია გვქონდეს მონაცემები დაგეგმილი სამეურნეო ღონისძიებების თევზის გამრავლების ხასიათზე და ინტენსივობაზე, ჰიდროლოგიური მდგომარეობა, და აგრეთვე წყალსატევების თევზის პროდუქტიულობაზე და მის ფორმირებაზე. საპროექტო ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების, დაგეგმილი სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის საფუძველზე ვლინდება წყალსაცავზე მოქმედი უარყოფითი ზემოქმედების სპეციფიკა. ეს ზემოქმედებები იყოფა 4 ჯგუფად: **დროის მიხედვით** (დროებითი და მუდმივი), **ადგილის მიხედვით** (ლოკალური და საერთო), **ინტენსივობის მიხედვით** (ნაწილობრივი და სრული), **ხასიათის მიხედვით** (პირდაპირი და ირიბი).

წყლის ინტეგრირებული მართვის დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თევზის მეურნეობას, როგორც წყალმოსარგებლებს. თევზი ძალიან მომთხოვნია წყლის ხარისხისადმი, წყალსატევების გაჭუჭყიანება ჩამდინარე წყლების მცირე რაოდენობითაც კი ძლიერ გავლენას ახდენს მის სიცოცხლისუნარიანობაზე. თევზის ნორმალურად არსებობა და გამრავლება მოითხოვს წყლის სათანადო სიღრმესა და ტემპერატურას, აუცილებელ საკვებ ბაზას და ჟანგბადის საკმარის რაოდენობას.

თევზის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია ტბორების მოწყობა, რაც საქართველოში 1933 წლიდან დაიწყო (სოფ. ჯაპანა, ლანჩჩუთის რაიონი). მის შემდეგ შეიქმნა ნაქალაქევის, ქვემო მაღლაკის, კახაბრის, საგარეჯოს, სიღნაღის, ერწოს და სხვა სატბორე მეურნეობები. აღსანიშნავია, გუდაუთის რაიონში მდ. შავნწყალაზე შექმნილი საკალმახე მეურნეობა. ხელოვნურად მოწყობილ ტბორებში კალმახის პროდუქტიულობა 50-ჯერ და ზოგიერთ პირობებში 100-ჯერაც აღემატება მდინარის კალმახის პროდუქტიულობას. მრავლად არის აგრეთვე მცირე კერძო სატბორე მეურნეობებიც. საქართველოში ხელოვნურად შექმნილი ტბორების ფართობი 500 ჰექტარს აღემატება.

საქართველოში ტბებისა და წყალსაცავების საერთო ფართობის 50%-ზე მეტი თევზის მეურნეობისათვისაა გამოყენებული; ხოლო მდინარეთა საერთო სიგრძიდან მხოლოდ 250 კმ.

წყალსატევებზე ჰიდროკვანძების მშენებლობისას და მდინარის წყლის წყალსაცავებით რეგულირების დროს მნიშვნელოვნად იცვლება თევზების განვითარების პირობები, განსაკუთრებით გამტარი და ნახევრადგამტარი ჯიშებისათვის, რომლებიც ქვირითობისთვის მიგრირებენ მდინარეთა ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფისკენ. ისინი ნაკადის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადიან ასობით და ათასობით კილომეტრს, რათა მიაღწიონ სასურველ გარემოს გამრავლებისთვის. ორაგულისებრთა ჯიშის თევზები მოძრაობენ 3 მ/წმ-მდე სიჩქარით, ზუთხისებრი ჯიშის თევზები ახორციელებენ $1,2 \div 1,4$ მ/წმ სიჩქარეს, მას მოჰყვებიან კობრი, გოჭა, კაპარჭანა, ქორჭილა, ნაფოტა და სხვა თევზები სიჩქარით $0,6 \div 1,2$ მ/წმ.

4.7. წყლის ტრანსპორტი და ხე-ტყის დაცურება

წყლის რესურსების მენეჯმენტში წყლის ტრანსპორტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. იგი წარმოადგენს წყალმოსარგებლეს, რომელიც წყლის წყაროს იყენებს მისი რაოდენობის და ხარისხის ცვლილების გარეშე. მაგრამ ამავე დროს ზარალს აყენებს ჰიდროენერგეტიკას და სხვა წყალმომხმარებლებს გემთასვლისთვის საჭირო რაოდენობის წყლის წყალსატევიდან გაშვების გამო.

წყლის ტრანსპორტს კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იყენებს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ადამიანები ზღვას იყენებდნენ, როგორც სატრანსპორტო საშუალებას და მდინარეებს, როგორც შიდასანაოსნო გზებს.

წყლის გზები პირობითად იყოფა **გარე (ზღვები, ოკეანები)** და **შიდა (მდინარეები) გზებად**. თავის მხრივ შიდა წყლის გზები განსხვავდებიან ბუნებრივ (მდინარეები, ტბები) და ხელოვნურ (გემთასავალი არხები, დარაბული მდინარეები და წყალსაცავები) საწყლოსნო გზებად.

საწყლოსნო გზები აგრეთვე დაყოფილია გამოყენების მიხედვით: **გემთსავალი, ხე-ტყის დასაცურებელი და გემთასვალ-საირიგაციო სისტემები**. დანიშნულების მიხედვით: **შემაერთებელი, მომვლელი და მიმყვანი არხები**.

შემაერთებელი არხების მიზანია ტრანზიტული საწყლოსნო გზის შექმნა ცალკეულ წყლის სიტემებს შორის. **მომვლელი არხებით** ხდება გემების გატარება მდინარეზე აშენებული კაშხლის გვერდითი შემოვლით. **მიმყვან არხებს** აშენებენ გემთსავალი მდინარეების ან ტრანზიტული გემთსავალი არხების საზღვაო ნავსადგომებთან დასაკავშირებლად.

ნაოსნობისთვის განკუთვნილი მდინარე (არხი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: 1. წყალმცირობის დროს მდინარეს უნდა ჰქონდეს ნაოსნობისთვის საკმარისი მინიმალური სიგრძის უწყვეტი ზოლი (ფარვატერი), მისი სიგანე საკმარისი უნდა იყოს გემების გვერდაქცევისათვის, ხოლო მოხვევის რადიუსი გემებს თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. 2. მდინარეში არსებული ნაგებობები არ უნდა ზღუდავდეს მასში გემების მოძრაობას. 3. მდინარის წყლის დინების სიჩქარე ხელს არ უნდა უშლიდეს დინების საწინააღმდეგოდ გემების მოძრაობას. 4. წყალმცირეობის პერიოდში მდინარის წყლის სიღრმეები საკმარისი უნდა იყოს ნავიგაციის ნორმალურად წარმართვისათვის. 5. ფარვატერის ზოლში მდინარის კალაპოტი ჩახერგილი არ უნდა იყოს.

ყველა ამ მოთხოვნას მეტნაკლებად შეიძლება აკმაყოფილებდეს მდინარის ქვედა უბნები, რომელთაც ბუნებრივ (თავისუფალ) პირობებში იყენებენ სანაოსნოდ. მდინარეთა სხვა უბნების სანაოსნო გამოყენებისათვის უმეტესად საჭიროა მდინარეთა დარაბვა, რაც გულისხმობს მდინარის სიგრძეზე კაშხლების აშენების გზით ცალკეული ღრმანწყლიანი ბიეფის შექმნას.


ასეთ შემთხვევაში კაშხლების სიმაღლეები და განლაგება მდინარის სიგრძეზე ისეთნაირად უნდა შეირჩეს, რომ ქვედა კაშხლის მიერ წარმოქმნილი შეტბორვის ზედაპირი ვრცელდებოდეს ზედა კაშხლამდე და ამავე დროს ყოველი კაშხლის ქვედა ბიეფში წყლის სიღრმე საკმარისი იყოს ნაოსნობისთვის.

ტრანსპორტის ყველა სახეობიდან წყლის ტრანსპორტი ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომელმაც დღესაც არ დაკარგა თავისი აქტუალობა მისი სიიაფისა და მზარდი ტვირთვადაზიდვების გამო - თანამედროვე ზღვის ტანკერებს ერთი გადაზიდვით დაახლოებით 0,5 მლნ. ტონა ნავთი გადააქვს.

შიდა წყლების ტრანსპორტი, თუ კი ქვეყნის გეოგრაფიულ-რელიეფური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, ძირითადად გამოყენებულია მძიმე ტონაშიანი ტვირთვის - ქვანახშირის, ნავთობის, ხე-ტყის, მარცვლეულის, სამშენებლო მასალების ფიდ მანძილებზე გადასაზიდად.

სამდინარო ტრანსპორტი ძირითადად იყენებს ბუნებრივი წყლების გზებს - მდინარეებს და ტბებს, მაგრამ ბოლო დროს, ყოველწლიურად იზრდება ამ გზებში წყალსაცავების, არხების და მდინარეთა რაბებიანი უბნების ჩართვა. ჩამონადენის

რეგულირება და წყლის აკუმულაცია ხელსაყრელ პირობებს ქმნიან წყლის ტრანსპორტისათვის ჰიდროკვანძის ზედა ბიეფში. იქმნება ტრანზიტული ნაოსნობისთვის სიღრმეები, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა დიდტონაჟიანი გემების გადაადგილებისთვის.



**ნახაზი 4.2. გემთასავალი მდინარის კასკადზე
ჰიდროკვანძების განთავსება**

არსებობს მაგისტრალური სამდინარო გზები, მათ შორის სახელმწიფოთაშორისო გადაზიდვების, სარაიონთაშორისო და ადგილობრივი შიდასარაიონო მიმოსვლისა და გადაზიდვისთვის.

ხე-ტყის დაცურება ისევე, როგორც ნაოსნობა წყლის ხარისხზე მოთხოვნებს არ აყენებს, მაგრამ თვითონ წარმოადგენს წყლის არტერიების დაბინძურების წყაროს, რაც დიდ ზიანს აყენებს სხვა წყალმოსარგებლებს, განსაკუთრებით კი თევზის მეურნეობას.

წყლის ტრანსპორტის გადაზიდვა 2,5-3-ჯერ იაფია სარკინიგზო გადაზიდვასთან და 10-15-ჯერ - ავტომობილებით გადაზიდვასთან შედარებით.

წყლის ობიექტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს წარმოადგენს გემთასავალი სიღრმეების უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სატრანსპორტო მაგისტრალის კატეგორიაზე.

საწყლო გზების სიღრმეები კატეგორიასთან დამოკიდებულებაში (მ)

ცხრილი 4.7.

გემთსავალის სიღრმე	საწყლო გზის კატეგორია			
	I (ზემოაღისტრალი)	II (ზაგისტრალი)	III (აღმოსავალისავენერალისტრალი)	IV (ზემოპატიას მლინისავენერალისტრალი)
მინიმალური გარანტირებული	> 2	1-0÷2-6	0-6÷1-4	0-45÷0-8
გამოსაყენებელი ფლოტისთვის და ნავიგაციისთვის	> 3	1-65÷3	1÷1-65	≤1

დაურეგულირებელ მდინარეებზე აუცილებელ სიღრმეს აღწევენ ფსკერ-ჩამაღრმავებული სამუშაოების ჩატარებით და კალაპოტის გაწმენდით.

წყალმოთხოვნილება დარაბვაზე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით

$$W = vn, \quad (4.15.)$$

სადაც: v არის რაბის კამერის მოცულობა (მ^3);
 n — დარაბვის რაოდენობა დროის მოცემულ ინტერვალში.

ამ დროს ენერგიის დანაკარგი იანგარიშება დამოკიდებულებით

$$\Theta = \frac{W \cdot H \cdot \eta_0}{367}, \quad (4.16.)$$

სადაც: H არის ჰიდროკვანძის დაწნევა;
 η_0 — ჰესის აგრეგატების მ.ქ.კ., რომელიც იცვლება $0,8 \div 0,9$ დია-კაზონში.

მაგალითად 30 მ-იანი დაწნევის მქონე ჰიდროკვანძებზე დღე-ლამის განმავლობაში 20-ჯერ დარაბვის შემთხვევაში, როდესაც რაბის კამერის გეგმური ზომები $150 \times 18 \text{ მ-ია}$ ენერგიის დღე-ლამური დანაკარგი 120 ათას კვ.სთ. შეადგენს; ხოლო ნავიგაციის პერიოდში -10 მლნ.კვტ.სთ. და მეტს.

კითხვები

1. რას გულისხმობს წყლის გამოყენების თანაბარზომიერება?
2. რაზეა დამოკიდებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმომარაგების ნორმები?
3. რას მოიცავს წყალმოთხოვნილება სოფლის მეურნეობაში?
4. საქართველოს ძირითადი სარწყავი სისტემები და მათი მახასიათებლები.
5. წყალმომარაგების სისტემები და მისი მახასიათებლები.
6. ტერიტორიის გაწყლოვანების ძირითადი ფორმები.
7. საწარმოო პროცესის დროს წყლის გამოყენების ფორმები.
8. კუთრი წყალმოხმარება და წყალმოხმარების სქემები.
9. სრული წყალმოთხოვნილების, ახალი წყლის და დაბრუნებული წყლის მოცულობების ანგარიში.
10. საწარმოში წყლის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები და დაბინძურების სახეები.
11. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტერიტორიული განაწილება და ენერგო-სისტემის ძირითადი მახასიათებლები.
12. რეკრეაცია, როგორც წ.ს.კ-ს მონაწილე.
13. საქართველოს ძირითადი რეკრეაციული ზონები.
14. წყალსატევების რეკრეაციული ღირებულება.
15. თევზგამტარი ნაგებობების ჯგუფები.
16. საქართველოს თევზის მეურნეობა.
17. წყლის ტრანსპორტი და წყლის გზების კლასიფიკაცია.
18. ნაოსნობისთვის განკუთვნილი მდინარეების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.
19. წყალმოთხოვნილება დარაბვაზე.

ლიტერატურა

1. გაბუნია ი. საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა. თბილისი, 1996.
2. მოწონელიძე ნ. ჰიდროტექნიკური ნაგებობები. განათლება, თბილისი, 1982.
3. ნათიშვილი ო. ჰიდრავლიკა. "განათლება", თბილისი, 1996.

4. **ტულუში გ.** სახოფლო სამეურნეო კულტურების მორნყვის წესები და მათი სრულყოფის გზები. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1986.
5. **ფანჩულიძე ჯ., ტყეშელაშვილი ზ.** წყლის რესურსები და წყალთა მეურნეობა. პრაქტიკული ჰიდრომელიორაცია, თბილისი, 1986.
6. **ლოლობერიძე მ.** წყლის ეკოსისტემების დაცვა და რაციონალური გამოყენება. მეცნიერება, თბილისი, 1992.
7. **ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ.** წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
8. **ყრუაშვილი ი., მირცხულავა დ., ნაკანი დ., კუპრავიშვილი მ.** წყლის რესურსების ერგომატიკური გამოყენება და დაცვა. საქართველოს განათლების სამინისტრო, სსაუ, თბილისი, 2000.
9. **ჩიკვაშვილი ბ.** ჰიდროტექნიკური ნაგებობები. "განათლება", თბილისი, 1989.
10. **ჩომახიძე დ.** საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი, 2002.
11. **ჩომახიძე ი.** საქართველოს ენერგეტიკული რესურსები და მათი ათვისება. სახ-ელმძღვანელო. სტუ. თბილისი, 2006.
12. **Andrew A. Dzurik.** *Water Resources Planning*. 3rd edition, Rowman & Littlefield Publishers, Inc., Savage, Maryland, 2002.
13. **Alvin S. Goodman.** *Water Resources Planning*. Prentice Hall Inc., Englewood Cliffs, New Jersey, 1984.
14. **Dunne T., Leopold L.B.** *Water in Environmental Planning*, W.H. Freeman and Company, New York, 1978.
15. **Cech, Thomas V.** *Principles of Water Resources: History, Development, Management, and Policy*. Second Edition, John Wiley and Sons, 2005.
16. **Daniel P. Loucks, Eelco van Beek.** *Water Resources Systems Planning and Management: An Introduction to Methods, Models and Applications*. UNESCO Publishing, 2005.
17. **Gulliver J. S., and R. E. A. Arndt,** *Hydropower Engineering Handbook*, McGraw-Hill, New York, 1991.
18. **Larry W. Mays.** *Water resources Engineering*. Printed in the United State of America, 2005.
19. **Larry W. Mays.** *Water Resource Systems Management Tools*, McGraw-Hill Professional Engineering. Civil Engineering, McGraw-Hill Professional; 1 edition, 2004.
20. **Margaret S. Peterson.** *Water Resources Planning and Development*. Prentice Hall Inc., Englewood Cliffs, New Jersey, 1984.
21. **Neil S. Grigg.** *Water Resources Management*. McGraw-Hill Book Co., New York, 1996.
22. **Roberson J. A., Cassidy J. J. and Chaudhry M. H.** *Hydraulic Engineering*. Second Edition, John Wiley & Sons, New York, 1998.
23. **Rodolfo Soncini-Sessa, Andrea Castelletti, Enrico Weber.** *Integrated and Participatory Water Resources Management – Theory*. Elsevier Science, 2007.
24. **Svendsen M., Merrey D. J., Shah T.** *Irrigation and River Basin Management: Options for Governance and Institutions*, CABI; 1 edition 2005.
25. **Zhen-Gang Ji.** *Hydrodynamics and Water Quality: Modeling Rivers, Lakes, and Estuaries*, Wiley-Interscience, 2008.
26. **Водоснабжение. Вodoотведение. Оборудование и технологии:** Справочник, Издательство: "СтройИнформ", 2006.
27. **Воронов Ю.В., Алексеев Е.В., Саломеев В. П. и др.** *Вodoотведение*. Издательство: "ИНФРА-М", 2008.
28. **Жимерин Д.Г.** *Проблемы развития энергетики*.— М.: Энергия, 1978.

29. **Замахаев В.С.** *Использование воды в народном хозяйстве*, Издательство «Энергия»
Москва, 1973.
30. **Золотарев Т.Л.** *Гидроэнергетика Ч.1.* Типография Госэнергоиздата. Москва, 1950.
31. **Ковалев Н.Н.** *Проектирование гидротурбин:* Учебное пособие для студентов
вузов, - Л.: Машиностроение, 1974.
32. **Мироненко В.А., Румынин В.Г.** *Проблемы гидрогеоэкологии:* в 3 томах,
"Издательство МГТУ", 2002.
33. **Мирцхулава Ц.Е.** *Аварии: уроки, прогноз, меры по безопасному функционированию
объектов гидротехники.* Минводхоз СССР, 1990.
34. **Недрича В.П.** *Гидротехнические сооружения. Справочник проектировщика.* М.
1983.
35. **Обрезков В.И.** *Гидроэнергетика*, Энергоиздат, 1981.
36. **Пономарев С.В., Лагуткина Л.Ю.** *Фермерское рыбоводство.* Издательство:
"Колос", 2008.
37. **Терентьев В.И.** *Инженерные системы безопасного водоснабжения и
водоотведения городов и населенных мест.* Л., 2002.
38. **Трушина Т.П.** *Экологические основы природопользования.* Издательство: "Феникс",
2007.

3ებ გვერდები

1. www.environment.gov.au
2. www.awra.org
3. www.usaid.gov
4. www.fugrowthwaterservices.com
5. www.fao.org
6. www.garemo.itdc.ge
7. www.minenergy.gov.ge
8. www.gse.com.ge
9. www.adpcc.org.ge
10. www.fao.org
11. www.adpcc.org.ge

თავი 5. მორფზოთი მაღიორაცია

სოფლის მეურნებაში წყლის რესურსების მენეჯმენტი ძირითადად დაკავშირებულია მორნყვით მელიორაციასთან, რომელიც ხშირ შემთხვევაში გავრცელებულია წყლის დეფიციტის მქონე ტერიტორიაზე. ამიტომ, მორნყვითი მელიორაციის განვითარების დროს აუცილებელია რესურსდამზოგი, კერძოდ კი, წყლის დამზოგი ტექნოლოგიების განვითარება. წყლის ნორმირებული გამოყენებისათვის საჭიროა რწყვის რეჟიმის და ტექნიკის სწორი შერჩევა.

ნინამდებარე თავში განხილულია სარწყავი სისტემის შემადგენელი ელემენტები, ზედაპირული რწყვის წესები მისი ელემენტების შერჩევის პრინციპები. მოცემულია ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის რწყვის რეკომენდაციები.

5.1. სარწყავი სისტემის შემადგენელი ელემენტები


მუდმივმოქმედი სარწყავი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა რეგულარურად, ყოველ პრიორული საჭირო რაოდენობის სარწყავი წყალი მივაწყდოთ ფართობს შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან (ნახ № 5.1.):

1. **სარწყავი სისტემის მკვებავი წყაროსაგან** (მდინარე, ტბა, წყალსცავი, გრუნტის წყლების კატასუ);
2. **სათავე (წყალმიმღები)** ნაგებობისაგან, რომელიც საშუალებას იძლევა მკვებავი წყაროდან მორნყვისათვის საჭირო რაოდენობის წყალი ავილოთ წყალსარგებლობის გეგმით დაწესებულ ვადებში;
3. **მთავარი (მაგისტრალური) სარწყავი არხისაგან**, რომელიც სათავე ნაგებობიდან უშუალოდ ღებულობს წყალს და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

 - **უქმი ნაწილი** - სათავე ნაგებობიდან პირველ გამანაწილებლამდე;
 - **მოქმედი ნაწილი**, საიდანაც გამოდის გამანაწილებელი არხები, რომლებიც სარწყავ წყალს აწვდიან ნაკვეთებს.

4. **გამანაწილებელი არხებისაგან**, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან:

 - **სამეურნეობათაშორისო**, რომლებიც წყალს ანაწილებენ მეურნეობებს შორის;
 - **სამეურნეო**, რომლებიც წყალს აწვდიან თითოეული მეურნეობას, ან თუ მეურნეობა დიდია ცალკეულ სარწყავ უბნებს;
 - **შიდასამეურნეო** - წყალს აწვდის მეურნეობის შიგნით ცალკეულ სარწყავ უბნებს.



ნახ.5.1. სარწყავი სისტემის ქსელი: 1 – სათავე ნაგებობა მდინარეზე; 2 – მაგისტრალური არხი; 3 – სამეურნეობათაშორისო განმანაწილებელი არხი; 4 – სამეურნეო განმანაწილებლები; 5 – შიდასამეურნეო განმანაწილებლები; 6 – დროებითი სარწყავი ქსელი; 7 – სარწყავი კელები; 8 – პიდროტექნიკური ნაგებობების ქვანი; 9 – წყალგამშენებები.

5. **დროებითი სარწყავი ქსელისაგან**, რომელიც შედგება ყოველწლიურად გასაყვანი მრწყველების, გამომყვანი და სარწყავი კვლებისა ან ზოლებისაგან. ამ წვრილი ქსელის საშუალებით ხდება ნიადაგის წყლის რეჟიმის რეგულირება და ამიტომ მას მარეგულირებელი ქსელი ენოდება. ეს ქსელი დროებითია, ვინაიდან ყოველწლიურად საჭიროებს აღდგენას თესვის დამთავრებისთანავე.

დაწვიმებითი რწყვის დროს მარეგულირებელი ქსელი შედგება სტაციონალური ან გადასატანი მილებისა და მოძრავი საწვიმარი აგრეგატებისაგან, ნიადაგებება რწყვის დროს კი მინაში ჩაწყობილი მილსადენებისაგან;

6. **წყალშემკრებ-წყალსაგდები ქსელისაგან**, რომლის დანიშნულებაა ზედმეტი წყალი შეაგროვოს და მოაცილოს სარწყავ ფართობს. ეს ქსელი წყლის უკეთ შეკრების მიზნით განლაგებულია ჩადაბლებულ ადგილებში;

7. **პიდროტექნიკური ნაგებობებისაგან**, სისტემაში წყლის მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

8. **საექსპლუატაციო ნაგებობები - გზები, კავშირის საშუალებები, სამსახურეობრივი ნაგებობები და სხვა;**

ცხადია, მთელი სარწყავი სისტემა ემსახურება ნიადაგში სათანადო წყლის რეჟიმის შექმნას, მაგრამ მაგისტრალური და გამანაწილებელი არხების მოქმედების პრინციპი განსხვავდება სარწყავ-მარეგულირებელი ქსელის მუშაობისაგან.

სარწყავ სისტემას ეწოდება **თვითდინებითი** - როდესაც მკვებავი წყაროდან წყლის მიღება თვითდინებით ხდება და **მექანიკური**, როდესაც წყალი ტუმბოებით აიღება.

კონსტრუქციის მიხედვით სარწყავი სისტემები სამი ტიპისაა: **ლია, დახურული** და **კომბინირებული**. ლია სარწყავი სისტემების გამტარი სარწყავი ქსელი შედგება გრუნტებში გაყვანილი ლია კალაპოტიანი არხებისაგან ან მიწის ზემოთ განლაგებული რკინბეტონის ლარისებური არხებისაგან. დახურულ სარწყავ სისტემებში არხები შეცვლილია დაწევიანი ან უდაწენეო მილსადენებით; კომბინირებულ სარწყავ სისტემებში ჩვეულებრივ მსხვილი სარწყავი ქსელი არხებითაა განხორციელებული, წვრილი კი - მილსადენებით.

ლია სარწყავი სისტემის გამტარ, ან მუდმივ ქსელში გაერთიანებულია: მაგისტრალური არხი, რომელიც სათავიდან მიღებულ წყალს გადასცემს ე.წ. პირველი რიგის განმანაწილებლებს, შემდეგ თავის მხრივ, ე.წ. მეორე რიგის განმანაწილებლებს და ა.შ.

უკანასკნელი რიგის განმანაწილებელს **საუბრო არხი** ეწოდება, ხოლო იმ ფართობს, რომელსაც ემსახურება ეს არხი - **სარწყავი უბანი**.

დახურული სარწყავი სისტემის გამტარი ქსელი, ანალოგიურად შედგება მაგისტრალური და განმანაწილებელი მილსადენებისაგან.

წყალმიმყვანი მაგისტრალური და გამანაწილებელი არხები სისტემის მუდმივი არხებია, რომელთა დანიშნულებაა სარწყავი წყაროდან წყალი მიაწოდონ მთელ ფართობს და გაანაწილონ იგი მეურნეობებს შორის. აქედან გამომდინარე, წყალმიმყვანი არხები თავისი გამტარუნარიანობითა და ზომებით რამდენიმე რიგისაა. ისინი რწყვის პერიოდის მთელ მანძილზე განუწყვეტლივ მოქმედებენ.

სარწყავ-მარეგულირებელი ქსელი დროებითი ხასიათისაა. იგი უშუალოდ სარწყავ ფართობზე არეგულირებს ნიადაგის ტენიანობას, მაგრამ მოქმედებს პერიოდულად მოკლე ტაქტით.

დახურულ სარწყავ სისტემაში დროებითი სარწყავი არხები და გამომყვანი კვლები ჩვეულებრივ შეცვლილია მიწისქვემა ან გადასატანი მილსადენით, შლანგებით და სხვა.

მარეგულირებელი ქსელის დანიშნულებას როგორც ლია, ასევე დახურულ სარწყავ სისტემებში შეიძლება ასრულებდნენ სარწყავი მანქანები, დასაწვიმი დანადგარები, აგრეგატები, მანქანები და სხვ.

5.2. ზედაპირული-თვითდინებითი რწყვა

რწყვის წესები და მისი ელემენტების შერჩევა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თავისებურებაზე, ნიადაგურ, რელიეფურ, ჰიდროგეოლოგიურ, კლიმატურ და ორგანიზაციულ-სამეურნეო პირობებზე, ე.ი.:

- ნიადაგში წყლის ფილტრაციის სიჩქარეზე;
- სარწყავი ნაკვეთის ზედაპირის რელიეფსა და ქანობზე;
- მინდვრის ზედაპირის მიკრო-რელიეფზე;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის საშუალებებზე;
- ნიადაგის დამლაშების ხარისხზე;
- გრუნტის წყლების მდგომარეობის დონეზე, მათი მინერალურიზაციის ხარისხზე;
- ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ზედაპირული რწყვა შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსარწყავად, ძირითადად მძიმე და საშუალო მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე და ისეთ ფართობებზე, რომელთა ქანობი არ აღემატება 0.03. ამ წესით რწყვის წარმოებისას ნიადაგი ტექნიკური მოსარწყავი ფართობის ზედაპირზე თვითდინებით განაწილებული წყლის ნიადაგში ჩაუინვით.

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, ზედაპირული რწყვა, ნიადაგის ზედაპირზე წყლის განაწილების ტექნიკის და ნიადაგში გავრცელების ხასიათის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. ჰორიზონტალური ფილტრაციით, ანუ გვერდითი გაუზოვით;
2. ვერტიკალური ფილტრაციით.

5.2.1. რწყვა ჰორიზონტალური ფილტრაციით

რწყვა ჰორიზონტალური ფილტრაციით ჩატარების დროს სარწყავი წყალი ნაწილება წინასწარ დამზადებულ სარწყავ კვლებში და ნიადაგში ჩასული წყალი ვრცელდება ყველა მიმართულებით ნიადაგის კაპილარების საშუალებით, რის შედეგადაც სარწყავი წყლის უარყოფითი მოქმედება ნიადაგის თვისებებზე მინიმუმამდე მცირდება. რწყვის აღნიშნული წესის გამოყენება შესაძლებელია მძიმე და საშუალო მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში.

ასეთი წესით რწყვას გააჩნია შემდეგი დადგებითი მხარეები:

1. რწყვის შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენა, ზედაპირზე ქერქის გაჩენა, აქ მინიმუმადეა დაყვანილი. ქერქი ჩნდება მხოლოდ კვლებში, რომელთა დამუშავება გაცილებით ნაკლებ ძალას მოითხოვს; ფართობის უმეტესი ნაწილი ფხვიერ მდგომარეობაში რჩება, რაც ხელს უწყობს მცენარეთა ფესვების მიერ ჰაერით ნორმალურ სარგებლობას;
2. ნიადაგში ჩასული წყალი ფართობის უმეტეს ნაწილში ვრცელდება გვერდითი მიმართულებით. ნიადაგის კაპილარული თვისებების გამო წყალი გროვდება კაპილარულ ფორმაში, ხოლო არაკაპილარული ფორმები ჰაერს უკავია. გრავიტაციული წყლის მოძრაობა, შედარებით, მცირე არეს შეეხება და, ამიტომ, წყლის უარყოფითი გავლენა ნიადაგის თვისებებზე მინიმუმამდეა დაყვანილი;
3. მორწყვის ნორმა მინიმუმამდე მცირდება და სარწყავი წყლის გამოყენების კოეფიციენტი მაქსიმალურია.

არსებობს კვლებში მორწყვის რამდენიმე სახე: კვალში მიშვებით, კვალში დატბორვით, გამოთესილი კვლით, ირიბი, კონტურული და ნაპრალიანი კვლებით.

რწყვა კვალში მიშვებით გამოიყენება 0.001-0.02 ქანობის მქონე ფართობებზე, როცა ნათესი ან ნარგავი მწკრივში გვაქვს. სარწყავი კვლები მზადდება კულტივატორებით, რომლებიც დამატებით მარაგდებიან კვალმკეთებლებით. ნიადაგური, რელიეფური პირობების და მცენარეთა მწკრივებს შორის არსებული მანძილის მიხედვით სარწყავი კვლების პარამეტრები ასე უნდა შეირჩეს: სილრმე - 10-25 სმ., ზედა განი - 30-35

სმ., სიგრძე, საქართველოს პირობებში საშუალოდ, 60-120 მეტრი, კვლებს შორის დაცილება - 0.6-1.0მ, კვლის ხარჯის სიდიდე 0.2-2.0 ლ/წმ-ს ფარგლებშია, ხოლო კვალში წყლის მოძრაობის დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე - 0.2 მ/წმ.

რეკომენდაციები სარწყავი კვლის სიგრძისა და ხარჯის შესარჩევად ცხრილი 5.1.

ნიადაგი	ქანობი	კვლის სიგრძე, მ		კვლის ხარჯი ლ/წმ
		მოსწორებულზე	მოუსწორებულზე	
ძლიერი წყალ-გამტარი	<0.002	80-100	60-80	1.0-1.5
	0.002-0.008	120-150	100-120	1.2-2.0
	0.008-0.015	100-120	60-80	0.7-1.2
	0.015-0.02	80-100	50-60	0.3-0.6
საშუალო წყალ-გამტარი	<0.002	120-150	100-120	1.0-1.2
	0.002-0.008	200-250	120-150	1.2-2.0
	0.008-0.015	150-200	80-100	0.6-1.0
	0.015-0.02	100-120	60-80	0.4-0.6
სუსტი წყალგამტარი	<0.002	150-200	120-150	0.8-1.6
	0.002-0.008	250-300	150-200	0.6-1.0
	0.008-0.015	200-250	100-120	0.5-0.8
	0.015-0.02	100-150	80-100	0.3-0.5

როდესაც განსაზღვრულია კვალში გასაშვები ნაკადის (ჭავლის) სიდიდე, შეგვიძლია განვსაზღვროთ რწყვის ტექნიკის კიდევ ერთი ელემენტი რწყვის ხანგრძლივობა საათებში (*t*)

$$t = \frac{mF}{q}, \quad (5.1.)$$

სადაც: *q* არის კვალის ხარჯი, ლ/წმ;

m – რწყვის ნორმა, მ³/ჰა;

F – ფართობი, მ².

რწყვა კვალში დატბორვით გამოიყენება < 0.001 ქანობის მქონე ფართობზე: კვლები კეთდება სილრმით 20-30 სმ-ით, სიგრძით საშუალოდ 40-80 მეტრი. აქ კვლის ხარჯი 1.5-3.0 ლ/წმ და შეიძლება მეტიც იყოს. კვალს ბოლო შეკრული უნდა ჰქონდეს, ამიტომ ამ წესს შეკრული კვლებით რწყვა ეწოდება.

ამ წესის დადებითი მხარეა წყლის ადვილი განაწილება, ვინაიდან ხარჯი დიდია და ერთდროულად კვალთა ნაკლები რაოდენობა ირწყვება.

რწყვა გამოთხესილი კვლით გამოიყენება ვიწრომწოდივიან ნათესებში. სარწყავი კვლების დასამზადებლად სათესის გამომთესი ნაწილის წინ, სათესის ჩარჩოზე მიმაგრებულია კვალმკეთებელი, რომელიც კვალს ატარებს ერთიმეორისაგან 70-80 სმ დაშორებით. ერთდროულად მიმდინარეობს როგორც თესვა, ისე კვლების დამზადება და ითესება როგორც კვალთაშორის ფართობი, ისე კვლებიც.

ხშირად როდესაც ფართობის დახრილობა 0.03-0.05 შორისაა, ირიგაციული ეროზის თავიდან აცილების მიზნით კვლები უნდა გატარდეს არა ძირითადი ქანობის მიმართულებით, არამედ ირიბად, რწყვისათვის დასაშვები ქანობით, რომლის სიდიდეც დაახლოებით 0.01 უნდა იყოს.

კონტურული რწყვა - მრავალწლიანი ნარგავების ციცაბო ფართობებზე გაშენების შემთხვევაში რწყვას ჰორიზონტალურების გასწვრივ გაჭრილ ღრმა და გრძელ კვლებში ატარებენ. კონტურული კვალის ქანობი ფერდობის მაქსიმალური ქანობის გათვალისწინებით წინასწარ იანგარიშება. გეგმაზე შეირჩევა ამ კვლების მიმართულება და ამ მიმართულებით დაირგვება ხეხილი ან ვენაზი. კონტურული კვლის სილრმე შეიძლება

იყოს, 20-25 სმ, სიგრძე - 250-300 მეტრამდე რელიეფის და მიკრორელიეფის მიხედვით, ხარჯი 1.5-2 ლ/წმ-მდე. ქანობი დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ და წყლოვან-ფიზიკურ თვისებებზე და ფერდობის მაქსიმალურ ქანობზე. კონტურული რწყვის ჩატარების აუცილებელი პირობაა შიდასამეურნეო ქსელის უკანასკნელი რიგის (საუბნო) განმანანილებელი იყოს დახურული მილსადენი და კონტურულ კვალშიც წყალი გადა-სატანი ან სტაციონალური სარწყავი მილსადენებით მიეწოდოს.

რწყვა ნაპრალიანი კვლებით გამოიყენება რთული რელიეფის მქონე ფართობებზე, მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, რომლებიც მცირე წყალუონვადობით ხასიათდებიან და კარგ შედეგს გვაძლევენ, გრძელ სარწყავ კვლებზე რწყვის ეს წე-სი განსაკუთრებით კარგია ძველ სარწყავ ნიადაგებზე, რომელთა ქვემოსახნავი ფენები ძლიერ გაჯირჯვებული და ცუდი წყალგამტარია.

ნაპრალიანი სარწყავი კვლების ფსკერზე კეთდება 35 მმ სიგანის ნაპრალი, რი-თაც კვლის საერთო სილრმე 35-40 სმ-მდე იზრდება.

5.2.2. რწყვა ვერტიკალური ფილტრაციით

რწყვა ვერტიკალური ფილტრაციით - სარწყავი მოედნის მთელ სიგანეზე ერთ-დროულად ხდება, რაც ნიადაგის თვისებებზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ რწყვის ამ წესის გამოყენება მიზანშენონილია ძირითადად მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, ვიწრო მწერივებიან ნათესებში. მძიმე და სამუალო მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, როგორც გამონაკლისს, ამავე წესის იყენებენ.

არსებობს ვერტიკალური ფილტრაციის რწყვის ორი სახე: **რწყვა მოღვარვით ად-გილმდებარეობის 0.01-0.03 დახრილობის შემთხვევაში** და **რწყვა მთლიანი დატბორვით < 0.01 დახრილობის შემთხვევაში.**

რწყვა ჩვეულებრივი მოღვარვით - რწყვის ამ წესის გამოყენების დროს ფართობი იყოფა სარწყავ მცირე მოედნებად ფართობის სიგრძესა და სიგანეზე არხსათხრელის გატარებით. სიგრძეზე გატარებული კვლით ფართობი იყოფა 5-12 მ სიგანის გრძივ ზოლებად, ხოლო 60-100 მეტრი დაცილებით გატარებული განივი კვლებით, რომლებიც იგივე გამყვანი კვლებია, გამოიყოფა სარწყავი მოედანი, რომელიც ოთხივე მხრივ შემოსაზღვრულია თხრილითა და ბექობით. რწყვის ჩასატარებლად მრწყველს წყალი მი-ჰყავს განივი, ანუ გამყვანი კვლის ბოლომდე პირველ სარწყავ მოედნამდე, გახსნის კვლის ქვედა გვერდს ორ სამ ადგილას, გადაუშვებს წყალს, ანაწილებს მოედნის მთელ განზე, მიუძღვის წინ და ცდილობს წყლის თანაბარი დინების შექმნას მოედნის მთელ სიგრძეზე.

რწყვა ქართლური მოღვარვით - სარწყავ მოედანზე მიშვებული რწყვის ნაკადს მრწყველი მიუძღვის რა, ანაწილებს რწყვის პროცესშივე ბარით სწრაფად დამზადებულ კასრებში - წვრილ კვლებში, ამგვარად, ფართობის დიდ ნაწილს წყალი უშუალოდ არ შეეხება და ფართობი გაუონვის წესით ირწყვება. ამიტომ აქ რწყვის უარყოფითი მოქმედება ნიადაგზე ნაკლებადაა გამოხატული, ფართობზე ქერქი ნაკლებად წარმოიშვება და დამუშავებაც ნაკლებ ძალას საჭიროებს.

რწყვა ზოლებად მოღვარვით - გამოიყენება ძირითადად ვიწრომწკრივიან ნათე-სებში. ზოლებად რწყვის ჩასატარებლად სარწყავი მოედნების გამოყოფა წარმოებს ჩვეულებრივი მოღვარვის მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ აქ სიგრძივი კვლების ნაცვლად სიგრძივი ბაზოები მზადდება, თესვის პროცესშივე, სათესის წინ აგრეგატში ჩართული ბაზოების მკეთებელი რიჯერით.

გრძივი ზოლების გამოყოფის შემდეგ ტარდება ფართობის დაკვალვა განივი მი-მართულებით არხის მთხრელის გატარებით, ეს განივი კვლები იგივე გამომყვანი კვლე-ბია. მრწყველი წყალს ერთი რწყვის ნაკადით იღებს დროებით სარწყავი არხიდან, რო-მელსაც ანაწილებს ერთდროულად რამდენიმე გრძივ ზოლში.

რწყვა თავისუფალი მოღვარვით - ფართობის ზედაპირზე წყლის განაწილების მიხედვით, ეს იგივე ჩვეულებრივი მოღვარვაა, მისი ჩატარება შეიძლება ქართლური მოღვარვის წესითაც, მხოლოდ აქ ჩვეულებრივი მოღვარვისგან განსხვავებით სარწყავი

მოედნები რწყვის დაწყებამდე არ გამოიყოფა. ამ წესის გამოყენების დროს სარწყავი ფართობი მხოლოდ ერთი მიმართულებით იკვალება, გრძივი მიმართულებით 5-12 მეტრის დაცილებით გატარებული კვლებით ან განივი მიმართულებით 60-100 მეტრი დაცილებით. პირველ შემთხვევაში მრწყველი თავისი შეხედულებით არჩევს მოედნის სიგრძეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - მოედნის განს.

რეკომენდაციები სარწყავი ზოლის სიგრძისა და ხვედრითი ხარჯის შესარჩევად

ცხრილი 5.2.

ნიადაგი	ქანობი	კვლის სიგრძე, მ		ხვედრითი ხარჯი ლ/წმ
		მოსწორებულზე	მოუსწორებელზე	
ძლიერი წყალ-გამტარი	<0.002	100-120	80-100	7-3
	0.002-0.008	150-200	100-120	5-7
	0.008-0.015	120-150	80-100	3-5
	0.015-0.02	რწყვა არ წარმოებს		
საშუალო წყალ-გამტარი	<0.002	120-150	80-100	6-7
	0.002-0.008	200-250	120-150	5-7
	0.008-0.015	150-200	100-120	3-5
	0.015-0.02	100-120	60-80	2.5-3
სუსტი წყალგამტარი	<0.002	150-200	100-120	5-6
	0.002-0.008	250-300	150-200	4-6
	0.008-0.015	200-250	120-150	3-4
	0.015-0.02	120-150	80-100	2-2.5

რწყვა მთლიანი დატბორვით - ზედაპირული რწყვის წესებიდან მთლიანი დატბორვით რწყვა მდარე ხარისხისაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ წესს ნაკლები გავრცელება აქვს, ის მაინც გამოიყენება დამლაშებული ნიადაგების ჩასარეცხად და მცირექანობიან (< 0.01) მსუბუქი ნიადაგების სარწყავად. ფართობი წინასაწარ დაყოფილია სარწყავ მოედნებად, რომლებიც ყოველმხრივ შემოსაზღვრულია 15 სანტი-მეტრის სიმაღლის ბაზოებით. საქართველოს პირობებში სარწყავი მოედნის საშუალო სიგრძე 30-80 მეტრამდეა. ნიადაგის თვისებების, ქანობისა და სარწყავი მოედნის სიგანის მიხედვით, რწყვის ნაკადი 50-100 ლ/წმ-ის ფარგლებშია.

5.2.3. ლიმანური მორწყვა

ლიმანური მორწყვა ნიადაგის ერთჯერადი მორწყვაა, რისთვისაც იყენებენ გაზაფხულზე გამდნარი თოვლის წყალს. სარწყავ ფართობზე წყალს აგროვებენ მიწის ზვინულებით, რომლებიც გარს არტყია ფართობს ქვედა მხრიდან და გვერდებიდან. ფერდობიდან ზედმეტი წყლის მოცილება ხორციელდება ზვინულის ბოლოებში გაკეთებული წყალშემოსავლელების ან ლიმანის დაბალ ადგილებში მოწყობილი წყალსაგდებების საშუალებით.

ლიმანური მორწყვის დროს ნიადაგი ტენიანდება დატბორვით, წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდში. მორწყვის ეს წესი გამოსადეგია ისეთ კლიმატურ პირობებში, როდესაც მცენარეები ვითარდება გაზაფხულის პერიოდში დაგროვილი ტენის მარაგისა და შემდეგ კი - ზაფხულის ბუნებრივი ნალექების გამოყენების ხარჯზე. ამიტომ, ლიმანური მორწყვა უმთავრესად ტარდება ისეთ რაიონებში, სადაც ადგილი აქვს პერიოდულ გვალვიანობას.

ლიმანების სახეები და მათი გამოყენების პირობები. წყლის მიღების ხერხის მიხედვით ლიმანები სამი ძირითადი სახისაა:

- ლიმანები, რომლებიც ივსება ზემომდებარე წყალშესაკრებში უშუალოდ მდნარი წყლით;
- ლიმანები რომლებიც ივსება წყალსაცავიდან საგანგებოდ მოწყობილი წყალგამყვანი არხით, რომლის დანიშნულებაა ზედმეტი წყლის ხევში გადაგდება, ამ ხერხის გამოყენება მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც სარწყავი ფართობი ახლოსაა წყალსაცავთან და წყალგამყვანი ნაგებობები მარტივია;
- ჭალის ლიმანები, რომლებიც ეწყობა ბუნებრივ დაუტბორავ ან მცირედ დატბორილ ჭალებში. ამისათვის ჭალებში კეთდება სანაპირო გრძივი დამბა და წყალგადასაშვებიანი განივი დამბები. ამ შემთხვევაში ლიმანების წყლით ავსება ხორციელდება მდინარეებზე წყალდიდობის გავლის დროს, დამბებში დატოვებული ხვრეტების მეშვეობით.

ყველა აღნიშნულ ლიმანს შეიძლება ჰქონდეს **მარტივი ან იარუსების** სახე.

მარტივი ისეთი ლიმანია, რომელიც შემოფარგლულია დამბების ერთი წყებით. იარუსებიანი ლიმანები შემოფარგლულია დამბების რამდენიმე წყებით, რომლებიც განლაგებულია ერთიმეორის ზემოთ, ამასთანავე წყალი თანმიმდევრობით გადადის ზედა იარუსიდან ქვედაში. იარუსებიან ლიმანებში წყალი, ნაწილდება რა უფრო დიდ ფართობზე, უკეთესად გამოიყენება.


იარუსებიანი ლიმანები, რომლებიც ღრმად იტბორებიან (0.6-0.8 მ), მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავენ და 1-2 მ სიმაღლის დამბები აქვთ; მცირე სილრმეზე დატბორილ (0.3-0.4 მ) ლიმანებს ჩვეულებრივ მცირე ფართობი უჭირავთ. მათ ახასიათებს დამრეცი დაქანების დაბალი ზვინულები ან დროებითი მომცრო ზვინულები, რომლებიც ხელს არ უშლიან სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მუშაობას.

ლიმანური მორწყვის გაანგარიშება. ლიმანური მორწყვის გასაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი ძირითადი ელემენტები:

- მორწყვის ნორმა:
- ლიმანის დატბორვის სილრმე;
- ლიმანებში წყლის დგომის ხანგრძლივობა;
- ლიმანებში მომდინარე წყლის რაოდენობა;
- ლიმანების დატბორვისა და დაცლის პირობები სხვადასხვა წლებში.

მორწყვის ნორმა და ლიმანების დატბორვის სილრმე განისაზღვრება ნიადაგის ტენტევადობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაირსახეობით, მათი ფესვთა სისტემის სილრმითა და დატბორვის დასაშვები ხანგრძლივობით. ვინაიდან ლიმანური მორწყვა ტარდება ერთხელ, სავეგეტაციო პერიოდში, ნიადაგის გატენიანების სილრმე აქ მეტია მიღებული, ვიდრე პერიოდული მორწყვის დროს, ამასთანავე მსუბუქ ნიადაგებში უფრო მეტი, ვიდრე მძიმეზე, რათა გადიდდეს ნიადაგში დასაგროვებელი ტენის საერთო მარაგი.

ლიმანში წყლის დგომის ხანგრძლივობა (მისი წყლით ავსების შეწყვეტის შემდეგ) დამოკიდებულია ნათესის ხასიათზე. გაზაფხულზე დასათეს მინდვრებზე წყლის დგომა დასაშვებია დაახლოებით 6-10 დღე-დამეს. საშემოდგომო კულტურებით დაკავებულ მინდვრებზე წყლის დგომა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 დღე-დამეს და თანაც წყლის



ნახ. 52. მდინარეული ჭალების ლიმანური მორწყვა

- პირობითი ნიშნები
- გადამდობი ზენიულები
- წყალგამშვები
- კაშხალი
- დინების მიმართულება

შრე არ უნდა იყოს 20 სმ-ზე მეტი. ბუნებრივი მდელოების დატბორვა დასაშვებია 10-15 დღე-ლამის განმავლობაში.

ლიმანების დატბორვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია აგრეთვე თოვლის დნობის დაწყების დროზე, საგაზაფხულო ჩამონადენის ინტენსივობასა და ლიმანზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის ვადებზე. რაც უფრო გვიან იწყება და ინტენსიურად მიმდინარეობს თოვლის დნობა და ახლოა თესვის ვადები, მით უფრო მოკლე უნდა იყოს დატბორვის დრო.

ვინაიდან ჩამონადენი წყლების მიხედვით მერყევია, ასევე ცვალებადია წლების მიხედვით ლიმანური წესით მოსარწყავი ფართობიც.

ერთი ლიმანის ფართობი, რელიეფის პირობების მიხედვით, მერყეობს რამდენიმე ჰექტრიდან 100 და მეტ ჰექტარამდე.

ლიმანური მორწყვის ნაგებობებს ეკუთვნის:

- მინის ზეინულები, რომლებითაც შემოფარგლულია სარწყავი ფართობები და წყალგამშვებები;
- წყალსაცავები ზედაპირული ჩამონადენის შესაგროვებლად;
- წყალსაგდები და დამშრობი არხები რელიეფის დაბალი ადგილებიდან წყლის განსარინებლად;


წყალსაგდები ნაგებობანი გაანგარიშებული ინდა იყოს გაზაფხულის მაქსიმალურ ჩამონადენზე მოცემული ლიმანის წყალშემკრებებიდან.

ლიმანური მორწყვის მნიშვნელობა. ლიმანების მოწყობა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებიც ისახება ველებიანი და ტყე-ველებიანი რაიონების მიწების რაციონალური გამოყენებისათვის. ის ხელს უწყობს ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებას და შიგა ტენბრუნვის გაძლიერებას, ადიდებს ნიადაგის ტენიანობას და ამცირებს მის ეროზიას. ლიმანური მორწყვა მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების და განსაკუთრებით ბალახების მოსავლიანობას. მაგალითად, როგორც ბუნებრივი მდელოს ბალახების, ისე ნათესი მრავალწლიანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების მოსავალი ლიმანებზე 5-7-ჯერ მეტია, ვიდრე მშრალ მდელოზე. ასევე 2-5-ჯერ იზრდება ბალჩეული კულტურების მოსავალი.

სალიმანო მინდვრის ფართობებზე ყოველწლურად წარმოებს მზრალად ხვნა წინასახნისანი გუთნით, გაზაფხულზე კი, დატბორვის შემდეგ, ნიადაგს ამუშავებენ 6-8 სმ სიღრმეზე, რათა დაირღვეს ნიადაგის შრის სიმკვრივე, რომელიც დატბორვის პერიოდში წარმოიშობა. ძირითადი ღრმა ხვნის დროს შემოდგომაზე ნიადაგში შეაქვთ ორგანული სასუქები.

ლიმანური მორწყვის ღირსებად უნდა ჩაითვალოს:

- სიმარტივე და სიიაფე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მთელი კომპლექსისა;
- ექსპლუატაციის სისადავე;
- ნიადაგშიდა ტენბრუნვის გაძლიერება;
- ნიადაგის წარეჭვისა და ხევთნარმოშობის მიზეზების შემცირება;
- ნიადაგის შესაძლო განმარილიანება გრუნტის წყლების ღრმა განლაგებისა და წყალგამტარი ფენის შემთხვევაში.



ლიმანური მორწყვის ნაკლია:

- ნიადაგის გატენიანების შესაძლებლობა წელიწადში მხოლოდ ერთხელ;
- გატენიანების უთანაპონობა ლიმანის მთელ ფართობზე - ტენის უკმარისობა ამაღლებულ ნაწილებში და ჭარბტენიანობა დაბლობში;
- დასატბორი ფართობის ოდენობის მნიშვნელოვანი რყევადობა წლების მიხედვით, ჩამონადენის ცვალებადობასთან დაკავშირებით.
- ლიმანების მოწყობის შესაძლებლობა ადგილის მხოლოდ მცირე ქანობის დროს ($0.002 - 0.001$) და მათი მოწყობის მიზანშეუწონლობა ციცაბო და არასწორი რელიეფის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკლოვანებები სრულიადაც ვერ ამცირებს ლიმანური მორწყვის დადებით მნიშვნელობას. ამიტომ პერსპექტიული გეგმით ლიმანური მორწყვის შემდგომი განვითარებაა დასახული.

ლიმანური რწყვის ნორმა 1 000-დან 1 200 მ³-ს აღწევს.

5.3. დაწვიმება

დაწვიმება წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ წვიმას, რომელიც კაპილარული ძალების ზემოქმედების შედეგად ატენიანებს ნიადაგს, ნიადაგზედა ჰაერს და მცენარეთა მიწისზედა ნაწილს.

მორწყვის ასეთი წესი გამოიყენება ტერიტორიებზე, სადაც გრუნტის წყალი ნიადაგის ზედაპირთანაა განლაგებული, ანუ იქ, სადაც არის მათი აწევის საშიშროება. დაწვიმების გამოყენება მიზანშეწონილია დიდი ქანობის, რთული რელიეფისა და ქვიშოვანი ნიადაგების პირობებში. წვიმის ინტენსივობის რეგულირება ხდება ნიადაგის წყალშეურნვის უნარის გათვალისწინებით.

დასაწვიმი სარწყავი სისტემა მეტად ეკონომიურია და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას.

დაწვიმების სისტემა სამი სახისაა:

1. მოძრავი;
2. ნახევრად სტაციონალური;
3. სტაციონალური.

დაწვიმების სისტემა 4 ნაწილისაგან შედგება:

1. წყლის წყარო;
2. ძრავა ტუმბოთი;
3. მილსადენი;
4. დასაწვიმი აპარატი.

დაწვიმების მოძრავი სისტემის დროს სატუმბი სადგურები, მთავარი და გამანაწილებელი მილსადენები, აგრეთვე საწვიმარი მანქანები ან დანადგარები ფართობის რწყვის პროცესში გადაადგილდებიან ერთი პოზიციიდან მეორეზე რწყვის მთელი სეზონის განმავლობაში. გადასატან სარწყავ სისტემაზე გამოყენებული დანადგარები ადგილად დასაშლელი ალუმინის მილსადენებით, რომლებზედაც დადგმულია საშუალო ჭავლიანი დასაწვიმი აპარატები. დანადგარები უზრუნველყოფენ სარწყავი წყლის ტრანსპორტირებას, განაწილებას და მიწოდების რეულირებას სარწყავ ფართობზე.

მოძრავი სისტემების ნაკლია მილსადენის გადატანაზე დახარჯული შრომატევადი სამუშაოები. ამიტომ, მოძრავი სისტემების დანერგვა რამდენადმე შეზღუდულია და გამოიყენება მხოლოდ მცირე ფართობის ($50-150$ ჰა) მოსარწყავად. ასეთი სისტემები გამოიყენება ყველგან, სარწყავი ქსელის მშენებლობის გარეშე.

მოძრავი სისტემების ნაირსახეობად ითვლება თვითდაწევიანი გადასატანი სისტემები, სადაც მოსარწყავი მიწის ნაკვეთებს სარწყავი წყალი ბუნებრივ დაწვიმის სარჯზე მიეწოდება, აღნიშნულ შემთხვევაში სატუმბი სადგურის მოწყობა გამორიცხულია.

დაწვიმების ნახევრად სტაციონალურ სისტემაში მთავარი მიღსადენი და სატუმბი სადგური სტაციონალურია, გამანაწილებელი მიღსადენი და საწვიმარი მანქანები ან დანადგარები კი - მოძრავი.

ნახევრად სტაციონალური სარწყავი სისტემები გამოირჩევა შრომის მაღალი ნაყოფიერებით, აგრეთვე რწყვის პროცესის მაღალი მექანიზაციის დონით.

დაწვიმებით რწყვის სტაციონალურ სისტემებთან შედარებით ნახევრად სტაციონალური სისტემების მშენებლობა 2-3-ჯერ იაფი ჯდება. თუმცა აღნიშნული სისტემების მომსახურე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოები (მიღების გადატანა ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე რწყვის მთელი ციკლის განმავლობაში) ხელით ნარმოებს და ძალზე შრომატევადია.

დაწვიმებით რწყვის ნახევრად სტაციონალურ სისტემებზე გამოყენებული პოზიციური მოქმედების და მოძრაობაში მომუშავე დასაწვიმი მანქანები, აგრეგატები, დანადგარები, ნაცმები და აპარატები, რომლებიც იგეგმება დასაწვიმ მანქანა-დანადგარებზე.

დაწვიმების სტაციონალური სისტემის დროს მის ყველა შემადგენელ ნაწილს მუდმივი მდებარეობა აქვს, მოძრავია მხოლოდ საწვიმარი აპარატები.

ყველაზე უფრო სრულყოფილია სტაციონალური სისტემა, მაგრამ იგი დიდ კაპიტალდაბანდებებს და მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღებს მოითხოვს. ამიტომ დღეისათვის, უფრო მეტად მოძრავ და ნახევრად სტაციონალურ სისტემებს იყენებენ.

სარწყავი წყლის წყაროდ შეიძლება გამოყენებული იყოს მდინარე, ტბა, ჭა და სხვ. უკეთ ათვისებულ სარწყავ რაიონებში გამოყენებული უნდა იყოს ხანგრძლივი მოქმედების სარწყავი ქსელი. ყოველგვარ შემთხვევაში წყლის წყაროს სიღრმე 50 სმ-ს უნდა აღმატებოდეს იმ ანგარიშით, რომ წყლის შემწოვი მიღი წყალში მოთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 30 სმ-ის სიღრმისა და მიღის ბოლოდან ძირამდე რჩებოდეს კიდევ არა ნაკლებ 30-სმ.

დაწვიმებისათვის გამოსადეგია ყველანაირი წყალი, მხოლოდ ზოგიერთი აპარატის გამოყენების დროს საჭიროა წყლის სიმღვრივე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.


მოქმედ ძალად შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც შიგაწვის ძრავა, აგრეთვე ელექტრომოტორი. ხშირად დროებით ტრაქტორსაც იყენებენ.

ძრავა და ტუბბო, ჩვეულებრივ, ერთად არიან განწყობილი და მათი გადატანა ერთდროულად ხდება.

მიღსადენი ორი ნაწილისაგან შედგება:

1. შემწოვი მიღი - რომელიც წყლის წყაროშია ჩაშვებული წყლის ამოსატუმბავად და ჩვეულებრივ ღუნვადია.
2. საჭირენი მიღსადენისგან, რომლის დანიშნულებაა წყლის მიწოდება დასაწვიმ აპარატში. ეს უკანასკნელი რკინის ან სხვა რაიმე მასალისაგან არის დამზადებული და საკმაოდ დიდ წნევას უნდა უძლებდეს.

რაც შეეხება დასაწვიმ აპარატს, იგი მრავალი სახის კონსტრუქციის შეიძლება იყოს და ამის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.



ნახ. 5.4. დახურული საწყალი სისტემის სქემა დაწვიმებითი მოწყვეტის დროს.

1. მოწყვეტის წყარო; 2. სატუმბო სადგური;
3. ძირითადი მიღსადენი;
4. გამანაწილებელი მიღსადენი;
5. პიდრანტები;
6. დასაწყიმი მანქანა ან დანადგარი;
- 7-8. პირველი ნაკეთის მოწყვეტის შემდგენელი განმანაწილებელი მიღსადენის პოზიცია.

1. **მოკლეჭავლიანი დასაწვიმი აპარატი**, რომელიც წყალს ჰაერში ისვრის დაახლოებით 5 მეტრის მანძილზე, ე.ი. მისი მოქმედების რადიუსი 5 მეტრს უდრის.

პრაქტიკაში ასეთი აპარატის გამოყენება შემდეგნაირად წარმოებს: ჩვეულებრივ 120 მეტრიანი (შედგება 24 მეტრიანი მუხლებისაგან) რკინის მილზეა აწყობილი ერთმანეთისგან 10 მეტრის დაშორებით 12 დასაწვიმი აპარატით. მიღები სათანადო წევით მიწოდებული წყალი ერთდროულად გამოდის ყველა 12 დასაწვიმი აპარატიდან და რწყავს ფართობს, რომლის სიგრძე $L=120$ მ, ხოლო განი $b=10$ მ. მთელ ასეთ მოწყობილობას მოკლეჭავლიან დასაწვიმი დანადგარი გარს უწოდებენ.




ნახ. 5.5. მოკლეჭავლიანი დასაწვიმი დანადგარი

ერთი ზოლის ($120 \text{ მ} \times 10 \text{ მ}$) რწყვის დამთავრების შემდეგ დასაწვიმი აპარატი უნდა მოიხსნას, დასაწვიმი მიღი (დასაწვიმი ფრთა) ცალკე მუხლებად უნდა დაიშალოს და ყოველივე ეს ხელმეორედ უნდა აიწყოს მეორე ზოლის მოსარწყავად.

ყოველი გადაადგილების დროს დასაწვიმი ფრთა უერთდება სარწყავი ნაკვეთის გვერდით გადაადგილებულ მაგისტრალურ მიღსადენს, ხოლო ეს უკანასკნელი შეერთებულია სატუმბო სადგურთან. სატუმბო სადგურის დანიშნულებას ასრულებს ტრაქტორიც, ზედ მოწყობილი ტუმბოთი.

დასაწვიმი ფრთის დაშლა, გადატანა და ხელმეორედ აწყობა საკმაოდ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვს და შეიძლება ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში დაწვიმებითი რწყვა კარგავს თავის ძირითად მნიშვნელობას.



ნახ. № 5.6. მოკლეჭავლიანი მოძრავი დასაწვიმი მანქანა

ამისათვის უკეთესია ასეთი დასაწვიმი დანადგარი სტაციონალურად მოეწყოს, ე.ი. მიღები ნიადაგში იყოს მოთავსებული და ზედაპირზე ჩანდეს მხოლოდ დასაწვიმი აპარატი.

სტაციონალურ სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთ ძირითად სიძნელეს წარმოადგენს მიღების დიდი რაოდენობით საჭიროება.

2. **გრძელჭავლიანი დასაწვიმი აპარატი**. მისი მოქმედების რადიუსი 10-დან 80 მეტრამდე აღწევს. ასეთი დასაწვიმი აპარატი შეიძლება იმავე დასაწვიმ ფრთაზე მოწყოს ან ცალკე დანადგარის სახით იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში უფრო ადვილია სატაციონალურ სისტემაზე გადაყვანა, ვინაიდან მიღების ნაკლები რაოდენობა იქნება საჭირო.

დაწვიმების წესი, ზედაპირულ რწყავსათან შედარებით, დადებითად მოქმედებს არა მარტო მცენარესა და ნიადაგზე, არამედ როგორც დაკვირვებით დადასტურდა მიკრობიოლოგიურ პროცესებზედაც; ნიტრატების დაგროვება აქ უფრო მეტი რაოდენობით ხდება.

დაწვიმების ერთ-ერთ დადებით მხარედ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ აქ წყალს საშუალება აქვს ჰაერში წვეთებად განაწილების დროს უანგბადი შეითვისოს, რაც წყლის მოწყვეტით თვისებას ადიდებს.

დაწვიმების საშუალებით მოწოდებული წყალი ხელს უწყობს მცენარედან მტვრი-სა და ზოგიერთი მავნებლის ჩამორეცხვას.

დაწვიმება შეიძლება გამოყენებული იყოს მინერალური სასუქების შეტანის ფროსაც. წყალში გახსნილი სასუქის წვიმის სახით შეტანის პროცესი მთლიანად მექა-ნიზმით განვითარებულია და გაიაფებული, ხოლო სასუქის განაწილება ფართობზე მაქ-სიმალურად თანაბარია.

ჰაერში წყლის განაწილება და-დებით გავლენას ახდენს მიკროკლი-მატზე.


დაწვიმება ადიდებს ჰაერის ფარდობით ტენიანობას და ამცირებს ტემპერატურას, რაც საგრძნობლად ამცირებს აორთქლების საშუალებით წყლის დაკარგვას. დაწვიმება მეტად ძვირფას ღონისძიებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვენიადა-გის წყალი ზედაპირთან ახლოს მდება-რეობს.

დაწვიმება მეტადაა გამართლე-ბული პერიოდულად გვალვიანი და რთული რელიეფის მქონე ადგილებში.


ამ მხრივ დიდი მომავალი აქვს საქართველოს დასავლეთი ნაწილის ძვირფასი კულტურების რაიონებში, სადაც ნელიური ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობის მიუხედავად, ცალ-კე პერიოდებში საგრძნობ გვალვიანო-ბას აქვს ადგილი, ხოლო რელიეფი ხშირად არ იძლევა ზედაპირული წე-სით მორწყვის საშუალებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაწვიმების წესს სიღრმეში დამ-ლაშებულ ნიადაგებზე, სადაც ჩვეუ-ლებრივი წესით რწყვა და მასთან და-კავშირებული გადიდებული რწყვის საჭიროება ხშირად, ხელს უწყობს ზე-და ფენებში მარილების ამოტანას და ნიადაგის ამ ფენების დამლაშებას. დაწვიმების წესით ფართობის ზედა-პირზე თანაბრად განაწილებული მცი-რე მორწყვის ნორმა ღრმა მღაშე ფე-ნებს ვერ აღწევს და, ამრიგად, ზედა ფენებში მარილების დაგროვებას ად-გილი არ ექნება. დაწვიმების წესის გა-მოყენების დროს მორწყვის ნორმა, შედარებით ნაკლებია ვიდრე ზედაპი-რული წესით რწყვისას.

მორწყვის ნორმის შემცირების შესაძლებლობას იძლევა ნაკადის თანაბრად განა-ნილება, რაც ამ წესს ახასიათებს; მორწყულ ფართობზე გატენიანების სხვაობა აქ მინი-მუმს აღწევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორწყვის ნორმის ისეთ მინიმუმამდე დაყვანა, რაც ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროებშია მითითებული, ყოვლად დაუშვებელია და იგი 400-500 მ³-ზე ნაკლები მაინც არ უნდა იყოს.



ნახ. № 5.7. პოზიციური გრძელჭავლიანი დასაწყიმი მანქანა



ნახ. 5.8. დასაწყიმი მანქანა-დანადგარების მუშა ნაწილები.
ა) მოქადაგებრივი დეფლექტორული ნაცმი
(1. დეფლექტორი; 2. ძაბრი); ბ) გრძელჭავლიანი დასაწყიმი
აპარატი (1. ლულა; 2. საქშენი; 3. მბრუნავი საყრდენი;
4. მილხადენი; 5. ნიჩაბი (ფრთა)).

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გატენიანების სიღრმეს, რომელიც ნიადაგის წყალტევადობასა და წყალუონვადობაზეა დამოკიდებული. ცხადია, ხშირი რწყვის დროს გატენიანების სიღრმე ცოტაოდენად გადიდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი და იმავე მორწყვის ნორმით ზედაპირული წესით რწყვისას დატენიანება უფრო ღრმად მიდის, ვიდრე დაწვიმების დროს.

რწყვის ვადების დადგენა ჩვეულებრივი წესით წარმოებს, ხოლო ნიადაგში წყლის სასურველ მაქსიმუმსა და მინიმუს შორის სხვაობა აქ 10-12 %-ს აღნევს და ამასთან დაკავშირებით, რწყვაც უფრო ხშირია.

წყლის უკეთ შესათვისებლად და ზედაპირული ჩამონადენის შესამცირებლად დაწვიმების ინტენსივობა (წვიმის ფენის სისქე 1 წუთში) არ უნდა აღემატებოდეს ნიადაგის შეთვისების უნარიანობას.

ამის გარდა, დაწვიმების დიდი ინტენსივობა ნიადაგზედაც ცუდად მოქმედებს - შლის სტრუქტურას და ხელს უწყობს ქერქის წარმოშობას.

დაწვიმების ინტენსივობა დამოკიდებულია ქანობზეც. ზედაპირული ჩამონადფენის შესამცირებლად, ძლიერი ქანობის პირობებში, უნდა შემცირდეს დაწვიმების ინტენსივობა.

დაწვიმების ინტენსივობის მიხედვით რწყვის ხანგრძლივობა (ერთი ჰა-ს მოსარწყავად საჭირო დრო) შემდეგი ფორმულით განისაზღვრება

$$t_0 = \frac{m}{10000 \times np} \text{ (წთ),} \quad (5.2.)$$

სადაც: m არის მორწყვის ნორმა (მ^3);

n – ნაკადის ბრუნვათა რაოდენობა ერთ წუთში;

p – წვიმის ფენის სისქე მმ-ობით 1 ბრუნვაში).

სინამდვილეში რწყვა ამ სახით განსაზღვრულ ვადაში არ თავდება. ვინაიდან წყლის ნაწილი ჰაერშივე რჩება, ხოლო ფოთლებზე დაგროვილი წყალი უშუალოდ აორთქლდება.

ამ სახის დანაკარგთა ზრდას ხელს უწყობს ნარგავთა სიხშირე, მცენარის ზედა ნაწილის მოცულობა, ქარის სიჩქარე და წვიმის წვეთების სიდიდე. ჩვეულებრივ, დაწვიმების დროს დანაკარგი 10%-ზე მეტს უდრის. დანაკარგი იზრდება ტემპერატურის ზრდის მიხედვით და სიცხეში ის მაქსიმუმს აღწევს.

ქარის გავლენა დაწვიმების ეფექტიანობაზე იმდენად საგრძნობია, რომ თუ ქარის სიჩქარე 4-5 მ/წმ-ს აღწევს, დაწვიმება უკვე არ არის მიზანებრილი.

საქართველოში დაწვიმებით რწყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც რელიეფურ პირობებზეა დამოკიდებული.

საქართველოში, როგორც უაღრესად მთაგორიან და დიდი ქანობის მქონე მხარე-ში, ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივი თვითდინებითი რწყვა ყოვლად შეუძლებელია ან მეტად ცუდ შედეგს იძლევა ეროზიული მოვლენების წარმოშობის გამო.

ისეთ პირობებში, როგორშიც იმყოფება, მაგალითად, სამგორის უმეტესი ნაწილი, თეზი-ოკამი, ვანათი, კეხვი და სხვ, ძლიერი ქანობის გამო ძნელდება თვითდინებით რწყვის გამოყენება. აქ ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს დაწვიმებითი რწყვა.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ჩაის პლანტაციების ზრდა, რთული რელიეფის გამო, გათვალისწინებულია მხოლოდ დაწვიმების გამოყენებით. მეორეს მხრივ, მთა-გორიან ადგილებში დაწვიმების გამოყენებისთვის უკეთესი პირობებია, ვინაიდან, ასეთ ადგილებში არსებულ სიმაღლეთა დიდი სხვაობების გამო შესაძლებელია წყლის ბუნებრივი წნევის გამოყენება.

5.3.1. აეროზოლური მორნჟვა

აეროზოლური, ანუ წვრილდისპერსიული დაწვიმება მორნჟვის ერთ-ერთი ახალი წესია, რომელიც გამოიყენება მიწისპირა ჰაერის მიკროკლიმატის ეფექტური რეგულირებისათვის. ამ წესის არსი ის არის, რომ მცენარის ფოთლოვან ზედაპირს პერიოდულად ასველებენ წვრილდისპერსიული წყლით. წყლის აორთქლების შედეგად ფოთლების ტემპერატურა მცირდება, მიწისპირა ჰაერის ტენიანობა მატულობს, ნიადაგის ტენის ხარჯვა ფიზიკურ აორთქლებაზე კლებულობს და, ამგვარად, შეიძლება თავიდან ავიცილოთ ფოტოსინთეზის დეპრესია, რასაც ადგილი აქვს მაღალი ტემპერატურის დროს ($>30^{\circ}\text{C}$).

წყლის დისპერსიულობის ხარისხი, ანუ წვიმის წვეთების სიმსხო, ისეთი უნდა იყოს, რომ ისინი არ ჩამოგორდნენ ფოთლებიდან და დარჩნენ მასზე, ვიდრე არ აორთქლდებიან. ასეთი წვეთების ზომები არ უნდა აღემატებოდეს 500 მილიმიკრონს (0.0005 მმ).

წვრილდისპერსიული დაწვიმება, როგორც წესი, წარმოებს მხოლოდ დღისით, როდესაც ჰაერის ტემპერატურა აღემატება მცენარის განვითარებისთვის ფიზიოლოგიურად ოპტიმალურ საზღვრებს. ერთჯერადი რწყვის ნორმა 100-500 ლ/ჰა საათში ფარგლებში იცვლება.

აეროზოლური რწყვის მიზნით გამოიყენება მინერალური სასუქების და შეამქიმიკატების შემასხურებლები, როგორებიცაა ტრაქტორზე მისაბმელი ან ჩამოსაკიდებელი იარაღები.

აღსანიშნავია, რომ აეროზოლური გამაგრილებელი რწყვის შედეგად სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობა იზრდება 15-30 %-ით. განსაკუთრებით მიზანშენონილია მორნჟვის წესის გამოიყენება კომბინირებულად, სხვა მორნჟვის წესებთან ერთად და კერძოდ ზედაპირულ მორნჟვასთან შეთავსებით.

5.4. წვეთური მორნჟვა

წვეთური მორნჟვა ერთ-ერთი პროგრესული წესია. იგი ძირითადად გამოიყენება ცხელ და მშრალ კლიმატიან ქვეყნებში ბალების, ვენახების, ბოსტნეულისა და ფართო რიგთაშორისებში მინდვრის კულტურების მოსარწყავად.

მწვეთარები ზვრებში, ჩვეულებრივ, განლაგებულია შპალებზე, ხოლო ბალების, მინდვრის კულტურებსა და ბოსტნეულის მორნჟვის დროს - მიწის ზედაპირზე ან მიწაში მცირე სიღრმეზე. იმისათვის, რომ მწვეთარა არ ამოიგლისოს მიზნით, არ გაიჭედოს ფესვებით და შესაძლებელი იყოს მასზე მეთვალყურეობა, უპირატესობა ენიჭება მის განლაგებას მიწის ზედაპირზე.

წვეთური მორნჟვის სისტემა ბალებსა და ვენახებში შეიძლება იყოს სტაციონალური ან გადასატანი, ხოლო მინდვრებში - აუცილებლად გდასატანი, რათა არ დაზიანდეს ფართობის მექანიზირებული დამუშავების დროს.

სარწყავ მილსადენებს შორის მანძილი დამოკიდებულია მცენარეებს შორის მნკრივთაშორისების სიგანეზე და მცენარის რიგებს შორის მანძილზე. მინდვრის კულტურებისათვის ის 0.7-0.9 მ²-ია, ბალებისათვის კი 6-8 მ²-მდე. ამ მილსადენების სიგრძე 40-50მ და მეტი, თითქმის 200-მდე, ხოლო დიამეტრი 6-20მმ.

მწვეთარების განლაგების სიხშირე დამოკიდებულია მცენარეებს შორის მანძილზე, ნიადაგის წყლოვან და ფიზიკურ თვისებებზე და თვით მწვეთარას ხარჯზეც. თითოეული მწვეთარით მოსარწყავი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს თიხნარ და თიხა ნიადაგებში 2.0-2.5 მ²-ს, ხოლო ქვისა და ქვიშნარ ნიადაგებში - 1.2-1.5 მ². ბალებში თითოეული ხის მოსარწყავად, ჩვეულებრივ, 2-4 მწვეთარას აყენებენ. რაც უფრო მეტია მწვეთარას ხარჯი, მით უფრო ნაკლები რაოდენობითაა საჭირო მისი დაყენება. აღნიშნული ხარჯი მწვეთარას კონსტრუქციის მიხედვით უმეტეს შემთხვევაში იცვლება 0.9-7.6 ლ/სთ ფარგლებში და ზოგჯერ უფრო მეტიცაა - 15 ლ/სთ-მდე.

რწყვა შეიძლება წარმოებდეს განუწყვეტლივ დღელამურად მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (ცალკეული შესვენებები საჭიროა 100-200 საათის მუშაობის შემდეგ, სისტემის პროფილაქტიკისათვის). ქვიშნარ ნიადაგებში უფრო ეფექტურია რწყვის წარმოება ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით, ხოლო თიხა ნიადაგებში - კვირაში ორჯერ. უმეტეს შემთხვევაში მიზანშეწონილია ყოველდღიურად ერთხელ მორწყვა. განუწყვეტელი რწყვის აუცილებლობა იშვიათია - მხოლოდ გამომშრალი ნიადაგის გასატენიანებლად ზღვრულ ტენტევადობამდე.

სარწყავად მისაწოდებელი წყლის რაოდენობა ზუსტად უნდა ეთანაბრებოდეს მცენარის მიერ ყოველდღიურ წყლის ხარჯვას.

რწყვის ნორმა და ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება წინა დღის ან წინა ხუთდღიურის (კვირის) აორთქლების მიხედვით. მისაწოდებელი წყლის რაოდენობა შეადგენს აორთქლებადობის (შესაძლებელი მაქსიმალური ჯამური აორთქლების) 60-70%-ს, კინაიდან ნიადაგიდან აორთქლება თითქმის გამორიცხულია და წყალი ძირითადად ტრანსპირაციაზე იხარჯება.

თუ საანგარიშო პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა შეადგენს P მმ-ს, მაშინ მისაწოდებელი წყლის რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს დამოკიდებულებით

$$W_0 = KE - \mu P, \quad (5.3)$$

სადაც:	E	არის აორთქლებადობა ან ჯამური წყალმოთხოვნილება ჩვეულებრივი მორწყვის პირობებში, რომელიც შეიძლება განისაზღვროს ცნობილი ფორმულებით, ანდა უშუალოდ სარწყავი ნაკვეთის ფარგლებში მოწყობილი ამაორთქლებელით;
	K	ფაქტიური აორთქლებისა და აორთქლებადობის შედარების კოეფიციენტს, რომელიც ითვლება 0.6-0.7 ფარგლებში;
	μ	ატმოსფერული ნალექების დაკავების კოეფიციენტი, ჩვეულებრივ 0.7-ის ტოლია.

თითოეული მწვეთარათი მისაწოდებელი წყლის მოცულობა ტოლი იქნება

$$V = W_0 \omega \quad (\text{ლიტრი}), \quad (5.4)$$

სადაც: ω არის თითოეული მწვეთარათი სარწყავი ფართობი (δ^2).

ამ წყლის რაოდენობის მისაწოდებლად საჭირო დრო იქნება

$$t = \frac{V}{Tq} = \frac{KE - \mu P}{Tq} \omega \quad (\text{სთ}), \quad (5.5)$$

სადაც: T არის რწყვათაშორისი პერიოდი, დღეებში;

q – მწვეთარას ხარჯი, ლ/სთ.

მწვეთარას წყლის ხარჯს ჩვეულებრივ, მუდმივად ინარჩუნებენ და ცვლიან მხოლოდ t მუშაობას დღელამებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშების დროს ზოგჯერ საზღვრავენ არა თითოეული მწვეთარას მუშაობის ფართს, არამედ გატენიანებული ფართობისა და საერთო ფართობის შეფარდებას, ანუ ფარდობითად მორწყულ ფართობს (გატენიანებული ფართობის პროცენტს). ფართობი მით უფრო მეტია, რაც უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობისაა ნიადაგი, რაც უფრო დიდია მწვეთარას ხარჯი და რაც უფრო ნაკლებია დაცილება სარწყავ მილსადენებსა და მწვეთარებს შორის. ამ მაჩვენებლების თანაფარდობის შესაბამისად აღნიშნული ფართობი იცვლება 5-10 %-ის ფარგლებში. ზოგიერთი რეკომენდაციის მიხედვით ამ ფართობის სიდიდე მრავალწლიური ნარგავებისათვის შეიძლება მივიღოთ: რაიონებში, სადაც ტრადიციული რწყვის წესების გამოყენების დროს სარწყავი ნორმა ნაკლებია მითითებულ სიდიდეზე -20 %.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთ შემთხვევაში მისაწოდებელი წყლის რაოდენობას ზრდიან 10%-ით - მარილების ჩარეცხვის მიზნით, რათა თავიდან აიცილონ მათი დაგროვება ნიადაგის ზედა ფენაში. ჩვეულებრივ, მარილების დაგროვება ხდება ნიადაგის გატენიანებული ზონის პერიმეტრზე. ატმოსფერული ნალექების მოსვლის დროს ადგილი აქვს მარილების გადანაწილებას.

წვეთური რწყვის ტექნიკის ელემენტებს მიეკუთვნება: გატენიანების კერა, გატენიანებული ლაქა მიწის ზედაპირზე, გატენიანების კონტური, მწვეთარას ხარჯი, გატენიანების კერაში წყლის მიწოდების წერტილების განლაგების სქემა და რაოდენობა, მწვეთარების მიერ სარწყავი წყლის განაწილების სითანაბრე, მწვეთარების განლაგება სარწყავ ფართობზე, გატენიანების ფართობი და სხვ.

გატენიანების კერა განისაზღვრება გატენიანებული ლაქის სიდიდით მიწის ზედაპირზე და გატენიანების კონტურის სიღრმით. გატენიანების კერის ფორმა და ზომები დამოკიდებულია ნიადაგის ჰიდროფიზიკურ თვისებებზე, რწყვის წინა ტენიანობაზე, მიწოდებული წყლის ხარჯზე, რწყვის ხანგრძლივობაზე, აორთქლების ინტენსივობაზე, წყლის მიწოდების წერტილების განლაგებაზე გატენიანების კერაში. გატენიანების დამახასიათებელი კონტურები ნაჩაზზე 5.9.

მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში გატენიანების კონტურს ელიფსის ფორმა აქვს და როდესაც გატენიანების სიღრმე უდრის 1-1.1 მეტრს (ბალებიასთვის), მაშინ მისი სიგანე უდრის 2.6 მ-ს.


წვეთური მორწყვის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული მისი ტექნიკის ელემენტების სწორად შერჩევაზე და რწყვის რეჟიმთან შეთანაწყობაზე.

რწყვის ტექნიკის არასწორად შერჩევის შემთხვევაში გატენიანების კერის სიდიდე და მასთან ერთად ფესვების გავრცელების არე იზღუდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს კვების არეს შემცირება, ფესვების დაზიანება ყინვისაგან და მცენარის მდგრადობის დაკარგვა ქარის მოქმედებით. თუ მწვეთარას ხარჯი იწვევს ხანგრძლივ გადამეტტენიანობას ფესვების გავრცელების ზონაში, მაშინ შეიძლება გამოიწვიოს სოკოვანი მიკროორგანიზმების განვითარება და ფესვების დავადება.

წვეთური მორწყვის სისტემა ზოგადად შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან (ნახ. 5.10): წყალმიმღები და დაწნევის შემქმნელი კვანძები, ფილტრი, მართვის პულტი, მაგისტრალური განმანანილებელი და სარწყავის მიღსადენები, მწვეთარები, რწყვის მოთხოვნილების გადამზოდი, სამართავი არმატურა, მართვის პულტსა და სამართავ არმატურას შორის კავშირის არხები.

სისტემაში წყლის მიწოდება და საჭირო დაწნევის შექმნისათვის უფრო ხშირად გამოიყენება მცირე სიმძლავრის ცენტრიდანული ტუმბოები. საჭირო დაწნევის შემთხვევაში იცვლება 7-28 მ-ის ფარგლენში. სისტემა კარგად მუშაობს დაბალი დაწნევის პირობებში. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენება უფრო იაფი მიღებისა და დიდ დიამეტრიანი მწვეთარების, რომლებიც ნაკლებად ნაგვიანდება, მაგრამ, მეორე მხრივ, დაბალი დაწნევის დროს მისმა მცირეოდენმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მწვეთარას ხარჯის მკვეთრი ცვლილება და აქედან გამომდინარე, რწყვის ტექნიკის ელემენტების შეუსაბამობა.

წყლის ნაწილობრივ (წინასწარ) გასაწმენდად შეიძლება აუზების, სალექრების, ჰიდროციკლონებისა (მუშაობენ ცენტრიდანული ძალის გამოყენებით და სვათა გამოყენება. განმენდა ხორციელდება სხვადასხვა კონსტრუქციის ფილტრებით (ბადისებ-



ნიადაგის გატენიანების პირობითი ნიშნები



სუსტი



საშუალო



უდიდესი


ნახ. № 5.9. წვეთური მორწყვის სისტემის სქემა.

1. გამანაწილებელი მიღსადენი;
2. საწყალი მიღსადენი;
3. საწვეთურები.

რი, ქვიშოვან-ხრეშოვანი და სხვ.). წყლის გამწმენდ ნაგებობის მოწყობაზე იხარჯება კა-პიტალდაბანდების დაახლოებით 10-15 %.

სარწყავი ქსელის განლაგება გეგმაში დამოკიდებულია ნაკვეთის საერთო კონ-ფიგურაციაზე, სიტუაციაზე (გზები, ნარგავები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვ.), ნიადაგურ-რელიეფურ პირობებზე, ტერიტორიის ორგანიზაციაზე, სარწყავ კულტურა-ზე და სხვ.

სარწყავი ქსელი, როგორც წესი, პროექტდება ჩიხური სქემის მიხედვით. მაგისტ-რალური მილსადენი ეწყობა მინაში. იგი კეთდება აზბესტცემენტის ან პოლიეთილენის მილებისაგან, განმანაწილებელი ქსელი კი პოლიეთილენის მილებისაგან, რომლებიც ეწყობა მინაში ან მის ზედაპირზე.



წევთური მორწყვის დადებით მხარეს წარმოადგენს:

- წყლით მცენარის განუწყვეტელი მომარაგების შესაძლებლობა მოთხოვნილერ-ბის შესაბამისად, მნიშვნელოვანი გადახრების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო წყლოვან, საჰაერო, კვებით და მიკრობიოლოგიური რეჟიმების შექმნას და მოსავლიანობის გადიდებას (20-60%-ით);
- სარწყავი წყლის მნიშვნელოვანი ეკონომია - საშუალოდ 50 % და წვიმებასთან შედარებით და 2-3-ჯერ ზედაპირულ მორწყვასთან შედარებით, დახარჯული წყლის ერთეულზე მეტად მაღალი მოსავლის მილების შესაძლებლობა;
- ნიადაგის ლოკალური გატენიანება მხოლოდ ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში, რაც აადვილებს მშრალად დარჩენილი მწკრივთამორისების მექანიზე-ბულ დამუშავებას და ამასთან ერთად ზღუდვის სარეველა მცენარეების გავრ-ცელებას;
- არაა აუცილებელი ფართობის ზედაპირის მოშანდაკება და შესაძლებელია ციცა-ბო ფერდობების მორწყვა ისე, რომ ეროზიის საშიშროება არ იქმნება;
- რწყვის სრული ავტომატიზაციის შესაძლებლობა;

- მორწყვასთან ერთად სასუქებისა და პესტიციდების ლოკალურად შეტანა ნიადგ-ში (ფერტიგაცია) მცირე დოზებით, საჭირო ვადებში, განაპირობებს მათი კარგად შეთვისებას და ეკონომიას;
- ადვილია მოწყობილობის ექსპლუატაცია და რემონტი;
- არაა აუცილებელი დრენაჟი;
- არა აქვს ადგილი მცენარის მექანიკურ დაზიანებას.

წვეთური მორწყვის უარყოფით მხარეს წარმოადგენს:

- შეიძლება შეიქმნას მექანიკური მინარევებით, ქიმიური შენაერთებითა და წყალმცენარებით მიღებისა და მწვეთარების დაცობის საშიშროება;
- შესაძლოა მღრღნელების მიერ წყლის პლასტმასის მიღების დაზიანება;
- აუცილებელია წყლის გაწმენდა;
- მწვეთარების მიერ წყლის არათანაბარი განაწილება დიდი ფართობების მქონე სისტემებში;
- მიკროკლიმატის რეგულირების შეუძლებლობა;
- გაფრინიანების ზონის საზღვრებში ნიადაგის თანდათანობით დამლაშების შესაძლებლობა;
- დიდი სამშენებლო ღირებულება.

წვეთური მორწყვის გამოყენება პირველ რიგში რეკომენდირებულია შემდეგ პირობებში:

- რთულ რელიეფიან რაიონებში (მთიან, მთისწინა);
- ძლიერგამტარ ნიადაგებში (მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, ქვიანი და ა.შ.);
- არიდულ ზონებში;
- წყლის მწვავე დეფიციტიან რაიონებში;
- მაღალშემოსავლიანი კულტურებისთვის - ხეხილის, ვენახის, კენკროვნების, ციტრუსების და ა.შ. ძირითადად მრავალწლიანი ნარგავებისათვის;
- მელიორაციის ხელსაყრელ მიწებზე, როდესაც დამლაშებას არა აქვს ადგილი და სარწყავი წყალი არაა მნიშვნელოვნად მინერალიზებული.

5.4.1. ფერტიგაცია

ფერტიგაცია არის მცენარეთათვის სარწყავ წყალთან ერთად მასში გახსნილი მინერალური სასუქების მიწოდების მეთოდი. ეს ტენიოლოგია შემუშავებულ იყო 1970 წელს და დიდი გავრცელება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შორის.

ფერტიგაციის სისტემაში ადვილად რეგულირდება სასუქების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომლის რეგულირებაც შესაძლებელია ავტომატურ რეჟიმშიც.

ფერტიგაციის დადებით მხარეებს წარმოადგენს:

- შრომითი დანახარჯების ეკონომია;
- ეკონომია მოწყობილობებზე;
- ძვირადღირებული სასუქების ეფექტური თითქმის 100 %-იანი გამოყენება.

ფერტიგაციის მეშვეობით სასუქები და სარწყავი წყალი მიეწოდება უშუალოდ ფესვთა სისტემას, რომლის შედეგადაც საგრძნობლად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ფერტიგაციისათვის გამოიყენება სპეციალური ხსნარები, რომლებიც ხასიათდებიან სასუქების დიდი კონცენტრაციით. ეს ხსნარები იხსნება სარწყავ წყლში და მიეწოდება სარწყავ ფართობს პროპორციით 1:100-თან. შერევა ხორციელდება სხვადასხვა მოწყობილობების მეშვეობით.

ფერტიგაცია წვეთური სისტემის გამოყენებით ძალიან ეფექტურია როგორც გვალვიან, აგრეთვე ტენიან რეგიონებში მაშინ, როდესაც საკვები ნივთიერებები მიეწოდება უშუალოდ ფესვთა სისტემას. აგრეთვე, იგი კარგ შედეგს იძლევა მინერალური მარილების დაბალი შემცველობის მქონე ეროდირებულ და ქვიშოვან ნიადაგებზეც.

მიკროირიგაციის სისტემის პროექტირების დროს აუცილებელია ყოველთვის გათვალისწინებული იყოს ფერტიგაციის მოწყობილობა ნიადაგების, მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, წყლის ხარისხისა და შემადგენლობის, ხელმისაწვდომი სასუქებისა და შხამქიმიკატების გათვალისწინებით. ვინაიდან, წვეთური მორწყვის დროს ტენიან დება უშუალოდ ფესვთა სისტემა, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სასუქების ზუსტი შემადგენლობა და დოზირები მცენარის მთელი სავაგეტაციო პერიოდისათვის.

მცენარის დაბალნებული კვებისათვის ფერტიგაციის სისტემა აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს მიკროელემენტების შეტანის საშუალებას.

გასათვალისწინებელია, რომ ფერტიგაციის დროს შეიძლება წარმოიშვას რიგი უარყოფითი მოვლენები. მაგალითად, ისეთი როგორც ნიადაგის მჟავიანობის ბალანსის დარღვევა.


5.4.2. წყლის რეჟიმის რეგულირება მულტირებისა და წვეთური მორწყვის გამოყენებით

გრუნტის წყლები და ატმოსფერული ნალექები - ნიადაგის გატენიანების ძირითადი წყაროებია. ნიადაგში ტენი მუდმივ მოძრაობაში იმყოფება: შთაინთემება მცენარეებით, ორთქლდება ჰაერში, ჩაედინება ღრმა ჰიდრონტებში. დროდადრო ხდება მათი აკუმულაცია ნიადაგში.

ნიადაგში ტენის მოძრაობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების გათვალისწინებით, **წყლის ბალანსის განტოლებას** შემდეგი სახე აქვს

$$\vartheta_0 + n + \vartheta_\beta + \vartheta_\gamma + \vartheta_\delta + \vartheta_{\beta\gamma} = \vartheta_0 + \vartheta_\beta + \vartheta_n + \vartheta_{\beta\delta} + \vartheta_1, \quad (5.6.)$$

- სადაც:
- ϑ_0 – არის ნიადაგის ტენის მარაგი დაკვირვებების დაწყების მომენტში;
 - n – ატმოსფერული ნალექების ჯამი დაკვირვებების მთელ პერიოდში;
 - ϑ_β – გრუნტის წყლებიდან მოდინებული ნიადაგის ტენის რაოდენობა;
 - ϑ_γ – წყლის ორთქლიდან კონდენსირებული ტენის რაოდენობა;
 - ϑ_δ – ზედაპირული წყლების მოდინების შედეგად წარმოქმნილი ტენის რაოდენობა;
 - $\vartheta_{\beta\gamma}$ – გრუნტის და ნიადაგის წყლების გვერდითი მოდინებით წარმოქმნილი ტენის რაოდენობა;
 - ϑ_β – დაკვირვებების მთელ პერიოდში ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებული ტენის რაოდენობა, ფიზიკური აორთქლება;
 - ϑ_β – ტრანსპირაციაზე გახარჯული ტენის რაოდენობა (დესუქცია);
 - ϑ_1 – ნიადაგ-გრუნტში ინფილტრირებული ტენი;



- \mathcal{G}_r – ზედაპირული ჩამონადენის შედეგად “დაკარგული” ტენის რაოდენობა;
- \mathcal{G}_d – ნიადაგური გვერდითი ჩამონადენის ზეგავლენის შედეგად “დაკარგული” ტენის რაოდენობა;
- \mathcal{G}_t – ტენის რაოდენობა დაკვირვებების პერიოდის დამთავრებისას; ტენის ბალანსის განტოლების მარცხენა მხარე ტენის მოდინების აღმნიშვნელია, ხოლო მარჯვენა - ხარჯის.

თუ კლიმატში არ აღინიშნება არსებითი ცვლილებები მაშინ ტენის რაოდენობა დასაწყისში და დასასრულში ერთმანეთის ტოლია, ანუ $\mathcal{G}_\text{r} = \mathcal{G}_\text{d}$.

მცენარეთა ზრდა-განვითარებისთვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად აუცილებელია ნიადაგში ტენის რაოდენობის გათანაბრება მის ხარჯთან ტრანსპირაციაზე და ფიზიკურ აორთქლებაზე, ანუ ერთის მიახლოებული გატენიანების კოეფიციენტის მიღება. ეს ძირითადად მიიღება დაჭაობებული ნიადაგების დაშრობით ან გვალვიანი რეგიონების ნიადაგების მორნვით.

იმის და მიხედვით, თუ რა გრუნტებთან გვაქვს საქმე და რომელ კულტურასთან ნიადაგის ტენის ცვალებადობის დინამიკა სხვადასხვანირია. რა თქმა უნდა მცენარისათვის ოპტიმალური ტენის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მისი ქვედა და ზედა ზღვარს შორის რეგულირება შესაძლებელია თუ რეგიონს გააჩნია საკმაო წყლის რესურსები, კარგად მოწყობილი სარწყავი ქსელი და რწყვის ტექნიკის მაღალი ტექნოლოგია.

მცენარის წყლის ბალანსი შეიძლება შეფასებული იყოს მინდვრის წყლის ბალანსის დახმარებით. მინდვრის წყლის ბალანსის ქვეშ გულისხმობენ სხვაობას შემოსული და დახარჯული წყლის ოდენობას შორის მცენარის ფესვთა სისტემის განვითარების ზონაში.

ვეგეტაციის გარკვეულ შუალედში მინდვრის სრული წყლის ბალანსი გამოისახება შემდეგნაირად

$$W_0 = X + q_{\text{გ}} + q_{\text{მ.გ.}} + E_{\text{ა}} + E_{\text{გ}} + W_1 + \Delta W + q_{\text{გ.მ.}}, \quad (5.7.)$$

სადაც:	W_0	არის ნყლის მარაგი ფესვთა სისტემის განვითარების ზონაში საწყის პერიოდში;
	X	ნალექის სიდიდე;
	$q_{\text{გ}}$	გრუნტის წყლებიდან შემომავალი ტენი;
	$q_{\text{მ.გ.}}$	ორთქლის კონდენსაცია;
	$E_{\text{ა}}$	აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან;
	$E_{\text{გ}}$	ტრანსპირაცია;
	W_1	ტენის მარაგი ნიადაგში საანგარიშო პერიოდში;
	ΔW	ნიადაგის ტენის მარაგის ცვლილება;
	$q_{\text{გ.მ.}}$	ზედაპირული ჩამონადენი.

თუ წყლის დანახარჯი აღემატება მის შემოდინებას, მცენარე განიცდის წყლის ნაკლებობას. თუ წყლის შემოდინება აღემატება მის ხარჯვით ნაწილს იქმნება ტენის სიჭარბე და მცენარის სუნთქვა ფერხდება.

მინდვრის წყლის ბალანსი შეიძლება ასევე გამოისახოს

$$\Sigma W_i = Q_{0\text{r}} + Q_{\text{ა.ფ.}} - (Q_{0\text{გ}} + Q_{\text{გ.მ.}} + Q_{\text{გ}}), \quad (5.8.)$$

სადაც:	ΣW_i	არის ნებისმიერი ნიადაგის პროდუქტიული ტენი;
	$Q_{0\text{r}}$	ირიგაციული ხარჯი ფართობის ერთეულზე;
	$Q_{\text{ა.ფ.}}$	ატმოსფერული ნალექების ჩამონადენი;
	$Q_{0\text{გ}}$	ინფილტრაციის ხარჯი;
	$Q_{\text{გ.მ.}}$	ზედაპირული ჩამონადენი;
	$Q_{\text{გ}}$	აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან.

თუ (5.8.)-ის მარჯვენა მხარე აღმოჩნდა მცენარის წყალმოთხოვნილებაზე ნაკლები, აუცილებელი ხდება მოწყვეტილი შეცვლა.

გამომდინარე აქედან, მცენარის ზრდა-განვითარება წყლის მარაგის გარეშე გა-მორიცხულია. იმისათვის, რომ მიღწეული იყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მაღალი ეფექტიანობა აუცილებელია განხორციელდეს მინდვრის წყლის ბალანსის მართვა მცენარის ბიოლოგიური მოთხოვნილების შესაბამისად.

წყლის ბალანსის მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არიდულ ზონაში, სადაც მცენარის ოპტიმალური წყლის ბალანსი ბუნებრივ პირობებში არ ყალიბდება და მოითხოვს მის ხელოვნურ შევსებას. ხელოვნური შევსებისათვის აუცილებელი ხდება საკუმულაციო წყალსაცავების შექმნა, სარწყავი სისტემების ოპტიმალური მოწყობა და აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი შერჩევა.

ნიადაგში დაგროვილი ტენის ეფექტურ გამოყენებას ხელს უწყობს მრავალი აგროტექნიკური ღონისძიება, რომელთა შორის პრიორიტეტულად ითვლება **ნიადაგის მულჩირება**.

პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე სახის მულჩი: თივა, ბზე, ნახერხი, ტოლი და სხვა. მათ შორის ყველაზე ეფექტურია იზოლი და პოლიეთილენის აფსკი.

ზოგადად, მულჩირების დადებითი მხარეები შეიძლება შემდეგ პუნქტებად ჩამოვაყალიბოთ:

1. ორგანული მულჩი წარმოადგენს ნიადაგის მიკროორგანიზმების საკვებს და აძლიერებს მათ აქტივობას;
2. მულჩი ინვევს მოძრავი საკვები ელემენტების განვითარებას, ხოლო გარკვეული პირობების დროს კი წახშირორჟანგის გამომუშავებას;
3. განაპირობებს ნიადაგის ხელსაყრელი კოშტოვანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას;
4. იცავს ნიადაგს გადაშრობისგან, ინარჩუნებს მის ტენიანობას;
5. არეგულირებს ნიადაგის ტემპერატურას;
6. აფერხებს სარეველების განვითარებას;
7. ხელს უშლის ეროზიული პროცესების განვითარებას და საკვები ელემენტების გამორეცხვას;
8. ხელს უწყობს ბუნებრივი დამცავი ნივთიერებების წარმოქმნას, რომლებსაც მცენარეები ითვისებენ.

მულჩირების დროს ხდება ორგანული წარჩენების დაშლა ნიადაგის ზედაპირზე და მისი მოქმედება შეიძლება შევადაროთ ნიადაგის ზედაპირზე კომპოსტის შეტანას. აქედან გამომდინარე, მულჩის შეტანა უნდა ხდებოდეს ხშირად და თხელ ფენად, ხოლო განახლება კი რეგულარულადაა საჭირო, ვინაიდან სქელი ფენის ქვეშ შეიძლება წარმოიშვას ანაერობული პირობები, რაც თავის მხრივ ლპობის პროცესის განვითარების საწინდარია. ლპობის პროდუქტები უარყოფითად მოქმედებს მცენარეთა ფესვთა სისტემაზე და ნიადაგის მრავალ მიკროორგანიზმზე. ამიტომ, მულჩის შრეს არ უნდა ჰქონდეს მპალის სუნი.

ორგანული მულჩიდან ყველაზე გავრცელებულია მცენარეული წარჩენები. რაღა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთესო ორგანულ მულჩად უნდა ჩაითვალოს კომპოსტი, მაგრამ მისი გამოყენება არ შეიძლება ყველა კულტურისთვის.

ორგანული მულჩით ნიადაგის მულჩირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს 6 დირითადი კანონი:



1. მულჩის შეტანის წინ აუცილებელია ნიადაგის აოშვა;
2. მულჩი შეტანის წინ უნდა დაქუცმაცდეს;
3. მწვანე მაღალტენიანი მასალის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თხელი ფენის სახით, ამიტომ მას ხშირი განახლება ესაჭიროება;
4. მშრალი მულჩი, მაგალითად თივა, შეიძლება უფრო სქელი ფენით იყოს შეტანილი (2-10 სმ), მაგრამ შეტანისთანავე უნდა დაინამოს;
5. მულჩირების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღმონაცენი ან ჩითილები არ იყოს დაფარული მულჩით;
6. მულჩი არ უნდა შეიცავდეს სარეველების თესლს და განსაკუთრებით მწერებს ანდა მათ ჭუპრს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხოს პოლიეთილენის აფსკით მულჩირება წარმოადგენს.

მულჩირება პოლიეთილენის აფსკით ხორციელდება ხელით ან სპეციალური აფსკის დამგები მანქანით. შესაძლებელია ნიადაგის ზედაპირის სრული ან სხვადასხვა სიგანის (100-150 სმ) ზოლებით დაფარვა. აფსკის ნაპირების ფიქსირება სხვადასხვა მეთოდებითა შესაძლებელი, ძირითადად კი ნიადაგის მიყრით (6-8 სმ). აფსკის პერფორაცია ხდება მის გაფენამდე ან გაფენის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ რა კულტურისათვის გამოიყენება მულჩი.

ვინაიდან პოლიეთილენის აფსკის საფარი გამოირჩევა მაღალი ჰერმეტულობით, მის ქვეშ ნარმოიქმნება ჰაერის და ნიადაგის ტენის განსხვავებული პირობები. ასე, მაგალითად, დღის საათებში პოლიეთილენის აფსკის ქვეშ, გარე ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობის პირობებში, ზაფხულის დღის პერიოდში, ტენიანობა იზრდება 90 - 95 %-მდე. ღამით კი, აფსკის ქვეშ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა უახლოვდება სრულ გაჯერებას (100 %).

ამა თუ იმ კულტურის მოყვანის დროს, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ჰაერის ტენიანობის თავისებურებანი აფსკის ქვეშ. მაგალითად, კიტრი მოითხოვს ჰაერის მაღალ ტენიანობას, ხოლო პომიდორი შედარებით დაბალს. ჰაერის მაღალი ტენიანობა (80 % და მეტი) ზღუდავს მცენარეთა ტრანსპირაციას.

აფსკის ქვეშ ჰაერის ტენიანობის შესამცირებლად, ყველაზე ეფექტურია პერფორირებული აფსკის გამოყენება. ნიადაგის მულჩირება საფარის ქვეშ, აგრეთვე ხელს უწყობს ჰაერის ტენიანობის შემცირებას.

პერფორირებული აფსკის გამოყენების შემთხვევაში, ჰაერის ტენიანობა შედარებით ცივ პერიოდში დაახლოებით 8 %-ით მაღალია, ვიდრე ღია ნაკვეთზე. გვალვიან პერიოდში, მორჩყვის პირველ დღეებში, ჰაერის ტენიანობა პერფორირებული აფსკის ქვეშ დაახლოებით 25 %-ით, ერთი კვირის შემდეგ 7-10 %-ით მეტია ვიდრე ღია ნიადაგის დროს. აფსკის ქვეშ, ნახვრეტების გარეშე, ჰაერის ტენიანობა დაახლოებით 16 %-ით მეტია, ვიდრე პერფორირებულის ქვეშ.



ნახ № 5.14 მარწყვის მულჩირება შავი პოლიეთილენის აფსკით

ნიადაგის ტენიანობა ცივ პერიოდში ხშირი წვიმებით, პერფორირებული მულჩის ქვეშ ისეთივეა, როგორც ღია გრუნტში. ცხელ, გვალვიან პერიოდში, ნიადაგის ტენიანობა პერფორირებული მულჩის ქვეშ, განსაკუთრებით ზედა შრეში, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე არაპერფორირებული მულჩის ქვეშ, და ოდნავ დაბალია, ვიდრე ღია გრუნტში. ამიტომ, გვალვიან პერიოდში აუცილებელია ხშირი მორწყვა.

რაც უფრო ნაკლები მანძილია მულჩის ზოლებს შორის და ხშირია პერფორაცია, მით ნაკლებია აორთქლება და მატულობს წყლის მარაგი ნიადაგში.

სპექტრული გამჭვირვალების მიხედვით განასხვავებენ აფსკის შემდეგ ტიპებს: გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე (დაბურული), გაუმჭვირვალე (შავი) და შუქის და სითბოს ამრეკლი.

გამჭვირვალე აფსკი ხასიათდება მზის ენერგიის სხივური სპექტრის დიდი გამტარობით, რაც მის უმთავრეს თვისებას ნარმოადგენს. ექსპლუატაციის პროცესში მისი გამჭვირვალობა თანდათან კლებულობს. ასეთი აფსკის მულჩად გამოყენების ვადა მხოლოდ ერთი წელია. გამჭვირვალე აფსკა იყენებენ მულჩად იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გაზაფხულის პერიოდში ნიადაგის ტემპერატურის გაზრდა საადრეო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მისაღებად.

გამჭვირვალე პოლიეთოლენის აფსკი, მისი გამოყენების პირობების და ხერხების მიხედვით არეგულირებს ნიადაგის თბურ რეჟიმს სითბოს აკუმულაციის ხარჯზე დღის პერიოდში. ტენის წვეთების კონდენსატი, რომელიც აფსკის ზედაპირზე წარმოიქმნება, ნიადაგის და ჰაერის ტემპერატურას შორის სხვაობის გამო, ხელს უწყობს დღის პერიოდში აკუმულირებული ტემპერატურის შენარჩუნებას ნიადაგში.

გამჭვირვალე პოლიეთოლენის აფსკით მულჩირების დროს ნიადაგი უკეთესად თბება პირველი ოთხი-ექვსი კვირის მანძილზე, სანამ იგი სუსტად იჩრდილება მცენარეთა ვეგეტატიური მასით. ხელსაყრელი მიკროკლიმატი, რომელსაც ქმნის აფსკი, ამაღლებს თესლების აღმოცენებლობას, ამცირებს მას ხუთი-შვიდი დღით და ხელს უწყობს მათ სწრაფ ზრდა-განვითარებას. ნაყოფის მომწიფება ხდება 5-13 დღით ადრე.

ნახევრად გამჭვირვალე (დაბურული) აფსკი გამჭვირვალობის მიხედვით შუალედურ მდგომარეობას იყავებს გამჭვირვალესა და შავს შორის. მისი მულჩად გამოყენება შესაძლებელია ორი წლის მანძილზე, რადგან მის შემადგენლობაში შემავალი ჭვარტლი სტაბილიზატორის როლს ასრულებს და მატებს მდგრადობას.

ნახევრად გამჭვირვალე აფსკი ამცირებს ნიადაგის გათბობას მათი გამჭვირვალობის მიხედვით.

შავი აფსკის დამზადების დროსაც პოლიეთოლენის მასას უმატებენ ჭვარტლს (3%). ასეთ აფსკს ახასიათებს კარგი ელასტიკურობა, მაგრამ იგი არ ატარებს სინათლის სხივებს. ამ თვისების გამო შავი აფსკი მკვეთრად ამცირებს ან სრულად გამორიცხავს აღმოცენებული მცენარეების ფოტოსინთეზს. ამიტომ, მულჩირება შავი აფსკით აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სარეველებთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. ცხელი კლიმატის პირობებში შავი პოლიეთოლენის აფსკი იცავს ნიადაგს გადახურებისგან.

შავი პოლიეთოლენის აფსკი შთანთქავს სხივებს და ცხელი კლიმატის პირობებში 58 გრადუსამდე თბება, მაგრამ ნიადაგი, ასეთი მულჩის ქვეშ მზიან დღეებშიც კი გაცილებით ნაკლებად თბება ვიდრე გამჭვირვალე აფსკის გამოყენების დროს. ნიადაგის ზედა შრის (0-5 სმ) ტემპერატურა შესაძლებელია 1-1,5 გრადუსით ნაკლები იყოს, ვიდრე არამულჩირებული ნიადაგის შრე.

შავი აფსკის ქვეშ ნიადაგის ტენიანობა ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე აფსკების ქვეშ, ვინაიდან ასეთი მულჩაფსკის ქვეშ ნიადაგი ნაკლებად თბება. მზის სხივები დღის პერიოდში აცხელებს შავ აფსკს, მაგრამ აფსკსა და ნიადაგს შორის არსებული ჰაერის შრე ხელს უშლის ნიადაგის გათბობას. ამასთან, მულჩაფსკი ამცირებს ნიადაგიდან ტენის აორთქლებას ღია გრუნტთან შედარებით, სადაც აორთქლებაზე გახარჯული სითბო შესაბამისად მეტია. ღია გრუნტის ტემპერატურა ტენიანი ნიადაგის დროს, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მულჩის ქვეშ.

ასეთი პირობები იქმნება ადრე გაზაფხულზე და წვიმის შემდეგ. მულჩაფსკი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის ტემპერატურულ რეჟიმს.

ალსანიშნავია, რომ შავი აფსკი მთლიანად აფერხებს სარეველების განვითარებას, რომლებიც იღუპებიან მის ქვეშ სინათლის უკმარისობის და დღისით გახურებულ აფსკთან შეხების გამო. სარეველებთან ბრძოლაში იგი ჰერბიციდებსაც სჯობნის, რადგანაც არ გამოირჩევა ამომრჩევლობით სხვადასხვა სახის მცენარეების მიმართ და არ აბინძურებს გარემოს, რაც ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების საწინდარია.

შავი აფსკები, უმთავრესად, გამოიყენება მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურებისათვის, თუმცა იგი გამართლებულია საადრეო ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანაც.

ნიადაგის მულჩირების დროს მორწყვას აწარმოებენ ლოკალურად. ამ შემთხვევაში მიღებს მულჩაფსკის ქვეშ ათავსებენ. ეს მეთოდი ყველაზე ეფექტურია საადრეო მოსავლის მისაღებად.

ამ შემთხვევაში წვეთური მორწყვის სისტემის გაანგარიშება წარმოებს ჩვეულებრივი წესით, ხოლო პოლიეთილენის პარამეტრების შერჩევა ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების, კლიმატის, ნიადაგის სტრუქტურის და ა.შ. გათვალისწინებით.



ნახ. № 5.15 წვეთური მორწყვა და მულჩირება გამჭვირვალე პოლიეთილენის აფსკით


5.4.3. ქვენიადაგიდან მორწყვა

ქვენიადაგიდან მორწყვა წარმოადგენს წვეთური მორწყვის ნაირსახეობას, რომელიც ხორციელდება ნიადაგის განსაზღვრულ სიღრმეში განლაგებული მიღებით. კაპილარების საშუალებით წყალი თანაბრად ატენიანებს აღნიშნული სიღრმის ფენას.

ეს წესი კარგ შედეგს იძლევა ისეთ ნიადაგში, სადაც კაპილარული თვისება კარგად არის გამოვლინებული და რომელსაც საკმაოდ წყალუონვადობაც ახასიათებს, ხოლო ქვენიადაგი მინიმალურად წყალუონვადია.

ეს წესი არ გამოიყენება მჩატე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში, ვინაიდან აქ ნაკლები კაპილარიობისა და დიდი წყალუონვადობის გამო წყლის უმეტესი ნაწილი ღრმა ფენებში ეშვება და ჰორიზონტალური და აღმავალი მიმართულებით ნაკლებად ნაწილდება.

ქვენიადაგიდან მორწყვის დროს სატენიანებლად გამოიყენება კერამიკული, აზბესტიცემენტის, პლასტმასის, პოლიეთილენის გლუვი და პერფორირებული მიღები, ქვიშით შევსებული წყალგამტარი ბეტონის (ან სხვა მასალის) ლარები და სხვ. აგრეთვე, სპეციალური იარაღებით ნიადაგში გაჭრტილი ხვრელები (როგორც ხვრელისებრი დრენაჟი). ნიაგადის გატენიანება წარმოებს მიღებზე არსებული ხვრელებიდან ან ნაპრალებიდან, აგრეთვე, მიღების პირაპირების ადგილებში დატოვებული ღრეულებიდან გამოჟონილი წყლით.



ნახ. № 5.16 სატენიანებელი:

1. სატენიანებელი მიღები;
2. ნახვრეტი მიღების კედელში;
3. პოლიეთილენის აფსკი;
4. ნიადაგში წყლის გამოჟონვა.

სატენიანებლები წყალს ღებულობენ ლია არხებიდან ან განმანაწილებელი მილ-სადენებიდან. საჭირო დაწნევისა და ნიადაგის გატენიანების წესის მიხედვით განასხვა-ვებენ ნიადაგქვეშა მორწყვის შემდეგ სისტემებს:

- დაწნევიანი (0,5-დან 2-5 მ-მდე), კაპილარულ-გრავიტაციული გატენიანებით;
- უდაწნეო, კაპილარული გატენიანებით;
- ვაკუუმური, ანუ ადსორბირებული, ნიადაგის შემწოვი ძალის ანგარიშზე გატე-ნიანებით.

უდაწნეო კაპილარული გატე-ნიანების დროს ნიადაგში წყლის განა-ნილება ხდება სატენიანებელ მილსა-დენზე ან ლარებზე გაკეთებული ნაპ-რალებიდან, ხვრეტებიდან ან ჰირაპი-რებს შორის დატოვებული ლრეჩოები-დან, აგრეთვე, უშუალოდ ნიადაგში გაყვანილი ხვრელისებური ქსელიდან.

დაწნევიან კაპილარულ-გრავიტაციულ გატენიანების სისტე-მებში წყლის განანილება წარმოებს იგივე საშუალებით, ოლონდ ამ შემთ-ხვევაში აუცილებელია სატენიანებლე-ბის ბოლოებში ჩამკეტების მოწყობა, რომელთა საშუალებით იქმნება საჭი-რო დაწნევა 1.5 მ-მდე და მეტიც 2-5 მ.


დაწნევის შედეგად უმჯობესდება მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგების გატენიანების პირობები. დაწნევის შექმნის მიზნით ხშირად საჭირო ხდება სატუმბი სადგურის მოწყობა.

ვაკუუმურ (ადსორბირებულ) სისტემებში სატენიანებლები წარმოადგენს ჰერმე-ტულად შეერთებულ ფორმვან მილებს, რომლის კედლებიდანაც ხდება ნიადაგის მიერ წყლის შენოვა მოთხოვნილების შესაბამისად. ეს კი განსაკუთრებით ხელსაყრელ პირო-ბებს ქმნის ავტომატიზირებული რწყვისთვის.

ნიადაგქვეშა მორწყვის ტექნიკის ელემენტებს (პარამეტრებს- მიეკუთვნება სა-ტენიანებლების ჩაწყობის სიღრმე - 0.4-0.6 მ.; დაწნევა 0.2-0.5-დან 2-5მ-მდე; ხედრითი ხარჯი 0.0026-0.003 ლ/წმ 1 მ სიგრძეზე; სიგრძე -50-300 მ; სატენიანებლებს, ანუ გატე-ნიანების კერებს (ხვრეტებს შორის მანძილი - 1-3.5 მ; სატენიანებლების შიდა დიამეტრი 6-10-და 0.5 სმ-მდე).

ქვენიადაგიდან რწყვის დადებით მხარეს წარმოადგენს:

1. ნიადაგის ტენიანობის ორმხრივი რეგულირება. თუ ნიადაგში წყალი ზედმეტი რაოდენობით დაგროვდება, წყლის მიწოდება წყდება და წყლის მარეგულირებე-ლი დრენები მოქმედებენ, როგორც ჩვეულებრივი დამშრობი დრენები;
2. სარწყავი წყლის ეკონომიკური მოხმარება, ვინაიდან არ აქვს ადგილი დანაკარ-გებს;
3. ნიადაგის სტრუქტურის მაქსიმალური შენარჩუნება, ვინაიდან აქ აქტიურ ფენაში სრულებით არ ხდება გრავიტაციული წყლის მოძრაობა, რაც ჩვეულებრივ ხელს უწყობს სტრუქტურის დაშლას. ამასთან დაკავშირებით, ქვენიადაგიდან რწყვი-სას, ნიადაგის ზედაპირზე არ წარმოიშვება ქერქი.
4. ზედაპირის გასწორების (მოშანდაკება) ნაკლები საჭიროება, ვინაიდან აქ არ გვაქვს ზედაპირული ჩამონადენის სახით წყლის მოძრაობა;
5. წვრილ სარწყავ ქსელზე ფართობის ნაკლები რაოდენობით დაკარგვა, ვინაიდან აქ წვრილი სარწყავი მარეგულირებელი ქსელი თარგის ფარგლებში მინიმუმამ-დეა დაყვანილი;
6. ხარჯების სიმცირე მუშახელსა და მრწყველებზე;



7. მექანიზაციის პროცესის გაადვილება.

ამ წესის უარყოფით მხარეებს წარმოადგენს:

1. ზედაპირული ფენის შედარებითი სიმშრალე, რაც ართულებს მდგომარეობას ახლად დათესილი ან დარგული ფართობის გატენიანების დროს. ქვენიადაგიდან მიწოდებული წყალი ხშირად საკმარისი არ არის მცენარის აღმოცენებისათვის.

2. ამ წესის გამოყენების შეუძლებლობა მლაშე ნიადაგებში.

აღსანიშნავია, რომ ქვენიადაგიდან რწყვა დიდ გავლენას ახდენს მოსავლის რაოდენობაზე. ამასთან ასეთი წესით მორწყულ ფართობზე სასუქის შეტანაც მეტ ეფექტს იძლევა, რამდენადაც აქ ადგილი არა აქვს ზედა ფენიდან სასუქის ღრმა ფენებში ჩარეცხვას.

5.5. საქართველოს დარაიონება და ცალკეული კულტურების რწყვა

კულტურათა მორწყვის საკითხის მოწესრიგება აუცილებლად მოითხოვს კულტურათა მორწყვის რეჟიმის დარაიონებას. განსაკუთრებით ეს საჭიროა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ამ მხრივ დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი.

მორწყვის საჭიროების მიხედვით საქართველოს მიკროდარაიონებას საფუძვლად უდევს ჰაერის წყლის დეფიციტის სიმძაფრის კოეფიციენტი, რის შედეგად აღმოსავლეთ საქართველო დაყოფილია 11 მიკრორაიონად შემდეგი მაჩვენებლებით: 1. წელთა მანძილზე მორწყვის საჭიროების განმეორება - ა) რწყვა იშვიათად (განმეორება 20%-მდე), ბ) პერიოდულად (განმეორება 20-75%-მდე, სინამდვილეში არ აღემატება 50%-ს) და გ) სისტემატურად (განმეორება 75-100%-მდე); 2. მორწყვის ხასიათი და რაოდენობა.

1. ჯავა, თიანეთი, ჯოყოლო, წალკა და დმანისი - გაზაფხულზე იშვიათ წლებში ფაკულტატური, ზაფხულში პერიოდულად ზომიერი (ერთი) მორწყვა.
2. ახალქალაქი - გაზაფხულზე პერიოდულად ფაკულტატური, ზაფხულში სისტემატურად ზომიერი (ერთი) მორწყვა.
3. დუშეთი და ახალგორი - გაზაფხულზე პერიოდულად ფაკულტატური, ზაფხულში სისტემატურად (ერთი ან ორი) მორწყვა.
4. ლაგოდეხი, ყვარელი, ნაფარეული, ახმეტა, თელავი, ზეგანი, გურჯაანი - გაზაფხულზე პერიოდულად ზომიერი (ერთი), ზაფხულში სისტემატურად გახშირებული (ორი ან სამი) მორწყვა.
5. მეჯვრისხევი, ცხინვალი, ხაშური, ადიგენი, ასპინძა, ახალციხე - გაზაფხულზე პერიოდულად ზომიერი (ერთი), ზაფხულში სისტემატურად გახშირებული (ორი ან სამი მორწყვა).
6. საგარეჯო - გაზაფხულზე პერიოდულად ზომიერი (ერთი), ზაფხულში სისტემატურად გახშირებული (ორი, იშვიათ წლებში ოთხამდე) მორწყვა.
7. მუხრანი, გორი, სკრა და სამგორის ქვედა მაგისტრალური არხის ზევით მდებარე ფართობი - გაზაფხულზე სისტემატურად გახშირებული (ერთი ან ორი), ზაფხულში სისტემატურად ხშირი (სამი ან ოთხი) მორწყვა.
8. შირაქი - გაზაფხულზე პერიოდულად გახშირებული (ერთი, იშვიათ წლებში ორი), ზაფხულში სისტემურად ხშირი (სამი, იშვიათ წლებში ოთხი) მორწყვა.
9. წნორიდან აღმოსავლეთ საზღვრამდე - გაზაფხულზე პერიოდულად გახშირებული (ერთი ან ორი), ზაფხულში სისტემატურად ხშირი (სამი, იშვიათ წლებში ხუთმდე) მორწყვა.
10. თბილისი, მარნეული, ბოლნისი, სამგორის ქვედა ნაწილი და აღმოსავლეთისაკენ ზოლი იორი - მუგანდოს მიმართულებით ელდარის ჩათვლით - გაზაფხულზე სისტემატურად გახშირებული (ერთი ან ორი) ზაფხულში სისტემატურად ინტენსიური (ოთხი, იშვიათ წლებში ხუთი) მორწყვა.
11. რუსთავისა და გარდაბნის ველი და აღმოსავლეთისაკენ იორის ქვედა ნაწილის ნაპირები - გაზაფხულზე სისტემატურად ხშირი (ორი ან სამი), ზაფხულში სისტემატურად ინტენსიური (ოთხი-ხუთი) მორწყვა.

ზოგიერთი კულტურულის რწყვა.

საშემოდგომო პურეული (ხორბალი, ქერი) თავისი აღმოცენებისა და ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის დათესვისთანავე საჭიროებს ნიადაგში წყლის საკმაო მარაგს. საქართველოს სარწყავ რაიონთა უმეტეს ნაწილში შემოდგომისთვის ნიადაგი უზრუნველყოფილი არ არის წყლის ასეთი მარაგით. ამიტომ, შემოდგომის პურეულის დათესვისთანავე საჭიროა რწყვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოდგომის რწყვა ძლიერი ქარებით ცნობილ მტკვრის ხეობაში, სადაც შემოდგომის ჩვეულებრივი ატ-მოსფერული ნალექები სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თავისთავად ცხადია, რომ უხვი ნალექიანობის შემთხვევაში რწყვა პრაქტიკულად არ განხორციელდება. გვალვიან ნლებში, როდესაც შემოდგომის ნახნავი მეტად ბელტიანია, რწყვას ზოგჯერ ბელტების დასაშლელად თესვის წინ აწარმოებენ.

საშემოდგომო პურეულის თესვასთან დაკავშირებით რწყვის პერიოდი თვით თესვის პერიოდით განისაზღვრება, რაც წინასწარ არის მოცემული საშემოდგომო თესვის გეგმით. ნორმალურ პირობებში შემოდგომის რწყვა სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე უნდა ჩატარდეს და, ყოველ შემთხვევაში, თესვის შემდეგ 5-7 დღის განმავლობაში უნდა დამთავრდეს.

შემოდგომისას რწყვით და ზამთარში დაგროვილი წყლის მარაგით შემოდგომის პურეული მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი წყლით და გაზაფხულზე ის ჩვეულებრივ ერთ ან ორ სავეგეტაციო რწყვას საჭიროებს.

თესვისთანავე რწყვა უზრუნველყოფს ნორმალურ აღმოცენებას და აღმოცენებიდან ბარტყობის დამთავრებამდე განვითარების პირველ პერიოდს, ხოლო შემდეგში, აღერება, დათავთავება და ყვავილობის ფაზაში, უმეტეს შემთხვევაში ორ რწყვას საჭიროებს: აპრილის შუა რიცხვებისათვის (აღერების ფაზაში) და მაისი მეორე ნახევრისათვის (დათავთავება-ყვავილობის ფაზაში).

დათავთავება-ყვავილობის შემდეგ მოგვიანებით (ივნისში) რწყვა ხშირ შემთხვევაში ჩაწილას იწვევს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ივნისში ძლიერი გვალვა იშვიათი მოვლენაა და რწყვაც ამ პერიოდში სახიფათოა, აღნიშნული რწყვა, არაუგვიანეს 5 ივნისამდე, გამოყენებული უნდა იყოს, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ ძლიერ მჩატე მექანიკური შედგენილობის ნიადაგების პირობებში.

ზემოთაღნიშნული ორი სავეგეტაციო რწყვა გაზაფხულზე გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს VII-XI მიკრორაიონებისათვის.

შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული საშემოდგომო პურეული გაზაფხულზე რწყვა ალაზნის ველზე, განსაკუთრებით მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. გაზაფხულის პირველი რწყვა საკმაოდ ხშირად აქაც აუცილებელია და ეს რწყვა გეგმით გათალისწინებული უნდა იყოს.

პურეულის რწყვა მოღვარვის წესით წარმოებს. როგორც წესი, სავალდებულოა დათესვისთანავე ფართობის დაკვალვა. ყველაზე უკეთესია ფართობის განვითარებით კვლების ერთიმეორისაგან 60-100 მ-ის დაშორებით. დასაშვებია ფართობის სიგრძივი მიმართულებითაც დაკვალვა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში უკეთეს შედეგსაც იძლევა. ამ შემთხვევაში კვალთაშორის მანძილი 5-12 მ-ს უნდა უდრიდეს. ორივე შემთხვევაში რწყვა თავისუფალი მოღვარვით უნდა ჩატარდეს.

რწყვის ნორმა საშუალო და მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში, ქანობისა და რელიეფის მიხედვით 800 მ³-ს აღწევს. მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში ეს ნორმა მცირდება 700 მ³-მდე.

სავაზაფხულო პურეული სარწყავ რაიონებში იშვიათად ითესება, ამასთან თესვა ადრე გაზაფხულზე წარმოებს. თესვისთანავე რწყვა აქაც საჭიროა. სავეგეტაციო რწყვა ტარდება საშემოდგომო პურეულის მეორე მორიგი რწყვის შემდეგ, ე.ი. მაისიდან მესამე დეკადაში, მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგში. დამატებით - ივნისის მეორე დეკადაში.

მორწყვის ნორმა, ტექნიკა და ფართობის მომზადების წესი იგივეა, რაც საშემოდგომო პურეულისათვის

სიმინდის დათესვისთანავე რწყვა აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ თესვის შემდეგ საკმარი რაოდენობით მოსული წვიმის შემთხვევაში შეიძლება, რომ დათესვისთანავე გეგმით გათვალისწინებული რწყვა არ ჩატარდეს.

მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დათესვისთანავე რწყვა და ვერიდოთ ახლად აღმოცენებული სიმინდის რწყვას, განსაკუთრებით მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, სადაც ხშირია ზედა ფენაში წყლის გადაჭარბებული რაოდენობით დაგროვება რწყვის პირველ ხანებში, რაც იწვევს აერაციის შესუსტებას და ამით სიმინდის შეყვითლებას.

სიმინდის განვითარების პერიოდში რწყვისთვის მთავარი ფაზა არის ყვავილობის დაწყება და ტაროს გამოსახვა.

სიმინდის სავეგეტაციო რწყვის ვადებსაც ყვავილობის პერიოდს უკავშირებენ. დროულად დათესილი და ნორმალურ პირობებში განვითარებული სიმინდი ყვავილობას ივლისის პირველ დეკადიდან იწყებს, ამიტომ სავეგეტაციო რწყვა უშუალოდ ყვავილობის წინ დაახლოვებით 15-20 ივნისიდან უნდა ჩატარდეს. აღმოცენებიდან აღნიშნულ ვადამდე მცენარე სარგებლობს როგორც თესვის რწყვით დაგროვილი წყლის მარაგით, ისე მაისისა და ნანილობრივ, ივნისის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექებით.

ზოგიერთ რაიონში (VII - XI) შეიძლება გაზაფხულზე (მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში) დამატებით დასჭირდეს კიდევ ერთი მორწყვა. ამ შემთხვევაში ივნისის შემდეგი მორწყვა გადაინაცვლებს ივნისის მესამე დეკადაში. უფრო ხშირად ეს საჭირო იქნება XI მიკრორაიონში.

შემდეგ, ყვავილობიდან სიმწიფემდე IV, V და VI მიკრორაიონებში საჭიროა ერთი ან ორი მორწყვა, დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებში და აგვისტოს დასაწყისში, VII, VIII და IX მიკრორაიონებში ორი-სამი, ხოლო X, XI-ში სამი-ოთხი მორწყვა.

უკანასკნელი რწყვა იმ ვარაუდით უნდა ჩატარდეს, რომ დრო დარჩეს დამწიფებისათვის. ეს რწყვა დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში და უფრო ადრეც უნდა დამთავრდეს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ სიმინდის პირველი სავეგეტაციო რწყვა გათვალისწინებული უნდა იყოს მაისის გვალვიანი პერიოდისთვის, ხოლო ყვავილობის შემდეგ 2 რწყვა ივლისსა და აგვისტოში მოსალოდნელ გვალვიანობასთან დაკავშირებით.

სიმინდის პირველი (თესვის) რწყვა მოღვარვის წესით წარმოებს, ხოლო სავეგეტაციო რწყვები - კვლების საშუალებით უნდა ჩატარდეს. თუ ნიადაგი საშუალო ან მძიმე მექანიკური შედგენილობისაა, სიმინდი მნერივებად ითესება და მნერივთაშორისი მანძილის დამუშავება კულტივატორით წარმოებს. მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე ყველა რწყვა მოღვარვის წესით მიმდინარეობს.

მორწყვის ნორმა საშუალო და მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში 700 მ³-ს არ უნდა აღემატებოდეს, რაც სრულიად საკმარისია კვლებით რწყვის დროს.

თესვასთან დაკავშირებული რწყვის დროს ნორმა იქნება 800 მ³, რაც შეეხება მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგების შემთხვევაში, აქაც 700 მ³ უნდა დარჩეს, ვინაიდან რწყვა მოღვარვის წესით ინარმოებს.

სანაწვერალო სიმინდს დასჭირდება გარდა თესვისთანავე რწყვისა (ნორმა 800-900 მ³ ჰა-ზე), ორი მორწყვა ყვავილობამდე და ერთი ტაროების ჩამოყალიბებისას. X და XI მიკრორაიონებში საჭირო იქნება კიდევ ერთი დამატებითი მორწყვა დამწიფებამდე. სავეგეტაციო მორწყვის ნორმა არა ნაკლებ 600 მ³ ჰა-ზე.

სიმინდის სასილოსედ თესვის შემთხვევაში მორწყვის რეჟიმი იგივე დარჩება.

ლობიო და სოია, ჩვეულებრივ, სიმინდთან ერთად ითესება უკანასკნელის მნერივებში ან მნერივთაშორის ფართობში მნერივებად. ამ შემთხვევაში, ლობიო და სოია სიმინდთან ერთად ირწყვება, მაგრამ, რადგან ლობიო და სოია უფრო რწყვას საჭიროებს, ამიტომ უნდა დაემატოს კიდევ ერთი რწყვა იმ ვარაუდით, რომ ივლისის დამლევამდე 3 სავეგეტაციო რწყვა იყოს ჩატარებული.

ამის გარდა, ეს კულტურები ცალკე ითესება. ამ შემთხვევაში ლობიო და სოია ისევე ირწყვება, როგორც სიმინდში შეთესვის დროს. უკანასკნელი რწყვა მოსავლის აღებამდე 15 დღით ადრე უნდა დამთავრდეს.

მზესუმზირა. საქართველოს სარწყავ რაიონებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია სილნალის, გურჯაანის, დედოფლის წყაროს და ლაგოდეხის რაიონებში. ითესება ადრე გაზაფხულზე, სიმინდზე ადრე.

დათესვისთანავე რწყვა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ვეგეტაციის პერიოდში კარგ შედეგს იძლევა ერთი რწყვა, დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში (ყვავილობის დასაწყისში). მეორე სავეგეტაციო რწყვა სასარგებლოა, მაგრამ ამავე დროს სახიფათოც არის მოლვარვით რწყვის შემთხვევაში. ფესვთა სისტემის არე ზედმეტად ტენიანდება. მცენარე, რომლის სიმძიმის ცენტრი უკვე მის ყვავილედშია (კალათში), ვერ უძლებს და ადვილად წვება.

ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს მზესუმზირის კვლებში მიშვებით რწყვა, ფესვთა სისტემის არეში ზომიერ ტენიანობას ქმნის და მეორე სავეგეტაციო რწყვის საშუალებას იძლევა.

აღნიშნული მეორე სავეგეტაციო რწყვა დაახლოებით ივლისის პირველ დეკადაში ტარდება. მორწყვის ნორმა ჰქეტარზე 600 მ³-არ აღემატება.

მრავალწლოვანი ბალაზები - იონჯა - სხვა მინდვრის კულტურებისგან განსხვავდება აქტიური ღრმა ფენით და წლის განმავლობაში რამდენიმე მოსავლით. მისი აქტიური ფენა დაახლოებით 0.8 მეტრს უდრის, ხოლო მოსავლის ოდენობას განსაზღვრავს რაიონისათვის დამახასიათებელი ტემპერატურათა ჯამი. თითოეული მოსავლის მისალებად ტემპერატურათა ჯამი დაახლოვებით 850⁰C-ს უნდა უდრიდეს. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე რაიონში აპრილის საშუალო ტემპერატურა არის 10⁰C, მაისის -16⁰C, ივნისის - 20⁰C, ივლისის - 23,6⁰C, აგვისტოს - 23⁰C, სექტემბრის - 18⁰C და ოქტომბრის 10,5⁰C, პირველი მოსავლის მისალებად (ტემპერატურათა ჯამის დაგროვება აპრილიდან ვგულისხმობა) ტემპერატურათა საჭირო ჯამი 850⁰C, დაგროვდება დაახლოებით 4 ივნისს. მეორე მოსავლის მიღება შეიძლება 14 ივლისს, მესამე მოსავლის - 20 აგვისტოს, ხოლო სათანადო მოვლისა და მოსავლის დროულად აღების პირობებში მეოთხე მოსავლის მიღება, დაახლოებით, 5 ოქტომბერს.

ამგვარად, მოსავლის აღების დასაწყისი ვადები იქნება: 1 - 14 ივნისი, 2 - 14 ივლისი, 3 - 20 აგვისტო და 4 - 5 ოქტომბერი.

იონჯის რწყვის ვადებს უკავშირებენ მისი მოსავლის აღების ვადებს და რწყვას მოსავლის აღებისთანავე აწარმოებენ.

ამის გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ნალექების რაოდენობა და მისი ვანაწილება. პირველი მოსავლის მისალებად ჩვეულებრივი მშრალი და ქარიანი ზამთრის შემდეგ რწყვა აპრილის პირველ ნახევარში უნდა ჩატარდეს. მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებს შესაძლებელია მეორე მორწყვაც დასჭირდეს მაისის შუა რიცხვებში. მოსავლის აღებისა და მინდვრიდან მისი გატანისთანავე ტარდება მორიგი რწყვა მეორე მოსავლის მისალებად. მეოთხე რწყვა ტარდება მეოთხე მოსავლის აღებისთანავე, მესამე მოსავლის მისალებად, და უკანასკნელი - მეოთხე მოსავლის მისალებად. თუ მეოთხე მოსავალს არ ვიღებთ და მინდორს საძოვრად ვიყენებთ, რწყვა მაინც სავალდებულოა.

ამგვარად, მოსავლის აღება შიდა ქართლში (სამგორის ზედა ზონით) დაახლოებით შემდეგ ვადებში ტარდება: 1) 26 მაისიდან 5 ივნისამდე; 2) 6-15 ივლისამდე; 3) 11-20 აგვისტომდე; 4) 21-30 სექტემბრამდე.

გამომდინარე აქედან, პირველი მოსავლის მისალებად რწყვა უნდა ჩატარდეს: 1) 1-10 აპრილამდე და 2) 6-15 მაისამდე (ეს რწყვა ფაკულტატიურია); მეორე მოსავლის მისალებად - 3) 1-10 ივნისამდე; მესამე მოსავლის მისალებად - 4) 11-20 ივლისამდე და 5) 26 ივლისიდან 5 აგვისტომდე, ხოლო მეოთხე მოსავლის მისალებად - 6) 16-25 აგვისტომდე; მეოთხე მოსავლის აღების შემდეგ რწყვა ტარდება - 7) 1-10 ოქტომბრამდე, რაც ხელს უწყობს საძოვრად გამოსაყენებელი ბალახის ზრდა-განვითარებას.

პირველი სამი რწყვის ნორმა 800 მ³ იქნება. შედარებით მშრალ და ცხელ პერიოდში მესამე მოსავლის მისაღებად გათვალისწინებულია ორი რწყვა (4 და 5). ვინაიდან ეს ორი რწყვა შედარებით მოკლე პერიოდს ემსახურება, მორწყვის ნორმა აქ დაახლოებით 600 მ³-მდე უნდა შემცირდეს. მე-6 და მე-7 რწყვა ტარდება ჰექტარზე 800 მ³-ის რაოდენობით.

უფრო მშრალ და ცხელ რაიონებში (X და XI) შესაძლებელია 5 მოსავლის მიღება, ხოლო რწყვა დაახლოებით შემდეგ ვადებში ტარდება: 1) 1-10/IV; 2) 1-10/V (ფაკულტატიური); 3) 21-31/V (პირველი მოსავლის აღებისთანავე; 4) 1-10/VII და 5) 16-25/VII (ორივე მეორე მოსავლის აღების შემდეგ); 6) 6-15/VIII და 7) 21-31/VIII (ორივე მესამე მოსავლის აღების შემდეგ); 8) 11-20/IX (მეოთხე მოსავლის აღების შემდეგ) და 9) 21-31/X (უკანასკნელი მეხუთე მოსავლის აღების შემდეგ).

მორწყვის ნორმა ჰექტარზე დაახლოებით 800 მ³-ის, ხოლო 4, 5, 6, და 7 მორწყვის ნორმა - 600 მ³.

ალაზნის ველზე იგივე 5 მოსავლის მისაღებად გათვალისწინებული უნდა იყოს თითო რწყვა შემდეგ ვადებში: 1) 1-10/IV; 2) 21-31/V; 3) 1-10/VII; 4) 6-15/VIII და 5) 11-20/IX. მორწყვის ნორმა ჰექტარზე არა უმეტეს 800 მ³, ხოლო ალაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილში (წნორიდან აღმოსავლეთისაკენ ალაზნის მარჯვენა ნაპირზე), ნიადაგის თვისებების თავისებურებათა გამო, სასურველია მორწყვის ნორმა 600-500 მ³-მდე შემცირდეს და გამოყენებული იყოს X მიკრორაიონის იდენტური რწყვათა რაოდენობა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც რწყვას უმეტეს შემთხვევაში პირობითი ხასიათი აქვს, ბალახების რწყვა უნდა დაუკავშირდეს რაიონისათვის დამახასიათებელ გვალვიან პერიოდს: მაისს, ივლისსა და აგვისტოს. მორწყვის ნორმა და ვადები აქ დაახლოებით იგივეა, რაც ალაზნის ველისთვის.

აღსანიშნავია, რომ მოცემული რწყვის პერიოდები, რომელთა ხანგრძლიობა 10-11 დღეს შეადგენს, მხოლოდ საორიენტაციოა. მათი შემჭიდროება ან, პირიქით, გახანგრძლივება შესაძლებელია და დამოკიდებულია ფართობის სიდიდეზე, წყლის მარაგსა და სარწყავი ქსელის მდგომარეობაზე.

კარტოფილი ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა, რომლის მოსავლიანობის გაზრდას დიდი ყურადღება ექცევა.

მორწყულ ნიადაგმი, სადაც რწყვის შედეგად სიმკვრივე მატულობს, კარტოფილი შედარებით ნაკლებად განვითარებულ ტუბერებს იძლევა, მით უმეტეს ეს შესამჩნევია, თუ კარტოფილი მძიმე მექანიკურ შედგენილობის ნიადაგშია დათესილი. ამიტომ კარტოფილის რწყვა აუცილებლად კვლებში მიშვებით უნდა ჩატარდეს. მხოლოდ ძალიან მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე დაშვებულია მოღვარვის წესით მორწყვა. უკანასკნელ პერიოდში, კარგი შედეგი გამოიღო წვეთური მორწყვის გამოყენებამაც.

ზამთრისპირას დარგული კარტოფილი რწყვას საჭიროებს დაახლოებით შემდეგ ვადებში: 1) 1-10/V; 2) 21-31/V და 3) 1-10/VI. ამავე ვადებში უნდა ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე დარგული კარტოფილის რწყვა.

როგორც ცნობილია, კარგ შედეგს იძლევა კარტოფილის მოგვიანებით დარგვა, დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში. ეს საუკეთესო შედეგს იძლევა განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში.

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, კარტოფილის მორწყვა აუცილებელია დარგვისთანავე, ხოლო შემდეგ დაახლოებით კიდევ 2-3 რწყვა 20 დღიანი ინტერვალით.

მორწყვის ნორმა აქ 500-600 მ³-ს აღნევს ჰექტარზე ნიადაგის თვისებებისა და კარტოფილისათვის საჭირო მცირე აქტიური ფენის ($H=0.05$ მ) მიხედვით.

შაქრის ჭარბლის მოსავალზე დიდად მოქმედებს ნიადაგის ტენიანობის ცვლილება.

ამასთან დაკავშირებით, შაქრის ჭარბლის სავეგეტაციო პერიოდს 3 ნაწილად ვყოფთ და მათ ვუკავშირებთ რწყვის ვადებს. სავეგეტაციო პერიოდის პირველი ნაწილი არის აღმოცენებიდან, დაახლოებით, პირველ ივლისამდე, რომლის განმავლობაშიც ფოთლების ინტენსიური ზრდა მიმდინარეობს, მეორე - 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე,

როგორც განსაკუთრებული ძირების ინტენსიური ზრდის პერიოდი, და მესამე - 15 აგვისტოს შემდეგ, როგორც შაქრის დაგროვების პერიოდი.

შაქრის ჭარხალი გაცილებით მეტ წყალს მოითხოვს პირველ და მეორე პერიოდში, ხოლო რამდენადაც პირველ პერიოდში, აღმოცენებიდან ივლისამდე საქართველოში ატმოსფერული ნალექებიც საკმაო რაოდენობით არის, ნყლის საჭიროებას უფრო მეორე პერიოდში აქვს ადგილი.

რწყვა შემდეგ ვადებში უნდა ჩატარდეს: 1) 1-10/IV (თესვისთანავე); 2) 26/V-15/VI; 3) 26/IV-5/VII; 4) 16-25/VIII; 5) 6-15/VIII; 6) 26/VIII-5/IX.

მორნყვის ნორმა, რომელიც ძირითადად ნიადაგის თვისებისა და აქტიურ ფენაზეა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში შედარებით ნაკლებია, ვინაიდან აქტიური ფენა დაახლოებით 0.6 მეტრის ტოლია. ჩვეულებრივ, მორნყვის ნორმა, მძიმე და საშუალო მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, დაახლოებით, 700 მ³-ის ტოლია.

შაქრის ჭარხალი აუცილებლად კვლების საშუალებით ირწყვება; მხოლოდ ძალიან მსუბუქი შედგენილობის ნიადაგებზე შეიძლება მოღვარვის წესის გამოყენება იმავე მორნყვის ნორმით.

თამბაქო. საქართველოს თითქმის ყველა მეთამბაქოების რაიონში საჭიროა რწყვა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში რწყვას პირობითი ხასიათი აქვს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ის აუცილებელ ღონისძიებას ნარმოადგენს.

თამბაქო ირწყვება დარგვისთანავე, ხოლო შემდეგში, მისი ვეგეტაციის განმავლობაში, კიდევ რამდენჯერმე განვითარების ცალკე ფაზებისა და კლიმატური პირობების მიხედვით. რწყვა დიდ გავლენას ახდენს თამბაქოს მოსავლიანობაზე, მაგრამ ნიადაგის ტენიანობის სიჭარე მკვეთრად ცვლის მდგომარეობას და უარყოფითად მოქმედებს მოსავლის ხარისხზე.

რწყვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რგვიდან ყვავილობამდე, ხოლო შემდეგ თამბაქო, შედარებით ადვილად იტანს ნიადაგის სიმშრალეს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თამბაქო თითქმის ყველა კულტურაზე მეტად იტანს სიმშრალეს, რგვის პერიოდის გარდა, როდესაც მას ფესვების განსავითარებლად წყლის დიდი რაოდენობა ესაჭიროება.

თამბაქოს რწყვას საერთოდ განვითარების ოთხ პერიოდს უკავშირებენ. აღნიშნული პერიოდების ხანგრძლივობა საქართველოს სარწყავ რაიონებში შემდეგია:

1. რგვიდან, დაახლოვებით 5 მაისიდან, ივნისის პირველ რიცხვებამდე, ცნობილია, როგორც ფესვების განვითარების პერიოდი;
2. ივლისის პირველ რიცხვებამდე, ინტენსიური ზრდის პერიოდი;
3. ივლისის მესამე დეკადის დასაწყისამდე, ყვავილობის და პირველი სამი შეტეხვის პერიოდი;
4. აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე, ტენიკური სიმწიფის პერიოდი.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში უმჯობესია თამბაქოს ექვსჯერ რწყვა, აქედან პირველი რწყვა უნდა ჩატარდეს დარგვისთანავე, ხოლო რგვა, ჩვეულებრივ აპრილის 20-დან მაისის ბოლომდე მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით, განვითარების პერიოდების ზემოაღნიშნული ვადებიც ადრე ან გვიან მთავრდება.

დანარჩენი 5 რწყვა ტარდება შემდეგ ვადებში: განვითარების პირველ პერიოდში 2 რწყვა, ხოლო დანარჩენ პერიოდში - თითო რწყვა.

რწყვის ასეთივე ვადებია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მხოლოდ აქ ყველა რწყვა (პირველი რწყვის გამოკლებით) პირობითი ხასიათისაა და, ატმოსფერული ნალექების გამო, ხშირად ბევრი მათგანი საჭირო არ არის.

მორნყვის ნორმა ჰექტარზე 600 მ³-ის ტოლია.

რაც შეეხება რწყვას დარგვასთან დაკავშირებით, სრულიად საკმარისია ჰექტარზე 500 მ³. ხშირად, ძლიერ გვალვიან პერიოდში 4-5 დღის შემდეგ საჭიროა მეორე რწყვის ჩატარებაც (ნორმა 400 მ³) ისევ რგვასთან დაკავშირებით.

თამბაქო ირწყვება კვლების საშუალებით ჰორიზონტალური ფილტრაციის გამოყენებით. ვინაიდან რგვის წინა ბაზოები მზადდება, რწყვა თავიდანვე კვლებით მიმდინარეობს, ხოლო ძალიან მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგების რწყვა

მოღვარვის წესით უნდა ჩატარდეს და ამ შემთხვევაში არც ბაზოების დამზადებაა საჭირო.

სანაწერალო კულტურები -სარწყავი მიწების ათვისების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სავეგეტაციო პერიოდის მაქსიმალური გამოყენება, ე.წ. თესლბრუნვის მაქსიმალური შემჭიდროვება.

ძირითადად იგულისხმება დაბლობ რაიონებში საშემოდგომო პურეულის შემდეგ სანაწერალო კულტურების თესვა იმ ვარაუდით, რომ იმავე შემოდგომაზე, თუ ეს გათვალისწინებული იქნება თესლბრუნვით, შესაძლებელი იყოს საშემოდგომო პურეულის თესვა.

სანაწერალო კულტურების თესვა დაახლოებით იყლისის 25-მდე უნდა მოთავდეს და თან მას მიჰყვეს პირველი რწყვა ჰექტარზე დაახლოებით 800-900 მ³ წყლის რაოდენობით.

შემდეგ, როგორც სანაწერალო სიმინდის რწყვის შესახებაც იყო აღნიშნული, საჭირო იქნება კიდევ სამი ან ოთხი რწყვა 600 მ³ მორწყვის ნორმით.

კითხვები

1. სარწყავი სისტემის შემადგენელი ელემენტები.
2. რას ენოდება თვითდინებითი და მექანიკური სარწყავი სისტემები?
3. სარწყავი სისტემების კლასიფიკაცია კონსტრუქციის მიხედვით.
4. რას ენოდება საუბნო არხი?
5. რა არის სარწყავი უბანი?
6. რწყვა ჰორიზონტალური ფილტრაციით, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
7. რწყვა კვლებში მიშვებით.
8. რწყვა კვლებში დატბორვით.
9. რწყვა გამოთესილი კვლით.
10. კონტურული რწყვა.
11. რწყვა ნაპრალიანი კვლებით.
12. რწყვა ვერტილური ფილტრაციით, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
13. რწყვა ჩვეულებრივი მოღვარვით.
14. რწყვა ქართლური მოღვარვით.
15. რწყვა ზოლებად მოღვარვით.
16. რწყვა თავისუფალი მოღვარვით.
17. რწყვა მთლიანი დატბორვით.
18. ლიმანური მორწყვა და მისი გამოყენების პირობები.
19. ლიმანების სახეები.
20. ლიმანური მორწყვის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
21. დაწვიმებითი მორწყვა. მისი შემადგენელი ელემენტები.
22. დაწვიმებითი მორწყვის სისტემები.
23. დასაწვიმი აპარატების კლასიფიკაცია.
24. აეროზოლური მორწყვა.
25. წვეთური მორწყვის ტექნიკის ელემენტები.
26. წვეთური მორწყვის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
27. რა არის ფერტიგაცია? მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
28. მულჩირების სახეები და გამოყენების პირობები.
29. ქვენიადაგიდან მორწყვა. მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
30. საქართველოს დარაიონება.

ლიტერატურა

1. ნათიშვილი ო., და სხვ. მელიორაციის ცნობარი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
2. ტუღუში გ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორნივის წესები და მათი სრულყოფის გზები. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
3. ტუღუში გ., ტუღუში პ., ხარაიშვილი ო. სასოფლო სამეურნეო ჰიდროტექნიკური მელიორაცია, თბილისი, 2000;
4. ქობულია გ. საინჟინრო მელიორაცია. I ნაწილი., მორნივა. გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1971.
5. ყრუაშვილი ი., ოდილავაძე თ., ქაცარავა თ., ინაშვილი ი. გვალვასთან პრძოლის ღონისძიებები (მულტირება). მეთოდური მითითება, სსაუ, თბილისი 2002.
6. ჩხერეკელი ი., სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია. სსი, თბილისი, 1960.
7. Зайдельман Ф.Р. Мелиорация почв. 3-е издание, исправленное и дополненное. Издательство Московского университета, 2003;
8. Albert J. Clemmens, R. Bliesner, John L. Merriam, L. Hardy, C. M. Burt. *Selection of Irrigation Methods for Agriculture*, American Society of Civil Engineers, 1999;
9. Glenn J. Hoffman, Robert G. Evans, Marvin Eli Jensen, Derrel L. Martin, Ronald L. Elliott. *Design And Operation Of Farm Irrigation Systems*. American Society of Agricultural & Biological; 2 edition, 2007;
10. Mujamdar D.K. *Irrigation Water Management*. Principles and Practice Prentice-Hall of India Pvt.Ltd, 2004;
11. Scott C. A., Faruqui N. I., Raschid-Sally L. Wastewater. *Use in Irrigated Agriculture: Confronting the Livelihood and Environmental Realities* (Cabi Publishing), CABI, 2004;
12. Stewart B. A., Nielsen D. R. *Irrigation of Agricultural Crops*. American Society of Agronomy-Crop Science Society of Americ Science Society of America; Revised edition, 2007;

ვებ გვერდები

1. www.adpcc.org.ge
2. www.irrigation.org
3. www.ga.water.usgs
4. www.beirrigationtn.com
5. www.irrigationtutorials.com
6. www.americanirrigationsystemsinc.com
7. www.toro.com

თავი 6. დაშრობითი მელიორაცია

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიწის რესურსების ზრდა პირველ რიგში უკავშირდება დაშრობით მელიორაციას. ჭაობების დაშრობის შედეგად ვლებულობთ ნივიერ ნიადაგს, რომელიც შეიცავს ამინომუავების აზოტის და სხვა ორგანული ნივთიერებების დიდ რაოდენობას. მაგრამ, ფართომასშტაბიან დაშრობას მივყავართ უარყოფით შედეგებამდეც. ამიტომ შემუშავებულია წყლის რეჟიმის რეგულირების რამდენიმე მეთოდი, რომლებიც არ ინვევენ უარყოფით შედეგებს.

მოცემულ თავში განხილულია დაშრობითი მელიორაციის სახეები მათი უარყოფითი და დადებითი მხარეების გათვალისწინებით, მოცემულია დრენაჟის კლასიფიკაცია და დრენაჟის განსაკუთრებული სახეები.

6.1. დაშრობითი მელიორაციის ზოგადი დებულებები

დაშრობითი მელიორაციის მიზანს წარმოადგენს დაჭაობებული და ჭარბტენიანი ნიადაგების სათანადო განვიყირება, რაც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად.

დაშრობითი მელიორაცია ითვალისწინებს: დამშრობი სისტემების მშენებლობას, დასაშრობი მიწების ათვისებას და გაკულტურებას (კულტურტექნიკა, წვრილკონტურიანობის ლიკვიდაცია, წინამორბედი კულტურების თესვა და სხვ.).

ნიადაგის დაჭაობებას ინვევს როგორც ზედაპირული წყლის დიდი რაოდენობა, აგრეთვე ქვენიადაგის წყალი.

ზედაპირული წყლით დაჭაობებას ხელს უწყობს ფართობის უმნიშვნელო ქანობი, ზედაპირული წყლის ნელი დენა, ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა და ინტენსივობა და მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგი.

ქვენიადაგის წყალი ინვევს დაჭაობებას, თუ ის ზედაპირთან ახლოს მდებარეობს.

არის შემთხვევები, როდესაც დაჭაობება გამოწვეულია ზემოაღნიშნული ორივე ფაქტორის ერთდროული მოქმედებით.

დაშრობითი მელიორაციის სათანადო სახის ზუსტად შერჩევის მიზნით საჭიროა დაჭაობების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, როგორიცაა - ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, მათი განაწილება წლის განმავლობაში, ინტენსივობა, ქვენიადაგის წყლის რეჟიმი, მისი დებეტი, მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე, ჰიდროგრაფიული ქსელის მდგომარეობა, მისი რეჟიმი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიადაგისა და მისი თვისებების შესწავლას.

დაშრობითი მელიორაციის ცალკე სახეებისა და მისი ელემენტების შერჩევისათვის, **ნიადაგები იყოფა ორ მთავარ ჯგუფად:**

1. ორგანული ნივთიერებებით მდიდარი ჭარბტენიანი ნიადაგები (ჭაობები);
2. მინერალური ნივთიერებით მდიდარი ნიადაგები ჭარბტენიანი ნიადაგები.

ორგანული ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგები პირობების მიხედვით, სამ სახედ იყოფა:

1. **დაბლობის ჭაობები (ევფროფიული)** - შედარებით მდიდარი მინერალური ნივთიერებებით. მათი წარმოშობის პირობებია - დაბლობ ადგილებში (მდინარის, ტბის ნაპირები) ზედაპირული წყლის დატბორება, მცენარეულობის კვება მინარელური ნივთიერებებით მდიდარი წყლით;
2. **მაბლობის ჭაობები (ოლიგოტროფიული)** - მეტად მდიდარი ორგანული ნივთიერებებით. მათი წარმოშობის პირობების დაგროვება და, ამასთან დაკავშირებით, მინერალური ნივთიერებით უკიდურესი სიღარიბე, ხავსი *Sphagnum*—ის გავრცელება;
3. **გარადამავალი ჭაობები (მეზოტროფიული)**, რომელთა წარმოშობა მიმდინარეობის ქვენიადაგის წყლით კვების პირობებში, სადაც მინერალური ნივთიერება, მაღლობის ჭაობებთან შედარებით საკმაო რაოდენობითაა.

სამელიორაციო ღონისძიებების პროექტირებისას ნიადაგ-გრუნტების ძირითადი მაჩვენებლებია: ფილტრაციის კონფიგურაციის, წყალგაცემას, სრული და ზღვრული ტენტევადობა, ფორიანობა, სიმკვრივე და მოცულობითი მასა, კაპილარული აწვის სიმაღლე, ნიადაგების მექანიკური და აგრეგატული შედგენილობა, აგრეთვე მათი ქვედა ქანების სიმძლავრე და ფილტრაციული თვისებები.

დაშრობის რეჟიმი არის მელიორაციული ღონისძიებებით ნიადაგის ოპტიმალური წყალ-აერული რეჟიმის უზრუნველყოფა, რომლის ძირითადი მაჩვენებლებია ნიადაგის აერაცია და ტენიანობა, დატბორვის დასაშვები ხანგრძლივობა, დაშრობის ნორმა, გრუნტის წყლის დონის კრიტიკული სილინგი.

ნიადაგის აერაცია ისაზღვრება ნიადაგის ფორიანობის და მასში არსებული ტენის სხვაობით.

დასაშრობი მიწების ოპტიმალური ტენიანობა მერყეობს 55-85 %-ის ფარგლებში მისი სრული ტენტევადობიდან. ტენიანობის დიდი მნიშვნელობები (75-85 %) შეესაბამება ტენის მოყვარულ მცენარეებს (ბალახებს), მცირე (55-70 %) - ბოსტნეულ და ტექნიკურ კულტურებს, შუალედი (65-75 %) - მარცვლოვან კულტურებს. ნიადაგებში ჰაერის 15-20 % ნაკლები შემთხვევაში აირცვლა შეფერხებულია, ადგილი აქვს ნიადაგში უანგბადის უკმარისობას, ანაერობულ პროცესებს, და ნიადაგის გალებებას.

გატენიანების ოპტიმალური პირობები სავეგეტაციო პერიოდში იცვლება მცენარეთა განვითარების ფაზების მიხედვით; მათი მომწიფების პერიოდში ნიადაგის ტენიანობა, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე აღმოცენებისა და ყვავილობის პერიოდში.

დამშრობმა ქსელმა ვეგეტაციის პერიოდში უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ზედაპირის და სახნავი ფენის ატმოსფერული ნალექებით წარმოქმნილი ზედმეტი წყლებისაგან განთავისუფლება ვადების მიხედვით (ცხრილი № 6.1.).

წყლის გაყვანის ვადები

ცხრილი 6.1.

კულტურის დასახელება	წყლის გაყვანის ვადები წვიმის შეწყვეტის შემდეგ, დღე-თამაშე	
	ნიადაგის ზედაპირიდან	ნიადაგის სახნავი ფენიდან 0.2-0.25 მ სილინგშე
მარცვლოვანი, კარტოფილი	0.5	1.0-1.5
ბოსტნეული, სასილოსე კულტურები, ძირხვენები	0.8	1.0-2.0
მრავალწლიანი ბალახები	1.0-1.5	2.0-3.0

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის **დაშრობის ნორმა** ნიადაგ-გრუნტის წყლების დონის ისეთი რეჟიმია (მათი დაშროება მიწის ზედაპირიდან გარკვეულ სილინგშე), რომელიც უნდა დავიცვათ დასაშრობ ფართობზე კულტურის განვითარების სხვადასხვა ფაზაში (ცხრილი № 6.2.).

დაშრობის ნორმები

ცხრილი 6.2.

კულტურების დასახელება	დაშრობის ნორმა კეგეტაციის პერიოდში, სმ
საშემოდგომო მარცვლოვანი	70-90
საგაზაფხულო მარცვლოვანი	70-90
კარტოფილი, შაქრის და საკვები ჭარხალი	90-100
ბოსტნეული, მზესუმზირა	80-100
სიმინდი, ბალახი თივაზე	70-75
საძოვრები	70-80

კოლხეთის დაბლობის პირობებში დახურული დრენაჟის პიდროლოგიური მოქმედების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების ოპტიმალური პირობების შენარჩუნება შესაძლებელია გრუნტის წყლის მაღალი დონის პირობებში, თუ დრენების შუა ნაწილში გრუნტის წყლის გაყვანის (განახლების) ინტენსიობა $P \geq 0.003$ მ/დღე-ლამეტში.

კოლხეთი მიეკუთვნება ხანგრძლივწვიმიან ზონას, კრიფიკული პერიოდისთვის დაშრობის ნორმად უნდა მივიღოთ 0.5 მეტრი, ე.ი. ის ფენა, სადაც განლაგებულია ფესვთა სისტემის უმეტესი ნაწილი.

წყლის თითოეულ ტიპს შეესაბამება თავისი დაშრობის მეთოდი:

- ატმოსფერული წყლით კვების შემთხვევაში - ზედაპირული ჩამონადენის დაჩქარება;
- გრუნტის წყლით კვების შემთხვევაში - გრუნტის წყლის დონის დაწევა (ზედა ჩამონადენის დაჩქარება);
- წნევიანი გრუნტის წყლებით კვების დროს - მიწისქვეშა და გრუნტის წყლების პირზომეტრული დონის დაწევა;
- დელუვიური წყლებით კვების შემთხვევაში - დასაშრობის მასივზე ფერდობები-დან ჩამონადენი წყლების გადაჭრა;
- ალუვიური წყლებით კვების დროს - მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში წყალმეტობისა და წყალდიდობის დროს წყლის რეჟიმის რეგულირება.

თანამედროვე დამშრობი სისტემების დანიშნულებაა არა მარტო ჭარბი წყლების გაყვანა დასაშრობი ფართობიდან, არამედ საჭიროების შემთხვევაში მცენარისათვის ვეგეტაციის პერიოდში წყლის მიწოდება, ე.ი. ტენის ორმხრივი რეგულირება.

დაშრობის ძირითადი წესები წარმოდგენილია:

- ატმოსფერული წყლებით კვების შემთხვევაში - ღია შემკრებების, ხელოვნური ლარფატების, დახურული შემკრებების აგრომელიორაციული ღონისძიებების სახით;
- გრუნტისა და წნევიანი გრუნტის წყლებით კვების შემთხვევაში - ღია დამშრობების, დრენების, განმტკირთავი ჭაბურღილების, ვერტიკალური დრენაჟის, ფილტრაციის საწინააღმდეგო საფარის სახით;
- დელუვიური წყლებით კვების დროს - სამთო არხებით, ფერდობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებით;
- ალუვიური წყლებით კვების დროს - მდინარის კალაპოტის და ჩამონადენის რეგულირებით.

6.2. დაშრობა ღია ქსელით

მარეგულირებელი ქსელის დანიშნულებაა უშუალოდ დასაშრობი ფართობიდან ზედაპირული ან გრუნტის წყლების გაყვანა.

ზედაპირული წყლებით დაჭაობების დროს მარეგულირებელი ქსელის დანიშნულებას წარმოადგენს ამ ზედაპირული წყლის რაც შეიძლება სწრაფად მიღება, რათა აცილებული იყოს ფართობზე მისი ხანგრძლივი რაოდენობით დაგროვება. აქედან ცხადია, რომ ზედაპირულ წყლებთან ბრძოლის დროს მარეგულირებელი ქსელის სიხშირე დამოკიდებულია ფართობზე წყლის დაგროვების სიჩქარეზე, ნალექების ინტენსივობაზე, ნიადაგის შედგენილობაზე და სხვ.

მეორე შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გრუნტის წყლებით დაჭაობებას, მარეგულირებელი ქსელის გაყვანის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ნიადაგში გრუნტის წყლის დებეტი და თვით ნიადაგის შედგენილობა და მისი თვისებები, რამდენად ადვილად ატარებს წყალს ესა თუ ის ნიადაგი.

დიდი სიხშირით გატარებული ქსელი სათანადო ფართობს იკავებს, ამცირებს მეურნეობაში სასარგებლო ფართობს, საჭიროებს ხიდების დიდ რაოდენობას, ართუ-

ლებს ტრანსპორტით მომსახურების საკითხებს და აფერხებს სასოფლო-სამეურნეო პროცესთა მექანიზაციას.

დაშრობის ინტენსივობა განისაზღვრება დამშრობა არხთა შორის მანძილისა და არხთა სიღრმის შეფარდებით, მაგრამ ვინაიდან არხთა სიღრმის მერყეობა მეტად მცირეა, ამიტომ დაშრობის ინტენსივობას ფაქტიურად მხოლოდ მანძილი განსაზღვრავს.

არხთა შორის მანძილი დამოკიდებულია დაშრობის ნორმაზე, ე.ი. გრუნტის წყლის ისეთ სიღრმეზე, რომელსაც ესა თუ ის კულტურა აიტანს. ეს მანძილი დამოკიდებულია აგრეთვე დასაშრობი ნიადაგის თვისებებზე, მის წყალტევადობასა და წყალუონვადობაზე.

არხთა შორის მანძილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უკეთესია პრაქტიკულად იყოს დადგენილი, ვინაიდან იგი მეტად დიდ ფარგლებში მერყეობს. ჩატარებულ სამუშაოთა მიხედვით, ეს მანძილი 20-დან 80 მეტრამდე მერყეობს და, ზოგიერთ შემთხვევაში 100-200 მეტრს და მეტსაც აღწევს.

ხშირ შემთხვევაში დამშრობა **არხთა სიღრმე** ყველა შემთხვევისთვის მიღებულია, დაახლოებით, ერთი მეტრი, და ამ სიღრმეს უკავშირებენ არხთა შორის მანძილს.

ზედაპირული წყლების რეგულირების დროს ვიყენებთ ღია მარეგულირებელ ქსელს. რაც უფრო ხშირი იქნება მარეგულირებელი ქსელი, ე.ი. რაც უფრო ნაკლები იქნება არხთა შორის მანძილი, მით უფრო ინტენსიურ დაშრობას მივიღებთ, და პირიქით, არხთა შორის დიდი მანძილის დატოვება მეტად შეუწყობს ხელს ნიადაგში წყლის ჩაუნვას და, ამგვარად, ნიადაგის ჭარბად გატენიანებას.

მარეგულირებელი ქსელი ისე უნდა იყოს გაყვანილი, რომ მაქსიმალურად მიიღოს ზედაპირული წყალი. ასეთი მიმართულება კი ფართობის ჰორიზონტალური იქნება. მაგრამ არხში დაგროვილ წყალს გამტარი ქსელისაკენ გასავალი უნდა მიეცეს, რომ ქსელში არ დაგროვდეს წყალი. ამიტომ გამტარ ქსელს ეძლევა ქანობი არა ნაკლებ 0.0003-ზე, ხოლო თვით მარეგულირებელ ქსელს ირიბი მიმართულება, ე.ი. იგი ოდნავ დაშორდება ჰორიზონტალური მიმართულებას.

მარეგულირებელ ქსელს ისე სწრაფად უნდა შეეძლოს წყლის გაყვანა ფართობიდან, რომ ფართობზე წყლის დატბორება განსაზღვრულ დროზე მეტად არ გაგრძელდეს. ეს დრო დამოკიდებულია თვით მცენარეზე, რამდენადაც ესა თუ ის მცენარე შედარებით უმტკივნეულოდ აიტანს ფართობზე წყლის დატბორებას. ამ დროს ხანგრძლიობა, დაახლოებით 5 საათიდან (უფრო ნაზი კულტურებისათვის) 36 საათამდე (შედარებით ამტანი კულტურებისათვის) მერყეობს.

ფართობზე წყლის მოძრაობა დამოკიდებულია ქანობზე და ზედაპირის ხორკლიანობის კოეფიციენტზე. ცხადია, ქანობის სიდიდე ხელს შეუწყობს ფართობიდან წყლის ადვილად გაყვანას, ხოლო ხორკლიანობის ზრდა პირიქით, გააგრძელებს წყლის გაყვანას. ამგვარად, არხთა შორის მანძილი დამოკიდებულია როგორც ქანობსა და ხორკლიანობაზე, ისე იმ დროის ხანგრძლივობაზე, რომელსაც ფართობზე გაშენებული კულტურა აიტანს.

ზედაპირული დაჩქარებისა და ფართობიდან სწრაფად გაყვანის მიზნით, მიღებულია აგრეთვე მარეგულირებლ არხთა შორის კვლების ქსელის დამზადება 5-10 მეტრის დაშორებით ერთიმეორისაგან.

ასეთ შემთხვევაში უკეთესია კულტურათა მწკრივებს შორის კულტევაციის ჩატარებას დაუკავშირდეს ნაწილობრივ მარეგულირებელი ქსელის მოვალეობის შემსრულებელი, კვლების დამზადება კულტივატორის უკანა თათებით; ასეთი წესით დამზადებული კვლების მუშაობის გასაუმჯობესებლად უკეთესი იქნება ყოველ 50-100 მეტრის დაშორებით კვალთა ქსელი გარდიგარდმო გადაიკვეთოს ასეთივე კვლებით. გარდიგარდმო გატარებული კვალი წყალს მიიღებს ორ მარეგულირებელ არხს შორის მოთავსებული კვლებიდან და მას მარეგულირებელ არხს გადასცემს.

ამ დამხმარე კვლების სიღრმე 15-20 სმ-ს არ აღემატება და, ამიტომ, მექანიზაციას არ შეაფერხებს, საჭირო იქნება მხოლოდ ყოველი კულტივაციის ჩატარების შემდეგ გარდიგარდმო კვლების აღდგენა ჩვეულებრივი მიწის მისაყრელი გუთნით. ხშირად ლია დამშრობი ქსელი ორ დანიშნულებას ასრულებს ის ერთდროულად ღებულობს რო-

გორც ზედაპირულ, ისე გრუნტის წყლებსაც. ასეთ შემთხვევაში, მარეგულირებელი ქსელის სიღრმე გრუნტის წყლის დაშრობას უნდა დაუკავშირდეს, ე.ი. მისი სიღრმე უკვე ფართობზე გაშენებული კულტურის მოთხოვნით განისაზღვრება. მარეგულირებელ არხთა სიგრძე, ჩვეულებრივ, მთელი თარგის სიგრძეს უდრის, თუ ამის საშუალებს რელიეფი იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგულირებელ არხთა სიგრძე შეიძლება ნაკლებიც იყოს. რაც შეეხება მარეგულირებელ არხთა გვერდების ქანობს, ამ უკანასკნელის შერჩევა ისეთივე წესით ხდება, როგორც მორწყვით მელიორაციაში; აქაც გვერდების ქანობი გრუნტის მექანიკურ შედგენილობაზეა დამოკიდებული.

განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მარეგულირებელ არხს, როდესაც ეს უკანაკნელი ზედაპირულ წყლებს იღებს, ზედა გვერდი, რომელიც უშუალოდ წყალს იღებს, უფრო ნაკლები ქანობით უნდა გაუკეთდეს, რათა წყლის ხშირმა მოქმედებამ ნაკლებად დააზიანოს იგი. მარეგულირებელი არხის გაჭრის დროს ამოღებული მიწა არხის ქვედა მხარეზე იყრება.

6.3. დაშრობა დახურული ქსელით

გრუნტის წყლით დაჭაობებული ფართობის დასაშრობად გამოყენებულია აგრეთვე დახურული ქსელი, ეს იგივე ღია ქსელია, ხოლო არხის ძირში მოთავსებულია წყალგამტარი მასალა, რომელსაც შემდეგ ისევ ნიადაგი აქვს გადაფარებული.

თუ შევადარებთ დახურულ დრენაჟს ღიას, დავინახავთ, რომ მას ღია ქსელთან შედარებით შემდეგი მხარები ახასიათებს:

1. საუკეთესო პირობებს ქმნის მექანიზაციისათვის;
2. არ ამცირებს სასარგებლო ფართობს, როგორც ამას ადგილი აქვს ღია ქსელის პირობებში, ვინაიდან ქსელი ნიადაგით არის ამოვსებული;
3. საჭირო არ არის ხიდების დამზადება, რაც ღია ქსელის ერთ-ერთ ძირითად უარყოფით მხარეს შეადგენს;
4. ტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი მაქსიმალურია;
5. მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო ღია ქსელში ზამთრობით არხის გვერდები იყინება და ამიტომ ქსელის მოქმედება შეჩერებულია;
6. არ საჭიროებს ყოველწლიურ წმენდას, როგორც ამას ადგილი აქვს ღია ქსელში.

მაგრამ დახურულ ქსელს თავისი ნაკლოვანებებიც აქვს. ასე, მაგალითად, ღია ქსელში ყოველგვარ დაზიანებს ადვილად შევამჩნევთ, სათანადო ღონისძიებას დროულად მივიღებთ, მაშინ როდესაც დახურულ ქსელში მეტად ძნელია დაზიანების შემჩნევა და, მით უმეტეს, დაზიანებული ადგილის აღმოჩენა, ვიდრე იქ წყალი არ აგროვდება საკმაო რაოდენობით და ახალი ჭაობი არ წარმოიშვება.

დახურული ქსელი მხოლოდ გრუნტის წყლის რეგულირებას აწარმოებს, ხოლო ღია ქსელი ხშირად ორ დანიშნულებას ასრულებს: არეგულირებს როგორც გრუნტის, ისე ზედაპირულ წყალს. რომ დახურულ ქსელში წყლის დენა თავისუფალი და სწრაფი იყოს და დრენის ძირში წყლის დაგუბება არ მოხდეს. დახურულ ქსელში თითოეულ არხს უფრო მეტი ქანობი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ღიაში. მაგრამ ქანობის გადიდება დაჭაობებულ ფართობზე არც ისე ადვილია, რადგანაც ჭაობს, უმეტეს შემთხვევაში, ბუნებრივი ქანობი ძლიერ მძიმე აქვს, ამიტომ დახურული ქსელის ქანობის გადიდება აუცილებლად გამოიწვევს თვით ქსელის თანდათანობით გაღრმავებას და, ამასთან დაკავშირებით, მიწის სამუშაოების გადიდებას.

იმის მიხედვით, თუ რა სახის მასალა არის გამოყენებული დახურული ქსელის ძირში, გამოვყოფთ დახურული ქსელის რამდენიმე სახეს.

მასალად, ჩვეულებრივ გამოყენებულია: ქვა, ფიცარი, ფიჩი, სარი, თიხის ან ბეტონის მილი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გვერდეს:

- **ქვის დრენაჟი.** როდესაც არხის ძირში ვყრით ღორღს ან ფილა ქვას დაახლოებით 30 სმ-ს ფენად, ზედ ვაყრით წვრილ ღორღს, შემდეგ ბელტებს და ბოლოს ფხვიერ მიწას. შეიძლება ფილა ქვა ისე ჩავალაგოდ, რომ მართულთხა ან სამკუთხა მილი მივიღოთ, სადაც არხის მიერ მიღებული წყალი თავისუფლად იდენს.

ქვის დრენაჟის დადებითი მხარეები იმაში მდგომარეობს, რომ მასზე ყინვა არ მოქმედებს და, ამიტომ, შეიძლება გამოვიყენოთ ყოველგვარი სილრმის არხში; ამასთან ერთად დიდი გამძლეობაც აქვს.

მისი ნაკლოვანება იმაში გამოიხატება, რომ მისი მიზიდვა დანიშნულების ადგილას ძვირი ჯდება და, აგრეთვე, ორგანულ ძლიერ მდიდარ ნიადაგებში გამოუყენებელია, ვინაიდან სიმძიმის გამო არხის ძირის დეფორმაციას იწვევს და წყლის დენას აფერხებს.

• **ხის დრენაჟი** განსაკუთრებით კარგია ტორფიან ნიადაგებზე, სადაც ხე, ჰუმუსის სიმჟავეთა გავლენით დიდხანს ძლებს და თავისი სიმჩატის გამო დეფორმაციას არ იწვევს.

მასალად შეიძლება გამოყენებული იყოს ფიჩეკონა, ლატანი ან ფიცარი. ერთ ან რამდენიმე ფიჩეკონას ვათავსებთ უშუალოდ არხის ძირში ან ჯვარედინად გამაგრებულ პალოებზე. ფიჩეკონების ბოლოები კარგად უნდა იყოს შენეული ერთიმეორეში, რომ კონებს შორის არ დარჩეს ცარიელი ადგილები და მიწით არ ამოივსოს ის, რაც შეაფერხებს წყლის დენას.

ფიჩეკონა აქაც ჯერ ბელტით და შემდეგ უკვე ფხვიერი მიწით უნდა დაიხუროს.

ლატანის დრენაჟი ამავე წესით მზადდება, მხოლოდ აქ ფიჩეკონების მაგივრად რამდენიმე ლატანს ვალაგებთ არხში, უმეტეს შემთხვევაში ჯვარედინა პალოებზე ან ჰორიზონტალურად დამაგრებულ ფიცრის ნაჭრებზე.

რაც შეეხება ფიცრის გამოყენებას, ამ უკანასკნელიდან მზადდება სამკუთხა მილები არხის ძირში მოსათავსებლად.

არხში ჩალაგებულმა ფიცრის მილებმა სწრაფად რომ მიიღოს, მილის გვერდებში 0.5 მეტრის დაშორებით ერთიმეორისაგან კეთდება ხვრეტები.

ხის დრენაჟის უარყოფით მხარეს შედარებით ნაკლები გამძლეობა შეადგენს. გამძლეობა მცირდება, თუ დრენებში წყალი არასისტემატიურად მოძრაობს და დრენადროგამოშვებით შრება.

• **თუნის მილების დრენაჟი.** დახურული დრენაჟის ყველაზე გავრცელებულ სახეს ნარმოადგენს თუნის მილების დრენაჟი. თუნის დრენაჟი ახასიათებს საქმაოდ დიდი გამძლეობა (40-50 წელი) და წყლის თავისუფალი მოძრაობა.

თუნის დრენაჟის ჩვეულებრივად ზიანს აყენებს მცენარეულობის ფესვთა სისტემა და ამის გარდა ზოგჯერ მილები მიწით ივსება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მილების ჩალაგებას. მილების შეერთების ადგილებში კარგია ხრეშის ჩაყრა და შემდეგ მილების მიწით ამოვსება. მილის დიამეტრიც 5-დან 25 სმ-დაც მერყეობს, ხოლო სიგრძე 30-40 სმ-დან (წვრილი მილებისათვის) 50-60 სმ-დაც (მსხვილი მილებისათვის). მილების ჩალაგების დროს მათ შორის რჩება 0.5-1.0 მმ მანძილი, საიდანაც გრუნტის წყალი უნდა შევიდეს მილებში.

• **ბამბუკის დრენაჟი.** საქართველოში, კოლხიდის დაშრობასთან დაკავშირებით, ნაცადია სადრენაჟო მასალად ბამბუკის გამოყენება, რაც საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა.

ბამბუკის მილმა რომ წყალი მიიღოს, ამისთვის საჭიროა თითოეული მილის სიგძეზე გაკვეთა, ხოლო მილები რომ მიწით არ ამოივსოს, მილებში შეერთების ადგილი დაცული უნდა იყოს.

• **ხვრელისებრი დრენაჟი.** დახურული დრენაჟის ერთ-ერთ სახეს, ე.ნ. ხვრელისებრი დრენაჟი ნარმოადგენს. ხვრელისებრი დრენაჟი სპაციალური გუთნის საშუალებით მზადდება. გუთნის რვილზე მიმაგრებული დანა ბოლოში ფოლადის ცილინდრით, რომლის დიამეტრი 4-15 სმ-ს ტოლია, წინა თავი კი წაწვეტებული აქვს. გუთანი მოძრაობის დროს განსაზღვრულ სიღმეზე დაშვებული ფოლადის ცილინდრით ამზადებს ხვრელს, ხოლო ცილინდრზე მიბმული მილყელი აფართოებს და ასწორებს ხვრელს.

ხვრელისებრი დრენაჟის გამძლეობა მძიმე მექანიკური შედეგის ნიადაგში 40 წელს აღწევს. პრაქტიკულად ხვრელისებრი დრენაჟის გამძლეობა 3-20 წლით განისაზღვრება.

ხვრელისებრი დრენაჟის დამზადება შედარებით ადვილია; ნიადაგის თვისებებისა და სიღრმის მიხედვით დღეში შეიძლება დამზადებული იყოს 1-5 კმ.

სიღრმის შერჩევას აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გამწევი ძალის ზრდა უდრის სიღრმის ზრდის კვადრატს. რაც შეეხება დრენებს შორის მანძილს, ეს უკანასკნელი აქ ბევრად ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი სადრენაჟო ქსელის პირობებში; ასე, მაგალითად, მიღებულია მინდვრებზე 6-8 მეტრი, სათიბებზე - 4-6 მეტრი, სასპორტო მოედნებსა და აეროდრომებზე - 1.5-3 მეტრი.

ხვრელისებრი დრენაჟის მუშაობის გახანგრძლივების მიზნით მიღებულია ხვრელის გამაგრება ფოლადის მილით ან ფიჩეკონით, რომლის ხვრელში შეტანა იმავე გუთით წარმოებს.

6.4. ვერტიკალური დრენაჟი

დაშრობის ერთ-ერთ სახეს ვერტიკალური დრენაჟი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ნიადაგის ზედა ფენაში გადაადგილებული ჰორიზონტალური ქსელის მაგიერ ვერტიკალური ჭებით წარმოებს დაშრობა.

დაშრობის ამ წესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ადგილებში, რომელთა რელიეფი ზედმეტი წყლის გაყვანის საშუალებას არ იძლევა ჩვეულებრივი ქსელით, ე.ი. წესი აუცილებელია ჩადაბლებულ, ყოველმხრივ შემაღლებული ნაპირებით შემოფარგლულ ფართობზე.

წესი შემდეგში მდგომარეობს: დასაშრობ ფართობზე, ერთიმეორისაგან განსაზღვრული მანძილის დაშორებით, გაჭრილია მთელი რიგი ჭები, რომლებიც გრუნტის წყალს მთელი ფართობიდან ისრუტავენ. ჭებში დაგროვილი წყალი შეიძლება ამოიტუმბოს, თუ რელიეფი იძლევა ამის საშუალებას, ჰორიზონტალური ქსელი გადაეცეს წყალმიმდებს. ვინაიდან ჭები ერთიმეორისაგან საკმაოდ არიან დაშორებული, ჰორიზონტალური ქსელით ამოტუმბული წყლის გაყვანა შედარებით ადვილია.

მეორე საშუალებაა ჭების გაღრმავება წყლოვან ფენამდე, რომელიც მიიღებს ჭების მიერ შესრუტულ წყალს. მეორე საშუალება არ საჭიროებს წყლის ამოტუმბვას წყალსატუმბავით და ამიტომ უფრო იაფი ღონისძიებაა, მხოლოდ აქ აუცილებელია წყლოვანი ფენების არსებობა.

პირველი საშუალების დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ჭებიდან ამოტუმბული წყალი გვალვიან პერიოდში შეიძლება გამოყენებული იყოს იმავე ფართობის მოსარჩყავად ან სხვა ისეთი ფართობის, რომელიც რწყვას საჭიროებს, ხოლო სარწყავი წყალი მისგან შორს მდებარეობს. რაც შეეხება ჭებს შორის მანძილს, იგი დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებსა და ჭის სიღრმეზე.

ვერტიკალური დრენაჟის დროს ჭებს შორის მანძილი ჩვეულებრივ 0.5 კმ-ზე მეტია.

6.5. კოლმატაჟი

დაშრობის ერთ-ერთ სახეს ე.წ. კოლმატაჟი წარმოადგენს. დაშრობის წესი შემდეგში მდგომარეობს: დაჭაობებულ ფართობზე მიუშვებენ მდინარის წყალს, როდესაც ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობის ნალექებს შეიცავს, დაატბორებენ და ნალექებიდან განთავისუფლებულ წყალს თანდათანობით გადაუშვებენ.

კოლმატაჟის მთავარი მიზანია ჭაობზე ნალექების დაგროვების საშუალებით შექმნილი იყოს ფენა, რომელიც უკვე მეორე წყლიდან გამოიყენება ამა თუ იმ კულტურის დასათესად.

დაშრობის ასეთი წესი გამოყენებულია საქართველოში, კოლხეთის დაბლობის ფასაშრობად 1928 წლიდან. ამჟამად ასეთი წესით დაშრობა საკმაოდ დიდ ფართობზე წარმოებს, ხოლო ნაწილი უკვე ათვისებულია.

კოლმატაჟის საშუალებით შექმნილი ახალი ფენის სისქე დაახლოვებით 0.8-1.0 მეტრის ტოლია.

6.6. ჭაობის რწყვა

ჭაობის რწყვა წარმოებს როგორც კოლმატაჟის, განოუიერების, ისე გატენიანების, გათბობისა და ბაქტერიოლოგიური პროცესების გააქტიურების მიზნით.

დაშრობის დროს, როდესაც ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და მხოლოდ ზედა ფენა დამშრალი, ზოგჯერ, გვალვიან პერიოდში რწყვას საჭიროვებს. ქვედა ფენა, სადაც კიდევ საკმაო რაოდენობით მოიპოვება ტენი, ნიადაგის ცუდი თვისებების გამო, ვერ აწვდის მას ზედა ფენას. ასეთ შემთხვევაში რწყვის ეფექტი მეტად მნიშვნელოვანია.

ჭაობის რწყვას ნიადაგის გასანოუიერებლადაც აწარმოებენ. აგრეთვე, დაჭაობებული ფართობის რწყვა იწვევს ნიადაგის ტემპერატურის შეცვლასაც.

სარწყავი წყლით, ნალექთან ერთად, შეიძლება ბაქტერიებიც იყოს შეტანილი, რაც შემდეგში ხელს შეუწყობს საკვებ ნივთიერებათა შესათვისებელ ფორმებში გადაყვანას.

6.7. მექანიკური დაშრობის სისტემები

როდესაც, დასაშრობ ტერიტორიასთან მომიჯნავე წყალსატევებში (ზღვა, ტბა) ფონე პერიოდულად აღემატება მინის ზედაპირის ნიშნულებს, გამოიყენება დაშრობა წყლის მექანიკური აწევით.

წყლის დონე წყალმიმღებში (მდინარე, ან სხვა წყლის ობიექტი) მეტია მაგისტრალური არხის შესართავში წყლის დონეზე.

დასაშრობი ტერიტორიის ზედაპირის მცირე ქანობის გამო წყალმიმღები დატბორილია. ამიტომ, წინასწარ უნდა დადგინდეს დატბორვის ან შეტბორვის ზონა.

წყლის მექანიკური დაშრობის სისტემას, როდესაც განლაგებული არიან შემოზვინულ ტერიტორიაზე, უწოდებენ **პოლდერულ სისტემებს**. წყალმიმღებში დაბალი ჰორიზონტების დროს წყლის განრიდება ტერიტორიიდან უნდა მოხდეს თვითდინებით.

მექანიკური დაშრობის სისტემების შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ: დამცველი ზვინულები, სატუმბი სადგური, შლუზრეგულატორი, მარეგულირებელი რეზერვუარი, ელექტრომომარაგების და ავტომატიზაციის საშუალებები, დამშრობი ქსელი და სხვა სამელიორაციო ნაგებობანი და კომუნიკაციები.

სატუმბი სადგურების წარმადობის შემცირების და აგრეგატების მუშაობის თანაბარი რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშენონილია მარეგულირებელი რეზერვუარის მოწყობა.

რეზერვუარის მკვდარი მოცულობის სიღრმე აიღება არანაკლები 0.5 მ. დიდ კვეთის და მცირე ქანობის მქონე მაგისტრალური არხები გამოიყენება როგორც რეზერვუარი. წყლის ჰორიზონტის დაწევის დასაშვები სიჩქარე მაგისტრალურ არხში სატუმბ სადგურთან არ უნდა აღემატებოდეს 15-20 სმ/სთ-ს (ტორფიან და ბმულ გრუნტებში გამავალ არხებში).

სატუმბი სადგურის ავტომატურმა მართვამ უნდა უზრუნველყოს ტუმბოსჩართვა და გამორთვა წყლის ჰორიზონტების ვარირების მთელ დიაპაზონში (მაქსიმალური დან მინიმალურ დონემდე).

სამელიორაციო პრაქტიკაში უპირატესად გამოიყენება ფუმბოები: ცენტრიდანული, პროპელერული, ლერძული კაპსულიანი (მონტაჟდება ღია მოედანზე).

მექანიკური დაშრობის სისტემებში მაგისტრალური არხების სიგრძე უნდა დაინშნოს მასში წყლის დაცემის წირის სიგრძის შესაბამისად და არ უნდა აღემატებოდეს 3-3.5 კმ-ს.

კითხვები

1. რა არის დაშრობითი მელიორაციის მიზანი?
2. რა ფაქტორები განაპირობებენ ნიადაგის დაჭაობებას?
3. ჭაობიანი ნიადაგების კლასიფიკაცია.
4. რა არის დაშრობის რეჟიმი და დაშრობის ნორმა?
5. დაშრობის მეთოდები წყლის ტიპების მიხედვით.
6. დაშრობის ძირითადი წესები.
7. დაშრობა ღია ქსელით და მისი შემადგენელი ელემენტები.
8. დაშრობა დახურული ქსელით და მისი შემადგენელი ელემენტები.
9. დრენაჟის კლასიფიკაცია.
10. ვერტიკალური დრენაჟი.
11. კოლმატაჟი.
12. ჭაობის რჩყვა.
13. რა არის პოლდერული სისტემა?
14. მექანიკური დამშრობი სისტემის შემადგენელი ელემენტები.

ლიტერატურა

1. ნათიშვილი ო., და სხვ. მელიორატორის ცნობარი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
2. ქობულია გ. საინჟინრო მელიორაცია. / ნაწილი., მორწყვა. გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1971.
3. ჩხერიძე ი., სახოფლო-სამურნეო მელიორაცია. სსი, თბილისი, 1960.
4. **Albert J. Clemmens, R. Bliesner, John L. Merriam, L. Hardy, C. M. Burt.** *Selection of Irrigation Methods for Agriculture*, American Society of Civil Engineers, 1999;
5. **Glenn J. Hoffman, Robert G. Evans, Marvin Eli Jensen, Derrel L. Martin, Ronald L. Elliott.** *Design And Operation Of Farm Irrigation Systems*. American Society of Agricultural & Biological; 2 edition, 2007;
6. **Larry Mays McGraw.** *Stormwater Collection Systems Design Handbook*. Hill Professional; 1 edition , 2001;
7. **Mujamdar D.K.** *Irrigation Water Management. Principles and Practice* Prentice-Hall of India Pvt.Ltd, 2004;
8. **Scott C. A., Faruqui N. I., Raschid-Sally L.** *Wastewater. Use in Irrigated Agriculture: Confronting the Livelihood and Environmental Realities* (Cabi Publishing), CABI, 2004;
9. **Stewart B. A., Nielsen D. R.** *Irrigation of Agricultural Crops*. American Society of Agronomy-Crop Science Society of Americ Science Society of America; Revised edition, 2007.
10. **Зайдельман Ф.Р.** *Мелиорация почв*. 3-е издание, исправленное и дополненное. Издательство Московского университета, 2003;

3ებ გვერდები

1. www.adpcc.org.ge
2. www.ecy.wa.gov
3. www.askthebuilder.com
4. www.extension.umn.edu
5. www.drainsandplumbing.com

თავი 7. პირი და პირობი ნიადაგების მელიორაცია

დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 25 % მოდის მღამე ნიადაგებზე. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს არასწორი მორწყვით გამოწვეული ნიადაგის მეორადი დამლაშება. ამიტომ, ბრძოლა როგორც ბუნებრივად, აგრეთვე ადამიანის ანტროპოგენული ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ დამლაშებასთან, მელიორაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

შესაბამისად ნინამდებარე თავში განხილულია ნიადაგის დამლაშების გამომწვევი მიზეზები, პიცი და პიცობი ნიადაგების მელიორაციული ღონისძიებები და რეკომენდაციები.

7.1. ნიადაგების დამლაშების მიზეზები

დამლაშებული ნიადაგები შეიცავენ მცენარის ნორმალური ზრდაგანვითარებისათვის ადვილად ხსნად მავნე (ტოქსიკურ) მინერალურ მარილებს. ასეთი ნიადაგები უპირატესად გავრცელებულია არიდულ ზონაში. საქართველოში ასეთი ნიადაგები გვხვდება აღმოსავლეთ ნაწილში: ალაზნის, ტარიბანა-ნატბეურის ვაკეებზე, გარდაბნის, კრნანისის, ლაკეს და მარნეულის მიწებზე. წარმოშობის მიხედვით დამლაშებული ნიადაგები შეიძლება იყოს პირველადი ან მეორადი დამლაშების.

პირველადი დამლაშების ნიადაგები წარმოიქმნებიან ტერიტორიაზე მიმდინარე ბუნებრივი პროცესების გავლენით, რის შედეგად ხდება მარილების სისტემატიური დაგროვება ნიადაგში, გრუნტში და გრუნტის წყლებში.

მეორადი დამლაშება უმთავრესად მიწების გასარწყავების პირობებში, როდესაც ტერიტორიის სუსტი ბუნებრივი დრენირების გამო ადგილი აქვს მინერალიზებული გრუნტის წყლების ჰორიზონტების ზეანევას.

მარილების მოძრაობა და დაგროვება გრუნტის წყლებში და ნიადაგებში დიდადაა დამოკიდებული სარწყავი მიწების რელიეფზე, ლითოლოგიასა და ადგილმდებარეობის წყალგამტარობის უნარზე, აგრეთვე წყლის მოდინებისა და გასავლის ბალანსზე.

თუ სარწყავ ფართობს სიღრმეში აქვს წყალგამტარი შრე, ასეთ შემთხვევაში ყველა ნიადაგში გაფილტრული ზედმეტი წყალი დრენირებული იქნება ამ წყალგამტარი შრის მეშვეობით. ასე რომ, საშიშროება გრუნტის წყლების ანევის და ნიადაგის დამლაშებისა არ არსებობს, პირიქით, ამ შემთხვევაში რწყვის დროს ხდება ნიადაგში არსებული მარილების გახსნა და ჩარეცხვა, ნიადაგის თანდათანობით გასუფთავება და ნაყოფიერების ზრდა. ასეთ მიწებს მიეკუთვნება მდინარისეული ტერასები, რომლებიც ქვიშებსა და ქვიშაქვებზეა დაყრდნობილი.

როდესაც ადგილმდებარეობას არა აქვს ბუნებრივი დრენირების საშუალება, მაშინ წყლის დანაკარგების შედეგად გრუნტის წყლების დონე თანდათანობით იწევს მაღლა, გზადაგზა წყალი მდიდრდება მარილებით და ასე აღნევს კრიტიკულ სიღრმეს. აქედან წყალი კაპილარებით მიწის ზედაპირამდე ამოდის და მისი ბალანსი აორთქელებით რეგულირდება, კაპილარებს თან ამოაქვთ მარილები, რომლებიც წყლის აორთქელების შემდეგ რჩება ნიადაგში და ამლაშებს მას. ასეთ შემთხვევებში, დამლაშების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა პირველ რიგში აღვავეთოთ ზედმეტი წყლის მიშვება ფართობზე, ე.ო. განუწყვეტლივ ვიზრუნოთ სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის გადიდებისათვის. ამისთვის საჭიროა შევამციროთ სარწყავი წყლის უქმი დანაკარგები, რომლებიც იწვევენ გრუნტის წყლების დონის ანევას. მეორე მხრივ, საჭიროა ვიზრუნოთ ზედმეტი წყლის დროულად მოცილებაზე, ხელოვნური დრენაჟის მოწყობით. საქმე ის არის, რომ როგორი ზომებიც არ უნდა იყოს მიღებული, დანაკარგების შესამცირებლად, მაინც ექნება ადგილი ზედმეტი წყლის არსებობას რწყვის გარკვეულ პერიოდებში. ამიტომ საჭიროა მზად ვიყოთ იმისთვის, რომ ამ წყალს არ შევცეთ საშუალება შეუერთდეს გრუნტის წყლებს, ასწიოს მათი დონე და ამით ნიადაგის დამლაშების საშიშროება შექმნას.

7.2. ბიცი ნიადაგების მელიორაცია

როგორც იყო აღნიშნული, ბიცი (მდლაშობი) ნიადაგების მელიორაცია იყოფა სამ ჯგუფად: ბიოლოგიური, მექანიკური და ჰიდრომელიორაციული.

ბიოლოგიური მელიორაცია გულისხმობს მარილგამძლე ბალახების თესვას. იგი სანგრძლივ პერიოდს მოითხოვს და პრაქტიკულად არაეფექტურია.

მექანიკური - ნიადაგის ზედაპირზე არსებული მარილების შეგროვებას და გატანას. ეს ხერხი იძლევა გარკვეულ შედეგს მცირე ფართობებზე, როდესაც მარილების ძირითადი მასა გროვდება ნიადაგის ზედაპირზე და ქვედა არ არის დამლაშებული. ეს ხერხი მოითხოვს სისტემატურ განმეორებას, რაც ზღუდავს მის გამოყენებას დიდ ფართობზე.

ჰიდრომელიორაციული - ნიადაგში არსებული მარილების გახსნას და გატანას (გამორეცხვას). ამ ხერხმა ფართო გამოყენება ჰპოვა ირიგაციულ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ბიც და ბიცნარ ნიადაგებზე, სადაც დამლაშება ნიადაგის პროფილში მაქსიმალურადაა გამოსახული. ასეთ ნიადაგებს საქართველოში 100 ათასამდე ფართობი უჭირავს.

მლაშე ნიადაგების გამორეცხვა უფრო ხშირად ზამთარში ტარდება, ვინაიდან აორთქლება ხელს არ უშლის და გამორეცხვაც უფრო ინტენსიურია. წყალიც უფრო თავისუფალია ზამთარში და ჰიდრომოდულის გრაფიკის გადატვირთვასაც არ იწვევს.

ბიცი ნიადაგების გამორეცხვა ზოგადად შემდეგნაირად წარმოებს: ჯერ ფართობს აძლევენ იმდენ წყალს, რომ მიაღწიონ სრულ წყალტევადობის რაოდენობას (არსებული წყლის მარაგს მხედველობაში იღებენ), შემდეგ რამდენიმე დღეს (5-10) უცდიან, რომ ჩატარდეს მარილების გახსნა წყალში. ამის შემდეგ 2-3 რიგად აწვდიან ნორმით გათვალისწინებულ წყლის ნაწილს.

ბიცი ნიადაგების გამორეცხვის განხორციელებას თან ახლავს მინდვრის წინასწარი მომზადება: კაპიტალური მოშანდაკება ჰუმუსოვანი ჰორიზონტების შენარჩუნებით და შემდგომი აღდგენით. ღრმა გაფხვიერება (70-80 სმ-მდე) და საჭიროების შემთხვევაში ქიმიური მელიორაცია. ქიმიურ რეაგენტად შესაძლებელია ბუნებრივი გაჯის გამოყენება.

ჩასარეცხად მომზადებული ფართობი იყოფა 0.25, 0.5, 1.0 ჰა-ს ტოლ ფართობებად, რომლებსაც გარშემო უკეთდება 60-70 სმ სიმაღლის ბაზოები. გამორეცხვა ხორციელდება ჩეკებში წყლის დატბორვით.

გამორეცხვის დროს ფართობს ისეთი რაოდენობის წყალი ეძლევა, რომ ის ბევრად აღემატება იმ ფენის წყალტევადობას, რომლის გამლაშებასაც აპირებენ. ამ შემთხვევაში იქმნება ძლიერი დალმავალი დენი, რომელიც ხსნის ადვილად ხსნად მარილებს და ჩაქვს იგი ქვედა ფენებში. ნიადაგის ასეთი წესით გამომლაშების დროს, ცხადია, აგრეგატები იშლება და საკვები ნივთიერებაც ირეცხება. მლაშე ნიადაგების გამორეცხვა აუცილებლად საჭიროებს ნიადაგში ჩასული (გადამუშავებული) წყლის ფართობიდან გაყვანას და მეორადი დამლაშების საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

გამორეცხვის ნორმა ისე უნდა იყოს დადგენილი, რომ ადვილად ხსნადი მარილები მთლიანად არ გამოირეცხოს, ვინაიდან მარილების მთლიანად გამორეცხვას შეიძლება ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუარესება მოჰყვეს.

გამორეცხვის ნორმა დამოკიდებულია მარილების რაოდენობასა და ნიადაგის თვისებებზე. ამის გარდა, იგი დამოკიდებულია იმ ფენის სისქეზე, რომლის გამომლაშებასაც აპირებენ.

ერთჯერადი ჩარეცხვის ნორმა 3 000-4 000 მ³/ჰა-ს შეადგენს.

თუ გარეცხვის დროს ღრმად ჩასული წყალი ფართობიდან ბუნებრივი დრენაჟით არ გადის, აუცილებლად მოსალოდნელია ფართობის ხელმეორედ დამლაშება. ამიტომ, მლაშე ნიადაგების გამორეცხვის პარალელურად ღრმა ფენაში ჩასული წყლის მოსაშორებლად საჭიროა ხელოვნური დრენაჟის მოწყობა. ამ დრენაჟის დანიშნულება ისეთივეა, როგორც გრუნტის წყლით დაჭაობებული ფართობის დაშრობის დროს.

ნორმატივების მიხედვით საანგარიშო ჩასარეცხი ფენის სისქე ერთნონტი კულტურებისათვის მიღებულია 1.0-1.5 მ, მრავალწლიანი ბალახებისათვის - 1.5-2.0 მ. აღმოსავლეთ საქართველოში მძიმე თიხნარი ნიადაგების ქლორიდულ-სულფატური დამლაშების შემთხვევაში რეკომენდებულია ჩარეცხვის ფენის საანგარიშო სისქე 1.0 მ.

საშუალოდ დამლაშებული ნიადაგები, სადაც პირველი მარილიანი გორიზონტი იწყება 40-60 სმ-დან, შეიძლება ავითვისოთ კაპიტალური ჩარეცხვის გარეშე სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელისა და ღრმა გაფხვიერების ფონზე თაბაშირის შეტანით, მრავალწლიანი ბალახებისა და სიდერატების თესვით, რწყვის რეჟიმის დაცვით, ხელოვნური დაწვიმებით 550-600 მ³/ჰა-ზე, ხოლო თვითდინებით რწყვისას 800-1 000 მ³/ჰა-ზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით იწყება თანდათანობითი განმარილების პროცესი. აქ ჩამრეცხი რეჟიმი უზრუნველყოფილია რწყვის რეჟიმისა და მოსული ნალექების ხარჯზე, რომელიც ნოემბერ-მარტზე მოდის.

7.3. ბიცობი ნიადაგების მელიორაცია

ბიცობი ნიადაგების მელიორაციის მიზანია შთანთქმული Na-ის განდევნა და ჩანაცვლება ნიადაგ-შთანთქმულ კომპლექსში, ბიცობიანი ჰორიზონტის დაშლა-გაფხვიერება და ტუტიანობის ნეიტრალიზაცია.

ქიმიური მელიორაცია გულისხმობს ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების შეტანას (კირი, კალციუმის ქლორიდი, გოგირდი და სხვ.)

მოთაბაშირება საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა შთანთქმულ ნატრიუმის შთანთქმის მოცულობის 10%-ზე მეტი უკავია.

დამლაშებული ნიადაგების ფართო მასშტაბით ათვისების დროს, ალაგ-ალაგ ჩნდება სოდის ბიცობების ლაქები, რომლებიც იწვევენ სოფლის მეურნეობის ბრუნვი-დან მნიშვნელოვანი ფართობების ამოღებას. თაბაშირის გამოყენება მათ გასაჯანსა-ლებლად ხანგრძლივი პროცესია. ამ შემთხვევაში ეფექტური მელიორანტია კალციუმის გვარჯილა. მისი შეტანა დოზით 7-15 ტ/ჰა-ზე იწვევს ერთ სეზონში მათ სრულ გაჯანსა-ლებას. მდელოს - ველისა და ველის ბიცობები, რომლებიც ძველისძველ ტერასულ და მთისწინა ბიცობებს (გარდაბანი, მარნეული და სხვ.) უჭირავთ, წარმოქმნებიან გრუნტის წყლების გარეშე.

ძირითად მელიორაციულ ღონისძიებად ამ ნიადაგებისათვის ითვლება **მოთაბაშირება, ღრმა გაფხვიერება და ერთჯერადი ჩარეცხვა**. აღნიშნული მასივების მეტ ნაწილზე ბუნებრივი დრენირების არსებობა დრენაჟის მოწყობის გარეშე გამორეცხვის შესაძლებლობას იძლევა.

მინდვრების მომზადება შეიცავს შემდეგ ოპერაციებს: ნაკვეთების მოსწორებას, შემოდგომაზე თაბაშირის შეტანას და ჩახვნას, ღრმა გაფხვიერებას და მოედნების მოწყობას. თაბაშირი ნიადაგში შეიტანება იმ ანგარიშით, რომ მთლიანად ჩაინაცვლოს შთანთქმული ნატრიუმი 0.5 მ-ის ფენაში, რისთვისაც საჭიროა ჰა-ზე 15-25 ტონა თაბაშირი.

მომზადებულ ფართობზე ტარდება ტენდამაგროვებელი მორნყვა, რის შედეგადაც წარმოიშვება მეორადი მავნე ადგილად ხსნადი ნატრიუმის და მაგნიუმის სულფატები და ქლორიდები. ნიადაგის პროფილიდან ამ მარილების გასატანად ტარდება ერთჯერადი გამორეცხვა ნორმით 5 000 მ³/ჰა-ზე. განხორციელებულ ღონისძიებათა ფონზე რეკომენდებულია მრავალწლიანი ბალახების თესვა, ორგანული და მინერალური სასუქების გადიდებული დოზებით შეტანა, მორწყვის ჩამრეცხი რეჟიმის დაცვა. ყოველივე ეს ხელს უწყობს ნაყოფიერების გაზრდას და მიწების შემდგომ მელიორაციულ გაუმჯობესებას.

აგრობიოლოგიურ ღონისძიებათა სისტემა მოიცავს ნიადაგის ღრმა მელიორაციულ ხვნას, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას, მრავალწლიანი ბალახების თესვას, სიდერაციას, მორწყვის გამორეცხვის რეჟიმის გამოყენებას.

ბიოლოგიური გულისხმობს ბიცობიანობის ამტანი მცენარეების შერჩევას (ხუჭუჭა, კაპუეტა, ოონჯა, ძიძო, სუდანის ბალახი და სხვ.).

ბიცობი ნიადაგების მელიორაციის ეფექტი იზრდება აღნიშნული მეთოდების ერთობლივი გამოყენებით.

კითხვები

1. პირველადი და მეორადი დამლაშების ნიადაგები.
2. ნიადაგის დამლაშების გამომწვევი მიზეზები.
3. ბიცო ნიადაგები და მათი მელიორაციის სახეები.
4. ბიცო ნიადაგების ჰიდრომელიორაციული მეთოდი. ჩარეცხვის ნორმა.
5. ბიცობი ნიადაგები და მათი მელიორაციის სახეები.
6. ბიცობი ნიადაგების მოთაბაშირების ტექნოლოგია.

ლიტერატურა

1. ნათიშვილი ო., და სხვ. მელიორატორის ცნობარი, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
2. ტულუში გ. სასოფლო-სამუშარნეო კულტურების მორნყვის წესები და მათი სრულყოფის გზები. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1986;
3. ტულუში გ., ტულუში პ., ხარაიშვილი ო. სასოფლო სამუშარნეო ჰიდროტექნიკური ძელიორაცია, თბილისი 2000;
4. ქობულია გ. საინჟინრო მელიორაცია. I ნაწილი., მორნყვა. გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1971.
5. ჩხერიელი ი., სასოფლო-სამუშარნეო მელიორაცია. სი, თბილისი, 1960.
6. Albert J. Clemmens, R. Bliesner, John L. Merriam, L. Hardy, C. M. Burt. *Selection of Irrigation Methods for Agriculture*, American Society of Civil Engineers, 1999;
7. Glenn J. Hoffman, Robert G. Evans, Marvin Eli Jensen, Derrel L. Martin, Ronald L. Elliott. *Design And Operation Of Farm Irrigation Systems*. American Society of Agricultural & Biological; 2 edition, 2007;
8. Kirkham M.B. *Principles of Soil and Plant Water Relations*. Academic Press; 1 edition, 2004;
9. Mujamdar D.K. *Irrigation Water Management*. Principles and Practice Prentice-Hall of India Pvt.Ltd, 2004;
10. Scott C. A., Faruqui N. I., Raschid-Sally L. Wastewater. *Use in Irrigated Agriculture: Confronting the Livelihood and Environmental Realities* (Cabi Publishing), CABI, 2004;
11. Stewart B. A., Nielsen D. R. *Irrigation of Agricultural Crops*. American Society of Agronomy-Crop Science Society of Americ Science Society of America; Revised edition, 2007.
12. Waltina Scheumann. *Managing Salinization: Institutional Analysis of Public Irrigation Systems*. Springer; 1 edition, 1997;
13. Yacov Tsur, Terry L. Roe, Mohammed Rachid Doukkali, Ariel Dinar. *Pricing Irrigation Water: Principles and Cases from Developing Countries*. RFF Press, 2004.
14. Зайдельман Ф.Р. *Мелиорация почв*. 3-е издание, исправленное и дополненное. Издательство Московского университета, 2003;

3ებ გვერდები

1. www.adpcc.org.ge
2. www.irrigationtutorials.com
3. www.ces.ncsu.edu
4. www.geocities.com
5. www.ncw.wsu.edu

თავი 8. ტყალღომარაბების და სამომარაგების ბაზულოვანება

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთ პირობას წყლით მომარაგებით გაუმჯობესება წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ რაიონებს, სადაც არ მოიპოვება ბუნებრივი წყლის წყაროები ან ძელად ხელმისაწვდომია, ანდა კიდევ, არსებობს, მაგრამ თავისი ხარისხითა და რაოდენობით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ასეთ პირობებში საჭირო ხდება წყლის წყაროების ხელოვნურად შექმნა, მაგალითად, ჭაბურღილებისა და ჭების გათხრა, გუბურებისა და წყალსაცავების მოწყობა, მეზობელი წყალუხვი რეგიონებიდან წყლის გამოყვანა ე.ბ. გამანყლოვანებელი არხებით ან მიღებისადენებით და სხვ.

თავში განხილულია განყლოვანების სისტემები, წყალმოთხოვნილების ნორმები და რეჟიმი, საძოვრების განყლოვანება და წყალმომარაგება.

8.1. ზოგადი დებულებები

იმ პიდრომელიორაციულ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ უწყლო და წყალმცირე რაიონების მომარაგებას კულტურულ საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების წყლებით, ენოდება **განყლოვანება**, რასაც აგრეთვე, **მიწების განყლოვანებას ან ტერიტორიების განყლოვანებასაც უწყლებენ**.

იმ ნაგებობებისა და მოწყობილობების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით ხორციელდება განყლოვანება, **გამანყლოვანებელი სისტემები ეწყლება**.

განყლოვანება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოსახლეობისა და პირუტყვის რაც შეიძლება სრულად უზრუნველყოფას სასმელი და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლით, ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, საკარმიდამო და ცალკეული მცირე ნაკვეთების შერჩევით მორწყვასაც.

სშირად ტერიტორიის განყლოვანებასთან შეთავსებით წარმოებს ცალკეული საკმაოდ დიდი მასივების გასარწყავება და მორწყვა. ასეთ სისტემებს **გამანყლოვანებელ-სარწყავი ეწყლება**. ხშირია შებრუნებული შემთხვევებიც, როდესაც სარწყავი სისტემა შეთავსებით ასრულებს გამანყლოვანებელი სისტემის ფუნქციასაც. ასეთ სისტემებს **სარწყავ-გამანყლოვანებელი ეწყლება**.

მშრალი და ნახევარ მშრალი კლიმატური ზონების ვრცელი ტერიტორიების განყლოვანება წარმოადგენს პირველ მოსამზადებელ ეტაპს, რომელიც წინ უსწრებას როგორც სარწყავი სისტემების მშენებლობას, ასევე წყალსადენების მოწყობას, რომელთა ძირითადი დანიშნულება ამ შემთხვევაში არის დასახელებული პუნქტებისა და სამშენებლო და საწარმოო უბნების წყალმომარაგება.

წყალმომარაგება - არის წყლის მიწოდება უშუალოდ მომხმარებლისათვის. განარჩევენ წყალმომარაგების სხვადასხვა სახეებს: კომუნალური - ქალაქებისა და დაბების წყლით მომარაგება; სამრეწველო - ქარხნებისა და ფაბრიკების დაბების წყლით მომარაგება; სასოფლო-სამეურნეო და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება თავის მხრივ შეიძლება იყოს შემდეგი სახეების: სამეურნეო-სასმელი - ამარაგებს მოსახლეობას, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების მაღალხარისხოვანი (სასმელი) წყლით; საწარმოო - ამარაგებს წყლით ფერმებსა და მეცხველეობის კომპლექსებს; საძოვრებს და სარწყულებელ (წყალსასამელ) პუნქტებს პირუტყვის გადასარეკ ტრასებზე, სახელოსნოებს, ღვინის ქარხნებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებელ საწარმოებს. წყლის ხარისხი განისაზღვრება წარმოების მოთხოვნილების მიხედვით; ხანძარსანინააღმდეგო წყალმომარაგება.

სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება უმეტეს შემთხვევაში გაერთიანებული სახისაა, როდესაც ერთი და იგივე წყალსადენით წარმოებს სამეურნეო-სასმელი, საწარმოო და ზოგჯერ აგრეთვე ხანძარსანინააღმდეგო წყლის მიწოდება.

ტექნიკური თვალსაზრისით წყალმომარაგება წარმოადგენს პიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ კვების წყაროდან

წყლის მიღებას, სათანადო გაწმენდას, დანიშნულების ადგილზე მიყვანას და უშუალოდ მიწოდებას მომხმარებელზე საჭირო რაოდენობით.

იმ ნაგებობებისა და მოწყობილობების კომლექსს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წყალმომარაგება, ენოდება წყალმომარაგების სისტემა ანდა წყალსადენი.

სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება და შესაბამისად წყალსადენი შეიძლება იყოს **ადგილობრივი ანუ ლოკალური** და **ჯგუფური** ანუ **ცენტრალიზებული**. ადგილობრივი წყალსადენი საკუთარი კვების წყაროდან ამარაგებს წყლით ცალკეულ ფერმას, საძოვრის სარწყულებელ პუნქტებს, დაშორებულ დასახლებულ პუნქტებს ან სახლების ჯგუფს და სხვ. ხოლო ჯგუფური წყალსადენი კი ერთიან ან გაერთიანებული კვების წყაროდან ერთდროულად ამარაგებს წყლით რამდენიმე სოფელს, რაიონს და ოლქებსაც.

დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა სუფთა წყლით მომარაგებასთან ერთად ითვალისწინებს, ამ წყლის გაყვანას გამოყენების შემდეგ, კანალიზაციის სისტემის მეშვეობით. **კანალიზაცია** გულისხმობს სანიტარულ ღონისძიებებისა და ნაგებობების კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების შეკრებას, ტრანსპორტირებას, გაწმენდას და მოცილებას დასახლებული პუნქტიდან.

თუ ერთმანეთს შევადარებთ გაწყლოვანებას და წყალმომარაგებას, დავრწმუნდებით, რომ წყალმომარაგება შედარებით უფრო სრულყოფილი და მაღალი ღონის ღონისძიებაა. ამის დასადასტურებლად, ისიც კმარა, რომ გაწყლოვანების პირობებში დასაშვებია დასახლებულ პუნქტში იყოს მომხმარების ცალკეული ჭაბურღილები ან ონკანები მაშინ, როდესაც წყალმომარაგება ითვალისწინებს ყოველი ბინის უზრუნველყოფას წყლით და თანაც ფეკალური წყლის გაყვანას კანალიზაციის ქსელით.

მიწების გაწყლოვანების სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ღონისძიებებს აქვთ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

8.2. წყალმოთხოვნილების ნორმები და რეჟიმი

წყალმოხმარების ანუ როგორც ხშირად ამბობან, წყალმოთხოვნილების ნორმა - არის წყლის რაოდენობა, რომელიც ესაჭიროება ერთ წყალმომხმარებელს დროის ერთეულში - ჩვეულებრივ ლიტრობით დღე-დღიურში ანდა წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთეული პროდუქციის შესაქმნელად, მაგალითად, ერთი ტონა რძის გადასამუშავებლად, ათასი ცალი აგურის დასაწყობად და ა.შ.

წყალმოთხოვნილების ნორმები დგინდება სათანადო ნორმატიული დოკუმენტებით. სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისა და წყალმომარაგების გაუმჯობესებასთან ერთად წყალმოთხოვნილების ნორმები იზრდება. ამიტომ ნორმატიულ დოკუმენტებში პერიოდულად შეაქვთ კორექტივები.

სოფლის დასახლებული პუნქტების საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყალმოთხოვნილების ნორმები 1 მაცხოვებელზე ლ/დღ.ლ, შემდეგია:

- შენობები, შიდა წყალსადენით და კანალიზაციით, აბაზანის გარეშე - 120-160;
- იგივე, აბაზანებით და ადგილობრივი გამახურებლებით - 160-230;
- იგივე, ცხელი წყლის ცენტრალიზებული მომარაგებით - 230-350;
- წყლის აღება საერთო სარგებლობის ქუჩის ონკანებიდან - 30-50.

წყალმოთხოვნილების ნორმა ლ/დღ.ლ ერთ სულ პირუტყვზე შემდეგია: მეწველი ძროხა - 100, სახორცე ძროხა - 70, ხარი და უშობელი - 60, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოზარდეული (ერთ წლამდე) - 30, ხბო 6 თვეშდე - 20, ცხენი საჯდომი, მუშა - 60, ცხენი სანაშენო - 80, ულაყი მნარმოებელი - 70, კვიცები 1.5 წლამდე - 45, ცხვარი - 10, ცხვარი მოზარდეული - 6, ტახი (კერატი) მნარმოებელი - 25, დედა ღორი გოჭებით - 60, დედა ღორი მაკე - 25, გოჭები - 5, ქათამი - 1, ინდაური - 1.5, ბატი და იხვი - 2 და ა.შ.

შენობიდან ნაკელის გატანაზე დამატებით საჭიროა 4-10 ლ წყალი ერთ სულ ცხოველზე. მშრალ და ცხელ რაიონებში წყალმოთხოვნილების ნორმები შეიძლება გადიდებული იყოს 25%-ით ზემოთალიშნულთან შედარებით.

მანქანა-ტრაქტორების პარკებისათვის დადგენილია შემდეგი ნორმები: ერთი ტრაქტორის ან კომბაინის გამართვაზე - 1 ლ/დღ.ღ ყოველ 1 ცხენისძალა სიმძლავრეზე; ავტომანქანის გამართვაზე 10 ლ/დღ.ღ - ყოველ ტონა თვითმზიდაობაზე; ტრაქტორის გარეცხვაზე - 300-600 ლ/დღ.ღ; 3 ტონა ტვირთმზიდაობის მანქანის გარეცხვაზე - 400-500 ლ/დღ.ღ; ერთი ავტომანქანის ან ტრაქტორის რემონტზე - 1 000 ლ/დღ.ღ და ა.შ.

წყლის ხარჯვის ნორმები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის შემდეგია: რდის ქარხნებში 1 ტონა რდის გადამუშავებაზე - 10-15 მ³; კონსერვის ქარხნებში 1 ტონა ბოსტნეულის გადამუშავებაზე - 10-15 მ³; ყველისა და კარაქის ქარხნებში 1 ტონა პროდუქციის მისაღებად - 35-40 მ³; ხორცულმბინატებში 1 ტონა ცოცხალი წონის პირუტყვის გადამუშავებაზე 6-10 მ³; პურსაცხობებში 1 ტონა პურის გამოცხობა 1.7 მ³ და ა.შ. პროდუქტების გადასამუშავებლად საჭირო ზემოთალიშნული წყლის რაოდენობის გარდა დამატებით გათვალისწინებული უნდა იყოს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი: ერთ მომუშავეზე ცვლაში 25 ლიტრი ჩვეულებრივ საამქროში და 45 ლიტრი ცხელ საამქროში.

სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაზე საჭირო წყლის ნორმები მოცემულია ერთეული სამუშაოს მოცულობის მიხედვით. 1 მ³ ბეტონის მომზადებაზე და ჩასხმაზე - 2-2.5 მ³; ათასი აგური წყობაზე 110-120 ლიტრი და ა.შ.

მინდვის წყალმომარაგების ნორმები დაახლოებით შემდეგია: სამეურნეო სასმელი წყალი ერთ ადამიანზე 40-60 ლ/დღ.ღ; ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომსახურებისათვის 120-150 ლ/დღ.ღ; ცხენებისათვის 50-60 ლ/დღ.ღ; მწვანე ნარგავებისათვის 3-4 ლ/მ². ეს ნორმები ერთი ჰა დასამუშავებელ ფართობზე გადაყვანით დაახლოებით შეადგენს 7-13 ლ-მდე დღე დღე დამეში.

საძოვრების წყალსასმელ პუნქტებზე საშუალო დღე-ლამური წყალმოთხოვნილების ნორმა ერთ ადამიანზე შეადგენს 30-50 ლიტრს. აქედან საჭმლის მომზადებაზე იხარჯება დაახლოებით 10-15 % ე.ი. ერთ ადამიანზე საჭიროა 4-6 ლიტრი სასმელი წყლი.

ხანძარსანინააღმდეგო წყალმომარაგების ნორმები დამოკიდებულია დასახლებული პუნქტების მაცხოვრებელთა რაოდენობაზე და შენობების სიმაღლეზე. თუ მაცხოვრებელთა რიცხვი არ აღემატება 10 000-ს და შენობები ორ სართულიანზე მაღალი არაა, მაშინ საანგარიშოდ იღებენ ერთდროულად 1 ხანძარს, რომლის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯია 10 ლ/წმ, ხოლო თუ უფრო მაღალია 150 ლ/წმ. როდესაც მაცხოვრებელთა რიცხვი 10 000-დან 100 000-მდეა, მაშინ საანგარიშოდ იღებენ ერთდროულად ორ ხანძარს, ოღონდ თითოეული ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯი დიდდება 10-დან 35 ლ/წმ-მდე, მოსახლეობის ზრდის კვალობაზე.

წყალმოთხოვნილების ნორმებისა და წყალმომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება შეჯამებული საშუალო დღე-ლამური წყლის ხარჯი.

საშუალო დღე-ლამური წყლის ხარჯი ანუ წყალმოთხოვნილება იცვლება წლის განმავლობაში (ზაფხულში მეტია, ზამთარში - ნაკლები და ა.შ.). იგი ხასიათდება დღე-ლამური წყალმოთხოვნილების არათანაბრობის კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებენ თუ რამდენჯერ განსხვავდებიან მაქსიმალური და მინიმალური დღე-ლამური წყალმოთხოვნილებები საშუალო დღე-ლამური წყალმოთხოვნილებიდან წლის განმავლობაში. ამ ხარჯზე იანგარიშება წყალგამტარი ნაგებობები და მოწყობილობა.

წყალმოთხოვნილება არათანაბარია დღე-ლამის განმავლობაშიც (ლამის საათებში მცირეა, დილისა და საღამოს საათებში - დიდი). იგი ხასიათდება საათობრივი წყალმოთხოვნილების არათანაბრობის კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება მაქსიმალური საათობრივი ხარჯი საშუალო საათობრივ ხარჯს, მაქსიმალურ დღე-ლამური წყალმოთხოვნილების დროს. ამ კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობებს იღებენ: საყოფაცხოვრებო-კომუნალური სექტორისათვის 1.5-2; მეც-

ხოველეობის ფერმებისათვის - 2.5; საძოვრების სარწყულებელი პუნქტებისათვის - 5 და ა.შ.

მაქსიმალური საათობრივი წყლის ხარჯის მიხედვით იანგარიშება სარეგულაციო რეზერვუარებისა და სადანწეო კომპენსის მოცულობა. მიიჩნევენ რომ წყლის ხარჯი 1 სთ-ის განმავლობაში მუდმივია. მაქსიმალური საანგარიშო ხარჯის (ნამში) მიხედვით წარმოებს მიღსადენების ჰიდრავლიკური გაანგარიშება და დიამეტრების შერჩევა.

8.3. საძოვრების გაწყლოვანება და წყალმომარაგება

მინდვრებსა და საძოვრებზე ხშირად საჭირო ხდება წყლის წყაროების ხელოვნურად შექმნა. სწორედ ასეთ პირობებს შეესატყვისება ტერმინი “გაწყლოვანება”. იმისდა მიხედვით, თუ როგორ კმაყოფილდება მომხმარებელთა მოთხოვნილება წყალზე, განარჩევენ გაწყლოვანების სამ ძირითად ფორმას: **ექსტენსიური, არასრული (შეზღუდული) და სრული.**

ექსტენსიური გაწყლოვანების დროს ქმნიან მხოლოდ წყლის წყაროებს (გუბეები, ჭები, არხები და სხვ), ხოლო მათგან წყლის აღება ხდება ყოველგარი დამატებითი მოწყობილობების გარეშე - ვედროებით, პირუტყვის დარწყულება ხდება უმუალოდ გუბურებიდან და არხებიდან და ა.შ. **არასრული გაწყლოვანების დროს** აკეთებენ დამატებით ნაგებობებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ააფილებენ წყლის გამოყენებას წყალმომარაგებისათვის - წყალამნევი დანადგარები, სარწყულებელი მოედნები და ა.შ., მაგრამ მომხმარებალთა ყველა მოთხოვნები ვერ კმაყოფილდება. **სრული გაწყლოვანების დროს** კი, კმაყოფილდება გაწყლოვანებულ ტერიტორიაზე მყოფი წყალმომხმარებლის ყველა მოთხოვნები. მაგალითად, საძოვრების სრული გაწყლოვანებისას აწყობენ წყლის წყაროებს, წყალმიმღებებს, წყალამნევებს, მარეგულირებელ რეზერვუარებს და სარწყულებელ მოედნებს გობებით.

მინდვრებისა და საძოვრების წყალმომარაგების დროს ჩვეულებრივ იყენებენ გრუნტისა და არალრმად განლაგებულ ფენათაშორის წყლებს. აგრეთვე ღია კვების წყაროების წყლებსაც, რომელთა გასაწმენდად იყენებენ გადასატან დანადგარებს.

მინდვრის (საველე) წყალმომარაგების დანიშნულებაა სეზონური სასოფლო-სამეურნეო მინდვრის სამუშაოების უზრუნველყოფა წყლით. ამისათვის აწყობენ ე.ნ. **საველე წყალმომარაგების ცენტრებს**, რომლებიც ჩვეულებრივ ფუნქციონირებენ ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ასეთ ცენტრებს ანლაგებენ გზებთან და წყლის წყაროებთან ახლოს, მუდმივ და დროებით საველე ბანაკების ადგილებში. წყალმოთხოვნილება იანგარიშება ნორმების მიხედვით. მიახლოებით აიღება შემდეგ ფარგლებში: სამეურნეო-სასმელი წყალი - 40-60ლ/დღ.ღ ერთ ადამიანზე; ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომსახურებისათვის - 120-150ლ/დღ.ღ; ცხენებისათვის - 50-60ლ/დღ.ღ; ნარგავების მორწყვისათვის - 3-4ლ/დღ.ღ 1 მ² ფართობზე.

საძოვრების წყალმომარაგება ხორციელდება ეგრეთნოდებული სარწყულებელი (წყალსასმელი) პუნქტების მოწყობის გზით. ასეთი პუნქტების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს წყალმიმღები მოწყობილობა, წყალამნევი დანადგარი, სამარაგო რეზერვუარები, სარწყულებელი მოედნები და სხვ. ჭებიდან წყლის ამოსაღებად გარდა სხვადასხვა ტიპის ტუმბოებისა, იყენებენ აგრეთვე ისეთ მარტივ მოწყობილობებსაც, როგორიცაა მაგალითად, ლენტური და ზონარიანი (თოკის) წყალამნევები, ჭოჭონაქი, ონინარი და სხვა. ღია კვების წყაროებიდან წყლის ასაჩქარებლად გამოიყენება ასევე იაფი და მარტივი მექანიზმი, როგორიცაა ჰიდრავლიკური ტარანი, რომლის მუშაობის პრინციპი ემყარება თვით წყლის ენერგიის გამოყენებას ჰიდრავლიკური დარტყმის ხელოვნურად წარმოქმნის მეშვეობით.

სარწყულებელი პუნქტების ურთიერთგანლაგება და ერთიმეორისაგან გაშორება დამოკიდებულია პირუტყვის სახეზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე, ბალახის ხარისხზე და სხვა ფაქტორებზე. საძოვრებზე საქონელი დაყოფილი ჰყავთ ჯგუფებად (გუნდებად) ანუ ჯოგებად. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგს ნახირს

უწოდებენ, რომელშიც შედის 100-მდე საქონელი: ფარაში - 600-800 ცხვარი, რემაში - 50-100 ცხენი და ა.შ. ერთი სარწყულებელი პუნქტი შეიძლება მოემსახუროს: 250 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ანუ 2-3 ნახირს; ორიათასამდე ცხვარს ანუ 2-3 ფარას; 250 ცხენს ანუ 3-5 რემას. ჯოგი დღის განმავლობაში წყლისათვის რამდენჯერმე უბ-რუნდება სარწყულებელ პუნქტს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 2-3-ჯერ, ცხვარი - 2-ჯერ, ცხენი - 3-ჯერ, ღორი - 3-ჯერ და ა.შ. ამიტომ საძოვარი უბნის ფართობის სიდი-დე შეზღუდული არის იმ მანძილით, რომლითაც შეიძლება დაშორდეს ცხოველი სარ-წყულებელ პუნქტს ისე, რომ არ დაიღალოს და არ შეამციროს პროდუქტიულობა. ამ მანძილს ეწოდება **დასაშვები სარწყულებელი რადიუსი**, რომელიც იცვლება შემდეგ ფარგლებში: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენებისათვის 2-5კმ; ცხვრისა და თხისათვის 2.5-4კმ, ღორისათვის 0.5-2კმ და ა.შ.

ცალკეული პირუტყვების დარწყულების ხანგძლივობა: მსხვილფეხა რქოსანის - 6 წუთი, ცხვრის - 3, ცხენის - 6 წუთი და ა.შ., ხოლო თითოეული პირუტყვის მიერ დაკა-ვებული ადგილი წყალსასმელ გობთან შესაბამისად შეადგენს: 0.75 მ, 0.35 მ. აქედან გა-მომდინარე, წყალსასმელი გობის სიგრძე უნდა განისაზღვროს იმ ანგარიშით რომ ჯო-გის დარწყულება 1 საათზე მეტად არ გახანგძლივდეს.

საძოვრების წყალმომარაგების დაპროექტება უნდა დაუკავშირდეს ტერიტორიის ორგანიზაციას და სამეურნეო გამოყენებას. ყოველი ჯოგი უნდა დაბანაკდეს საძოვრე-ბის გარკვეულ უბანზე. თითოეული საძოვარი უბანი უნდა გაიყოს ქვეუბნებად ანუ **სა-ძოვების ნაკვეთებად** (გადასარეკებად), რომლებიც თანდათანობით მორიგეობით გა-მოიყენება ჯოგის მიერ. საძოვარ უბანში სარწყულებელი პუნქტი უნდა მოეწყოს შეძ-ლებისდაგვარად მის ცენტრში და ამ პუნქტიდან უდიდესი დაშორება არ უნდა აღემატე-ბოდეს დასაშვებ სარწყულებლის რადიუსს.

წყალსასმელ პუნქტებზე დღე-ღამური წყლის ხარჯვა დიდი არაა და იცვლება 5-20 მ³-ის ფარგლებში, ხოლო ერთი წყალსასმელი პუნქტის მაქსიმალური მომსახურეობის ფართობი შეიძლება შეადგენდეს 1 100-5 000 ჰა-ს.

საქონლის გადასადენ ტრასებზე წყალსასმელ პუნქტებს შორის დაცილებას იღე-ბენ: ძოვებით გადადენის პირობებში - 8-12კმ-ს, გაუძოვებლად (მარშით) გადადენისას - 18-25კმ-ს.

კითხვები

1. რას ეწოდება გაწყლოვანება?
2. რა არის გამაწყლოვანებელი სისტემა?
3. რა არის წყალმომარაგება?
4. წყალმომარაგების სისტემა, წყალსადენი.
5. რას გულისხმობს კანალიზაცია?
6. წყალმოხმარების — წყალმოთხოვნილების ნორმა.
7. გაწყლოვანების სახეები.
8. მინდვრის წყალმომარაგება.
9. საძოვრების წყალმომარაგება.
10. რა არის დასაშვები სარწყულებელი რადიუსი?
11. რა არის გაძოვების ნაკვეთები?

ლიტერატურა

1. ნათიშვილი ო., და სხვ. მელიორატორის ცნობარი, გამომცემლობა “საბჭოთა სა-ქართველო”, თბილისი, 1986;
2. ტულუში გ., ტულუში პ., ხარაშვილი ო. სასოფლო სამეურნეო პიდროტექნიკური მელიორაცია, თბილისი, 2000;
3. ქობულია გ. საინჟინრო მელიორაცია. / ნაწილი., მორწყვა. გამომცემლობა “გა-ნათლება”, თბილისი, 1971.

4. ჩხენკელი ი., სახოფლო-სამურნეო მეცნიორაცია. სსი, თბილისი, 1960.
5. Alan C. Twort, Don D. Ratnayaka, Malcolm J. Brandt. *Water Supply*, Fifth Edition, 5 edition, 200;
6. Cesare Dosi. *Agricultural Use of Groundwater: Towards Integration between Agricultural Policy and Water Resources Management (Economics, Energy and Environment)*. Springer; 1 edition, 2001;
7. Jay H. Lehr, Jack Keeley. *Water Encyclopedia: Surface and Agricultural Water*. Wiley-Interscience; 1 edition, 2005;
8. Kenneth K. Tanji, Bruno. Yaron Springer. *Management of Water Use in Agriculture (Advanced Series in Agricultural Sciences)*. 1 edition, 1994;
9. Magnus L. Sorensen. *Agricultural Water Management Research Trends*. Nova Science Publishers, 2008;
10. Зайдельман Ф.Р. *Мелиорация почв*. 3-е издание, исправленное и дополненное. Издательство Московского университета, 2003;

3) გვერდები

1. www.adpcc.org.ge
2. www.csrees.usda.gov
3. www.aces.uiuc.edu
4. www.agsupply.com
5. www.owue.water.ca.gov
6. www.nj.gov
7. www.fao.org
8. www.state.nj.us

თავი 9. ჟყლის ბალანსი და ჟყალსამეურნეო ბაანბარიშება

წყლის რესურსების სწორი მენეჯმენტისთვის და წყალსამეურნეო პროექტირებისათვის აუცილებელია წყლის ბალანსის შედგენა, რომლის პირველ ეტაპს არსებული წყლის რესურსების განსაზღვრა ნარმოადგენს. წყლის რესურსების საერთო მოცულობის განსაზღვრა ნარმოებს ჰიდროსფეროს სხვადასხვა ნაწილის წყლის სტაციონალური მარავის ანალიზის საფუძვლზე, ხოლო წყლის რესურსების კომპლექსური ბალანსის აღსანერად გამოიყენება ხმელეთის წყლის ბალანსის განტოლებები. ამ განტოლებების საფუძველზე შესაძლებელია ერთობლივად იყოს შეფასებული წყლის რესურსების სხვადასხვა წყაროები, წყლის ნორმრუნვით განპირობებული ბუნებისათვის დამახასიათებელი „წლების ერთობლიობის“ გათვალისწინებით.

ნინამდებარე თავში განხილულია წყალსამეურნეო ბალანსი, როგორც რეგიონის წყალუზრუნველყოფის სქემის შედგენის საფუძველი; წყლის რესურსების მენეჯმენტის ძირითადი მეთოდები დეფიციტის პირობებში; წყალსაცავები და მათი მახასიათებლები; წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გაანგარიშებანი.

9.1. წყალსამეურნეო ბალანსი

წყლის რესურსების მენეჯმენტის გეგმის შედგენის ერთ-ერთ აუცილებელ ნინაპირობას წყალსამეურნეო ბალანსის გაანგარიშება ნარმოადგენს.

წყალსამეურნეო ბალანსის საფუძველზე წყალმოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების საიმედოობის ხარისხი განისაზღვრება საანგარიშო უზრუნველყოფის ნორმატივების მიხედვით, რაც ბალანსის შედგენის საწყის კრიტერიუმს ნარმოადგენს.

წყალსამეურნეო ბალანსი (ნ.ს.ბ.) არის წყალთა მეურნეობის ობიექტების დაპროექტების და ექსპლუატაციის საწყისი ინფორმაციის წყარო და იგი აღწერს წყალმომხმარებელთა შორის ფორმირებულ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც განპირობებულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების, მოსახლეობის წყალმოთხოვნილების, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური ასპექტების გავლენით. ამასთან, წყალსამეურნეო ბალანსი ნარმოადგენს რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკური შეფასების და წყლის ღირებულების დადგენის საფუძველს.

სრული ნ.ს.ბ-ს შესადგენად აუცილებელია მინისქვეშა და ზედაპირული წყლების ბალანსის განცალკევებული დადგენა.

მინისქვეშა წყლების წყალსამეურნეო ბალანსი ითვალისწინებს მოცემული ობიექტის წყალმომხმარებლების წყალუზრუნველყოფას ხელმისაწვდომი გრუნტის წყლის რესურსებით, რაც შესაძლებელია მხოლოდ დადებითი ბალანსის შემთხვევაში, რისთვისაც აუცილებელია დაკმაყოფილებულ იქნას შემდეგი პირობა

$$P - Q_n > 0, \quad (9.1)$$

სადაც: P არის ექსპლუატაციისათვის განკუთვნილი გრუნტის წყლების ბუნებრივი რესურსები;

Q_n – აღნიშნული უბნის მინისქვეშა წყლების ჯამური რაოდენობა მოცემულ საანგარიშო დონეზე.

გრუნტის წყლების უარყოფითი ბალანსის შემთხვევაში, რაც გულისხმობს წყლის ფეფიციტის არსებობას, წყალმოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ზედაპირული წყლების დამატებით. მინისქვეშა წყლების წყალსამეურნეო ბალანსის შედგენა ხორციელდება ერთი წლისთვის.

ზედაპირული წყლების წყალსამეურნეო ბალანსის გაანგარიშება ნარმოებს ცალკეული უბნებისთვის დროის გარკვეულ ინტერვალში შემდეგი დამოკიდებულებით

$$B = R_B + \Delta R - \Psi - T \pm \Delta V, \quad (9.2)$$

სადაც: R_B არის განსახილველ უბანზე სხვა უბნებიდან და ტერიტორიებიდან შემოსული ჩამონადენი;

ΔR – უბანზე ფორმირებული ჩამონადენი;

Ψ – უბანზე ზედაპირული წყლების დაუბრუნებადი მოხმარება;

თავის მხრივ:	$\Psi = Q_P + \Delta Q_P - q_{\text{დაბ}}$
სადაც: Q_P არის	მოცემულ უბანზე აღებული წყალუზრუნველყოფისათვის ზედაპირული ჩამონადენი;
ΔQ_P	- მდინარის ჩამონადენის შემცირება მიწისქვეშა წყლების აღე- ბის შედეგად;
$q_{\text{დაბ}}$	- საწარმოო, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, დრენაჟული და სხვა ჩამდინარე დასაბრუნებელი წყლები;
T	- საჭირო ტრანზიტული ჩამონადენი;
ΔV	- წყალსაცავის შევსება (-) ან ამოქმედება (+);
B	- წყალსამეურნეო ბალანსი.

ნ.ს.პ-ის შემავსებელი (დადებითი) ნაწილი აღწერს მოდინებულ ბუნებრივ წყლის რესურსებს, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია ეკონომიკურად, ხოლო ნ.ს.პ-ის გასავალი (უარყოფითი) ნაწილი ითვალისწინებს მთლიანად წყალსამეურნეო კომპლექ-სის მიერ გამოყენებულ წყალს. ამრიგად, წყალსამეურნეო ბალანსი წარმოადგენს შე-მავსებელი და გასავალი კომპონენტების სხვაობას.

ნ.ს.პ-ის შედგენისას შესაძლებელია შემავსებელ და გასავალ ნაწილებს შორის სხვადასხვა თანაფარდობა მივიღოთ. იმ შემთხვევაში, როდესაც $B > 0$, ნიშნავს, რომ მო-ცემულ რეგიონში წყლის დეფიციტი არ არსებობს და წყლის რესურსები საკმარისია მი-სი დროში განაწილებისთვის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა წყალმომხმარებლის წყალმოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის. თუ, $B < 0$ ე.ი. უბანზე წყლის დეფიცი-ტია და აუცილებელია ჩამონადენის ხელმეორედ გადანაწილება და რეგულირების ღო-ნისძიებების გატარება.

9.2. წყლის რესურსების მენეჯმენტის ძირითადი მეთოდები დეფიციტის პირობებში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება ტერიტო-რიაზე, რაც ამა თუ იმ წყალმოსარგებლის წყალუზრუნველყოფის შეფერხების მიზეზი ხდება. ამასთან, მტკნარი წყლის დეფიციტი ყოველწლიურად უფრო მკვეთრი ხდება. მტკნარი წყლის დეფიციტის აღმოფხვრა შესაძლებელია მისი ეკონომიკის, ანუ წყალმოხ-მარების შემცირების გზით, რაც შესაძლებელია გარკვეული ინჟინერულ-ტექნო-ლოგიური ღონიძებების გატარებით. ასე მაგალითად: საწარმოების გადასვლა ბრუნ-ვით წყალმომარაგებაზე, ხოლო ზოგიერთ დარგებში უწყლო ტექნოლოგიების დანერგ-ვა; მორწყვის ახალი და პროგრესული მეთოდების გამოყენება, სარწყავი სისტემების მ.ქ.კ-ის გაზრდა; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გადანაწილება დროში (ჩამონა-დენის რეგულირება), წყლის რესურსების გადანაწილება სივრცეში (ჩამონადენის გა-დაგდება); მარილიანი წყლების გამტკნარება; საწარმოების წყალმოხმარებაში ზღვის წყლის გამოყენება; ყინულებში და მთის ტბებში თავმოყრილი წყლის რესურსების საუ-კუნოვანი მარაგის ამოქმედება; ნალექების წარმოქმნის პროცესებზე აქტიური ზემოქ-მედება.

აღნიშნული მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:

1. **წყლის რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენება**, რაც გულისხ-მობს უწყლო ტექნოლოგიების, წყალმომარაგების ბრუნვით და განმეორებად-მიმდევრობით სისტემების გამოყენებას; ნ.ს.კ-ის ზოგიერთი მონაწილის გამოთიშვას წყალმომხმარებელთა რიცხვიდან; მორწყვის პროგრესული მეთოდებისა და საშუალე-ბების დანერგვას და ა. შ. აღნიშნულთან ერთად, აგრეთვე შესაძლებელია, სარწყავი ნორმის 4-ჯერ შემცირება და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2-ჯერ გაზრდა, რაც პროგრამული პროდუქციის შენარჩუნების და სარწყავი წყლის 50%-იან ეკონომიკის საშუალებას იძლევა. მაგრამ, წყლის ეკონომიკის ეს მეთოდი გამოიყენება საკმარისი მიწის სავარგულების არსებობის შემთხვევაში.

2. ჩამონადენის განაწილება დროში (რეგულირება) გულისხმობს წყლის რესურსების ჩამონადენის მრავალწლიურ რეგულირებას დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით. ამ მეთოდის ძირითად ნაკლს წარმოადგენს დიდი მოცულობის წყალსაცავების მშენებლობის აუცილებლობა, რაც თავის მხრივ, იწვევს ნაყოფიერი მიწების დიდ ფართობების დატბორვას. ამიტომ, ცალკეულ თვეებში წყლის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება ჩამონადენის წლიური რეგულირება (მთლიანი ან ნაწილობრივი).


3. ჩამონადენის განაწილება სივრცეში ანუ წყლის გადმოგდება სხვადასხვა აუზებიდან. აღნიშნული მეთოდი სიძვირესთან ერთად იწვევს მდინარეების აუზების ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას. ამიტომ, მშენებლობის წინ აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წყლის გადაგდების მიზანშეწონილობა.

9.3. წყალსაცავები და მათი მახასიათებლები

წყალსაცავები საკმაოდ რთული ბუნებრივ-სამეურნეო ობიექტებია. კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყოფა **ბუნებრივი წყალსაცავები** (ტბები) და **ხელოვნური წყალსაცავები**, რომლებიც ჰიდროტექნიკური ნაგებობებით არიან წარმოდგენილნი.


ამასთან, **წყალსაცავების კლასიფიკაცია** ხდება ამა თუ იმ კრიტერიუმის მიხედვით: 1. ჩამონადენის რეგულირების ხასიათის მიხედვით: მრავალწლიური, წლიური, კვირეული, დღელამური; 2. გეოგრაფიული განთავსების მიხედვით: ვაკის, მთისწინა, მთის; 3. გამოყენების პირობების მიხედვით: ენერგეტიკული, ირიგაციული და კომპლექსური. ჰიდრომოწყობილობების ადგილმდებარეობის მიხედვით: ზედა წყალსაცავი მოწყობილია მოცემული ჰესის ზემოთ; საკუთრივი (საკუთარი) - წყალსაცავი შედის ჰესის შემადგენლობაში; ქვედა წყალსაცავი მოწყობილია ჰესის ქვემოთ.

ტბების, როგორც რეგულატორის, გამოყენების დროს, ჩვეულებისამებრ, ხორციელდება ან წყლის დონის აწევა კაშხალით შეტბორვის გზით, ან ტბის და მდინარის განმენდა, ანდა ორივე ღონისძიების ერთდროულად ჩატარება. განვიხილოთ წყალსაცავის ძირითადი მახასიათებლები და პარამეტრები (ნახ. 9.1.).



ნორმალური შეტბორვის დონე (ნ.შ.დ.) ენოდება უმაღლეს დონეს, რომლის მიხედვითაც, მდგრადობის პირობების გათვალისწინებით, იანგარიშება სადანნეო ნაგებობების ნორმალური მუშაობა. ნ.შ.დ. შესაძლებელია შენარჩუნებული იქნას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ფორსირებული შეტბორვის დონე (ფ.შ.დ.) - დონე, რომლის დაშვებაც შესაძლებელია მცირე დროის განმავლობაში კატასტროფული ხარჯების (წყალდიდობების და თავსხმა წვიმების) შემთხვევაში. ფ.შ.დ.-ის დროს შესაძლებელია ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის ნორმალური პირობების დარღვევა.



მკვდარი მოცულობის დონე (მ.დ.დ.) - წყალსაცავის ამოქმედების უმდაბლესი დონე.

წყალსაცავის ნ.შ.დ-სა და მ.მ.დ-ს შორის წყლის მოცულობას სასარგებლო მოცულობა ეწოდება, ($V_{\text{სა}};$) ხოლო მ.მ.დ-ს ქვემოთ - მკვდარი მოცულობა ($V_{\text{მ.დ.}}$). სასარგებლო და მკვდარი მოცულობების ჯამი წყალსაცავის სრულ მოცულობას წარმოადგენს. ნ.შ.დ-სა და ფ.შ.დ-ს შორის მოცულობას ეწოდება რეზერვული მოცულობა, რომელიც გამოიყენება წყალდიდობისა და წყალმოვარდნების ტრანსფორმაციისთვის.

გამოფიტვის ზონაში, სადაც წყლის თავისუფალი ზედაპირის მრუდი შეტბორვის მრუდს წარმოადგენს, მიმდინარეობს დონეების ანგა, რის შედეგადაც წარმოქმნილ წყლის მოცულობას წყალსაცავის დინამიკური მოცულობა ეწოდება. იგი განისაზღვრება მოდინებული ხარჯით (ნახ. 9.2)

წყალსაცავების მახასიათებელ პარამეტრებს, რომლებიც ფუნქციონალურ კავშირებს ასახავენ, განეკუთვნება ტოპოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც ორი სახისაა - სტატიკური და დინამიკური. სტატიკური მახასიათებელი მოიცავს: მოცულობის, რომელიც ასახავს წყალსაცავის დონის კავშირს მოცულობასთან $Z_{\text{გ.დ.}} = f(V)$, ხოლო ფართობითი მახასიათებელი კი წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობთან დამოკიდებულებას $Z_{\text{გ.დ.}} = f(F)$ (ნახ. 9.3.).

ორივე მახასიათებელის მნიშვნელობის აღება ხდება ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული გეგმის დამუშავების შედეგად.

დინამიკური მახასიათებლის მხედველობაში მიღებით $Z_{\text{გ.დ.}}$ წარმოადგენს ორი ცვლადის ფუნქციას $Z_{\text{გ.დ.}} = f(V; Q)$ (ნახ. 9.4.).

არსებობს წყალსაცავების სხვა მახასიათებლებიც, რომლებიც წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული განვითარების ჩატარების საფუძველს წარმოადგენ და რომელთა უტყუარობა დგინდება წყალსაცავის წყლის ბალანსის მიხედვით

$$W_{\text{დარ.}} = W_{\text{გ.დ.}} \pm \Delta V - W_{\text{აღ.გ.}} + W_{\text{და.}} - W_{\text{დან.}} \quad (9.3.)$$

სადაც:

$$W_{\text{დარ.}}$$

არის

ჩამონადენის დარეგულირებული მოცულობა;

$$W_{\text{გ.დ.}}$$

- წყალსაცავში წყლის მოდინება T დროში;

$$\Delta V$$


- T დროის განმავლობაში გამოყენებული წყალსაცავის მოცულობა (+ ნიშანი - წყალსაცავის ამოქმედების დროს; -ნიშანი - შევსების დროს);

$$W_{\text{აღ.გ.}} \text{ და } W_{\text{და.}}$$

- შესაბამისად ნ.ს.კ-ის მონაწილეების მიერ წყალსაცავიდან აღებული და დაბრუნებული წყლის მოცულობები;


$$W_{\text{დან.}}$$

- წყლის დანაკარგი (ფილტრაციაზე, აორთქლებაზე, ყინულის წარმოქმნაზე და დარაბვაზე) წყალსაცავიდან T დროის განმავლობაში.



ნახ. 9.3. წყალსაცავის სტატიკური მახასიათებლები:

$$1 - F = f(Z), \quad 2 - V = f(Z)$$



ნახ. 9.4. წყალსაცავის დინამიკური მოცულობების მრუდები

9.4. წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გაანგარიშებანი

წყლის რესურსების მენეჯმენტისას, ჰიდროენერგეტიკული კვანძის წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გაანგარიშებების ძირითად ამოცანას წარმოადგენს: წყალთა მეურნეობის ძირითადი დარგების გამოვლენა, რომლებიც ისარგებლებენ კომპლექსით; შეტბორვის დონეების არჩევა (ნ.შ.დ.; მ.მ.დ. და ფ.შ.დ.); წყალასაცავის მშენებლობის შედეგად დატბორილი მინის ფართობების და მეურნეობაზე მიყენებული ზარალის შეფასება; ჰესების ძირითადი პარამეტრების (დაწნევა, ხარჯი, დამყარებული სიმძლავრე) დადგენა; ჰიდროტექნიკური ნაგებობების და მოწყობილობებისთვის რაციონალური ტიპისა და ზომების შერჩევა; ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება; მთლიანად კომპლექსის და მისი ცალკეული დარგების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა და წყალსამეურნეო კომპლექსის და მასთან ერთად მყოფი წყალსაცავის ექსპლუატაციის წესების დადგენა.

წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გამოთვლების შედეგების სისრულე და სიზუსტე დამოკიდებულია როგორც გამოთვლის მეთოდზე, აგრეთვე საწყისი მონაცემების სიზუსტეზე. აუცილებელ საწყისი მონაცემებს განეკუთვნება:

I - ჰიდროლოგიური მონაცემები: მდინარის განსახილველ მონაცემები დაკვირვებების პერიოდში დონეთა რეზიმი; ჰიდროკვანძის ქვედა ბიეფში დონესა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდები, მონაცემები ბუნებრივ ჩამონადენზე დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე მონაცემები საანგარიშო მაქსიმალურ ხარჯებზე; წლიური ჩამონადენის უზრუნველყოფის მრუდები და მათი პარამეტრები; საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი; ვარიაციის და ასიმეტრიის კოეფიციენტები; მდინარის ზამთრის რეზიმის მახასიათებლები განსახილველ უბანზე; ყინვიანობა, ყინულის სისქე; მყარი ჩამონადენის მახასიათებლები - შეტივტივნარებული და ფსკერული ნატანის მოცულობა და შემადგენლობა; აორთქლების სიდიდე (წლიური და საშუალო თვიური) ხმელეთის და წყლის ზედაპირიდან წყალსაცავის რაიონში.

II - ტოპოგრაფიული მასალები: მდინარის ველის გადაღების პლანშეტები ჰორიზონტალებით შეტბორვის საზღვრებში არსებული და დასაპროექტებელი ნაგებობების და ჰიდრომეტრიული პუნქტების მითითებით; მდინარის გრძივი პროფილი განსახილველ უბანზე; წყალსაცავის დახასიათება - სარკის ზედაპირის ფართობისა და მოცულობის წყლის დონის ნიშნულებთან დამოკიდებულების მრუდები.

III - გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მასალები: გეოლოგიური კვეთები და რუკები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და ნაგებობების ინჟინრულ-ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად. მიწისქვეშა წყლების პარამეტრები (დებიტი, ქიმიზაცია, ფილტრაციული უნარი).

IV - მასალები ენერგოსისტემის მახასიათებლების შესახებ: ენერგეტიკული სისტემის შემადგენლობა, რომელშიც შედის კომპლექსურ ჰიდროკვანძში დასაპროექტებელი ჰესი; ენერგოსისტემის დატვირთვის გრაფიკები (წლიური, დღელამური) სხვა ჰიდროლეტროსადგურებით დაკავებული ადგილის მითითებით, თუ ისინი ჩართულნი არიან სისტემაში. ენერგიის მომხმარებლების შემადგენლობა და მათი მუშაობის ხასიათი, სიმძლავრისა და ენერგიის მარაგი, ჰესებთან ერთად წ.ს.კ.-ის სხვა მონაწილეების წყალმოთხოვნილების მოცულობის და რეზიმის შესახებ მონაცემები.

V - ჰიდროკვანძის მახასიათებლები და მის შემადგენლობაში მყოფი ნაგებობების პარამეტრები: კომპლექსური კვანძის სქემა - ნაგებობების ურთიერთგანთავსების ვარიანტები (კაშხალი, წყალმიმღებები, ჰესის შენობა, გამყანი არხები, დღელამური რეგულირების აუზი და ა. შ.); შეტბორვის შემთხვევაში დაწყის შესაძლო მაქსიმალური ნიშნულის მდებარეობა; ველის გეოლოგიური აღნაგობა; სანიტარული მოთხოვნები და ა. შ. წყალმიმღები ნაგებობების განთავსების პირობების მიხედვით წყალსაცავის ამოქმედების ზღვრულად შესაძლო ნიშნულების მდებარეობა; წყალშემკრები და წყალგამყვანი მოწყობილობების ჰიდროგლობის მიდანიერები; სხვა ნაგებობების პარამეტრები. მაგალითად, დერივაციის შემთხვევაში - მონაცემები მისი სიგრძის, ქანობის, განვითარების კვეთის, წყალგამყვების და დაწნევის დანაკარგების შესახებ ხარჯის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

კითხვები

1. რა არის წყალსამეურნეო ბალანსი (წ.ს.ბ.)?
2. მინისქვეშა და ზედაპირული წყლების წყალსამეურნეო ბალანსის შედგენა.
3. რას გულისხმობს წყლის რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენება?
4. წყალსაცავების კლასიფიკაცია.
5. რა არის წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის დონე, ფორსირებული შეტბორვის დონე, მკვდარი მოცულობის დონე და რეზერვული დონე?
6. რა არის წყალსაცავის სასარგებლო და სრული მოცულობა?
7. რა არის წყალსაცავის დინამიკური მოცულობა?
8. წყალსამეურნეო და წყალენერგეტიკული გამოთვლების აუცილებელი საწყისი მონაცემები.

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
2. ყრუაშვილი ი., მირცხულავა დ., ნაკანი დ., კუპრავიშვილი მ. წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება და დაცვა. საქართველოს განათლების სამინისტრო, სსაუ, ტბილისი, 2000.
3. **Andrew A. Dzurik.** *Water Resources Planning*, Rowman & Littlefield Publishers, Inc.; 3 edition, 2002.
4. **Bronwijk J. J. B.** *Effect of swelling and shrinkage on the calculation of water balance and water transport in clay soils*, Institute for Land and Water Management Research, 1988.
5. **Dennis G. Cooke, Eugene B. Welch, Spencer Peterson, Stanley A. Nichols.** *Restoration and Management of Lakes and Reservoirs*, CRC; 3 Edition, 2005.
6. **Lenore S. Clescerl, Arnold E. Greenberg, Andrew D. Eaton.** *Standard Methods for Examination of Water & Wastewater*, American Public Health Association; 20th edition, 1999.
7. **Malcolm Farley, S. Trow.** *Losses in Water Distribution Networks*, IWA Publishing, 2007.
8. **Marinus G. Bos, R.A.L. Kselik, Richard G. Allen), David Molden.** *Water Requirements for Irrigation and the Environment*. Springer; 1 edition, 2008.
9. **Mohammad Karamouz, Ferenc Szidarovszky, Banafsheh Zahraie.** *Water Resources Systems Analysis*, CRC; 1 edition, 2003.
10. **Xu C.-Y., Singh V. P.** *A Review on Monthly Water Balance Models for Water Resources Investigations*, Springer Netherlands, 2004.
11. Зубченко О. М. *Гидрология рек и гидрологические расчеты*: Учеб. пособие. Куйбышев, Куйбышев. ун-т, 1979.
12. Поляков Б. В. *Гидрологический анализ и расчёты*. Л., 1946.
13. Соколовский Д. Л. *Речной сток*. Л., 1968.

ვებ გვერდები

1. www.watertech.cn
2. www.yellowriver.gov.cn
3. www.eminnetonka.com

თავი 10. სარწყავი სისტემების მენეჯმენტი და მყლის რესურსების მდგრადი განვითარება

სარწყავი სისტემების, კერძოდ წყალსამუშარეო სისტემების მენეჯმენტი და რაციონალური საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით შესაძლებელია მათემატიკური მოდელირების მეშვეობით. მოდელირება საშუალებას იძლევა განხილულ იყოს მენეჯმენტის სხვადასხვა ალტერნატიული გარიანტები და გაანალიზებულ იქნას მათი შედეგები. მოდელირების ეფექტურობა, ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა კომპიუტერიზაციის მეშვეობით.

თავში განხილულია წყლის რესურსების მენეჯმენტის „მდგრად განვითარებასთან“ კავშირში და ის საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სარწყავი სისტემების დაგვემარების დროს.

აღნიშნულია სარწყავი სისტემების მენეჯმენტის პრობლემები, ამოცანები და შესაბამისი მათემატიკური ამოცანების დახმის პრინციპები. ამასთან, დეტალურადაა განხილული ოპტიმიზაციური და იმიტაციური მოდელირება: იმიტაციური ექსპერიმენტების ჩატარების ზოგადი პრინციპი და მიმღებრობა. ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი სარწყავი სისტემის სტრუქტური მოდელი.

10.1. სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების მდგრადი განვითარება

სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების მდგრადი განვითარების მიზანია იმ წესების შემუშავება, რომლებიც ეკონომიკური ამოცანების ამოხსნის დროს, პირველ რიგში გათვალისწინებენ გარემოზე ზემოქმედებას, ხოლო მდგრადი განვითარების ვარიანტების განხილვისას გახდიან ამოხსნადს ეკოლოგიურ ფაქტორებს.

მდგრად განვითარებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მიზანი, რომლებიც ცნობილია როგორც „3 Es“:

- * ეკოლოგიური მთლიანობა (*Environmental integrity*);
- * ეკონომიკური ეფექტურობა (*Economic efficiency*);
- * სამართლიანობა (*Equity*), დღევანდელი და მომავალი თაობების, კულტურული და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.

წყლის რესურსების მენეჯმენტის დაგეგმარება მოიცავს არა მხოლოდ არსებული სიტუაციის, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, ეკოლოგიური სისტემის პოტენციალური მოცულობის ანალიზს და არსებული რესურსების აღრიცხვას, არამედ საზოგადოების მოთხოვნილებასაც რესურსების სამართლიანი განაწილების მიზნით, რაც გულისხმობს მოსახლეობასთან ეფექტურ ურთიერთქმედებას.

უკანასკნელ პერიოდში წყლის რესურსების მენეჯმენტის დაგეგმარების განვითარებას ხელი შეუწყო ინოვაციამ და ინტეგრაციამ, ამასთან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. წყლის რესურსების შეზღუდული მოცულობა უნდა განიხილოს როგორც ეკონომიკური ზრდა-განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი;
2. ეკოლოგიური ფაქტორი (განსაკუთრებით წყლის ხარისხი, ვინაიდან ამ ფაქტორზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგისი წყლის მოცულობა და ცხოვრების დონე ზოგადად);
3. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი მთლიანად;
4. იურიდიული და პოლიტიკური (ადგილობრივი, ზოგად-ნაციონალური და საერთაშორისო) პრობლემები (განვითარების სტრატეგია და მის მიერ დადებული შეზღუდვები);
5. პერსპექტივის განუსაზღვრელობა (მათ შორის ჰიდროლოგიური სტოქასტიკურობა, კლიმატის ცვალებადობა და მოთხოვნილების დონე მომავალში).

ამჟამად, საზოგადოება მიდის იმ შეგნებამდე, რომ მდგრად განვითარებაში უმთავრესია ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების ამოხსნა. წყლის

პრობლემა შეიძლება გახდეს განვითარების პროცესის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

ვინაიდან, ზემოთ აღნიშნული ფაქტორები განხილულ უნდა იქნას კომპლექსურად, წყლის რესურსების მენეჯმენტი ითვალისწინებს წყალსამეურნეო კომპლექსების დაგეგმარების დროს გამოყენებული იყოს რთული ხერხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ საინტერი გადაწყვეტილების შედეგების განსაზღვრა დაგეგმარების უამრავ ვარიანტებს შორის.

მდგრადი განვითარების პროცესი და მართვის დაგეგმარება უნდა ეყრდნობოდეს წესებს, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა ტექნიკურ და ეკონომიკურ ასპექტს და მათი რეალიზების შესაძლო შედეგებს. ამისათვის საჭიროა არა მხოლოდ დღევანდელი სიტუაციის და შესაძლო განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, რესურსების და ეკოლოგიური სისტემის პოტენციალის გათვალისწინება, არამედ საზოგადოების მოთხოვნილების განსაზღვრაც, რათა მიღწეულ იქნას რესურსების სამართლიანი განანილება. იმისათვის, რომ სარწყავი სისტემა იყოს სიცოცხლისუნარიანი, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი, რეგიონალური და ადგილობრივი კანონები და წესები.

წყლის რესურსების მენეჯმენტის და გამოყენების ოპტიმიზაციის კლასიკურმა მიდგომებმა არსებითად დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა განვითარების სხვადასხვა სცენარის ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე ზემოქმედების კომპლექსური ანალიზის თვალსაზრისით.

მსხვილ წ.ს.კ-ს შემთხვევაში მათი განვითარების სცენარები და წყალთა მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია გრძელვადიანი (25-30 წელი), საშუალო ვადიანი (10-15 წელი) და მიმდინარე (1-5 წელი) დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, წყლის რესურსების აღნიშნული პრობლემების შესწავლა და შესაბამისი მართვის შემუშავება მოითხოვს მათემატიკური მოდელირების აპარატის პროგნოზული (იმიტაციური), წყალსამეურნეო სისტემის რეჟიმების და პარამეტრების, აგრეთვე, მონიტორინგის განვითარების მოდელების გამოყენებას.

10.2. სარწყავი სისტემების მართვის პრობლემები და ამოცანები

სარწყავი სისტემის ქვეშ იგულისხმება წყალსამეურნეო ობიექტების და ტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, ყველა ის ობიექტი, რომელიც დაკავშირებულია წყალსამეურნეო მართვასთან და აგრეთვე დარგობრივი ინფრასტრუქტურა. სისტემის ელემენტების ურთიერთზეგავლენის შესწავლა ხდება არა მხოლოდ ჰიდრავლიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც წყალთა მეურნეობების ურთიერთობების სისტემა, ანუ ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და კანონმდებლობის ასპექტებით.

სარწყავი სისტემის ფუნქციონირება იყოფა შემდეგ მიმართულებებად: კვლევბი, პროექტირება, მშენებლობა, ტექნიკური ექსპლუატაცია, მონიტორინგი, ტექნიკური მართვა, დარგობრივი მართვა. აღნიშნული მიმართულებები ეყრდნობა ფუნდამენტურ და დარგობრივ სამეცნიერო კვლევების შედეგებს.

წყალსამეურნეო პრობლემების განხილვის და შესაბამისი მათემატიკური ამოცანების დასმის და ამოხსნის დროს უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეგზოგენური ფაქტორების თავისებურებანი (ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური და სხვა), რომელთა ზეგავლენით იქმნება, ვითარდება და ფუნქციონირებს წ.ს.კ. ბუნებრივი ფაქტორების ერთობლივიბის სტრუქტურის აუცილებელს ხდის ბუნებაში წყლის წრებრუნვის მთელი პროცესის და მისი შემადგენელი ნაწილების აღწერას, კერძოდ მდინარის ჩამონადენის, აორთქლების და ა.შ. შემთხვევითი პროცესების თეორიაზე და სხვა მათემატიკურ დისციპლინებზე დაყრდნობით.

წყალსამეურნეო ამოცანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მოცული ტერიტორიის ფართობის, ნაგებობების და ღონისძიებების, საკვლევი ობიექტების რაოდენობის

და მათი ურთიერთკავშირების მიხედვით. წყალსამეურნეო სისტემების მოდელირების აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება:

- * წყლის და ნიადაგის რესურსების ერთობლივი გამოყენების ოპტიმიზაცია;
- * წ.ს.კ-ს ფუნქციონირების რაციონალური რეჟიმების და პარამეტრების განსაზღვრა;
- * ბუნებრივი წყლების და წყალ-მარილიანობის ბალანსის დინამიკის პროგნოზი და შეფასება;
- * წყალდაცვითი კომპლექსების პარამეტრების და სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- * წ.ს.კ-ს გავლენის შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ სფეროებზე;
- * ტერიტორიის განვითარების მდგრადი ეკონომიკურად ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ვარიანტების დასაბუთება;
- * ნიადაგების წყალდიდობებისაგან და სხვა წყლის მავნე ზემოქმედებებისაგან დაცვა;
- * წყლის და სანაპირო ეკოსისტემების ფუნქციონირება და აგრეთვე მათთან დაკავშირებული ხელების ეკოსისტემები და ა.შ.

სარწყავი სისტემების მათემატიკურ მოდელებს გააჩნიათ თავისებურებები, რომელთა გამო ისინი მიეკუთვნებიან გამოყენებითი ხასიათის მქონე მოდელების დამოუკიდებელ კლასს. ეს სპეციფიკა უპირველეს ყოვლისა გამონვეულია მოდელირებადი ობიექტების თავისებურებებით, წყლის მნიშვნელოვნებით და მისი ორმაგი ხასიათით. წ.ს.კ-ს აღნიშნული დუალიზმი განაპირობებს შესაბამისი მათემატიკური მოდელების მრავალკრიტერიულობას. ეკონომიკური თვალსაზრისით სისტემის ფუნქციონირების რეჟიმის და პარამეტრების საუკეთესო ვარიანტი თითქმის არასდროს არ შეესაბამება წყალსამეურნეო ობიექტების ეკოლოგიურად საუკეთესო მდგომარეობას, ხოლო თავის მხრივ ასეთი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მისაღებ სამეურნეო-საწარმოო დონეს. ამიტომ, გლობალური გაგებით, ყოველთვის იძებნება წ.ს.კ-ს განვითარებისა და ფუნქციონირების რომელიმე კომპრომისული ვარიანტი. შესაბამისი ვარიანტის შერჩევა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე. ამ ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეალური წყალსამეურნეო სისტემების და პროცესების შესამუშავებლი მათემატიკური მოდელების ადეკვატურობაში.

წ.ს.კ-ს ფუნქციონირებასა და განვითარებაზე მოქმედი ყველა ბუნებრივი პროცესი ინტერპრეტირდება როგორც უწყვეტი. მაგრამ, ამის განვირცობა არ შეიძლება მართვის ყველა პარამეტრზე და მითუმეტეს წყალსამეურნეო და წყალდაცვითი ნაგებობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, რაც განაპირობებს წყალსამეურნეო სისტემების მრავალ მოდელში პრინციპულად დისკრეტული პარამეტრების შემოტანას.

ამოცანების კომპიუტერული რეალიზებას აქვს დიდი პროგრამული კომპლექსების დამახასიათებელი თვისებები. ასეთი კომპლექსების პროგრამული უზრუნველყოფა დაიყოფა ძირითადად (პრობლემური) და დამატებითად (მომსახურეობრივი).

ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფა ორიენტირებულია იმ პრობლემური ამოცანების ამოხსნაზე, რომელთა ერთობლიობაც ქმნის წყალსარგებლობის მათემატიკური მოდელების სისტემას.

დამატებითი უზრუნველყოფა შედგება მონაცემთა მართვის საშუალებების ერთობლიობისაგან (მათი შეყვანა, შევსება, კორექტირება, დაცვა და ა.შ). ამის გარდა დამატებითი უზრუნველყოფის შემადგენლობაში შედის მოდელირების შედეგების ვიზუალიზაციის საშუალებები, პროგრამული ინტერფეისების და სხვა ამდაგვარი ელემენტები.

მსხვილი წ.ს.კ-ს მრავალი წყალსამეურნეო ამოცანების მათემატიკური აღნერილობა და მათი ამოხსნა რომელიმე "უნივერსალური" ალგორითმით არა მხოლოდ საეჭვო, არამედ არამიზნობრივია. ამიტომ მსხვილი წ.ს.კ-ს ანალიზისთვის უნდა გამოყენებული იქნას დარაიონების რამდენიმე ტიპი (სკალა). დარაიონების ყოველი სკალა ექვემდებარება სისტემურ პრინციპებს და ითვალისწინებს მრავალ სხვადასხვა ფაქტორებს. მათ შორის უმთავრესია გამოყოფილი რაიონის საზღვრებში მოდელის რეალურ

ობიექტთან ადეკვატურობის შენარჩუნება ინფორმაციის აგრეგირების დროს, აგრეთვე მათამატიკური ფორმალიზაცია და კონკრეტული ამოცანის ამოხსნა. ბასეინური მიდგომის რეალიზება იძლევა საშუალებას გამოყოფილი ტერიტორიისთვის საკმარისი სიზუსტით აღინიშნოს წყლის რესურსების, ეკოლოგიური და ეკონომიკური ქვესისტემების კავშირების არსი და დინამიკა.

მსხვილი რეგიონალური (ბასეინური) პროექტების დასაბუთება შემდეგ ეტაპებად მიმდინარეობს:

1. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების წინასწარი დაგეგმარება;
2. დაფინანსების წყაროების და ობიექტების ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრა;
3. საწყისი მონაცემების შეგროვება და მომზადება;
4. საპროექტო გადაწყვეტილებების აღტერნატივების შერჩევა.

საჭირო ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა თრგანიზაციების მეშვეობით (ბუნების დაცვის სამსახურები, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კონტროლი, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები და ა.შ.). უკანასკნელ პერიოდში ტერიტორიაზე სამეურნეო მოღვაწეობის განვითარების გადაწყვეტილებების მიღების სისტემის აქტიურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზა. ამიტომ ყველა ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას.

პროექტის ეკონომიკური შედეგების შეფასება ხორციელდება კომერციული, საბიუჯეტო და ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლების მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნას პროექტის მონაწილეთა მრავალფეროვანი მოთხოვნები.

წყალსამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების სტადიებზე სავალდებულოა ინფორმაციის სიზუსტის და დეტალურობის სხვადასხვა ხარისხი.

ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ტიპად:

1. ობიექტური პრობლემები, გამოწვეულია თანამედროვე წ.ს.კ-ს სპეციფიკით;
2. სუბიექტური პრობლემები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური, მატერიალური, შრომითი და სხვა რესურსების შეზღუდვა სრული მონიტორინგის ჩასტარებლად;
3. სპეციფიკური პრობლემები. ეს პრობლემები ჩნდება მოდელირების პროცესის დროს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ინფორმაციის დეკომპოზიციის და აგრეგირების პრობლემები.

ცნობილია, რომ წყალთა მეურნეობაში მართვის ყველა ამოცანა განიცდის "ინფორმაციულ შიმშილს". ჰიდროგეოლოგიური, გეოლოგიური, ტოპოგრაფიული და კლიმატური ინფორმაცია ძალიან სხვადასხვაგვარი და ვრცელია რაც განაპირობებს რიგ სპეციფიკურ სირთულეებს წ.ს.კ-ს მათემატიკური მოდელების ინფორმაციული უზრუნველყოფის დროს. წამოჭრილი პრობლემები გარკვეულწილად ახასიათებს მათემატიკური მოდელების ფართო სპექტრს.

წ.ს.კ-ს მართვის მოდელების არასრული ინფორმაციული უზრუნველყოფა ობიექტურია იმ გაგებით, რომ იგი ასახავს მოდელირებადი ობიექტის არასრულ შესწავლას, რომლის ხარისხი შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი.

მათემატიკური მოდელების ნებისმიერი სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურიზაცია თვით სისტემის აგების პროცესის და ყველა მასში შემავალი კერძო მოდელის განუყოფელი ნაწილია. წ.ს.კ., როგორც მოდელირებადი ობიექტი, განიხილება დინამიკურ მართვად სისტემად, რომელიც ფუნქციონირებს შემთხვევითი ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით.

10.3. სარწყავი სისტემების მოდელირება

მოდელი არის მატერიალური ან წარმოსახვითი ობიექტი, რომელიც შესწავლის პროცესში ცვლის ორიგინალს კვლევისთვის აუცილებელი ტიპიური თვისებების შენარჩუნებით. კარგად აგებული მოდელი, შესწავლის თვალსაზრისით, ბევრად ხელმისაწვდომია, ვიდრე რეალური ობიექტი.

წყალსამეურნეო, კერძოდ სარწყავი სისტემების **მათემატიკური მოდელირება** წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ამოცანების აგების მრავალასპექტიან პროცედურას, რომელიც ეტაპობრივი დეტალიზაციის პრინციპს ემორჩილება.

წყალსამეურნეო სისტემების მათემატიკურ მოდელებს გააჩნიათ თავისებურებები, რომელთა გამო ისინი მიეკუთვნებიან გამოყენებითი ხასიათის მქონე მოდელების დამოუკიდებელ კლასს. ეს სპეციფიკა უპირველეს ყოვლისა გამონვეულია მოდელირებადი ობიექტების თავისებურებებით, წყლის მნიშვნელოვნებით და მისი ორმაგი ხასიათით. წ.ს.ს-ს აღნიშნული დუალიზმი განაპირობებს შესაბამისი მათემატიკური მოდელების მრავალკრიტიკულობას. ეკონომიკური თვალსაზრისით სისტემის ფუნქციონირების რეჟიმის და პარამეტრების საუკეთესო ვარიანტი თითქმის არასდროს არ შეესაბამება წყალსამეურნეო ობიექტების ეკოლოგიურად საუკეთესო მდგომარეობას, ხოლო თავის მხრივ ასეთი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მისაღებ სამეურნეო-საწარმოო დონეს. ამიტომ, გლობალური გაგებით, ყოველთვის იძებნება წ.ს.ს-ს განვითარებისა და ფუნქციონირების რომელიმე კომპრომისული ვარიანტი. შესაბამისი ვარიანტის შერჩევა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე. ამ ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეალური წყალსამეურნეო სისტემების და პროცესების შესამუშავებლი მათემატიკური მოდელების ადეკვატურობაში.

წ.ს.ს-ს ფუნქციონირებასა და განვითარებაზე მოქმედი ყველა ბუნებრივი პროცესი ინტერპრეტირდება როგორც უწყვეტი. მაგრამ, ამის განვირცობა არ შეიძლება მართვის ყველა პარამეტრზე და მითუმეტეს წყალსამეურნეო და წყალდაცვითი ნაგებობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, რაც განაპირობებს წყალსამეურნეო სისტემების მრავალ მოდელში პრინციპულად დისკრეტული პარამეტრების შემოტანას.

წყალსარგებლობის მათემატიკური მოდელირების დამატებით პროგრამულ უზრუნველყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოინფორმაციულ სისტემებს (გის).

წყალსამეურნეო მოდელების სისტემაში შეიძლება ჩამოყალიბდეს გის-ის რამდენიმე ქვეტიპი: მინის და წყლის რესურსების, ნიადაგების და ადგილმდებარეობის რელიეფის, ტყის რესურსების, მსხვილი ქალაქების მეურნეობების და ა.შ. გის-ის ყოველი ქვეტიპი იგება როგორც მრავალმიზნობრივი და მრავალფუნქციური ინფორმაციულ-მოდელირებადი სისტემა და ფუნქციონირებს პრობლემურ ამოცანებთან კომპლექსში.

ამჟამად, წყალთამეურნეობის სისტემების საერთო მათემატიკური მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს მათ მრავალფეროვან თავისებურებებს, არ არსებობს. ამიტომაც, ყველა კონკრეტული წ.მ.ს-თვის მუშავდება სპეციალური მათემატიკური მოდელი, რომელიც მისი პარამეტრების შერჩევის საშუალებასა და მისი სხვადასხვა წყლიანობის და წყალმოხმარების პირობებში ფუნქციონირების ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა. ამგვარი მოდელი წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს წ.მ.ს-ის მართვის ყველა ეტაპზე.

მათემატიკური მოდელის აგების საწყის ეტაპს წარმოდგენს რაღაც ამოცანა, რომელთა შერის ფართოდაა გავრცელებული როგორც დესკრიპტული, აგრეთვე ოპტიმიზაციური მათემატიკური, რომლებიც ახასიათებენ სხვადასხვა პროცესებს და მოვლენებს (მაგალითად რესურსების განაწილება, რაციონალური მართვა და ა.შ.).

მათემატიკური მოდელის ასაგებად პირველ რიგში ხდება კვლევის ობიექტის და მიზნის ჩამოყალიბება. შემდეგ გამოიყოფა მნიშვნელოვანი მახასიათებლები და ხდება მოდელის ელემენტებს შერის კავშირის აღწერა, რის შემდეგაც ფორმალიზდება ურთიერთკავშირი. მათემატიკური მოდელის გამოთვლის შემდეგ ხორციელდება მიღებუ-

ლი შედეგის ანალიზი. მოცემული ალგორითმის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ოპტიმიზაციური ამოცანის ამოხსნა მრავალკრიტერიუმიანის ჩათვლით.

ოპტიმიზაცია არის მოცემული მოთხოვნების და შეზღუდვების გათვალისწინებით ამოცანის ამოხსნის საუკეთესო (მრავალ შესაძლებელთა შორის) ვარიანტის პოვნა. მაგალითად, წყლის დეფიციტის პერიოდში წ.მ.ს-ის კომპონენტთა შორის წყლის გადანაწილების საუკეთესო ვარიანტის, წ.მ.ს-ის საუკეთესო (ოპტიმალური) პარამეტრების შერჩევა და ა.შ

ოპტიმიზაციურ მოდელებს, მათ შორის მრავალკრიტერიუმიანებს, გააჩნიათ საერთო თვისება - ცნობილია მიზანი (ან რამდენიმე მიზანი), რომლის მისაღწევად ხშირად გამოიყენება რთული სისტემები, რომელთა ამოცანაა პროგნოზირება და კვლევა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ზემოთ აღნიშნული გეგმის რეალიზაციის სირთულეს რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რთულ სისტემაში მრავალი კავშირია ელემენტებს შორის; რეალური სისტემა განიცდის შემთხვევითი ფაქტორების გავლენას და მათი გათვალისწინება ანალიტიკური გზით შეუძლებელია.

მრავალკრიტერიულობის პირობებში, ჩნდება მიზნების გაურკვევლობის პრობლემა, რომელიც ტიპიურია ნებისმიერი მსხვილი ტექნიკური პროექტისათვის. ამ პირობებში აუცილებელი ხდება მიზნების გაურკვევლობის გადალახვა, ანუ, სხვა სიტყვებით, შესაძლო კომპრომისის მოძიების საშუალება, რომელიც მრავალკრიტერიული ამოცანის ამოხსნის საშუალებას იძლევა. ეგრეთნოდებული კომპრომისული გადაწყვეტილებები არ წარმოადგენენ მკაცრად ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და რიგი კრიტერიუმების თანახმად მისაღებ გადაწყვეტილებებს წარმოადგენენ. გადაწყვეტილების რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით დასაბუთების ამოცანა, ბოლომდე ფორმალიზებული არ არის და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ადამიანი. მკვლევარის მოვალეობაა დაეხმაროს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მიიღოს გადაწყვეტილება, მისი თითოეული ვარიანტის უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით.

არსებობს წყალთამეურნეობის სისტემების მართვის ამოცანების ამოხსნის პროცესში კომპრომისის მიღწევის შემდეგი მეთოდები:

1. **კრიტერიუმთა ხაზოვანი გაერთიანება.** ამ მეთოდში კერძო კრიტერიუმების ნაცვლად (სოციალური, ეკონომიკური) განიხილება ერთი ხაზოვანი კრიტერიუმი წონითი კოეფიციენტის დანიშვნის ხარჯზე, ანუ გამოიყენება არაფორმალიზებული მიდგომა.
2. **ეფექტური გადაწყვეტილებების სფეროს დადგენა (პარეტოს სფერო).** ამ მეთოდის ძირითადი იდეაა მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის ამოხსნის იმ ვარიანტების უგულვებელყოფა, რომლებიც თავიდანვე უშედეგოა. ეს შესაძლებელია, თუ განვსაზღვრავთ ეფექტური გადაწყვეტილებების სფეროს, ან ეგრეთნოდებულ პარეტოს სფეროს (იტალიელი ეკონომისტი. მეთოდი შემოთავაზებულია 1904 წ.). პარეტოს მეთოდი ერთადერთი ამონახსნის გამოყოფის გარეშე, მნიშვნელოვნად აიღებს ეფექტური გადაწყვეტილების შერჩევის პროცედურას, ვინაიდან, მრავალი ეფექტური გადაწყვეტილებების ანალიზი უფრო ადვილია ვიდრე მრავალი შესაძლებელი ამონახსნების განხილვა-ანალიზი. ამა თუ იმ გადაწყვეტილების საბოლოო შერჩევა ხორციელდება არაფორმალურ მეთოდებზე დაყრდნობით.
3. **თანმიმდევრული დათმობის მეთოდი.** ამ მეთოდით ხორციელდება მიზნების კლასიფიკაცია გამოცდის საფუძველზე. თავიდან იძებნება გადაწყვეტილება, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი აყავს მაქსიმუმამდე. შემდეგ ამ კრიტერიუმის მნიშვნელობა ფიქსირდება გარკვეულ, უფრო დაბალ დონეზე ვიდრე ოპტიმუმი. ამ შეზღუდვასთან ერთად იძებნება გადაწყვეტილება, რომელსაც მაქსიმუმამდე აჰყავს მნიშვნელობით მეორე კრიტერიუმი, რომელიც შემდგომში ასევე ფიქსირდება გარკვეულ, უფრო დაბალ დონეზე და ხდება პროცესის ოპტიმიზაცია მესამე კრიტერიუმის მიხედვით. ამგვარად მიღებული გადაწყვეტილება არ არის ოპტიმალური არც ერთი კრიტერიუმის მიხედვით, თუმცა ერთდროულად ყველას ითვალისწინებს. მიღებული შეღავათების მნიშვნელობა დგინდება გამოცდის შედეგად. მათი დასაბუთება თითოეული კრიტერიუმისათ-

ვის შესაძლებელია, კრიტერიუმთა მნიშვნელობების ცვლილებების წინასწარი შესწავლით. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ დაუყოვნებლივ ჩანს, თუ რომელი მაჩვენებლის შეზღუდვის ხარჯზე ხდება მეორე მაჩვენებლის მოგება და რა სახის მოგებაზეა საუბარი.

4. ორი თანაბარი მნიშვნელობის კრიტერიუმებისათვის კომპრომისული გადაწყვეტილების მოღების მეთოდი. ამ მეთოდში თითოეული კრიტერიუმისათვის დგინდება მისი ოპტიმალური მნიშვნელობა და ხდება დამატებითი პირობის შეტანა. ოპტიმალურია გადაწყვეტილების ის ვარიანტი, რომელშიც თითოეული კრიტერიუმის ფარდობითი გადახრა საკუთარი ოპტიმალური მნიშვნელობისგან მეტნაკლებია.
5. **ძირითადი კრიტერიუმის გამოყოფის მეთოდი.** ეს მეთოდი ყველაზე ხშირად გამოყენება მრავალყრიტერიუმიანი ამოცანის ერთკრიტერიუმიანამდე დაყვანის დროს. კომპრომის ამ შემთხვევში წარმოადგენს მთავარი კრიტერიუმის შერჩევა და შეზღუდვების დაწესება. ძირითად კრიტერიუმად, უმეტესწილად მიღებულია ეკონომიკური კრიტერიუმი, რადგან მხოლოდ ფულის ერთეული წარმოადგენს ისეთი პროდუქციის საზომს, როგორიცაა ელექტროენერგია, მოსავალი, გადაზიდვების მოცულობა და ა.შ. მიზნები, რომლებიც არ შეიძლება გამოიხატოს ღირებულებით (ისეთი სოციალური მიზნები როგორიცაა: წყალდიდობისგან დაცვა, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, წყლის რესურსების, ეკოსისტემების დაცვა), შეზღუდვების სახით შემოიღება. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ოპტიმიზაციის ეს მეთოდი გამოიყენება ყველაზე ხშირად.

რთული სისტემების შესწავლისას წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის სირთულის გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ ოპტიმიზაციის მეთოდის გამოყენების დროს ორიგინალის და მოდელის შედარება შესაძლებელია მხოლოდ მათემატიკური აპარატის გამოყენების დასაწყისში ან მის შემდეგ, ანუ შუალედური შედეგები შეიძლება არ იყოს რეალური სურათის შესაბამისი, რის გამოც, პრაქტიკაში მოითხოვა მოდელირების უფრო მოქნილი მეთოდი - იმიტაციური მოდელირება.

იმიტაცია (imitatio) არის პროცესის ან ეკონომიკური ობიექტის მოდელის შექმნა კვლევის, შესწავლის და პროგნოზირების მიზნით. ჩვეულებრივ, **იმიტაციური მოდელის ქვეშ**, იგულისხმება კომპიუტერული პროგრამების კომპლექსი, რომლებიც აღწერენ სისტემის სხვადასხვა ბლოკის ფუნქციონირებას და მათ ურთიერთკავშირის წესებს. შემთხვევითი სიდიდეების გამოყენება აუცილებელს ხდის მრავალჯერადი ექსპერიმენტების ჩატარებას იმიტაციური სისტემის გამოყენებით და მიღებული შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. იმიტაციური მოდელების გამოყენების ფართოდ გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს ამოცანების ამოხსნა მონტე-კარლოს მეთოდით. გამომდინარე აქედან, იმიტაციური მოდელი წარმოადგენს კომპიუტერზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს.

მათემატიკურ მოდელთან შედარებით, იმიტაციურ მოდელს შემდეგი უპირატესობა გააჩნია: იგი მეტად ახლოსაა რეალურ სისტემასთან; ბლოკური პრინციპი იძლევა ყველა ბლოკის ვერიფიცირების საშუალებას სისტემაში ჩართვამდე; შესაძლებელია უფრო რთული ხასიათის მქონე დამოკიდებულებების გამოყენება.

ჩატარების უპირატესობებითი მხარეებიც: იმიტაციური მოდელის აგება ბევრად რთული, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია. ამასთან იგი მოითხოვს რეალური პროცესის უფრო ღრმა შესწავლას.

შეიძლება გამოვყოთ იმიტაციური მოდელის სამი ძირითადი ფუნქცია:

1. მომხმარებლის უზრუნველყოფა წ.ს.კ-ს პარამეტრების შეყვანის, კონტროლის და კორექციის მოსახერხებელი აპარატით და მომიჯნავე პრობლემურ ამოცანებთან კავშირებით. ეს ფუნქცია საშუალებას იძლევა შეირჩეს იმიტაციური მოდელის მუშაობის ვარიანტი იმიტაციური მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2. იმიტაციური ექსპერიმენტი. ეს ფუნქცია მოიცავს წ.ს.კ-ს ნებისმიერი ელემენტის ფუნქციონირების დინამიკური ელემენტების მიღებას განსაზღვრულ დროის ინტერვალში. აღნიშნული მახასიათებლები დამახასიათებელია იმიტაციის პერიოდისთვის, რომელიც შესაძლებელია არ არის დაკავშირებული წ.ს.კ-ს მუშაობის რეალურ დროსთან. იმიტაციის პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია განსასაზღვრავ პარამეტრებზე. იმიტაციური ექსპერიმენტი არის მოდელის ცენტრალური ბლოკი.
3. იმიტაციური ექსპერიმენტის შედეგების სტატისტიკური დამუშავება და წ.ს.კ-ს ფუნქციონირების ინტეგრალური მახასიათებლების მიღება. ამ ფუნქციის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმიტაციური ექსპერიმენტის შედეგების გარდაქმნა აგრეგირებად ფორმაში. ინფორმაციის აგრეგირება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მომხმარებელი დიალოგურ რეჟიმში აყალიბებს ფუნქციონირების საიმედოობის მაჩვენებლებს. ეს მახასიათებლები შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც სისტემის ცალკეულ ელემენტებს, აგრეთვე ელემენტების ჯგუფებს ან მთლიან სისტემას. მეორე ეტაპზე მომხმარებელი ირჩევს ამ მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავების ხერხს. ვინაიდან მაჩვენებლების და მათი აგრეგირების შერჩევა მთლიანად დამოკიდებულია მომხმარებელზე, კომპიუტერული გამოთვლების დროს აუცილებელია დიალოგური პროცედურების უნიფიკაცია, რის შედეგადაც წ.ს.კ-ს ელემენტების ფუნქციონირების საიმედოობა შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას მახასიათებლების საბოლოო შეკრებით.

იმიტაციური მოდელის აღნიშნული ფუნქციების უზრუნველყოფა ხორციელდება სამი ძირითადი ბლოკით: მოსამზადებელი, იმიტაციური ექსპერიმენტი და შედეგების დამუშავება.

იმიტაციური ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო პრობლემური ინფორმაცია შეიძლება მოცემულ იქნას უშუალოდ ან მიღებულ იქნას სხვა მოდელებზე მუშაობის შედეგად. მოდელირებადი ობიექტების კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩვეულებრივ საკმაოდ რთულია წინასწარ განისაზღვროს, თუ რომელი მონაცემები აიღება სხვა მოდელების მაგალითიდან და რომელთა შეყვანა მოხდება უშუალოდ. ამიტომ გათვალისწინებულია პრობლემური საწყისი მონაცემების შეყვანის ორი ალტერნატიული ხერხი - ავტონომიური (პირდაპირი) და სისტემური (მომიჯნავე ამოცანების შემავალი ფაილების გარდაქმნით).

პრობლემური ინფორმაციის გარდა, რომელიც უშუალოდ აღწერს მოდელირებადი ობიექტის კონკრეტულ პარამეტრებს, არსებითია დამატებითი (სერვისული) ინფორმაცია. სერვისული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არის პარამეტრების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს იმიტაციური ექსპერიმენტის ტექნოლოგიას და შესაბამისი საწყისი მონაცემების სპეციფიკას. ამ პარამეტრების ნაკრებს **რეჟიმულ ვექტორს** უწოდებენ.

რეჟიმული ვექტორის შემოღება გამოწვეულია იმით, რომ იმიტაციური ექსპერიმენტების ჩასატარებლად საჭირო პრობლემური ინფორმაცია ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან მიზანშეწონილია ამ ექსპერიმენტების გამარტივება. რეჟიმული ვექტორის კომპონენტები უზრუნველყოფენ იმიტაციის ჩატარებას გამარტივებული ალგორითმებით, რომლებიც ითვალისწინებენ კონკრეტული ობიექტის სპეციფიკას.

რეჟიმული ვექტორის ყოველი კომპონენტი განსაზღვრავს იმიტაციური ექსპერიმენტის რომელიმე თავისებურებას. ამიტომ სხვადასხვა კომპონენტების მნიშვნელობები ლოგიკურადაა დაკავშირებულები ერთმანეთთან.

რეჟიმული ვექტორის **პირველი ჯგუფი** განსაზღვრავს იმიტაციური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდოლოგიის ზოგად მახასიათებლებს. ის შეიძლება ეფუძნებოდეს მდინარის ჩამონადენის კალენდარულ მნიველებს ან მონტე-კარლოს მეთოდით სტატისტიკურად მოდელირებულ მნიველებს.

მნიველების სტატისტიკურად მოდელირების დროს მათი სიგრძე შეიძლება განსაზღვრულ იქნას წინასწარ ან გამოთვლების პერიოდში საძიებო მახასიათებლების საჭირო სიზუსტის და მიღებული შედეგების სტატისტიკური მდგრადობის მიხედვით.

გამოთვლების სიზუსტეზე აგრეთვე მოქმედებს წლის შიდანლიურ ინტერვალების დაყოფის ხერხებზე და დინამიკური პარამეტრების გასაშუალოების მეთოდებზე.

კომპონენტების **მეორე ჯგუფი** გამოყოფს გამარტივებებს, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას მოდელში გამოთვლების შრომატევადობის შესამცირებლად. მაგალითად, იმიტაცია შეიძლება ჩატარდეს წყლის ხარისხის, მეორადი დაბინძურების, თვითგანმენდის და ა.შ. გაუთვალისწინებლად.

კომპონენტების **მესამე ჯგუფი** განიხილავს წ.ს.ს-ს როგორც მართვად სისტემას. განსახილველ მოდელში მართვის წესები ფიქსირდება იმიტაციურ ექსპერიმენტამდე.

იმიტაციური ექსპერიმენტი პირველ რიგში მოიცავს წყლის ბალანსის გაანგარიშებას. ამასთან, ხდება დინამიკური მახასიათებლების აპროქსიმაცია დროის საანგარიშო ინტერვალების მიხედვით. ბალანსის ანგარიში ხორციელდება სხვადასხვა დეტალურობით განსახილველი ობიექტის თავისებურებების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ნაკადის რომელიმე განივ კვეთში კალაპოტის ჰიდრომეტრიული მარტომეტრიული მახასიათებლები არსებითად განსხვავდებიან, მაშინ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს წყალმცირობა მდინარის სხვადასხვა ხარჯის დროს.

10.4. სარწყავი სისტემის სტოქასტიკური მოდელი

წყლის რესურსების მენეჯმენტის დროს მეტად მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემის სწორი დაპროექტება. სარწყავი სისტემის სტრუქტურის დასაბუთებისათვის ფართოდ გამოიყენება მათემატიკური მოდელები, რომელშიც გათვალისწინებულია ნალექების და მდინარის ჩამონადენის ალბათური მახასიათებლები. ამასთან, მოდელში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მიწისქვეშა წყლების გამოყენების შესაძლებლობა იმ პერიოდისთვის, როდესაც ზედაპირული ნაკადები არ არის საკმარისი.

ამოცანის ამოხსნის დროს განისაზღვრება როგორც სტრატეგიული მაჩვენებლები (ცალკეული კულტურების მიერ დაკავებული ფართობები და ა.შ.), აგრეთვე სოფლის მეურნეობის წარმოების ტაქტიკური მახასიათებლები (სარწყავი ფართობების, ნორმების და მორნყვის მეთოდების თანაფარდობა) წყლის რესურსებით უზრუნველყოფის სხვადასხვა პირობების დროს.

სტოქასტიკური მოდელის განხილვის დროს მიღებულია, რომ ბუნებრივი ნალექებით ან წყლის რესურსებით უზრუნველყოფა ხასიათდება შემთხვევითი წრფივი ვექტორით. თუ ნალექების განაწილების სიხშირე ω -ს აღვნიშნავთ $f(\omega)$ -ით, ხოლო u დატენიანების დროს, სარწყავი სისტემების მეურნეობებში სუფთა მოგებას $F(u, \omega)$, მაშინ, საშუალო მოგება მორნყვიდან განისაზღვრება ინტეგრალით

$$\int F(u, \omega) f(\omega) d\omega.$$

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც შემთხვევით ხასიათს გააჩნია ბუნებრივი დატენიანების პირობები, ხოლო წყლის ალბა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის - არაშემთხვევითი სიდიდეა. თუ დატენიანების შესაძლებლობის მდგომერეობის რიცხვი I -ის ტოლია, ხოლო მათი გამეორების ალბათობა - p_i , $i = \overline{1, L}$, $\sum_i p_i = 1$, მაშინ, სარწყავი სისტემის საშუალო შემოსავალი გამოიხატება საბოლოო ჯამით $\sum_i p_i F_i$, სადაც

F_i - სისტემის სუფთა შემოსავალია i დატენიანების დროს.

ვთქვათ, რომ სარწყავი სისტემა ემსახურება ერთ მეურნეობას. სარწყავი სისტემის საწარმოო რესურსების ოპტიმალური გამოყენების ამოცანა შემდეგნაირად ფორმულირდება: სუფთა მოგების მათემატიკური მოლოდინის მაქსიმუმის პოვნა

$$\sum_i p_i F_i \rightarrow \max, \quad F_i = \sum_{i,j,k} c_{ijk}^l x_{ijk}^l, \quad (10.1.)$$

სადაც: c_{ijk}^l არის წარმოებული პროდუქციის ღირებულების და მის წარმოებაზე განეული ხარჯის სხვაობა;

x_{ijk}^l	-	გეგმის საძიებო მაჩვენებლები, მაგალითად, ფართობი და ა.შ;
k	-	სახის სასუქის შეტანის დოზის ინდექსი;
i	-	სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხერხის ინდექსი; $i = \overline{1, n_1}$;
j	-	რესურსის გამოყენების ვარიანტის ინდექსი, $j = \overline{1, m_1}$;
როდესაც $k=0$ და $l=0$, მაშინ x_{ij} -ით აღინიშნება პირუტყვის რაოდენობა,		
სადაც: i არის პირუტყვის ჯიში, ამასთან $i = \overline{n_1 + 1, n}$;		
j	-	მისი კვების ვარიანტია, ამასთან $j = \overline{m_1 + 1, m}$.

სრულდება შემდეგი შეზღუდვები:

- ურწყავი და საირიგაციოდ მომზადებული მიწების ფართობი არ აჭარბებს წინასწარ დაგეგმილ მნიშვნელობას S_β , სადაც, $\beta = 1$ შეესაბამება სარწყავ, ხოლო $\beta = 2$ - ურწყავ ნაკვეთებს. სარწყავი მიწების ფართობი შეიძლება იყოს ცვლადი და მისი მნიშვნელობა იცვლებოდეს ამოცანის ამოხსნის პროცესში მელიორაციულ მშენებლობაზე გამოყოფილი დაფინანსების მიხედვით:

$$\sum_{i=1}^{n_1} x_{i0k}^l \leq S_2, \quad \sum_i \sum_{j=1}^{m_1} x_{ijk}^l \leq S_1, \quad l = \overline{1, L}, \quad S_1 + S_2 = S, \quad (10.2.)$$

სადაც: $j=0$	შეესაბამება	ურწყავ ხერხს;
n_1	არის	კულტურების რაოდენობა;
m_1	-	მორწყვის ხერხების რაოდენობა;
S	-	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი.

- სხვადასხვა კულტურებით დაკავებული, ბუნებრივი დატენიანების ფართობები:

$$\sum_{j=1}^{m_1} x_{ijk}^1 = \sum_{j=1}^{m_1} x_{ijk}^{21} = \dots = \sum_{j=1}^{m_1} x_{ijk}^L, \quad i = \overline{1, n_1}, \quad k = \overline{1, K}, \quad l = \overline{1, L}. \quad (10.3.)$$

- კულტურების წყალმომარაგება შეზღუდულია Q წყალმიწოდების მოცემული სიდიდით. ვეგეტაციის ნებისმიერი t დროის პერიოდისთვის წყალმოხმარება განისაზღვრება ამოცანის ამოხსნის პროცესში:

$$\sum_{k,t,j}^{K, m_1, n_1} qx_{ijk}^{lt} x_{ijk}^{lt} + \sum_{k,t,j}^{K, m_1, n_1} qx_{ijk}^{lt} x_{ijk}^{lt} \leq \alpha^t Q^t, \quad l = \overline{1, L}, \quad (10.4.)$$

სადაც: α^t	არის	სისტემის მარგი ქედების კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დანაკარგებს ფილტრაციაზე, აორთქლებაზე და წყლის დაბრუნებას ვეგეტაციის t პერიოდის ინტერვალში $0 < \alpha^t < 1$;
q_{ijk}^{lt}	-	წყლის დანახარჯების ნორმატივები მორწყვაზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე.

ფორმულირებული მოდელის ფარგლებში შეიძლება განხილულ იქნას სარწყავი მოწაობების ისეთი პრობლემები, როგორებიცაა სტაბილური სკები ბაზის და სასაქონლო პროდუქციის რეზერვების შექმნა, საკვების წარმოების და გამოყენების ბალანსი, თესლბრუნვა, სასუქების გამოყენება და ა.შ.

ამასთან, ალნიშნული მოდელების მოდიფიკაციით შესაძლებელია ისეთი ამოცანების ამოხსნაც, როგორებიცაა: ზედაპირული და გრუნტის წყლების კომპლექსური გამოყენების დროს განსაზღვრულ იქნას მოთხოვნილება გრუნტის წყლებზე; შერჩეულ იქნას დრენაჟის ტიპი; შეფასებულ იქნას სარწყავი სისტემის რამდენიმე ვარიანტი; გათვალისწინებულ იქნას წყლის რესურსების უზრუნველყოფის სტოქასტიკურობა და ა.შ.

კითხვები

1. "მდგრადი განვითარება", მისი მიზნები და ამოცანები.
2. წყალთამეურნეობა როგორც დარგი და მისი მიმართულებები.
3. რა არის მოდელი, ნ.ს.ს.-ის მათემატიკური მოდელირება?
4. რა არის ოპტიმიზაცია, ოპტიმიზაციური მოდელი?
5. კომპრომისული გადაწყვეტილებები და კომპრომისის მიღწევების მეთოდები.
6. რა არის იმიტაცია, იმიტაციური მოდელი?
7. იმიტაციური ექსპერიმენტის ჩატარების პრინციპები.
8. რა არის სტოქასტიკური მოდელი?

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
2. **Mietek A Brdys; B Ulanicki1.** *Operational control of water systems : structures, algorithms and applications.* New York : Prentice Hall, 1994.
3. **Peralta, R.C.** *Simulation/Optimization Modeling System (SOMOS):* Logan, UT, Utah State University Department of Biological and Irrigation Engineering, 2004
4. **Ralph A. Wurbs.** *Water Management Models: A Guide to Software.* Civil Engineering Department Texas A&M University. 1995.
5. **Ralph A. Wurbs.** *Computer Models for Water Resources Planning and Management.* Texas A&M University, 1994.
6. **Thomas M Walski, Donald V Chase, Dragan Savic, Walter Grayman, Stephanus Beckwith, E. Koelle, Haestad Methods, Inc.** *Advanced water distribution modeling and management.* 1st ed. Exton, PA : Bentley Institute Press, ©2007.**Vijay P. Singh, Il Won Seo, and Jung H. Sonu.** Hydraulic Modeling. WRP, 1999.
7. **Zheng, Chunmiao and Wang, P.P., MGO.** *A Modular Groundwater Optimizer incorporating MODFLOW and MT3DMS, Documentation and user's guide.* Tuscaloosa, AL, The University of Alabama and Groundwater Systems Research Ltd., 2002.
8. **Быков А.А.** *Моделирование природоохранной деятельности.* Учебное пособие. - М.: НУМЦ Госкомэкологии России, 1998.
9. **Горстко А.Б.** *Математическое моделирование и проблемы использования водных ресурсов.* Ростов н/Д, 1976.
10. **Ефимов М.В.** *Метод имитационного моделирования. Теория автоматического управления.* Учебное пособие. Москва, МГУП, 2006.
11. **Кульский Л.А.** *Математическое моделирование систем водопользования.* Введение в системный анализ. Киев, Наука Думка, 1986.
12. **Лятыхер В.М., Прудовский А.М.** *Гидравлическое моделирование.* М.: Энергоатомиздат, 1984.
13. **Н.Дрейер О.К., Лось В.А.** *Экология и устойчивое развитие.* Учебное пособие. М.: УРАО, Москва. Наука, 1996.
14. **Пряжинская В.Г.** *Моделирование водохозяйственных систем: эколого-экономические аспекты.* Москва. Российская академия наук, Институт водных проблем, 1992.
15. **Пряжинская В.Г., Ярошевский Д.М., Левит-Гуревич Л.К.** *Компьютерное моделирование в управлении водными ресурсами.* Москва, ФИЗМАТЛИТ, 2002.
16. **Рикун А.Д., Черняев А.М., Шириак И.М.** *Методы математического моделирования в оптимизации водохозяйственных систем промышленных регионов.* Москва, "Наука", 1991.

17. Сумароков С.В., Меренков А.П. *Математическое моделирование систем водоснабжения*. Сибирский энергетический институт. Новосибирск, изд-во Наука сибирское отделение, 1983.

18. Шарп Дж. *Гидравлическое моделирование*. Пер. с англ. /Дж. Шарп. М.: Мир, 1984.

3.9. Гидравлическое моделирование

1. www.watermodeling.org
2. www.watermc.com
3. www.engineering.usu.edu
4. www.water-simulation.com
5. <http://modeling.water.ca.gov>
6. <http://home.ubalt.edu>
7. <http://www.un.org>

თავი 11. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ფყლის გამოხდა.
ფყლის ხარისხის აღმდები და დამცავი ღონისძიებები

მტკნარი წყლის პრობლემა, დღეისათვის, მსოფლიო მასშტაბს დებულობს. სოფლის მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება მტკნარი წყლის რესურსებზე მოითხოვს ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების პოვნას. თანამდეროვე ეტაპზე ვითარდება წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა მტკნარი წყლის რესურსების ნარმოება; ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია წყალსატევების დაბინძურების აღმოფხვრა და სუფთა წყლის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა.

ნინამდებარე თავში განხილულია წყლის მდგომარეობის ძირითადი ცნებები და მახასიათებლები; ბუნებრივი წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროები; წყალსატევების სისუფთავის აღმდეგნი და დამცავი ღონისძიებები; ბუნებრივი წყლების თვითგანმენდა და მისი ინტენსიფიკაცია; წყლის რესურსების დაშრეტის მიზეზები და მისი აღმოფხვრის ღონისძიებები.

**11.1. წყლის მდგომარეობის ძირითადი ცნებები
და მახასიათებლები**

წყლის დაბინძურება გულისხმობს, საწარმოო და საყოფაცხოვრებო წყალმოხმარებისას, წყალზე პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების შედეგად წყლის თვისებების და შედგენილობის ისეთ შეცვლას, რომლის დროსაც წყალი ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ უვარებისი ამა თუ იმ წყალმომხმარებლისთვის.

დანაგვიანება გულისხმობს წყალსატევებში უხსნადი საგნების მოხვედრას, რომლებიც პრაქტიკულად არ ცვლიან წყლის ხარისხს (ხე-ტყე, ჯართი, შლაკი, სამშენებლო ნაგავი და სხვ.).

წყლის დაშრეტა ნიშნავს წყალსატევებში წყლის რაოდენობის შემცირებას, რომელიც მიმდინარეობს ადამიანთა ზემოქმედების შედეგად და საკმაოდ მდგრადი ხასიათი აქვს.

წყლის დაშრეტა ნიშნავს წყალსატევებში წყლის რაოდენობის შემცირებას, რომელიც მიმდინარეობს ადამიანთა ზემოქმედების შედეგად და საკმაოდ მდგრადი ხასიათი აქვს.

წყლის მდგომარეობას აფასებენ შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

1. ქვეყნის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წყალში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ.). ზ.დ.კ. (მგ/ლ) - ძირითადი ჰიგიენური ნორმატივია, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე წყალ-სანიტარულ კანონმდებლობას.
2. **უანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (უ.ბ.მ.)** აღნიშნავს წყალში უანგბადის იმ შემცველობას (მგ/ლ), რომელიც აუცილებელია წყალში ორგანული ნივთიერებების უანგვისთვის. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის უანგბადის მოთხოვნილება საკმაოდ სტაბილურია და დამოკიდებულია ადამიანის ნორმატიულ წყალმოთხოვნილებაზე. საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის უ.ბ.მ-ს რაოდენობა დამოკიდებულია წარმოების სპეციფიკაზე და იცვლება ფართო დიაპაზონში. წყალში უანგბადის შევსება ძირითადად წყლის ზედაპირის ატმოსფეროსთან შეხებისას ხდება და დამოკიდებულია წყლის სარკის ზედაპირის ფართობზე, შერევის ინტენსივობასა და წყლის ზედაპირულ შრეებში უანგბადის რაოდენობაზე. წყლის უანგბადით სრულ გაჯერებასა და ნამდვილ გაჯერებას შორის სხვაობას - **უანგბადის დეფიციტი** ეწოდება და გამოისახება მგ/ლ-ით ან სრული გაჯერების % - ით.
3. **წყალბადური მაჩვენებელი (pH)** განსაზღვრავს წყალში წყალბადის იონების კონცენტრაციას და მიუთითებს წყლის ტუტიანობაზე ან მუავიანობაზე.
4. **წყლის ორგანოლეპტიკური თვისებები** - სუნი, გემო, ფერი. გემო და სუნი - ბუნებრივ წყლებში შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური ნარმოშობის. გამოყოფენ წყლის ოთხ ძირითად გემოს: მარილიანი, მწარე, ტკბილი და მუავე. წყლის მარილიანი გემო ძირითადად განპირობებულია წყალში ნატრიუმის ქლორიდის

არსებობით; მწარე - მაგნიუმის სულფატის; მჟავე გემო უმეტეს შემთხვევაში აიხსნება ხსნადი ნახშირმჟავას სიჭარბით (მინერალური წყლები); რკინის გემოს წყალს აძლევს რკინის და მარგანეცის ხსნადი მარილები; ტუტე გემოს - სოდა, მწვავე ტუტე; მწკლარტეს - კალციუმის სულფატი. ბუნებრივი წარმოშობის სუნს განეკუთვნება: მინისებური, თევზისებური, თიხისებური, გოგირდწყალბადის, არომატული, ჭაობისებური, სიდამპლისებური და სხვ. ხელოვნური წარმოშობის სუნს განეკუთვნება: ქლორის, კამფორის, აფთიაქის, ფენოლინის, ქლორფენოლინის და ნავთობპროდუქტების სუნი.

5. **ნყლის სიმღვრივე** განისაზღვრება წყალში შეტივნარებული ნივთიერებების შემცველობის უკუმაჩვენებელს - გამჭირვალეობას “ჯვრის” ან “შრიფტის” მიხედვით. სასმელ-სამეურნეო წყლისთვის გამჭირვალეობის ნორმად ითვლება: “ჯვრის” მიხედვით - 300 სმ; “შრიფტის” მიხედვით - 30 სმ. წყლის ფერადობა იზომება პლატინა-კობალტის შეკლის გრაფუსებში. სასმელი წყლებისთვის იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 გრაფუსს. მიღებულია, რომ ჩამდინარე წყლების სასმელად განკუთვნილ წყალსატევებში ჩაშვებისას შეტივნარებული ნივთიერებების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,25 მგ/ლ და 0,75 მგ/ლ - სარეკრეაციო წყალსატევისთვის.
6. **დაავადებების გამომწვევი** ბაქტერიები და ვირუსები - წარმოადგენენ იმ პათოგენებს, რომლებიც ბინადრობენ ცოცხალ სუბსტანტში, ვითარდებიან წყალში და შეუძლიათ გამოიწვიონ მრავალი ინფექციული დაავადება. წყლის მინარევების კოაგულაცია აქვეითებს წყალში ვირუსების შემცველობას 40 %-ით, ნანლავური ჩხირების შემცველობას - 85 %-ით. მზის სინათლე და ულტრა-ისფერი გამოსხივებაც უარყოფითად მოქმედებს მიკრობებზე. წყალში პათოგენური ბაქტერიების ბიოლოგიური ანალიზის მიხედვით: 1 მლ წყალში ბაქტერიების საერთო რაოდენობა 37°C ტემპერატურაზე არ უნდა აღემატებოდეს 100; კოლი-ინდექსი უნდა იყოს 3-მდე; ხოლო კოლი-ტიტრი - არანაკლები 300.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, წყლის რესურსების დაბინძურების ხარისხი განისაზღვრება წყალში მავნე მინარევების კონცენტრაციით და ფასდება ქვეყნის მეურნეობის დარგების მოთხოვნილების მიხედვით. შედარებით მკაცრია სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო-კომუნალური წყალმომარაგებისთვის განკუთვნილი წყლების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც განპირობებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის საშიშროებით და სანიტარული პირობების გაუარესებით.

11.2. ბუნებრივი წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროები

ბუნებრივი წყლების ყველაზე დიდ დამაბინძურებელს წარმოადგენს **საწარმო ჩამონადენი** მრეწველობის ისეთი დარგებიდან, როგორიცაა ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური და სხვ.

ნავთის სულ უმნიშვნელო შემცველობაც კი ($0,2\div 0,4$ მგ/ლ) წყალს სპეციფიკურ სუნს და გემოს აძლევს, რომელიც არ ქრება ქლორინების და ფილტრირების დროსაც კი.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს ფენოლის შენაერთებიც, რომლებიც ჩამდინარე წყლებში ქიმიური, სატყეო-ქიმიური, ანელისაღებავიანი, კოქს-ქიმიური და სხვა საწარმოებიდან ხვდებიან. ფენოლინიანი წყლები, გააჩნიათ რა ძლიერი ანტისეპტიკური თვისებები, წყალში არღვევენ ბიოლოგიურ წონასწორობას და აძლევენ მას მკვეთრ, არასასიამოვნო სუნს.

მრეწველობის, საწარმოების და ფაბრიკების (მაღანმამდიდრებელის, პესტიციდების, მაღაროებისა და შახტების) ჩამდინარე წყლები დიდი რაოდენობით შეიცვენ თუთიას და სპილენძს.

ბოლო წლებში ჩამდინარე წყლებში გაჩნდა ზოგიერთი საწარმოს სინთეტიკური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ წყლის

ბიოქიმიური განმენდის უნარზე, ამიტომ წყალში ს.ზ.ა.ნ.-ის უმნიშვნელო კონცენტრაციის დროს წყალმომარაგების ზრდა ფერხდება, რის გამოც ძლიერდება სუნი და გემო.

ქალაქებისა და სხვა მჭიდროდ დასახლებული პუნქტების საყოფაცხოვრებო-კომუნალური ჩამონადები არანაკლებადაა დაბინძურებული. მის შემადგენლობაში, გარდა ფეკალურისა, გვხვდება მავნე შენაერთების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც განპირობებულია, მომარაგების, საკვები ნარმოების, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის და სხვა დარგების მიერ ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. კომუნალურ ჩამდინარე წყლებში ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების, ვირუსების და პელმინტების კვერცხების შემადგენლობა წყალს საკმაოდ საშიშს ხდის ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

დასახლებული პუნქტებიდან ჩამდინარე წყლები დამატებით ბინძურდება ქუჩებში და სანარმოო ობიექტებზე წვიმის და თოვლის დნობის შედეგად. ასეთი წყლები შეიცვენ ნავთობპროდუქტებს და სხვა სპეციფიკურ დამაბინძურებლებს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას თან სდევს სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია რაც გულისხმობს ნიადაგისა და მცენარეების სხვადასხვა დაავადებებისაგან დაცვის მიზნით, მინერალური და ქიმიური სასუქების შეტანას. უამრავი ქიმიური ნივთიერებები, მათ შორის ჰესტიციდები, საკმაოდ მდგრადი არიან გარემო ფაქტორების ზემოქმედების მიმართ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს. ისინი გროვდებიან ნიადაგში, შემდეგ ჩამოირცხებიან წყალსატევებში ან შეიწოვებიან წყალგამყვან ჰორიზონტებში. აღსანიშნავია, რომ მინდვრებიდან ჩაუონილი წყალი განმენდას არ ექვემდებარება.

ბიოგენური ნივთიერებები ხელს უწყობენ წყლის ობიექტებში ფიტოპლანქტონის (წყლის “აყვავება”) ინტენსიურ განვითარებას, არასასურველი წყლის ორგანიზმების გამრავლებას და საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებენ წყალსატევის თვითგანმენდის უნარს.

წყლის წყაროების ბიოგენური დაბინძურება უფრო მეტად ვლინდება ირიგაციული მინათმოქმედების რეგიონებში. სარწყავი მინათმოქმედებიდან რჩება უფრო მეტად დაბინძურებული წყლები (სასუქებით, ჰესტიციდებით და ა.შ.), რომლებიც განმენდის გარეშე ბრუნდება წყალსატევებში. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია ქიმიური სასუქების, ჰესტიციდების, ჰერბიციდების და სხვ. ზუსტი ნორმების გამოთვლა.

სასაქონლო მეურნეობის ჩამონადები. მესაქონლეობის ფერმები და კომპლექსები ინვენს წყლის დაბინძურებას გელმინტების კვერცხებით და ავადმყოფობის გამომწვევი პათოგენური მიკროორგანიზმებით. დაბინძურების შედეგების მიხედვით, ერთი ღორის ფერმა (100 ათას სულზე) უტოლდება 250 ათასი კაცით დასახლებული პუნქტის დაბინძურების ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ ფერმების დაწყურების გაადვილებისათვის, მათი მოწყობა წყალსატევებთან ან მათ მახლობლად ხორციელდება. წუნწუხშემკრების და ნაკელსაცავის არ არსებობის შემთხვევაში, ნარჩენები ზედაპირული ჩამონადენის მიერ ირეცხება და ჩაედინება წყლის წყაროებში. სასაქონლო მეურნეობის ჩამონადენისაგან წყლის რესურსების დაცვა, ნარჩენების მაგროვებლის და უტილიზაციის სანიტარული ნორმების უზრუნველყოფის სირთულის გამო ძნელად მიიღწევა.

ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების დაშლის პროდუქტები. ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები მიეკუთვნებიან პრიმიტიულ მცენარეთა ჯგუფს - ძირითადად ერთუჯრედიან ორგანიზმებს. მრავლდებიან უჯრედის დაყოფით როგორც წყალში, ისე ხმელეთზე. სახლდებიან უსტრუქტურო ნიადაგში და ბაქტერიებთან ერთად ამზადებენ მათ სხვა მცენარეების ცხოველმყოფადობისთვის. ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები დედამინაზე ყველაზე უფრო გავრცელებულ აერობულ ორგანიზმებს წარმოადგენენ. მათ გააჩნიათ ნახშირბადის სინთეზის უნარი, მაგრამ იყენებენ დაშლილ ორგანულ ნივთიერებებსაც.

მათი მასიური გამრავლების სეზონში წყალი იღებს ლურჯ, მწვანე და სხვა ფერებს. ამ მოვლენას წყლის “აყვავება” ეწოდება. ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების დაშლისას, უჯრედებიდან გამოიყოფა, “ლურჯი” სითხე, წყალში ხსნადი პიგმენტები - ბი-

ლიქრომპროტეიდები, რომელსაც თან სდევს წყლის აყვავება, ხარისხის მკვეთრად გაუარესება.

წყალმცენარეების გაღუების (დუღილი) და ლპობის პროცესების გააქტიურების დროს, წყალი ჯერდება ტრქსიკური ნივთიერებებით (ფენოლი, ციანიდი), იერთებს ჟანგბადს და იძენს არასასიამოვნო სუნს, რაც ჯერ აავადებს თევზს და სხვა ჰიდრობიონიტებს, შემდეგ კი ლუპავს მათ. წყალი ხდება უვარგისი დასალევად და რეკრეაციისათვის. დაშლილი წყალმცენარეების შედეგად ბიოლოგიურად დაბინძურებული წყალი შეიძლება შევადაროთ სანარმოო ჩამდინარე წყლებით დაბინძურებულ წყალს.

წყლის აყვავებით გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანია კომუნალური და ტექნიკური წყალმომარაგების სისტემებში, ასევე ჰესებში და თევზის მეურნეობაში.

წყალმომარაგების სისტემებში ზარალი დაკავშირებულია ძირითადად სახარჯი კოაგულანტების რაოდენობის გაზრდასთან. თბოელექტროსადგურების წყალმომარაგებაში ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები ამცირებენ გაციების ეფექტს და იწვევენ ხარჯის ზრდას.

ჭარბი აყვავება ზოგიერთ შემთხვევაში გამორიცხავს წყლის რესურსების გამოყენებას რეერეაციისათვის, ტურიზმისა და სპორტისათვის.

“თბური დაბინძურება”. თანამედროვე თბური და ატომური ელექტროსადგურები ფიდი რაოდენობით წყალს იყენებენ გასაცივებლად, რომელიც შემდგომ უბრუნდება წყალსაცავს გამთბარი სახით, რითაც ცვლის წყლის თბურ ბალანს, ამის შედეგად იზრდება წყლის ტემპერატურა, აორთქლება და მინერალიზაცია.

ხე-ტყის დაცურება. მორების დაცურებისას, მისი ნაპირებთან და ერთმანეთთან შეჯახების დროს, მათ ეცლებათ მერქანი და ტოტები, მათი დაახლოებით 10 % იძირება, გამოყოფს ფისს და მავნე შენაერთებს. ნელ-ნელა ლპება, შთანთქავს უანგბადს და გამოყოფს ფენოლს და სხვა მავნე მომწამვლელ ნივთიერებებს.

ხე-ტყის დაცურება მნიშვნელოვან ზარალს აყენებს თევზის მეურნეობას. მდინარეში მოძრაობისას მორები ეჯახებიან თევზს, ანადგურებენ მათ ბუდეებს, რის შედეგადაც ნადგურდება თევზი, ქვირითი და საკვები ორგანიზმები.

აღსანიშნავია, რომ ხე-ტყის გაჩეხვა წყალშემკრებების ტერიტორიებზე არღვევს მდინარეთა ტემპერატურულ და ბიოლოგიურ რეჟიმს.

წყლის ტრანსპორტის ნარჩენები. საწყლო ტრანსპორტი წყალს აბინძურებს ნარჩენების პირდაპირ წყალში ჩაყრით. ამასთან, ნავთის უდიდესი რაოდენობა ხვდება წყალში მისი ზღვის ტრანსპორტით გადატანისას.

ტანკერებს ცარიელი (უქმი) სვლის შემთხვევაში მდგრადობისათვის ავსებენ წყლით, რომლის ჩამოლვრა ხდება ნაპირებთან, რაც ასევე აბინძურებს წყალსატევს ნავთობპროდუქტებით.

რადიაქტიური ნარჩენები. უკანასკნელ წლებში რიგ ქვეყნებში ზოგიერთი საწარმოების რადიაქტიური ნარჩენები ბუნებრივი წყლებისათვის უდიდეს საშიშროებას ნარმოადგენს.

დაბინძურებული ატმოსფერო. თანამედროვე ინდუსტრია ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოყოფს 53 მლნ.ტ - მეტ აზოტის უანგეულს, 200 - ნახშირბადის უანგს, დაახლოებით 146 - გოგირდის ორჟანგს, 200 250 - მტვერს და 120 მლნ.ტ ნაცარს.

ამ გამონაბოლქვების მყარი ნაწილაკები გადაადგილდებიან ჰაერის ნაკადის მიერ ფიდ მანძილებზე და ცვივიან წყლის ან ხმელეთის ზედაპირზე. აირადი გამონაბოლქვები ასევე გადაადგილდებიან ჰაერის მასების მიერ და იხსნებიან ატმოსფერულ ტენში, გამოიყოფიან დედამიწის ზედაპირზე “მუავური წვიმის” სახით, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ფლორისა და ფაუნისათვის. ატმოსფეროსგან დაბინძურება უკვე გლობალურ ხასიათს ატარებს. წყლის ობიექტების გარდა, მუავური წვიმებისაგან იღუპება ტყეც.

11.3. წყალსატევების სისუფთავის აღმდგენი და დამცავი ღონისძიებები

გარემო პირობების დაცვის და წყლის რესურსების მენეჯმენტის პრობლემა ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა:

- განმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხისადმი ნორმატიული მოთხოვნების დამუშავება;
- საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების განმენდის ტექნიკოლოგია;
- განმენდილი ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების განსაზღვრა მიმღებ წყალსატევებში, მათი წარმოებაში, საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობაში ხელმეორედ გამოყენების მიზნით;
- განმენდილი ჩამდინარე წყლების ხელმეორედ გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობა;
- გამნმენდი ნაგებობების მუშაობის და განმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხის ეფექტური კონტროლი.

ბუნებრივი წყალსატევების დაპინძურებისაგან დაცვის პრობლემის რადიკალური გადაწყვეტ უნდა მიმდინარეობდეს ჩამდინარე წყლების ხელმეორედ გამოყენების გზით. ასეთი გამოყენების შესაძლო სფეროები დიდ დიაპაზონში მერყეობს.

ბუნებრივი წყალსატევები ჩასაშვები განმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების დამუშავებისას ძირითად ყურადღებას აქცევენ მათი ხელმეორედ გამოყენების ხასიათს. მაგალითად, აშშ-ში წყალსატევები გამოყენების ხასიათის მიხედვით იყოფიან სამ კატეგორიად: ა) წყლასატევი - სასმელი წყალმომარაგების წყარო; ბ) წყალსატევი - დასვენების ზონა და თევზის მეურნეობა; გ) წყალსატევი - სანარმოო წყალმომარაგების წყარო.

თითოეულ კატეგორიას შეესაბამება წყლის ხარისხის სტანდარტი, რომელიც დგინდება თითოეულისათვის ცალ-ცალკე.

გასაწმენდი ჩამდინარე წყლების რაოდენობის მიხედვით, რეკომენდებულია შემდეგი გამნმენდი ნაგებობები:

1. **მექანიკური განმენდისთვის:** ა) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 25 - მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - სეპტიკები, მოწყობილობა დეზინფექციისთვის (თუ ჩამდინარე წყლების ხარჯი ნაკლებია 15 $\text{მ}^3/\text{დღე-ზე}$, მაშინ სადეზინფექციო მოწყობილობა აუცილებელი არ არის); ბ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 4 200 - მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - გისოს-სამსხვრევები, ქვიშდამჭერები, ორიარუსიანი სალექარები, სადეზინფექციო მოწყობილობა და ნალექის გადამამუშავებელი ნაგებობები (ლამის მოედნები); გ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 10 000- მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - გისოს-სამსხვრევები და რეზირვული გისოსი მექანიკური ფოცხებით, ქვიშდამჭერები წყლის წრიული მოძრაობით, ვერტიკალური სალექარები ან გამკამარებლები ბუნებრივი აერაციით, სადეზინფექციო მოწყობილობები, კონტაქტური რეზირვულარები და ნალექის გადამამუშავებელი მოწყობილობები (მექანიკური გაუწყლოება ან ლამის მოედნები); დ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 10 000 -ზე მეტი ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - გისოსები მექანიკური განმენდით და კონტეინერებში ნარჩენის ლენტური ტრანსპორტიორით მოშორებით, ქვიშდამჭერები ჰიდროციკლონებით ქვიშის გამორეცხვისთვის, ჰიდროზონტალური ან რადიალური სალექარები, ბლოკირებული აერატორებით, საქლორატორო მოწყობილობები, კონტაქტური რეზირვულარები, ნალექის გადამამუშავებელი ნაგებობანი (მეთანტენკები და ლამის მინდვრები, ცენტრიფუგებზე და ვაკუუმფილტრებზე ნედლი ნალექის გაუწყლოვება; ნალექის გაუწყლოვება ინფრანითელი სანათურების გახურებით ან ნალექის კომპოსტირება; ნალექის თერმული მოშორება შემხვედი გაზის ჭავლის მეთოდით). 20 000- $\text{მ}^3/\text{დღე-ზე}$ მეტი გამტარუნარიანობის დროს - ქვიშდამჭერები, აერირებული და რადიალური სალექარები.

2. ბიოლოგიური განმენდისთვის: а) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 25 - მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - დამატებით მექანიკურ განმენდასთან და ნალექის დამუშავებასთან ერთად - მინისქვეშა ფილტრაციის მინდვრები, ქვიშა-ხრეშოვანი ფილტრები, მფილტრაციი თხრილები ($15 \text{ m}^3/\text{დღე}-\text{მდე}$); ბიოლოგიური გუბურები; კონტაქტური აერაციული მოწყობილობები აქტიური ლამის სტაბილიზაციით; ბ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 1 400 - მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - აერაციული მოწყობილობები, რომლებიც მუშაობენ "სრული" ჟანგვის მეთოდით; (აეროტენკები გაგრძელებითი აერაციით; 700 $\text{მ}^3/\text{დღე}-\text{მდე}$); აერაციული მოწყობილობები აქტიური ლამის აერობული სტაბილიზაციით (ჩამდინარე წყლების 200 $\text{მ}^3/\text{დღე}-\text{მეტი ხარჯის დროს}$) წვეთური ბიოფილტრები; ფილტრაციის მინდვრები; ბიოლოგიური გუბურები; გ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 4 200 - მდე ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - მორწყვის მინდვრები, ფილტრაციის მინდვრები, მაღალდატვითული ბიოფილტრები ან აეროტენკები აქტიური ლამის სტაბილიზაციით; დ) მორწყვის მინდვრები, ხოლო მინის ნაკვეთების არ არსებობის შემთხვევაში - მაღალი ნარმადობის აეროტენკები მექანიკური აერაციით, ბლოკირებულნი მეორად სალექრებთან ჭარბი აქტიური ლამის აერობული მინერალიზაციით; ვ) ჩამდინარე წყლების დღე-ლამური ხარჯი 10 000 — ზე მეტი ($\text{მ}^3/\text{დღე}$) - აეროტენკები ჩამდინარე წყლების არათანაბრად განწერტებული გამოშვებით, აეროტენკი-შემრევები; აეროტენკი-გამომძევებლები მექანიკური ან პნევმატური აერაციით 50 000 $\text{მ}^3/\text{დღე}-\text{მდე}$ გამტარუნარიანობის მქონე სადგურებისთვის მინერალიზატორებში აქტიური ლამის აერობული სტაბილიზაციით.
3. ჩამდინარე წყლების ზეგანმენდა. ჩამდინარე წყლების ზეგანმენდა ჩვეულებრივ მიმდინარეობს ბიოლოგიურ გუბურებში; საჭირო ფართობის სიმცირის შემთხვევაში კი ქვიშის ორშრიან ფილტრებსა და მიკროფილტრებში.
- წყალსატევებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე აუცილებელი ხარისხით განმენდა-სა და სანიტარულ მოთხოვნას შორის ზოგადი კავშირი გამოიხატება დამოკიდებულებით

$$K_{b,\theta} \cdot q + K_{v,j} \cdot a \cdot Q \leq (a \cdot Q + q) \cdot K_{b,\theta}. \\ K_{b,\theta} \leq \frac{a \cdot Q}{q} - (K_{v,j} - K_{v,q}) + K_{v,q} \quad (11.1)$$

სადაც:	$K_{b,\theta}$	არის ჩამდინარე წყლებში დაბინძურების ის კონცენტრაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია მათი ჩაშვება წყალსატევში სანიტარული მოთხოვნების დაურღვევლად ($\text{გ}/\text{მ}^3$);
	$K_{v,j}$	— იგივე სახის დამაბინძურებლის კონცენტრაცია წყალში, ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე ($\text{გ}/\text{მ}^3$);
	$K_{v,q}$	— წყალსატევის წყალში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ($\text{გ}/\text{მ}^3$);
	Q	— წყალსატევში წყლის უმცირესი საშუალოთვიური ხარჯი ნლის განმავლობაში 95%-იანი უზრუნველყოფით ($\text{მ}^3/\text{წთ}$);
	q	— ჩამდინარე წყლების საანგარიშო ხარჯი ($\text{მ}^3/\text{წთ}$);
	a	— აღრევის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს წყალსატევის საანგარიშო ხარჯის ნაწილს, რომელიც აღირევა ჩამდინარე წყლებთან.

- საანგარიშო კვეთიდან (წყალსარგებლობის პუნქტიდან დინების მიმართულების სანინალმდეგოდ 1/კ-ით დაშორებულ მანძილზე) ჩამდინარე წყლების წყალსატევში აღრევისა და გაზავების ხარისხის განსაზღვრა.

აღრევის კოეფიციენტი a ვ. ა. ფროლოვის და ი. დ. როდზილერის მეთოდის მიხედვით განისაზღვრება

$$a = \frac{1 - \exp(-\alpha \cdot \sqrt[3]{L})}{1 + \frac{Q}{q} \cdot \exp(-\alpha \cdot \sqrt[3]{L})} \quad (11.2.)$$

- სადაც: e არის ნატურალური ლოგარითმის ფუძე;
- α – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ალრევის ჰიდრა-ვლიკურ ფაქტორებს და განისაზღვრება ფორმულით:
- $$\alpha = \varphi \cdot \xi \cdot \sqrt[3]{\frac{E}{q}};$$
- φ – დაკლაკნილობის კოეფიციენტი; $\varphi = \frac{L}{L_{\text{ყ}}}$; $\xi = 1$ - ნაპირზე ჩაშვების დროს; $\xi = 1,5$ - მდინარის ფარვატერში ჩაშვების დროს;
- E – ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტი; ვაკის მდინა-რებისთვის იგი განისაზღვრება მ. ვ. პოტაპოვის ფორმულის მიხედვით: $E = \frac{v_{\text{ბა}} \cdot H_{\text{ბა}}}{200}$.

- ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხის განსაზღვრა შეტივნარებული ნივ-თიერებების მიხედვით.

სანიტარული წესების მიხედვით ჩამდინარე წყლების შეტივნარებული ნივთიერე-ბების ზღვრულად დასაშვები შემადგენლობა განისაზღვრება ფორმულით:

$$m = p \cdot \left(a \cdot \frac{Q}{q} + 1 \right) + b_{\text{ყ}}, \quad (11.3.)$$

- სადაც: p არის წყალსატევში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ შეტივნა-რებული ნივთიერებების კონცენტრაციის დასაშვები მატება;
- $b_{\text{ყ}}$ – წყალსატევის წყალში შეტივნარებული ნივთიერებების კონ-ცენტრაცია ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე ($\text{გ}/\text{მ}^3$).

- ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხის განსაზღვრა ჩამდინარე წყლების ნარე-ვის და წყალსატევის წყლის უ.ბ.მ.-ის მიხედვით.

ზოგადად, ჩამდინარე წყლების დაბინძურებების კონცენტრაცია, რომელიც აკ-მაყოფილებს წყალსატევებში მათი ჩაშვების სანიტარულ მოთხოვნებს, განისაზღვრება ფორმულით

$$L_{\text{ბა}} = \frac{a \cdot Q}{q \cdot 10^{-K_{\text{ბა}} \cdot T}} \left(L_{\text{ბა}} - L_{\text{ყ}} \cdot 10^{-K_{\text{ბა}} \cdot T} \right) + \frac{L_{\text{ბა}}}{10^{-K_{\text{ბა}} \cdot T}}, \quad (11.4.)$$

- სადაც: $L_{\text{ბა}}$ არის განმენდილი ჩამდინარე წყლის უბმა ($\text{გრ}/\text{მ}^3$);
- $K_{\text{ბა}}$ და $K_{\text{ყ}}$ – ჩამდინარე წყლის და წყალსატევის (მდინარის) წყლის უანგბადის მოხმარების სიჩქარეების კონსტანტები, რომლებიც მიიღებიან ექსპერიმენტული გზით;
- T – ჩამდინარე წყლების ჩაშვების ადგილიდან საანგარიშო კვეთამდე წყლის შერევის ხანგრძლივობა ($\text{დღე}/\text{ლამე}$);
- $L_{\text{ბა}}$ – საანგარიშო კვეთში მდინარის და ჩამდინარე ნარევის ზღვრულად დასაშვები უბმა ($\text{გრ}/\text{მ}^3$);
- $L_{\text{ყ}}$ – ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე წყლის უბმა ($\text{გრ}/\text{მ}^3$).

- საანგარიშო კვეთში მდინარის და ჩამდინარე წყლების უანგბადის პიოქიმიური მოთხოვნილება განისაზღვრება ფორმულით

$$L_{\text{დას}} = L_{\text{გ}} \cdot 10^{-K_{1,T}}, \quad (11.5.)$$

სადაც: $L_{\text{გ}}$ არის ჩამდინარე წყლების გაშვების ადგილზე მდინარის და ჩამდინარე წყლების ნარევის უბმს (გრ/მ³);
 $L_{\text{დას}}$ – საანგარიშო კვეთში მდინარის და ჩამდინარე წყლების ნარევის დასაშვები უბმს;
 K_1 – უანგბადის მოხმარების სიჩქარის კონსტანტა. მდინარის და ჩამდინარე წყლების ნარევისთვის $K_{1(20)} = 0,1$;

შუალედური ტემპერატურისთვის K_1 განისაზღვრება ფორმულით

$$K_{1(t)} = K_{1(20)} \cdot 1,047^{t-20} ; K_{1(16)} = 0,1 \cdot 1,047^{16-20} = 0,083$$

- ჩამდინარე წყლების განმენდის ხარისხის განსაზღვრა ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით.

წყალსატევში ჩასაშვები ჩამდინარე წყლების მავნე ნივთიერებების ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია განისაზღვრება ფორმულით

$$C_{\text{საშ}} = \frac{a \cdot Q}{q} \cdot (C_{\text{ყვ}} - C_{\text{წყ}}) + C_{\text{წყ}}, \quad (11.6.)$$

სადაც: $C_{\text{ყვ}}$ არის წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (გრ/მ³);
 $C_{\text{წყ}}$ – იგივე სახის ჭუჭყის კონცენტრაცია წყალსატევში ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე: $C_{\text{წ}} = 0,01$ (გრ/მ³) (ნავთობპროდუქტები).

- ჩამდინარე წყლების დამუშავების აუცილებელი ხარისხის განსაზღვრა წყალსატევის ტემპერატურის მიხედვით.

სანიტარული წესების თანახმად, წყალსატევის წყლის ტემპერატურამ ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ არ უნდა მოიმატოს 3°C -ზე მეტად ზაფხულის პერიოდში მაქსიმალურ ტემპერატურასთან შედარებით.

ეს პირობა აღინიშნება ტოლობით

$$t_{\text{საშ}} = \left(\frac{a \cdot Q}{q} + 1 \right) \cdot t_{\text{წყ}} + t_{\text{წყ}}, \quad (11.7.)$$

სადაც: $t_{\text{საშ}}$ არის წყალსატევში ჩასაშვები ჩამდინარე წყლების მაქსიმალური ტემპერატურა;
 $t_{\text{წყ}}$ – ზაფხულის პერიოდში წყალსატევის წყლის მაქსიმალური ტემპერატურა ჩამდინარე წყლების ჩაშვებამდე;
 $t_{\text{წყ}}$ – წყალსატევის წყლის ტემპერატურის დასაშვები აწევა (არა უმეტეს 3°C).

- ჩამდინარე წყლების განმენდის აუცილებელი ხარისხის განსაზღვრა წყალსატევის წყლის აქტიური რეაქციის მიხედვით.

სანიტარული ნორმების თანახმად, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო და თევზსამეურნეო წყალსარგებლობის მქონე წყალსატევების წყლის აქტიური რეაქცია pH უნდა მერყეობდეს 6,5-8,5-ის საზღვრებში.

წყალსატევში ჩასაშვები ჩამდინარე წყლების მჟავიანობის და ტუტიანობის დასაშვები კონცენტრაცია განისაზღვრება ფორმულით

$$K_{(\text{აშ})} = \frac{a \cdot Q}{q} X_{\text{აშ}} ; \quad K_{(\text{ტუტ})} = \frac{a \cdot Q}{q} X_{\text{ტუტ}}, \quad (11.8.)$$

სადაც: $X_{\text{აშ}}$ და $X_{\text{ტუტ}}$ არის მჟავას და ტუტის დასაშვები კონცენტრაცია (მლ).

B – $X_{\text{გ}} = 0,5B - 0,01C;$ $X_{\text{ტყე}} = 0,02C - 0,01B;$
C – მდინარის წყლის ტუტიანობა (მლ);
 – თავისუფალი ნახშირმჟავას კონცენტრაცია მდინარის წყალში. $C = 8,16 - pH + \lg B.$

- ფიზიკურ-მექანიკური განმენდის სისტემის მოდელირება.

ჩამდინარე წყლების ფიზიკურ-მექანიკური განმენდისათვის გამოიყენება სხვა-დასხვა მეთოდები, რომლებიც განპირობებულია სანარმოო წყლების მრავალკომპონენტიანი, მრავალფაზიანი და ჰეტერედისპერსული სისტემების არსებობით.

ჩამდინარე წყლების განვითარების ტექნოლოგიური სქემები, დაფუძნებული სედი-
მენტაციურ-ფლოტაციური მეთოდების და კოაგულაციის გამოყენებაზე, შედგება შემ-
დეგი კვანძებისაგან: მსხვილდისპერსული მინარევებისა და ცხიმის მოშორება ფლოტა-
ციის და დალექვის მეთოდით; მინარევების გადაყვანით უსსნად ნაერთებში რკინის ონ-
ნების კოაგულაციით და კირის დამატებით pH სიდიდის კორექტირებისათვის; კოაგუ-
ლირებული მინარევების მოშორება ფლოტაციით ან სალექარებით; წყლის უფრო მეტად
განვითარება (ზეგანვითარება) მარცვლოვან გალერიებში ფილტრირებით; ვაკუუმ-
ფილტრიებზე ნალექების კონდიცირება.

- გამნენდი ნაგებობების შემადგენლობის განსაზღვრა.

გამწმენდი ნაგებობების შემადგენლობა შეირჩევა ჩამდინარე წყლების საჭირო განვითარების ხარისხის, გამწმენდი ნაგებობის გამტარუნარიანობის, ჩამდინარე წყლების შედგენილობის, ნალექის გამოყენების მეთოდის და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით, ცალკეული გამწმენდი ნაგებობების პროექტირების ხორმებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების შესაბამისად.

- აეროტენიკულზე გამწმენდი ნაგებობების მიმღები კამერა.

მიმღები კამერის დანიშნულებაა ჩამდინარე წყლების მიღება, სითხის ნაკადის სიჩქარის ჩაქრობა და ღია ღარის მილსადენთან შეუდლება. მიმღები კამერები მოთავ-სებულნი არიან ყრილის 5მ სიმაღლეზე და ჩამდინარე წყლებს იღებენ ერთი ან ორი მილსადენით. კამერების ტიპები დამოკიდებულია ჩამდინარე წყლების გამტარუნარია-ნობასა და სადანნერ მილსადენიების რაოდენობაზე.

- გისოსების და გისოს-სამსხურუკების გაანგარიშება

გამწმენდი ნაგებობების შემადგენლობაში გათვალისწინებულია გისოსები ლრე-
ჩოებით 16 მმ ან გისოს-სამსხვრევები.

მუშა გისოსების (კოკხალი კვეთის ფართი გამოისახება დამოკიდებულებით

$$F = \frac{q_{\text{abs}}}{v}, \quad (11.9.)$$

საფარი: ს არის გისოსის ორეჩოებში სითხის მოძრაობის სიჩქარე (მ/წმ):

მექანიზმის გისოსის ორეჩოებში $n = 0,8, 1,0$ მ/გ.

გისოსში ღრეჩოების რაოდენობა ន შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულის მიხედ-

$$Bp = n \cdot b + (n-1) \cdot s; \quad (11.10.)$$

გისოსის წინ საანგარიშო შეკვეთა

$$n = \frac{q K_i}{b v_n N}, \quad (11.11.)$$

სადაც: K_I არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ნაკადის შევიწროვებას ფორმულით: $K_I = 1,05$.

არხის კვეთის ზომების განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ $\frac{B}{H} = 2$.

არხის გაფართოებულ ნაწილში ჩამდინარე წყლების მინიმალური მოდინების დროს არხის დალექვის თავიდან აცილების გამო, გისოსის წინ სითხის მოძრაობის სიჩქარე სასურველია იყოს $0,4 \text{ m-s}^{-1}$

$$v = \frac{q_{\text{მინ}}}{B_p h_{\text{მინ}} N}, \quad (11.12.)$$

სადაც: $h_{\text{მინ}}$ არის სითხის მინიმალური მოდინების დროს არხში შევსების სიღრმე. გისოსში დაწნევის დანაკარგები განისაზღვრება ფორმულით

$$h_p = \xi \frac{v^2}{2g} K, \quad (11.13.)$$

სადაც: K არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გისოსში დაწნევის დანაკარგის გაზრდას ნარჩენებით მისი დანაგვიანების შემთხვევაში;

ξ – გისოსის ადგილობრივი წინააღმდეგობის კოეფიციენტი;

$$\xi = \frac{\beta \left(\frac{s}{b} \right)^{4/3}}{\sin \varphi};$$

β – კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა ღეროს ფორმის მიხედვით იცვლება;

φ – გისოსის დახრის კუთხე ჰორიზონტისადმი. $\varphi = 60^\circ$. გისოსის კამერის ზომები გეგმაში განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$\ell_1 = \frac{B_p - B_k}{2 \cdot \operatorname{tg} 20^\circ}; \quad \ell_2 = \frac{\ell_1}{2}. \quad (11.14.)$$

საერთო სამშენებლო ზომა გისოსის კამერის წინ იქნება:

$$L = \ell_1 + \ell_2 + 1,5. \quad (11.15.)$$

გისოსის განთავსების ნაგებობის იატაკი არხში ჩამდინარე წყლის საანგარიშო დონის (ΔZ) ზემოთ აწეული უნდა იყოს არანაკლებ $0,5 \text{ m}$ -ისა

$$\Delta Z = H - (h_{\text{მინ}} + h_s). \quad (11.16.)$$

გისოსებიდან ამოღებული ნარჩენების დღე-ღამური ხარჯი გამოითვლება ფორმულით

$$W = \frac{a \cdot N_{\text{დღე}}}{365 \cdot 1000}, \quad (11.17.)$$

სადაც: a არის წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე მოსული ნარჩენი; $N_{\text{დღე}}$ – შეტივნარებული ნივთიერებების მიხედვით მოსახლეობის დაყვანილი რაოდენობა.

ამოღებული ნარჩენების დაქუცმაცებისათვის გამოიყენება ჩაქუჩის ტიპის სამსხვრევები.

ბიოლოგიური განმენდის სადგურებზე ჩამდინარე წყლების გაუვნებელყოფა შეიძლება განხორციელდეს რამოდენიმე მეთოდით: ქლორირებით, ოზონირებით, ბაქტერიოციდული დასხივებით, წყლის დამუშავებით კოაგულანტებით ან ფლოკულანტებით.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მეთოდთან შედარებით ყველაზე იაფია ქლორირება, რომელიც ხორციელდება თხევადი ქლორის ან ნატრიუმის ჰიპოქლორიდის გამოყენებით.

11.4. ბუნებრივი წყლის თვითგანმენდა და მისი ინტენსიფიკაცია

წყლის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ თვისებას მისი თვითგანმენდის უნარი წარმოადგენს. დაბინძურებული წყლების თვითგანმენდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სუფთა წყლით მრავალჯერადი (1:7 - 1:12) გაზავებისას.

ჩაეტილი წყალსაცავების და მიწისქვეშა წყლების თვითგანმენდა მიმდინარეობს ნელა. ამრიგად, მსოფლიო ოკეანის წყლების სრული თვითგანმენდა ხორციელდება მხოლოდ 2 600 წელიწადში, ხოლო მიწისქვეშა წყლების - 5 000-ში.

წყლის თვითგანმენდის პროცესების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მისი უანგბადით გაჯერება. თხევადი უანგბადის ზემოქმედებით წყალში ხდება ორგანული ნივთიერებების უანგვა და მათი გამოყოფა ფსკერზე მინერალური ნალექის სახით.

წყალი უანგბადით მდიდრდება ჰაერიდან. ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს დიდი დინების მდინარეებზე და წყალსატევებზე ძლიერი ქარის დროს. ამას ხელს უწყობს მაღალი წყალმცენარეების ცხოველმყოფადობა, რომლებიც ამდიდრებენ წყალს უანგბადით მზის რადიაციის ზემოქმედების დროს.

წყლის მცენარეები, აგრეთვე, აუმჯობესებინ წყლის ხარისხს წყალში გახსნილი და დისპერსული ნივთიერებების შთანთქმის გამო. ამრიგად, ისინი წარმოადგენენ ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური განმენდის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

ხელოვნური აერაცია, როგორც წყლის თვითგანმენდის ინტენსიფიკაციის ეფექტური მეთოდი. წყალში ხსნადი უანგბადის დეფიციტის დროს თვითგანმენდის პროცესი მცირდება და იქმნება ხელოვნური აერაციის აუცილებლობა, რომელიც ხორციელდება სპეციალური აერატორებით, წყლის გაშვებით წყალსაშვიან კაშხლებზე და ჰაერის შეშვებით ჰიდროტურბინების შემწოვი მილების საშუალებით. აერაციის ნებისმიერი მეთოდი მოითხოვს დანახარჯების და ენერგიის დაკარგვას, ამიტომ ხელოვნური აერაციის ეფექტურობა ფასდება 1 კგ. უანგბადის ნაზრდით 1 კვტ.სთ დახარჯულ ენერგიაზე.

საბარტაზო აერატორი - წარმოადგენს პორიზონტალურ მილს, მოთავსებულს 1 მ სილრმეზე, რკალური პლასტმასის მილყელთან ერთად, 1,5 მმ დიამეტრის ნახვრეტებით ($1\ 080 \times 1\ \text{მ-ზე}$). მილში შეჭირხნული ჰაერი გამოდის მილყელის ნასვრეტებიდან და ზედაპირისკენ მოძრაობისას წყალს ამდიდრებს უანგბადით.

მექანიკური აერატორი C-16 - წარმოადგენს ელექტრულ აერატორების სისტემას, მოთავსებულს პონტონზე, ვერტიკალური მილებით, ჩაძირულს წყლის დონის ქვემოთ 1 მ-ზე. მისი ეფექტურობა ტოლია 1,14 კგ. უანგბადი 1 კვტსთ-ზე.

აერატორად შეიძლება გამოყენებულ იქნას მექანიკური ზედაპირული აერატორები, რომლებიც აფრქვევენ წყალს ჰაერში. საკმაოდ მაღალ ეფექტურობას იძლევა წყლის გადადინება წყალსაშვიზე.

11.5. წყლის რესურსების დაშრეტის მიზეზები და მისი აღმოფხვრის ღონისძიებები

მტკნარი წყლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს მდინარეები წარმოადგენენ. მათ უხვენწყლიანობას განსაზღვრავს შენაკადები, ანუ მცირე მდინარეები. პატარა მდინარეები არეგულირებენ მიკროკლიმატს, ჰაერის და ნიადაგის ტენიანობას, განსაზღვრავენ საძოვრების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტულობას, უზრუნველყოფენ მსხვილი მდინარეების კვებას.

ბუნებაში ადამიანის ჩარევა არღვევს დამყარებულ წონასწორობას. ტყეების გაჩეხვას, ჭაობების ამოშრობას, საგუბარების განადგურებას და კალაპოტის გასწორებას მივყავართ მდინარეთა დიდი რაოდენობის ნაწილობრივ ან სრულ დაშრობამდე.

მრავალი მცირე მდინარის კვების ძირითად წყაროს წარმოადგენენ ჭაობები. ამასთან, ისინი წარმოადგენენ მრავალი ფრინველის და ცხოველის ადგილსამყოფელს და იძლევიან კენკროვანის უხვ მოსავალს.

რიგ შემთხვევაში ჭაობების ამოშრობის შემდეგ ნარმოქმნილი ზარალი მეტია ნა-ვარაუდევ სასარგებლო ეფექტზე, ამიტომ ტარდება ჭაობების პირველადი მდგომარეობის აღდგენა დამატებითი ხარჯების გამოყოფით.

წყლის წყაროების დაშრეტა ძირითადად ხორციელდება შემდეგი მიზეზებით: ბუჩქნარების და ტყის გაჩეხვა, ძირითადად მდინარის ნაპირის ზედა უბნებში; ჭაობების ამოშრობა; სანაპირო მიწების მოხვნა; პატარა მდინარეებზე კაშხლების დანგრევა; ბუნებრივი წყლების უკონტროლო და არასამეურნეო გამოყენება.

წყაროების წყლიანობის აღმდგენი ძირითადი ღონისძიებანი შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- **წყალშემკრებების სატყეო მელიორაცია.** ტყის განაშენიანებისას ზედაპირული ჩამონადენი მინისქვეშ გადაინაცვლება, რის შედეგადაც არსებითად მაღლდება გრუნტის წყლის დონე და ხორციელდება წყლის წყაროების სტაბილური კვება.
- **ქარსაცავი ტყის ზოლების მეშვეობით ჰაერის ტენიანობა იზრდება 2-3%-ით, ზოგჯერ 10-12%-ითაც, 10-12 დღე-ლამით გრძელდება თოვლის დნობა და თითქმის წყლება ზედაპირული ნიაღვრები. ამავე დროს გრუნტის წყლების დონე იწევს 80-100 სმ-მდე.**
- **წყალგამყოფი ტყის ზოლს აშენებენ მთაგორიანი რელიეფის შემაღლებულ ნაწილზე. ეს ზოლები ეფექტურ ზეგავლენას ახდენენ ქარის სიჩქარის შემცირებაზე 20%-ით, თოვლის დაჭერაზე 6-ჯერ, თოვლის დნობის პროცესის ხანგრძლივობაზე 13 დღე/დამე.**
- **წყალმარეგულირებელი ზოლები ასრულებენ ქარსაცავ და თოვლისშემაკავებელ ფუნქციებს, ამით ზრდიან თოვლის წყლის რაოდენობას 35-40%-ით.**
- **საკოჭე ტყის ზოლები ემზრობიან ჰიდროქსელის კიდეს მის მთელ სიგრძეზე სარტყელის სახით. მათი ჰიდრომეტროროლოგიური როლი ანალოგიურია სხვა ტყის ზოლებისა. მთავარი მელიორაციული ფუნქცია მდგომარეობს ამ ზოლებით ზედაპირული ჩამონადენის შემცირებაში (5-ჯერამდე) და ნიადაგის გარეცხვის აღმოფხვრაში (20-ჯერამდე).**

ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე ზედაპირული ჩვეულებრივ არ არსებობს, ამიტომ მელიორაციული განაშენიანება მხოლოდ ქარდამჭერ და თოვლისგა-მანანილებელ ფუნქციას ასრულებენ.

კითხვები

1. რას გულისხმობს წყლის დაცვა?
2. რას ნიშნავს წყლის დაბინძურება?
3. რას ნიშნავს წყლის დანაგვიანება?
4. რას ნიშნავს წყლის დაშრეტა?
5. რა ძირითადი მახასიათებლებით აფასებენ წყლის მდგომარეობას?
6. რომელია ბუნებრივი წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროები?
7. რას ეწოდება წყლის “აყვავება”?
8. რა არის “თბური დაბინძურება”?
9. ფიზიკურ-მექანიკური განმენდის სისტემის მოდელირება.
10. გამწმენდი ნაგებობების შემადგენლობა.
11. ბუნებრივი წყლების თვითგანმენდა.
12. რა არის წყლის რესურსების დაშრეტის მიზეზები და როგორია მისი აღმოფხვრის ღონისძიებები?

ლიტერატურა

1. ლოლობერიძე მ. წყლის ეკოსისტემების დაცვა და რაციონალური გამოყენება. მეცნიერება, თბილისი, 1992.
2. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
3. Brouwer F.M., Heinz I., and Zabel T. *Governance of Water-Related Conflicts in Agriculture: New Directions in Agri-Environmental and Water Policies in the EU (Environment & Policy)*. Springer, 2003.
4. Irena Twardowska, Herbert E. Allen, Max M. Häggblom, and Sebastian Stefaniakv. *Viable Methods of Soil and Water Pollution Monitoring, Protection and Remediation (NATO Science Series: IV: Earth and Environmental Sciences)*. Springer; 1 edition, 2007.
5. Owen McIntyre. *Environmental Protection of International Watercourses under International Law*. Ashgate Pub Co, 2007.
6. Vandana Shiva. *Water Wars: Privatization, Pollution, and Profit*. South End Press, 2002.
7. Лапицкая М. П. *Очистка сточных вод (примеры расчетов)*. МИНСК «ВЫШЕШАЯ ШКОЛА» 1983.
8. Хенце М., Армоэс П., Ля-Кур-Янсен Й., Аrvan Э. *Очистка сточных вод*. Wastewater Treatment, 2006.
9. Яковлев С. В., Воронов Ю. В. *Водоотведение и очистка сточных вод*. Учебник для вузов. Издательство Ассоциации строительных вузов, 2006 г.
10. Яковлев С. В., Карелин Я. А. *Канализация*. М. “Стройиздат” 1975.

3ებ გვერდები

1. www.fao.org
2. www.nwfwmd.state.fl.us
3. www.nrdc.org
4. www.epa.gov
5. www.gdrc.org
6. www.ipcri.org
7. www.grida.no

თავი 12. ფინანსურული კომპლექსის ტექნიკურ- -ეკონომიკური საფუძვლები

უახლოეს წარსულამდე, წყლის რესურსების შედარებით საკმარისი რაოდგ-
ნობის არსებობა და უმრავლეს შემთხვევაში ყველა წყალმოსარგებლის წყლით
უზუნვალყოფის საშუალება გამორიცხავდა წყალს, ისევე როგორც პაურს, ეკონო-
მიკური ურთიერთობების სისტემიდან. გამონაკლის წარმოადგენდა არიდული ზონე-
ბი, სადაც წყლის დეფიციტი და შესაბამისად დიდი მატერიალური და შრომითი
დანახარჯები წყალმომარაგების ორგანიზებაზე მდიობანებები დამოკიდებულებების წყაროდ.
წყლის რესურსების მენეჯმენტის შესწავლის ეკონომიკური ასპექტი მოიცავს
ისეთი პარამეტრების და მაჩვენებლების ერთობლიობას, როგორიცაა ეკონომიკური
შეფასება, წყლის რენტა, წყლის გადასახადის ფორმირება და ა.შ., რაც თავისთა-
ვად დამოკიდებულია წყალსამეურნეო კომპლექსის სტრუქტურაზე და მის მუშაო-
ბის ეფექტურობაზე.

12.1. წყალსამეურნეო კომპლექსის სტრუქტურის საფუძვლიანობა

წყალსამეურნეო კომპლექსის ყველა მონანილის ოპტიმალური სტრუქტურის
შერჩევისას, აუცილებელია თანმიმდევრულად დავუპირისპიროთ (შევადაროთ) ერთმა-
ნეთს ნ.ს.კ-ს ვარიანტები მისი თითოეული კომპონენტის ჩათვლის და არჩათვლის
შემთხვევაში.

თუ გამოვრიცხავთ ნ.ს.კ-დან რომელიმე დარგს, მაშინ ამ დარგის მიერ წარმოე-
ბული პროდუქცია მოცულობით და ხარისხით მიღებული უნდა იყოს ალტერნატიული
გზით.

შესაძლებელი ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალურის შერჩევის მეთოდურ
საფუძველს წარმოადგენს შესადარი ეკონომიკური ეფექტურობის მეთოდი.

ვთქვათ გვაქვს ანალოგიური პროდუქციის მიღების ორი ვარიანტი, მაგალითად
ელექტროენერგიის. ამ შემთხვევაში განიხილება პირველი ვარიანტი, როდესაც ნ.ს.კ-ს
სტრუქტურაში შედის ჰიდროელექტროსადგური და მეორე ვარიანტი - ნ.ს.კ-ის სტრუქ-
ტურა მის გარეშე. მეორე ვარიანტში გათვალისწინებულია იგივე რაოდენობის ელექ-
ტროენერგიის მიღება თბოლექტროსადგურებით, რომელთა მშენებლობაზე და
ექსპლუატაციაზე უნდა დაიხარჯოს შესაბამისი კაპიტალდაბანდებები და დანახარჯე-
ბი.

ეს ორი ვარიანტი ერთმანეთისგან განსხვავდება კაპიტალდაბანდების და ყოველ-
წლიური დანახარჯების მიხედვით: განვიხილოთ ყველაზე ხშირად გავრცელებული
შემთხვევა: $C_1 < C_2$ და სადაც K_1 და K_2 - ნ.ს.კ-ს პირველი და მეორე ვარიანტების შესაბა-
მისი კაპიტალდაბანდებია; C_1 და C_2 - ნ.ს.კ-ის იგივე სტრუქტურების შემთხვევებში ყო-
ველწლიური დანახარჯები.

მეორე ვარიანტის განხორციელება დამოკიდებულია დამატებით კაპიტალდა-
ბანდებასთან $\Delta K = K_1 - K_2$ და ყოველწლიური დანახარჯების ეკონომიასთან $\Delta C = C_2 - C_1$.

ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისათვის გამოითვლება შესადარი ეკონომიკური
ეფექტურობის კოეფიციენტი ξ, რომელიც გვიჩვენებს დამატებითი კაპიტალდაბანდე-
ბის ყოველწლიური დანახარჯების ეკონომიას

$$\xi = \frac{C_2 - C_1}{K_1 - K_2}. \quad (12.1.)$$

შესადარი ეკონომიკური ეფექტურობის შებრუნებულ სიდიდეს დამატებითი კა-
პიტალდანახარჯების გამოსყიდვის დროს უწოდებენ

$$T^{\Delta K} = \frac{K_1 - K_2}{C_2 - C_1}. \quad (12.2.)$$

ის ვარიანტი, რომელიც ხასიათდება დიდი კაპიტალდაბანდებით (მაგრამ ნაკლები ყოველწლიური დანახარჯებით) ეკონომიკურად უფრო ეფექტური იქნება მაშინ, როდე-საც შესაძარი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი იქნება ნორმატიულ კოეფი-ციენტზე (ξ) მეტი; ან დამატებითი კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა იქნება ნორმატიულზე ნაკლები ე. ი.

$$\xi < \frac{C_2 - C_1}{K_1 - K_2}. \quad (12.3.)$$

როცა $\xi = \xi_0$ ორივე ვარიანტი ერთნაირდ ეფექტურია.

(12.3.) დამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით

$$\xi_n \cdot K_1 + C_1 < \xi_n \cdot K_2 + C_2. \quad (12.4.)$$

ორწევრს $\xi_n \cdot K + C$ ეწოდება განსახილველი ვარიანტის საანგარიშო ხარჯი წელიწად-ში

$$Z_{\text{საან}} = \xi_n \cdot K + C. \quad (12.5.)$$

თუ გამოვიყენებთ დამატებითი კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადის ნორ-მატიულ მახასიათებელს $T_{\delta}^{\Delta K}$, მაშინ (12.5.) ფორმულიდან შეიძლება მივიღოთ ჯამური დანახარჯები $Z_{\Delta K}$

$$Z_{\Delta K} = K + T_{\delta}^{\Delta K} \cdot C. \quad (12.6.)$$

შესაძარი ეკონომიკური ეფექტურობის ნორმატიულ კოეფიციენტებს საზღვრა-ვენ დარგობრივი ინსტრუქციების მიხედვით, მაგალითად: ჰიდროენერგეტიკისათვის -

$\xi_n = 0,12$; მორწყვისთვის - $\xi_n = 0,17-0,33$; თევზის მეურნეობისათვის - $\xi_n = 0,17$; მეურ-ნეობისათვის მთლიანად - $\xi_n = 0,12$.

შესაძარი ვარიანტები ჩვეულებისამებრ ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა-მარტო ხარჯებით, არამედ სამშენებლო ვადებით. შესაბამისად, სხვადასხვა ვარიანტებ-ში არაერთნაირად ჩნდება ხარჯების გაყინვის უარყოფითი ეფექტი, რომელიც გამოიხ-ატება ბრუნვიდან მათი დროებითი ამოღებით. ამიტომ ეკონომიკური გამოთვლების დროს გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი; თუ მშენებლობა მიმდინარეობს რამო-დენიმე წელიწადი და ობიექტები ექსპლუატაციაში მორიგეობით შედიან, მაშინ გამოთ-ვლებში იყენებენ შემდეგ მახასიათებლებს: ერთი და იგივე წელს დაყვანილი კაპიტალ-დაბანდება K დამყარებული ყოველწლიური დანახარჯებიდან დაყვანილი დანახარჯები C დინამიკური დაყვანილი ხარჯები Z , რომელიც განსაზღვრულია დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ მახასიათებლებს საზღვრავენ შემდეგნაირად:

კაპიტალდაბანდების გაყინვის (დაკონსერვების) შედეგად წარმოიქმნება ეკონო-მიკური ეფექტის რაღაც ხარისხის დაკარგვა იმდენად, რამდენადაც მოგება მათგან არ მიიღება. ეს სახსრები კაპიტალდაბანდების სახით შეიძლება ჰირდაპირი ან ირიბი გზით გადასულიყო წარმოებაში, მაგრამ ეს არ მოხდა და წარმოიქმნა კაპიტალდაბანდების დაკარგვა ΔK , რომელსაც ეკონომიკურ გაანგარიშებაში დაარიცხავენ გაყინული კაპი-ტალდაბანდების ჯამს. E_0 - კოეფიციენტით აღნიშნავენ უარყოფით ეფექტს

$$\Delta K = K \cdot E_0. \quad (12.7.)$$

სადაც: E_0 არის დროის ფაქტორის გამათვალისწინებელი კოეფიციენტი. რიცხო-ბრივად ტოლია მოგების დანაკარგის (ერთ წელიწადში კაპი-ტალდაბანდების ფულის ერთეულის დანაკარგი). ეკონომიკურ გამოთვლებში მიიღება, რომ $E_0 = 0,08$.

მშენებლობისთვის საჭირო კაპიტალდაბანდებას ითვალისწინებენ არაერთბაშად, არამედ ანაწილებენ წლების მიხედვით. შესაბამისად, სხვადასხვა წლებში ათვისებული კაპიტალდაბანდების K_t -ს ყინავენ განსხვავებულ პერიოდში.

სხვადასხვა ვარიანტების ურთიერთშედარებისთვის დაყვანის წელი უნდა იყოს ყველა ვარიანტისთვის ერთი და იგივე.

ჯამური დაყვანილი კაპიტალდაბანდება წყალსამეურნეო ობიექტში \bar{K} გამოითვლება ფორმულით

$$\bar{K} = \sum_{t=1}^T K_t (1+E_0)^{t_{\text{v}}-t}, \quad (12.8.)$$

სადაც: K_t არის კაპიტალდაბანდება წელიწადში;

T – მშენებლობის დრო;

t_{v} – დაყვანის წელი (ბაზისური წელი).

ჩვეულებისამებრ სანარმოო სიმძლავრეებს ითვისებენ რამდენიმე წლის განმავლობაში. წყალსამეურნეო ობიექტის ათვისების ხარისხის მიხედვით იზრდება დანახარჯები მისი ექსპლუატაციისთვის.

დაყვანილი ყოველწლიურად დამყარებული დანახარჯების გამოსათვლელ დამოკიდებულებას შემდეგი სახე აქვს

$$\bar{C} = \sum_{t=t_0}^m \delta C_t (1+E_0)^{t_{\text{v}}-t}, \quad (12.9.)$$

სადაც: δC_t არის t წელიწადში ყოველწლიური დანახარჯების ნამატი;

t_0 – ექსპლუატაციის პირველი წელი;

m – დანახარჯების ცვლილების ვადა (ობიექტის ექსპლუატაციის დასაწყისიდან მის საბოლოო მთლიან ათვისებამდე).

დინამიკურ დაყვანილ ხარჯებს აქვთ იგივე სტრუქტურა, რაც საანგარიშო ხარჯებს დროის ფაქტორის მხედველობაში მიღების გარეშე, მაგრამ მასში გათვალისწინებულია დაყვანილი კაპიტალდაბანდება ყოველწლიური დანახარჯები

$$\bar{z} = \bar{K} \cdot \xi_y + \bar{C}. \quad (12.10.)$$

ვარიანტების შედარებისას ოპტიმალურად ითვლება მინიმალური დინამიკური ხარჯების ვარიანტი ე. ი. $\bar{z} \rightarrow \min$.

ყველა ვარიანტის განხილვისას დაცული უნდა იყოს დაპირისპირების პირობა, ე. ი. მიღებულ უნდა იყოს ერთი და იგივე რაოდენობის და ხარისხის პროდუქცია, ხოლო ხარჯები უნდა იყოს დაყვანილი ერთ-ერთი ბაზისური წლისათვის.

12.2. კომპლექსური ჰიდროკვანძის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა

წყალსამეურნეო ობიექტების პარამეტრებს ისევე, როგორც წყალსამეურნეო სისტემის სტრუქტურას, ირჩევენ სახალხო-სამეურნეო ხარჯების მინიმიზაციის პრინციპით, მაგალითად, კომპლექსური ჰიდროკვანძის პარამეტრების შერჩევისას ხელმძღვანელობენ შემდეგი მოსაზრებით: ნორმალური შეტბორვის დონის ნიშნულს (ნ.შ.დ.) განსაზღვრავენ ნაგებობის ძირითადი ზომების, სამშენებლო სამუშაოების მოცულობის, დატბორვის ფართობის მიხედვით, რომლებიც იზრდებიან (მატულობენ) ნ.შ.დ-ს ნიშნულის აწევისას.

ამავე დროს იზრდება სანარმოო ეფექტი - ელექტროენერგიის გამომუშავება, სარწყავი მიწების ფართობი და სხვა. აუცილებელია განხილულ იქნეს ნ.შ.დ-ს არანაკლებ 3 ვარიანტი. ამასთან, ნ.შ.დ-ს ქვედა ზღვარი მინიმალური უნდა იყოს თვითდინებით მორნყვის შემთხვევაში სარწყავი წყალამდების დასაშვებ დონეზე, ჰიდროელექტროსადგურის აუცილებელ სიმძლავრეზე, გემთსვლისთვის საჭირო სიღრმეზე, წყალსაცავის აუცილებელ ტევადობაზე, (ჩამონადენის მოცემული რეგულირებისათვის). ნ.შ.დ-ს

ზემოთა ზღვარი განისაზღვრება იმ პირობით, რომ არ იყოს დაშვებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მსხვილი დასახლებული პუნქტების, საწარმოო და სატრანსპორტო ობიექტების დატბორვა.

წყალსაცავის სასარგებლო მოცულობის არჩევა რთული ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანაა. ნ.შ.დ-ს მოცემული ნიშნულისათვის წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა განისაზღვრება სილრმის $h_{\text{ძრ}}$ ამოქმედების მიხედვით. მისი გაზრდა, მრავალ შემთხვევაში, დადებით ეფექტს ზრდის, რაც გამოიხატება ჩამონადენის სრულყოფილად გამოყენებაში.

ჰიდროენერგეტიკულ ჰიდროკვანძებში ამოქმედების სილრმის გაზრდა იწვევს ელექტროენერგიის გაზრდას მხოლოდ განსაზღვრულ სიდიდემდე. იგი განპირობებულია ტურბინებში გამავალი წყლის მოცულობის გაზრდით, მაგრამ ამასთან, მცირდება დაწნევა.

ამოქმედების სილრმის გაზრდის გამო დადებითი ეფექტის ზრდას თან სდევს სამშენებლო სამუშაოების მოცულობისა და დატბორილი ნიადაგების ფართობის გაზრდა და სხვა.

ტექნიკური სახის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევის დროს ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს, ერთი და იგივე მოცულობით პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, ხარჯების ურთიერთშედარებას.

მაგალითად, ნ.შ.დ-ს ნიშნულის შემცირებისას მცირდება კაშლის მშენებლობის ხარჯები და დატბორვით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია.

მაგრამ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზედა ბიეფში წყლის დონის ბუნებრივი დაწევა $h_1=h_2$ სიდიდით, ყოველთვის გამოიწვევს $h_{\text{ძრ}} -$ ის დროს (გაზრდილი ამოქმედების სილრმეს) სატურბინების გამავალი წყლის მოცულობის უფრო მეტად შემცირებას, რაც არა ეფექტურია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის (როგორც ნახაზიდან ჩანს ($w_1 > w_2$ როცა $h_1=h_2$)).

12.3. წყალსამეურნეო კომპლექსის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა

სოფლის მეურნეობა: არასაკმარისი ტენიანობის ქონებში მორწყვა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საშუალებას. ამიტომ შემცვლელი ვარიანტის სახით გვევლინება სპეციალური ირიგაციული ჰიდროკვანძების მშენებლობა, მინისქვეშა წყლების გამოყენება, ჩამდინარე წყლებით მორწყვა, წყლის გამოყენების უფრო ეფექტური ეკონომიკური გზების ძიება; ანდა ექვივალენტური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება სხვა აუზების ან ახალი მიწების ათვისებით.

სოფლის მეურნეობისათვის ალტერნატივას წარმოადგენს წყალსაცავიდან წყლის დრო და დრო გამვება ჭალისებური მინდვრების გაწყლოვანებისათვის, საქონლის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით.

ჰიდროენერგეტიკა - ჰესების შემცვლელად შეიძლება ჩაითვალოს თბოელექტროსადგურები. ამასთან, აუცილებელია დაცული იყოს ენერგოსისტემაში სიმძლავრის და ენერგიის ბალანსი; ჰესების ენერგოდანადგარების მაღალი მანევრირების უნარი და ენერგომომარაგების იგივე საიმედობით უზრუნველყოფა.

ჰიდროელექტროსადგურებს უპირისპირებენ სპეციალურ პიკურ თბოელექტროსადგურებს (მაგ. აეროტურბინებს). დაპირისპირების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ის, რომ ჰესთან შედარებით მის შემცვლელ თბოელექტროსადგურებს, საკუთარ საჭიროებაზე ელექტროენერგიის დიდი ხარჯი გააჩნიათ. ამიტომ იღებენ

$$N_{\text{თ.გ.}} = \varphi_N \cdot N_{\text{ჰეს}}; \quad (12.11.)$$

$$\mathcal{E}_{\text{თ.გ.}} = \varphi \cdot \mathcal{E}_{\text{ჰეს.}}$$

სადაც: $N_{\text{თ.გ.}}$ და $N_{\text{ჰეს}}$ არის თბოელექტროსადგურის და ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები;

φ და \mathcal{E} – თეს-სა და ჰეს-ში გამომუშავებული ელექტროენერგიები;

$$\varphi = \frac{\text{სიმძლავრისა}}{\text{გის ექვივალენტობის}} \frac{\text{კოეფიციენტები}}{\text{კოეფიციენტები}} \varphi_N = 1,1 \div 1,5; \\ \varphi = 1,05.$$

ჰეს-ით და თეს-ით ელექტროენერგიის გამომუშავებული ელექტროენერგიის ექვივალენტობის კოეფიციენტები $\varphi_N = 1,1 \div 1,5$; $\varphi = 1,05$.
 $3_{\sigma} = 3_{\sigma_{\eta b}} bc,$ (12.12.)

სადაც: b არის ელექტროენერგიის წარმოებისთვის სათბობის კუთრი ხარჯი კვტ.სთ.;
 c – სათბობის მოპოვების და ტრანსპორტირების კუთრი ხარჯი.

თევზის მეურნეობა. მის შემცვლელ ვარიანტად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი: თევზსარენი ქარხნების ნაგებობები, თევზის საშენი და გასაზრდელი მეურნეობა, თევზის ჭერის ინტენსიუტიკაცია სხვა აუზებში (მათ შორის შინაგან ზღვებში); ამავე დროს თუ ალტერნატიული ობიექტები სხვა რაიონებში მდებარეობენ, მაშინ ითვალისწინებენ მოხმარების ადგილამდე სატრანსპორტო ხარჯებს შორის სხვაობას, ვარიანტების შესაბამისად.

წყალმომარაგება. ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ წყალმომარაგება. წ.ს.კ.-ის არარსებობის დროს ეს შეიძლება იყოს ერთმიზნიანი ჰიდროკვანძი, წყალმომარაგება, მიწისქვეშა წყლებით, ზღვის წყლის გამტკნარება სხვა აუზიდან წყლის გადმოგდებით და ა. შ. საწარმოო წყალმომარაგებისათვის შესაძლებელია საწარმოო ღონისძიებების განთავსების სხვადასხვა ვარიანტები, სადაც გამოყენებული იქნება ნაკლებად წყალტევადი ტექნოლოგიები და წყალმომარაგების სქემები. ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო ხარისხის წყალზე წყალმომარაგების საიმედობა.

საწყლო ტრანსპორტი: ალტერნატიული ვარიანტის ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს საჭირო მოცულობის პროდუქციის გადატანა იმავე ვადებში. ამასთან, შესაძლებელია (წ.ს.კ-ს შექმნის გარეშე) საწყლო გადაზიდვები გემთსავალის პირობებში, გემთსვლისათვის აუცილებელი სიღრმის უზრუნველყოფა ფსკერის ჩაღრმავების საშუალებით.

მიღებული ალტერნატიული ვარიანტი უნდა იყოს ყველაზე ეკონომიკური, ყველა შესაძლებელი ვარიანტიდან.

12.4. წყალსამეურნეო კომპლექსის საერთო ეკონომიკური ეფექტურობა

ვარიანტის ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება საერთო ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტით, რომელიც გამოითვლება შემდეგი დამოკიდებულებით

$$\Theta_{\text{ყბ}} = \frac{\sum_{i=1}^n I_i - C_{\text{ყბ}}}{K_{\text{ყბ}}}, \quad (12.13.)$$

სადაც: I_i არის i დარგის (წ.ს.კ.-ის მონაცილის) პროდუქციის ღირებულება;
 $C_{\text{ყ}.b,j}$ – წ.ს.კ. ყოველწლიური დანახარჯები და კაპიტალდაბანდება;
 $K_{\text{ყ}.b,j}$
 N – წ.ს.კ.-ის მონაცილეთა რაოდენობა.

მიღებულ კოეფიციენტს ($\Theta_{\text{ყ}.b,j}$) ადარებენ ნორმატიულ კოეფიციენტთან (Θ_b). წ.ს.კ-ს მონაცილეთა მიერ გამოყენებული წყლის რესურსების ეფექტურობას განსაზღვრავენ თითოეული მათგანის საერთო ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრით

$$\Theta_b = (I_i - C_i) / K_b, \quad (12.14.)$$

სადაც: C_i და K_i არის წ.ს.კ-ს i მონაცილის ყოველწლიური დანახარჯი და კაპიტალდაბანდება;
 $(I_i - C_i)$ – მოგება I_i თითოეული დარგისათვის.

Э_i კოეფიციენტი არ განსაზღვრავს როგორი მოგება ექნება თითოეულ მონაწილეს კაპიტალდაბანდებაზე.

Э_i კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს Э₆ - ნორმატიულ კოეფიციენტს, რომელიც დადგენილია დარგობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. საერთო ეკონომიკური ეფექტურობის შებრუნებულ სიდიდეს ეწოდება კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა $T=K/\Pi$. (12.15.)

ობიექტის მშენებლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ეკონომიკურად გამართლებულად, თუ გამოსყიდვის ვადა ნაკლებია ნორმატიულზე, ე. ი. $T < T_6$.

ჰიდროენერგეტიკაში პროდუქციის ლირებულების $\Pi_{\text{შენ}}$ გამოითვლება დამოკიდებულებით

$$\Pi_{\text{შენ}} = \mu(\alpha N + \beta \Theta), \quad (12.16.)$$

სადაც: N და Θ არის გამოყენებული სიმძლავრე და გამომუშავებული ელექტროენერგია;

α და β – სატარიფო განაკვეთი 1 კვტ.-ზე და 1 კვტ.სთ-ზე;

μ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დანაკარგის ქსელზე და ელექტროენერგიის ხარჯს საკუთარ მოთხოვნილებებზე.

სატარიფო განაკვეთი იცვლება ქვეყნის რაიონების შესაბამისად.

ორგანაკვეთიანი ტარიფით ელექტროენერგიის ლირებულების განსაზღვრა ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენს, რომელიც განაპირობებს ელექტროენერგიის მოხმარების გრაფიკების შემჭიდროების ერთ-ერთ საშუალებას.

საწარმოები, რომლებიც იყენებენ ერთნაირი რაოდენობის $\Theta_1 = \Theta_2$ ენერგიას, მაგრამ აქვთ განსხვავებული სიმძლავრეების დღელამური დატვირთვის გრაფიკები.

საერთო ეკონომიკური ეფექტობის განსაზღვრისას აუცილებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს მშენებლობაზე და დროში პროდუქციის ლირებულების ცვლილებაზე კაპიტალდაბანდებების გაყინვის უარყოფითი ეფექტი. დროის ფაქტორის მხედველობაში მიღებით საერთო ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$\bar{\Theta}_i = \frac{\bar{\Pi}_t}{\bar{K}_t}, \quad (12.17.)$$

სადაც: \bar{K}_t არის წ.ს.კ-ს i მონაწილის ბაზისურ წელთან დაყვანილი კაპიტალდაბანდება;

$\bar{\Pi}_t$ – წ.ს.კ.-ს i მონაწილის ბაზისურ წელთან დაყვანილი მოგება.

დაყვანილი მოგება იანგარიშება დამოკიდებულებით

$$\bar{\Pi}_i = \sum_{t=1}^m \delta \Pi_t (1+E_0)^{t-t_0}, \quad (12.18.)$$

სადაც: $\delta \Pi_{ti}$ არის t წელს მოგების ცვლილება წინა წლის მოგებასთან შედარებით;

M – წლების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც იცვლება მოგება;

t_0 – საბაზისო (ბაზისური) წელი;

E_0 – დროის ფაქტორის კოეფიციენტი.

წ.ს.კ-ს საერთო ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტი, დროის ფაქტორის გათვალისწინებით გამოითვლება

$$\Theta_{\text{შ.კ.}} = \frac{\sum_{t=1}^n \sum_{i=1}^m \delta \Pi_{ti} (1+E_0)^{t-t_0}}{\bar{K}_{\text{შ.კ.}}}, \quad (12.19.)$$

სადაც: n არის სახალხო მეურნეობის დარგების რაოდენობა, რომელიც წ.ს.კ-დან იღებს მოგებას.

მეორე შემთხვევაში წ.ს.კ-ს თითოეულ მონაწილზე უნდა იყოს შეტანილი კუთრი დარგობრივი მთლიანად და კომპლექსური ხარჯების ნაწილი

$$\begin{aligned} K_i &= K_{\text{დარ}i} + K_{\text{გომ}i}; \\ C_i &= C_{\text{დარ}i} + C_{\text{გომ}i}; \\ \mathfrak{Z}_i &= C_{\text{დარ}i} + C_{\text{გომ}i} + \xi_y (K_{\text{დარ}i} + K_{\text{გომ}i}), \end{aligned} \quad (12.20.)$$

სადაც: K_i ; C_i ; \mathfrak{Z}_i არის შესაბამისად, ნ.ს.კ-ს i მონაწილის კაპიტალდაბანდება, ყოველწლიური დანახარჯი და საანგარიშო ხარჯი, რაც განსაზღვრავს მათ მონაწილეობას წყალსამეურნეო კომპლექსის დაფინანსებაში;

$K_{\text{დარ}i}$	-	დარგების კაპიტალდაბანდება და ყოველწლიური დანახარჯი ნ.ს.კ-ს i მონაწილეზე;
$C_{\text{დარ}i}$	-	i მონაწილის კაპიტალდაბანდების და ყოველწლიური დანახარჯის ნილი.

ცხადია, რომ მთლიანად კომპლექსისთვის

$$K_{\text{გომ}} = \sum_{i=1}^n K_{\text{გომ}i} \quad C_{\text{გომ}} = \sum_{i=1}^n C_{\text{გომ}i} \quad (12.21.)$$

სადაც: n არის ნ.ს.კ-ს მონაწილეთა რაოდენობა.

ამრიგად, საანგარიშო ხარჯები ნ.ს.კ-ს მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე იქნება

$$\mathfrak{Z}_{\text{წ.ბ.ძ.}} = C_{\text{გომ.}} + \sum_{i=1}^n C_{\text{დარ}.i} + \xi_b \left(K_{\text{გომ.}} + \sum_{i=1}^n K_{\text{დარ}.i} \right) \quad (12.22.)$$

სადაც: ξ_b არის შედარებითი ეკონომიური ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი.

კომპლექსური დანახარჯების ნილი, რომელიც მოდის ნ.ს.კ-ს თითოეულ მონაწილეზე, შეიძლება განვსაზღვროთ რამოდენიმე მეთოდით; მაგალითად, იმ წყლის მოცულობის პროპორციით, რომელიც გამოყოფილია ამა თუ იმ მონაწილისთვის; ან ეკონომიკური ეფექტურობით, რომელიც მიღება ამა თუ იმ მონაწილის მიერ წყლის გამოყენებისას. შედარებით მარტივი მეთოდია დანახარჯების განაწილება დარგების მიერ. მათ მიერ გამოყენებული წყლის მოცულობის პროპორციულობის მიხედვით, მაგრამ ამის გამოყენება შესაძლებელია, როცა ნ.ს.კ-ში შედიან წყალმოსარგებლენი (გემთსვლა, ჰიდროენერგეტიკა და სხვა), ამიტომ ამ მეთოდს მიმართავენ იშვიათად, მხოლოდ მაშინ, როცა მაგალითად, ჰიდროკვანძის დანიშნულება მორწყვა და წყალმომარაგება.

ფართოდ გამოიყენება დანახარჯების განაწილების მეთოდი, ყველა ნ.ს.კ-ს მონაწილისთვის ტოლი ეკონომიკური ეფექტურობის მიღების პრინციპით.

ამ შემთხვევაში ნ.ს.კ-ს ყველა მონაწილისთვის იღებენ საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდის ტოლი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტს. ე. ი.

$$\mathcal{E}_i = \mathcal{E}_{\text{წ.ბ.ძ.}} \quad (12.23.)$$

ან შედარებითი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტის $\xi_i = \xi_{\text{წ.ბ.ძ.}}$ მიღების პრინციპით. აქ განსაზღვრული უნდა იყოს ორი უცნობი $K_{\text{გომ}}$, ამიტომ ტოლი ეკონომიკური ეფექტურობის ძირითად პირობას $C_{\text{გომ}}$ ემატება $\mathcal{E}_i = \mathcal{E}_{\text{წ.ბ.ძ.}}$ კაპიტალდაბანდების ყოველწლიური დანახარჯების $C_{\text{გომ}}$. პროპორციულობის პირობა.

ეს სამართლიანია, რამდენადაც კომპლექსური ობიექტების დანახარჯები წარმოადგენენ ძირითად ამორტიზაციულ ანარიცხებს.

ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ

$$C_{\text{გომ}i} = P \cdot K_{\text{გომ}i} \quad (12.24.)$$

სადაც: P არის პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია

$$P = C_{\text{გომ}} / K_{\text{გომ}} \quad (12.25.)$$

მაშინ, \mathcal{E}_i კოეფიციენტი ჩაიწერება შემდეგნაირად

$$\begin{aligned} \Theta_i &= \Theta_{\beta, b, j}, \\ \Theta_i &= (U_i - C_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \alpha, i}) / (K_{\rho, \theta, i} - K_{\rho, \alpha, i}) \end{aligned} \quad (12.26.)$$

სადაც: U_i არის ნ.ს.კ-ს i მონაწილის ყოველწლიური დანახარჯი;
 $K_{\rho, \theta, i}$ და $K_{\rho, \alpha, i}$ – ნ.ს.კ-ს i -ური მონაწილის კაპიტალდაბანდების და ყოველწლიური დანახარჯის ნილი.

მივიღოთ, რომ

$$\Theta_{\beta, b, j} = (U_i - PK_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \alpha, i}) / (K_{\rho, \theta, i} - K_{\rho, \alpha, i}), \quad (12.27.)$$

$$\begin{aligned} \text{სადაც: } K_{\rho, \theta, i} &= (U_i - C_{\rho, \theta, i} - \Theta_{\beta, b, j} \cdot K_{\rho, \alpha, i}) / (P + \Theta_{\beta, b, j}), \\ P &\text{ არის პროპრეციულობის კოეფიციენტი, ანუ ნ.ს.კ-ს მონაწილეების ყოველწლიური დანახარჯების ნილი; } \\ C_{\rho, \theta, i} &- \text{განისაზღვრება ფორმულიდან.} \\ \text{ამ } M \text{ მეთოდით კომპლექსური დანახარჯების განსაზღვრისათვის ნ.ს.კ-ს თითოეული მონაწილის შედარებითი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტებს } \xi, \text{ უტოლებენ მთლიანად ნ.ს.კ. შედარებით ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტს} \\ \xi_{\beta, b, j} &= \xi_{\beta, b, j}. \end{aligned} \quad (12.28.)$$

წ.ს.კ-ს i მონაწილეების შედარებითი ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით

$$\xi_i = (C_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \alpha, i}) / (K_{\rho, \theta, i} - K_{\rho, \alpha, i} - K_{\rho, \theta, i}), \quad (12.29.)$$

$$\text{სადაც: } K_{\rho, \theta, i} \text{ და } C_{\rho, \theta, i} \text{ არის ალტერნატიულ ვარიანტში } i \text{ პროდუქციის მიღებისთვის კაპიტალდაბანდება და ყოველწლიური დანახარჯი.}$$

თუ გამოვიყენებთ (12.28) და (12.29) დამოკიდებულებას, მაშინ

$$\xi_{\beta, b, j} = (C_{\rho, \theta, i} - PC_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \alpha, i}) / (K_{\rho, \theta, i} - K_{\rho, \alpha, i} - K_{\rho, \theta, i})$$

საიდანაც მივიღებთ დამოკიდებულებას, რომელიც განსაზღვრავს ნ.ს.კ-ს i მონაწილის ნილს კომპლექსურ კაპიტალდაბანდებაში.

$$K_{\rho, \theta, i} = \frac{C_{\rho, \theta, i} - C_{\rho, \alpha, i} - \xi_{\beta, b, j} \cdot (K_{\rho, \alpha, i} - K_{\rho, \theta, i})}{P + \xi_{\beta, b, j}}. \quad (12.30.)$$

ხოლო i დარგის ყოველწლიური დანახარჯის ნილს კომპლექსურ დანახარჯში ვანგარიშობთ $C_{\rho, \theta, i}$ დამოკიდებულებით.

12.5. წყალდამცავი ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტურობა

წყალდამცავი ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა ხდება წყლის დაცვის ღონისძიებების პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის $\Theta_{\rho, \theta}$. განსაზღვრა, რომელიც შემდეგი სახის დამოკიდებულებით აღიწერება

$$\Theta_{\rho, \theta} = Y_{\rho, \theta} - \beta, \quad (12.31.)$$

სადაც: Y_i არის წყლის წყაროების გაფუჭიანებით მიყენებული საერთო ზარალი. ცალკეული წყალმომხმარებლების (Y_i) ზარალის ჯამი ტოლია

$$E_{\rho, \theta} = \sum_{i=1}^n E_i, \quad (12.32.)$$

სადაც: n არის ბუნებრივი ობიექტების ან წყალმომხმარებლების ის რაოდენობა, რომლებიც განიცდიან წყლის გაფუჭიანებას.

Y_i ზარალის ცალკეულ სახეებს განსაზღვრავენ შემდეგნაირად:

1. საწარმოო და საყოფაცხოვრებო-კომუნალურ წყალმომარაგებაში არ დაიშვება ისეთი წყლის გამოყენება, რომლის ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ამიტომ წყალმომარაგებაში ზარალი დაკავშირებულია წყალშემკრების გადატანის, წყალმომარაგების ახალი წყაროების ათვისების, წყლის დამატებით მომზადების ($Y_{\text{წ.მ.}}^{y_{\text{წ.მ.}}}$) დანახარჯებთან

$$E_{\text{წ.მ.}} = \sum_{i=1}^n (z_{2i} - z_{1i}) \cdot V, \quad (12.33.)$$

სადაც: z_{2i} არის i მომხმარებლისთვის გაჭუჭყიანებული წყალსატევიდან წყლის მომზადებისთვის განეული კუთრი საანგარიშო ხარჯები;

z_{1i} – i მომხმარებლის კუთრი საანგარიშო ხარჯები გაუჭუჭყიანებელი წყალმომარაგებაზე აღებული წყლის მომზადებისთვის;

V_i – გამოყენებული წყლის მოცულობა;

n – წყლის მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ დამატებით წყალმომზადებას.

2. სასოფლო და თევზის მეურნეობებში წყლის წყაროების გაჭუჭყიანების გამო ზარალი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან (დანახარჯებისაგან):

ა) წყლის ხარისხის აღდგენა

$$E_{\text{წ.}} = \sum_{i=1}^n z_i, \quad (12.34.)$$

სადაც: z_i არის i ღონისძიების დროს წყლის ხარისხის აღსაღენად განეული საანგარიშო დანახარჯები;

n – წყლის წყაროების ხარისხის აღმდგენი ღონისძიების რაოდენობა.

ბ) პროდუქტიულობის შემცირების გამო ზარალის კომპენსაცია

$$E_{\text{პ.}} = [(C_2 - C_1) + \xi_6(K_2 - K_1)] \cdot V, \quad (12.35.)$$

სადაც: $C_1; C_2$ არის გაჭუჭყიანებული და გაუჭუჭყიანებელი წყლის გამოყენებით ერთეული პროდუქციის თვითლირებულება;

$K_1; K_2$ – გაჭუჭყიანებული და გაუჭუჭყიანებელი წყლის გამოყენებით ერთეული პროდუქციის მიღებაზე კუთრი კაპიტალდაბანდება;

ξ_6 – შედარებითი ეკონომიკური ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი;

V – პროდუქციის დაგეგმილი წლიური მოცულობა.

3. წყლის დაბინძურების გამო მოსახლეობისადმი მიყენებული ზარალი განისაზღვრება გაჭუჭყიანების შედეგების ლიკვიდაციაზე დანახარჯებით: დაავადებული მოსახლეობის ზრდის გამო სამედიცინო მომსახურეობა, მასობრივი დასვენების ადგილების გადატანა, მდინარეების გაწმენდა-გაჯანსაღება და სხვა.

4. გარემო პირობებზე მიყენებული ზარალი შედგება: ბუნებრივი პირობების ადრინდელ მდგომარეობამდე აღდგენაზე ან პროდუქციის დანაკარგის კომპენსაციაზე განეული დანახარჯებისაგან (მაგ. ტყის პროდუქტიულობის შემცირება ან განადგურება).

წყლის დაცვითი ღონისძიების ჩატარების პირდაპირი ეფექტის გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს **ირიბი ეფექტიც**, რომელიც მდგომარეობს ჩამდინარე წყლებიდან ძვირფასი ნივთიერებების ამოღების შედეგად დამატებითი პროდუქციის მიღებაში.

ირიბი ეფექტი გამოითვლება ფორმულით

$$\mathcal{E}_{\text{ირ.}} = \mathcal{E}_{\text{პ.}} + 3, \quad (12.36.)$$

სადაც: $\mathcal{E}_{\text{პ.}}$ არის ჩამდინარე წყალთან ძვირფასი ნივთიერებების ამოღების შედეგად მიღებული ეფექტი;

3 – დამატებითი პროდუქციის მისაღებად დანახარჯების ეკონომია.

მაგ. განსაზღვრის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იყოს ძვირფასი ნივთიერებების ამოსალებად საჭირო დანახარჯები.

დანახარჯების ეკონომიის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ჩამდინარე წყლებით მორწყვა, რომლის დროსაც იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და შესაბამისად, დანახარჯების ეკონომიკურობა, რაც აუცილებელია დამატებითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებისთვის. ამ შემთხვევაში ირიბი ეფექტი ჰარი = 0

კითხვები

1. წყალსამეურნეო კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურის (მონაწილეების შე-მადგენლობის) განსაზღვრის ძირითად პრინციპი.
 2. რა არის შესაძარი ეკონომიკური ეფექტურობის მეთოდი?
 3. შესაძარი ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტის გაანგარიშება.
 4. რა არის დამატებითი კაპიტალდანახარჯების გამოსყიდვის დრო?
 5. ჯამური ხარჯების გრაფიკები.
 6. რა პრინციპით ხდება წყალსამეურნეო კომპლექსის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა?
 7. წყალსამეურნეო კომპლექსის საერთო ეკონომიკური ეფექტურობის გან-საზღვრის პრინციპები.
 8. წყალდამცავი ლონისძიებების ეკონმომიკური ეფექტურობის განსაზღვრა.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା

1. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. სსაუ, თბილისი, 2008 წ.
 2. **Anand P. B.** *Scarcity, Entitlements and the Economics of Water in Developing Countries (New Horizons in Environmental Economics)*. Edward Elgar Publishing, 2008.
 3. **Ariel Dinar and David Zilberman.** *Economics of Water Resources*. Springer; 1 edition, 2002.
 4. **Ballance T. and Taylor A.** *Competition and Economic Regulation in Water*. IWA Publishing; 1 edition, 2004.
 5. **Kay M. and Franks T.** *Water: Economics, Management and Demand*. Taylor & Francis; 1st ed edition, 1998.
 6. **Mauro Gallegati, Alan P. Kirman, and Matteo Marsili.** *The Complex Dynamics of Economic Interaction: Essays in Economics and Econophysics (Lecture Notes in Economics and Mathematical Systems)*. Springer; 1 edition, 2004.
 7. **Nick Hanley, Jason F. Shogren, Ben White.** *Environmental Economics. In Theory and Practice*. Typeset in Great Britain by Aarontype Limited, Bristol, England, 1997.
 8. **Pashardes P., Swanson T.M., and Xepapadeas A.** *Current Issues in the Economics of Water Resource Management: Theory, Applications and Policies (Economy & Environment)*. Springer; 1st edition, 2002.
 9. **Robert A. Young.** *Determining the Economic Value of Water: Concepts and Methods*. USA, 2005.
 10. **Steven Renzetti.** *The Economics of Water Demands (Natural Resource Management and Policy)*. Springer; 1 edition, 2002.
 11. Зузик Д.Т. Экономика водного хозяйства. Москва, Агропромиздат, 1980 г.
 12. Зузик Д.Т. и Веденяпин В.Е. Практикум по экономике водного хозяйства. Москва, Агропромиздат, 1972 г.
 13. Юшманов О. Л. и др. Комплексное использование и охрана водных ресурсов. Москва, Агропромиздат, 1985.

14. Яковлев С. В., Прозоров И. В., Иванов Е. Н., Губий И. Г. *Рациональное использование водных ресурсов*. Москва, Высш. шк., 1991.

ՅԵՅ ՑՅԵՐԾԳՅԵՅՆ

1. www.fao.org
2. www.economics.nrcs.usda.gov
3. www.enviroliteracy.org
4. www.worldbank.org
5. www.unesco.org
6. www.ec.gc.ca
7. www.economics.noaa.gov

თავი 13. ეკოლოგიური მონიტორინგი და საქართველოს ფყვის პანომლებლობა

"წყალი უნიკალური და უმარცვლეული, სახიცოცხლო მნიშვნელობის, ადამიანის, ცხოველთა სა-
მყაროს და მცენარეული საფრის არსებობისათვის აუცილებელი და საქართველოს კონსისტიუ-
ციური განვითარებისათვის უმნიშვნელობანები ბუნებრივი რესურსია. საქართველოს კონსტიტუ-
ციური ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების უკო-
ლოგიური და უკონტაქტური ინტერესების შესაბამისად, ახლანდებლი და მომავალი თაობების
ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და, შესაბამი-
სად, გარემოს შემაღებელი ძირითადი კომისიერების - წყლის დაცვას.

ეგველა, საქართველოში მცხოვრები, გადადგებულია უზრუნველყოფის წყლის რაციონალური და
მდგრადი გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი გაბინდურება, დანაგვითნება და დაშრუტია.

საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მას წადაში, კონტინენტურ შედეგში, ტერიტორიულ
წყლებსა და განსაკუთრებულ კონიშიერ ზონაში არსებული წყლი საქართველოს ერთგუ-
ლი ხიდიდორება და მას სახელმწიფო იცავს"

საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"

უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობა, თავისი მოღვაწეობის დროს, სულ უფრო
ფართოდ გამოიყენებს ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია
საჭიროა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. კერძოდ, ნარმოებისას, სოფლის-
მეურნეობის სამუშაოებისას, მშენებლობისას და ა.შ. მაგრამ გარემოს მდგომარეობაში
მიმდინარე ცვლილებები გამოწვეულია არა მხოლოდ ბიოსფერული პროცესების შედე-
გად, არამედ ადამიანის ანტროპოგენული ზემოქმედებითაც, რაც ეკოლოგიური მონი-
ტორინგის ერთ-ერთ სპეციფიკურ ამოცანას წარმოადგენს.

წინამდებარე თავში განხილულია ეკოლოგიური მონიტორინგი, საქართველოს
კანონმდებლობა წყლის შესახებ; საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"; საქართველოს
წყლის სტატუსი, სახელმწიფო ფონდი და წყლის ჯგუფები; წყლის სამართლებრივი
დაცვა; წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება და სახელმწიფო
მართვა; საერთაშორისო კონვენციები და ევროკავშირის წყლის პოლიტიკა.

13.1. ეკოლოგიური მონიტორინგის ცნება

თანამედროვე ტერმინი "მონიტორინგი" გულისხმობს დაკვირვებას გარემოზე,
მისი მდგომარეობის და ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული
ცვლილებების ანალიზს, შეფასებას და პროგნოზირებას.

ტერმინი "მონიტორინგი" პირველად 1971 წელს იუნესკოს-ში არსებული სპე-
ციალური კომისიის (გარემოს პრობლემების მეცნიერული კომიტეტი) რეკომენდაციე-
ბით წარმოიქმნა.

გარემოს მონიტორინგი ენოდება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე, მცენარეთა
და ცხოველთა სამყაროზე რეგულარული და წინასწარ დაგეგმილ დაკვირვებებს, რო-
მელთა საშუალებით ხდება მათი მდგომარეობის და ანტროპოგენული ზემოქმედების
შედეგად მათში მიმდინარე პროცესების შეფასება.

ეკოლოგიური მონიტორინგი არის გარემოს ორგანიზებული მონიტორინგი,
რომლის დროსაც ხორციელდება ადამიანის და ბიოლოგიური ორგანიზმების (მცენა-
რეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები და ა.შ.) არსებობის არის ეკოლოგიური პირო-
ბების, და ეკოსისტემების მდგომარეობის შეფასება.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან **მონიტორინგი მოიცავს** რამდენიმე ძირი-
თად პროცესს:

- დაკვირვების ობიექტის გამოყოფა-განსაზღვრა;

- განსაზღვრული ობიექტის გამოკვლევა;
- დაკვირვების ობიექტის ინფორმაციული მოდელის შედგენა;
- ობიექტის მდგომარეობის შეფასება და ინფორმაციულ მოდელთან იდენტიფიცირება;
- დაკვირვების ობიექტის ცვალებადობის პროგნოზირება;
- მომხმარებლისთვის ინფორმაციის წარდგენა.

საჭიროა ალინიშნის, რომ მონიტორინგის სისტემა არ მოიცავს გარემოს ხარისხის მართვას, მაგრამ წარმოადგენს ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მისაღებად (ეკოლოგიური თვალსაზრისით) მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს.

ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემა უნდა აგროვებდეს, აქცევდეს სისტემაში და აანალიზირებდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გარემოს მდგომარეობა;
- მდგომარეობის შესაძლებელი და მიმდინარე ცვლილებების მიზეზები (წყაროები და ზემოქმედების ფაქტორები);
- გარემოს ცვლილებების და დატვირთვების ზღვრები;
- ბიოსფეროს არსებული რეზირვები.

გამომდინარე აქედან, ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემაში შედის დაკვირვებები ბიოსფეროს ელემენტების მდგომარეობაზე და ანტროპოგენული ზემოქმედების წყაროებსა და ფაქტორებზე.

გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი შეიძლება ხორციელდებოდეს საწარმოს, ქალაქის, რაიონის, ოლქის, მხარის და ა.შ. დონეზე.

ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განზოგადოების ხასიათი და მექანიზმი ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემის იერარქიულ დონეებზე მოძრაობის ფროს განისაზღვრება ეკოლოგიური მდგომარეობის ინფორმაციული სურათის მიხედვით. ეკოლოგიური მდგომარეობის ინფორმაციული სურათი არის გრაფიკულად წარმოდგენილი მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ გარკვეული ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგომარეობას ტერიტორიის რუკის მეშვეობით.

მონიტორინგის სისტემა რეალიზდება რამდენიმე დონეზე, რომლებსაც შეესაბამება სპეციალურად შემუშავებული პროგრამები:

- იმპაქტური (ძლიერი ზემოქმედების შესწავლა ლოკალურ მასშტაბში);
- რეგიონალური (დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაციისა და ტრანსფორმციის პროცესები, სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედება);
- ფონური (ბიოსფერული ნაკრძალების ბაზაზე, სადაც გამორიცხულია რამენაირი სამეურნეო მოღვაწეობა).

ეკოლოგიური მონიტორინგის პროექტის შესამუშავებლად საჭიროა შემდეგი ინფორმაციის ქონა:

- გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების მოდინების წყარო.

ეკოლოგიური მონიტორინგის პროექტის შემუშავების დროს აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის ფლობა:

- გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრის წყარო - ატმოსფეროში საწარმოდან, ენერგეტიკიდან, ტრანსპორტიდან და სხვა ობიექტებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრა; ჩამდინარე წყლები და წყლის ობიექტები; ბიოგენური და დამაბინძურებელი ზედაპირული ჩამონადენი; ნიადაგში შეტანილი სასუები და შხამქიმიკატები სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობიდან; საწარმო და კომუნალური ნარჩენების სამარხები; ტექნოგენური ავარიები, რომელთა შედეგად ატმოსფეროში და ნიადაგში ხვდება საშიში ნივთიერებები და ა.შ.
- დამაბინძურებელი ნივთიერებების გადატანა - ატმოსფერული გადატანის პროცესები; წყალში გადატანის და მიგრაციის პროცესები;

- დამაბინძურებელი ნივთიერებების ლანდშაფტო-გეოქიმიური გადანაწილების პროცესები - დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაცია ნიადაგის პროფილში გრუნტის წყლების დონემდე; დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაცია ლანდშაფტურ-გეოქიმიური შეუღლებით გეოქიმიური ბარიერებისა და ბიოქიმიური ბრუნვის გათვალისწინებით; ბიოქიმიური ბრუნვა და ა.შ.;

- ემისიის ანტროპოგენული წყაროების მდგომარეობის მონაცემები - ემისიის წყაროს სიმძლავრე და ადგილმდებარეობა, გარემოში ემისიის მოდინების ჰიდროდინამიკური პირობები.

ემისიის წყაროების ზემოქმედების ზონაში წარმოებს სისტემატური დაკვირვებები გარემოს შემდეგ პარამეტრებსა და ობიექტებზე:

1. ატმოსფერო: ჰაერის სფეროს აეროზოლური და აირის ზონების ქიმიური და რადიონუკლეიიდური შედგენილობა; მყარი და თხევადი ნალექები (თოვლი, წვიმა) და მათი ქიმიური და რადიონუკლეიიდური შედგენილობა; ატმოსფეროს თბური და ტენით დაბინძურება;
2. ჰიდროსფერო: ზედაპირული წყლების (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები და ა.შ.), გრუნტის წყლების, ბუნებრივი წყალსადინარების და წაყალსაცავების შეტივნარებული და ფსკერული ნატანის ქიმიური და რადიონუკლეიიდური შედგენილობა;
3. ნიადაგი: ნიადაგის აქტიური შრის ქიმიური და რადიონუკლეიიდური შედგენილობა;
4. ბიომასა: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მცენარეული საფარის, ნიადაგური ზოოცენოზის, შინაური და გარეული ცხოველების, ფრინველების, მწერების, წყლის ფლორის და ფაუნის ქიმიური და რადიოაქტიური დაბინძურება;
5. ურბანიზებული გარემო: დასახლებული პუნქტების ქიმიური და რადიაციული ფონი; სასმელი წყლის, საკვების და ა.შ ქიმიური და რადიონუკლეიიდური შედგენილობა;
6. მოსახლეობა: დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის რაოდენობა და სიხშირე, შობადობა და სიკვდილიანობა, ასაკობრივი შემადგენლობა, დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიებისა და სიმახიალეების დონე); სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;

გარემოს და ეკოსისტემების მონიტორინგის სისტემები მოიცავენ შემდეგი დაკვირვებების საშუალებებს: ჰაერის ეკოლოგიური ხარისხი, ზედაპირული წყლების და წყლის ეკოსისტემების ეკოლოგიური მდგომარეობა, ზედაპირული ეკოსისტემებისა და გეოლოგიური შრის ეკოლოგიური მდგომარეობა.

ასეთი ტიპის მონიტორინგის დაკვირვებები ტარდება კონკრეტული ემისიის წყაროს გაუთვალისწინებლად და არ არის დაკავშირებული მათი გავლენის ზონებზე. ორგანიზების ძირითადი პრინციპია - ბუნებრივ-ეკოსისტემური.

ეკოსისტემების და გარემოს მონიტორინგის ჩარჩოებში ჩატარებული დაკვირვებების მიზნები შემდეგში მდგომარეობს:

- ეკოსისტემების და არსებობის გარემოს ფუნქციონალური მთლიანობის და მდგომარეობის შეფასება;
- ანტროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული გარემოს ცვლილებების გამოვლინება;
- ეკოლოგიური კლიმატის (მრავალწლიური ეკოლოგიური მდგომარეობა) ცვლილებების კვლევა.

80-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა ტერმინი **საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზა**, რომელიც მოიცავდა კვლევის ფართო არეს და ამ ტერიტორიის ქვეშ იგულისხმებოდა ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდების (ეკოლოგიური მონიტორინგი, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დამოუკიდებელი კვლევები და ა.შ) ერთობლიობა. ამჟამად ეკოლოგიური ექსპერტიზის ცნება განსაზღვრულია კანონმდებლობით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ქვეშ იგულისხმება კომპლექსური ექსპერტიზა ფართო გაგებით, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ, გარემოს დაცვით, სოციალურ ეკონომიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და ა.შ. ასპექტებს, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრს.

წყლის ეკოსისტემების მიზანდასახული გარდაქმნისთვის დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის არსენალში მრავალი საშუალებაა; ეს დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან, მაგრამ ამოცანა, რომელიც ამჟამად დგას, ითველისწინებს - მოიძებნოს ყველაზე ოპტიმალური და ეკოლოგიურად მყარი გადაწყვეტილება, ე.ი. მინიმალური დანახარჯებით დადგენილი ღონისძიებების შედეგად მიღებული იყოს საჭირო სამეურნეო და სოციალური ეფექტი.

12.2. ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემების დაგეგმარება

ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემის პროექტირება მიზნად ისახავს მისი მუშაობის ფუნქციონალური მოდელის ან ინფორმაციის მიღების მთელი ტექნოლოგიური ჯაჭვის შექმნას. ვინაიდან ინფორმაციის მიღების ყველა ეტაპი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომელიმე ეტაპის უგულებელყოფა გამოიწვევს მიღებული ინფორმაციის სიზუსტის დარღვევას.

მონიტორინგის სისტემის დაგეგმარების დროს აუცილებებლია გათვალისწინებულ იყოს, რომ მიღებული შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწყისი ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხზე. იგი უნდა მოიცავდეს დეტალურ მონაცემებს წყლის, ბიომასის, ფსკერული ნატანის, დაბინძურების წყაროების და ა.შ. დეტალურ ინფორმაციას და აგრეთვე ამ მონაცემების დროში და სივრცეში ცვლილებების პროგნოზებს. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს წყლის ხარისხთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტი, ფინანსური შესაძლებლობები, ზოგადი ფიზიკო-გეოგრაფიული მდგომარეობა, წყლის ხარისხის მართვის ძირითადი ხერხები და სხვა მონაცემები.

1. **წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემების ამოცანების განსაზღვრა.** წყლის ხარისხის ინფორმაციისადმი მოთხოვნების განსაზღვრისათვის აუცილებელია დეტალიზაცია და დასმული ამოცანების დაკავშირება. მკაფიოდ დასახული ამოცანების ბაზაზე და აგრეთვე წყლის ხარისხის ადრე დაგროვილი მონაცემების საფუძველზე უნდა განისაზღვროს მოთხოვნები ინფორმაციის მომხმარებლისთვის მიწოდების ვადების, ფორმების და ტიპის გათვალისწინებით. დაგეგმარების პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს მოცემულობის დამუშავების სტატისტიკური მეთოდები, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული დაკვირვებების ჩატარების ვადები და სიხშირე და მიღებული მნიშვნელობების სიზუსტე.
2. **დაკვირვებების ქსელის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და მათი ჩატარების პრინციპების შემუშავება.** ეს არის ყველაზე რთული და ძირითადი ეტაპი, რომელზეც დასმული ამოცანების და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების არსებული გამოცდილების გათვალისწინებით განისაზღვრება დაკვირვებების ქსელის ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის - ცენტრალური და რეგიონალური (ანდა პრობლემური), მათი ძირითადი ამოცანების მითითებით. გაითვალისწინება დაკვირვებათა ქსელის სახეობათა შორის ოპტიმალური თანაფარდობის შესანარჩუნებელი ღონისძიებები. ამ ეტაპზე წყდება წყლის ხარისხის მონიტორინგის ქვესისტემების (ავტომატიზირებული, დისტანციური და ა.შ.) გამოყენების მასშტაბების და მიზანშეწონილობის საკითხები, დაკვირვებების ჩატარების პრინციპები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილ იყოს მეთოდური რეკომენდაციებისა და მითითებების სახით.
3. **მონიტორინგის ქსელის აგება.** მოცემული ეტაპი ითვალისწინებს შემუშავებული პრინციპების რეალიზებას, ადგილმდებარეობის პრინციპების გათვალისწინებით. დგინდება სტაციონალური ქსელის განლაგების წერტილები, გამოიყო-

ფა ინტენსიური დაკვირვებების არები, დგინდება დაკვირვებების ჩატარების ინტენსივობა. დგება ყოველი პუნქტის კონკრეტული პროგრამა. წყლის ხარისხის ავტომატიზირებული, ანდა დისტანციური დაკვირვებების შემთხვევაში კონკრეტდება მათი მუშაობის პროგრამა.

4. **მოცემულობის მიღების სისტემის შემუშავება და მათი მიწოდება მომხმარებლისადმი.** ამ ეტაპზე დგინდება ინფორმაციის შეკრების და მიღების იერარქიული სტრუქტურა. იგეგმება წყლის ხარისხის მონაცემთა ბანკის შემუშავება. აგრეთვე ითვალისწინება სამუშაოს ყველა ეტაპზე მიღებული ინფორმაციის სიზუსტის კონტროლი.
5. **მიღებული ინფორმაციის შემოწმების სისტემის შექმნა.** მონიტორინგის სისტემის შექმნისა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემდეგ დგება საკითხი: შეიძლება თუ არა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვარეგულიროთ წყლის ხარისხი? ამისათვის აუცილებელია დამყარებული იყოს კავშირი წყლის ხარისხის მართვის ორგანიზაციებთან. თუ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მონიტორინგის სისტემა შეიძლება უცვლელად დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია მონიტორინგის სისტემის გადახედვა.

13.3. საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებს "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ", "წყლის შესახებ" და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში. ამის გარდა, საქართველოში მიღებულია დაახლოებით 30 კანონი, რომლებიც ასახავენ წყლის რესურსების გამოყენების, დაცვის და მართვის საკითხებს.

საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" დამტკიცდა 1996 წლის 10 დეკემბერს და 2000-2007 წლებში შეტანილ იქნა 3 ცვლილება.

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ძირითადი მიზნებია: განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები; დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოთი; უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; შეინარჩუნოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ქვეყნისათვის დამახასიათებელი იშვიათი, ენდემური, საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობები, დაიცვას ზღვის გარემო და უზრუნველყოს ეკოლოგიური წონასწორობა; შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა; უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები.

კანონის ძირითადი ამოცანები შემდეგში მდგომარეობს: დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური ურთიერთშეთანაწყობა (ჰარმონიული შესამება).

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველ კარში მოცემულია ზოგადი დებულებანი, ძირითადი ცნებების განმარტებანი, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი დაცვის სფეროში და ვალდებულებები.

მეორე კარი, რომელიც კანონის ძირითადი ნაწილია, მოიცავს: განათლებას და სამეცნიერო გარემოს კვლევას, ეკონომიკურ მექანიზმებს და ლიცენზირებას გარემოს დაცვის სფეროში; გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვას; ლიცენზიებს გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; გარემოს დაცვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას და დაცვის ნორმებს; ეკოლოგიურ მოთხოვებს ნარჩენებისადმი; გარემოსდაცვით მოთხოვნებს საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას; საგანგებო ეკოლოგიურ მდგომარეობას; ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვას; დაცულ ტერიტორიებს; გარემოს დაცვის გლობალურ და რეგიონალურ მართვას; საერთაშორისო თანამშრომლობას გარემოს დაცვის სფეროში და პასუხისმგებლობას.

კანონის მესამე კარი დასკვნით ნაწილს წარმოადგენს და მის ამოქმედების ვა-დებს მოიცავს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ, გარდა საქართველოს კანონისა "გარემოს დაცვის შესახებ", ეყრდნობა არანაკლებ მნიშვნელოვან საქართველოს კანონს "**წიაღის შესახებ**".

საქართველოს კანონი "წიაღის შესახებ" ძალაშია 1996 წლის 17 მაისიდან. 1999-2005 წლებში შეტანილ იქნა 7 ცვლილება და დამატება.

საქართველოს კანონი "წიაღის შესახებ" განსაზღვრავს წიაღის სტატუსს, აღწერს მის გამოყენებას, ადგენს არსებული ლიცენზირების ტიპებს და განსაზღვრავს წიაღისეულის მომხმარებლის უფლებებსა და პასუხიმგებლობებს. კანონი ანაზიღებს პასუხისმგებლობებს მინის დასაცავად დაბინძურებისაგან და უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საქმიანობის დამოკიდებულებას შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებთან. კანონი აღწერს ლიცენზირების პროცედურას, განსაზღვრავს სალიცენზიონ გადასახადს და წიაღისეულის გამოყენების ეკონომიკურ პრინციპებს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ქვეყნის წიაღი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და აკრძალულია ნებისმიერი გარიგება თუ შეთანხმება, რომელიც მასზე სახელმწიფო საკუთრებას ხელყოფს. უფრო მეტიც, მინაზე საკუთრება არავითარ შემთხვევაში არ წიშნავს წიაღის საკუთრების უფლებას.

ზოგადად, წიაღის სახელმწიფო ფონდს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შელფსა, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი, მიუხედავად იმისა, ხდებოდა თუ მოხდა წიაღით სარგებლობა.

თავის მხრივ, ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუნქტურის გათვალისწინებით წიაღისეული იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად. სახელმწიფო მნიშვნელობის წიაღისეულის ჯგუფში ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის წიაღისეული და წიაღით სარგებლობის ობიექტები (საბადოები), რომელთა დამუშავებას სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ უკავშირდება გარკვეული სოციალური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და განვითარებას.

სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის ჯგუფების, აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის წიაღისეულისა და წიაღით სარგებლობის ობიექტების (საბადოების) ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარდგინებით.

13.4. საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"

წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უმთავრეს ნაწილს **საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"** წარმოადგენს. იგი დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1997 წლის 16 ოქტომბერს, რის შემდეგაც 2000-2006 წლებში შეტანილ იქნა 8 ცვლილება. საქართველოს კანონი "წყლის შესახებ" შედგება ოთხი კარის, XIII თავისა და 96 მუხლისგან.

კანონის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში; წყლის ობიექტების დაცვა (მათ შორის საქართველოს შავი ზღვის) და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკამაყოფილება; წყლის ცხოველთა სამყაროს მდგრადობა და მდგრადი გამოყენება; წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია; საქართველოს სახლმწიფო ინტერესების გარანტირებული დაცვა წყლის დაცვის, გამოყენებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში; წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების დაცვით; ფიზიკური ან იურიდიული პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში.

პირველი კარი წარმოადგენს კანონის ზოგად ნაწილს, რომელშიც მოცემულია ზოგადი დებულებები: განმარტებულია გამოყენებული ტერმინები, ჩამოყალიბებულია მიზნები და წყლის სტატუსი, საქართველოს წყლის სახლმწიფო ფონდი წყლის ჯგუფები და კომპენსაციის გამიჯვნა წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში.

მეორე კარის სახით წარმოდგენილია კანონის ძირითადი ნაწილი, რომლებშიც გათვალისწინებულია წყლის დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა, წყლის დაცვა გაბინძურებისა, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან. ცალკე მუხლადაა გამოტანილი შავი ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვა.

საქართველოს კანონი "წყლის შესახებ" აგრეთვე, ითვალისწინებს იმ საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგრამობაზე. განმარტებულია წყალდაცვითი ზოლების მცნება, მოცემულია კანონით დადგენილი სიგანეები, სანიტარული დაცვის ზონები, ზოლის ტერიტორიაზე მიწის და ტყის გამოყენების მოთხოვნები.

კანონის მეორე კარის IV თავი მთლიანად ეთმობა წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების და მისი შედეგების ლიკვიდაციას, რაც გულისხმობს წყალდიდობების წინააღმდეგ ბრძოლისა და უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციას. აგრეთვე, განმარტებულია საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონა.

კანონის V თავი, რომელიც მის უმნიშვენელოვანეს ნაწილს წარმოადგენს მთლიანად ეთმობა წყალსარგებლობის პრობლემებს. უპირველეს ყოვლისა დაკანონებულია მოსახლეობის დაკამაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით, მოცემულია წყალმოსარგებლეთა (როგორც ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირები) უფლება-მოვალეობანი, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების და ჩამდინარე წყლის ჩაშვების ლიცენზიის გაცემის წესი და ფორმა, სპეციალურ სარგებლობაში გადაცემული წყლის ობიექტით სარგებლობის პირობები სარგებლობის ძირითადი მიზნების მიხედვით და წყალსარგებლობა საქართველოს ტრანსასაზღვრო წყლებში.

ამავე კარის ცალკე თავებად არის გამოყოფილი: წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა; წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება; წყლის დაცვისა და გამოყენების სახლმწიფო მართვა, რომელიც შეიცავს წყლის სახელმწიფო კადასტრს, წყალსამეურნეო ბალანსებს, წყლის სახლმენიფო მონიტორინგს და წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმებს; პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

კარი მესამე წარმოადგენს გარდამავალ ნაწილს, რომელშიც მოცემულია "საქართველოს კანონი წყლის შესახებ"-ის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები და მისაღები ნორმატიული აქტების ნუსხა, ხოლო კარი მეოთხე დასკვნითი ნაწილია და ეხება კანონის ამოქმედების ვადებს.

გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ "წყლის შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს ძირითადად სამართლებრივ ურთიერთობებს: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის წყლის დაცვის, შესნავლისა და გამოყენების სფეროში; ხმელეთზე, ნიაღში, კონტინეტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში წყლის დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში; წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. კანონი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

13.4.1. საქართველოს წყლის სტატუსი, სახელმწიფო ფონდი და წყლის ჯგუფები

საქართველოს წყლები, მათი მიწის ზედაპირზე და წიაღში განლაგების ნიშნით, რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით, იყოფა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებად (მათ შორის წყაროები და კონტინენტური შლეიფის წყლები). ზედაპირულ წყლებს განეკუთვნება: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები; მყინვარების და თოვლის მუდმივი საფარი; ჭაობები; საქართველოს ტერიტორიული წყლები; განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ქმნის წყლის სახელმწიფო ფონდს. წყლის სახელმწიფო ფონდს განკარგავს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

წყლის სახელმწიფო ფონდის მინად საქართველოს მიწის კანონმდებლობის შესაბამისად მიიჩნევა ის მიწა, რომელიც დაკავებულია ზემოთ აღნიშნული წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარული დაცვის ზონად და ა.შ.

წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომელიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას.

წყლის ობიექტები მათი ჰიდროგრაფიული მახასიათებლების და გეოგრაფიული მდებარეობის, განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური, აგრეთვე ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის, სახელმწიფო მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის.

განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება: მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი; განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტები, რომლითაც სპეციალური სარგებლობა იკრძალება მთლიანად ან ნაწილობრივ. განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებზე ნებადართულია:

- სამეცნიერო-კვლევითი და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოები;
- წყალსარგებლობა სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხანძარსა-ნინააღმდეგო საჭიროებისათვის, სტიქიური უბედურების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტზე (ან მის ნაწილზე), რომლითაც სპეციალური სარგებლობა ნაწილობრივ აკრძალულია, არ დაიშვება (მუდ-მივად ან განსაზღვრულ პერიოდებში) საქმიანობის ცალკეული სახეობები წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება: ჭაობები; ზედაპირული წყლის ის ობიექტები, რომელთა წყლის ფონდის მიწები განლაგებულია საქართველოს ორი ან მეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, რაიონის) ტერიტორიაზე; ტრანს-სასაზღვრო წყლის ობიექტები; ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები; მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი საბადოები.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება ყველა დანარჩენი წყლის ობიექტი.

განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული ობიექტების ნუსხას ადგენს და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით "განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე", ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის ობიექტის ნუსხას ამტკიცებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, ერთობლივი ბრძანებით "სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

13.4.2. წყლის სამართლებრივი დაცვა

წყლის დაცვის ღონისძიებები ფინასდება საქართველოს სახელმწიფო, ხოლო მათი კომპეტენციიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ბიუჯეტიდან.

წყლის დაცვის ღონისძიებები იგეგმება მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტების გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე - "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ" და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების სამართლებრივი ბრძანებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედეგის წესსა და პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:

- წყლის ობიექტების დაცვა გაბინდურების, დანაგვიანების, დაშრეტის და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგანმენდის უნარის დაქვეითება, წყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა და სხვა არასასურველი შედეგები;

- მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის წყალზე;
- განასაკუთრებული სამეცნიერო, ესთეტიკური და რეკრეაციული მნიშვნელობის წყლის ობიექტების დაცვა;
- სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარული დაცვის ზონებში დადგენილი რეჟიმების განუხრელი დაცვა;
- წყლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების გარემოს მდგომარეობაზე გავლენის სარწმუნო პროგრამირება, შეფასება და აუცილებელი ზომების განხორციელება გარემოსა და მოსახლეობის უზრუნველსაყოფად;
- წყლის ცალკეული ობიექტებისათვის დაცული ტერიტორიის კატეგორიის მინიჭება;
- წყლის ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ზღვისა და წყლის სხვა ობიექტების, სანაპირო ზოლებისა და ზონების შენარჩუნება და დაცვა;
- წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ღირებიდაცია.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში წყლის დაცვის ღონისძიებები იგეგმება "წყლის შესახებ" და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე.

იმ საწარმოს, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომელიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე. ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იყოს წყლის რაციონალური გამოყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დასაკმაყოფილებლად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იყოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და მათში დაპრუნებული წყლის ალრიცხვას, წყლის დაცვას გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას, მინების დატბორვის შეზღუდვას მინიმარულად აუცილებელ დონემდე, მინების დაცვას დამლაშების, წყლის შედგომის ან გამოშრობისგან.

თევზსამეურნეო წყალსატევებზე ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობების და სხვა ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნების შესრულებასთან ერთად დოროულად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი თევზის, წყლის ცხოველთა სამყაროს სხვა ობიექტების და მცენარეების დაცვის და მათი აღწარმოების პირობების უზრუნველსაყოფად.

ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას უზუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პირობების დაცვა: წყლის ობიექტში ჩასაშვები ჩამდინარე წყლის განმენდა დადგენილ ნორმამდე; აკრძალულია ბუნებრივი წყალსატევის გამოყენება ჩამდინარე წყლის განზავებისათვის; აკრძალულია ჩამდინარე წყლებით იმ მინების მორწყვა, რომლთაც არ გააჩნიათ მიწისქვეშა წყლების რეჟიმზე და შემადგენლობაზე დაკვირვების ქსელი.

აკრძალულია საექსპლუატაციოდ გადაეცეს:

- ახალი და რეკონსტრუირებული საწარმო, საამქრო, ტერმინალი, აგრეგატი, კომუნალური და სხვა ობიექტები, თუ მათ არ გააჩნიათ სათანადო მოწყობილობა,

რომელიც უზრუნველყოფს წყლის გაბინძურების, დანაგვიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას;

- სარწყავი და განყლოვანების სისტემა, წყალსაცავი და არხი, ვიდრე არ გატარდება პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები მიწების დატბორვის, წყლის შედგომის, დაჭაობების და დამლაშების, ნიადაგის ეროზის თავიდან ასაცილებლად;
- დამშრობი სისტემები - თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მზად არ იქნება წყლის მიმღები და სხვა ნაგებობები;
- წყალამღები ნაგებობები, თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მათ არ გააჩნიათ თევზის დამცავი მოწყობილობა;
- ჰიდროტექნიკური ნაგებობები - თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მზად არ იქნება წყალდიდობისას ზედმეტი წყლის და თევზის გამტარი მოწყობილობები და მდინარეთა კალაპოტები, აგრეთვე, უზრუნველყოფილი არ იქნება შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებები;
- მინისქვეშა წყლების ამღები ნაგებობები და ჭაბურღილები - წყლის მარებულირებელი და მინისქვეშა წყლების რეჟიმზე დაკვირვების მოწყობილობებით მათი აღჭურვისა და შესაბამის შემთხვევაში, სანიტარული დაცვის ზონების დადგენის გარეშე;
- ნავთობპროდუქტების მიღსადენი და ტერმინალი - წყლის გაბინძურებისაგან დაცვის, ნავთობპროდუქტების გაუზოვის აღმომჩენი, საკონტროლო გამზომი, წყლის ობიექტებში ნავთობპროდუქტების შესაძლო მოხვედრის ადგილებში ნავთობდამჭერი მოწყობილობების და საშუალებების, სავარიო სამსახურის (მათ შორის, საინფორმაციო) გარეშე;
- თვითმავალი და არათვითმავალი გემები, რომელთაც არ გააჩნიათ გემზე წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა ჩამდინარე წყლების შემკრები მოწყობილობა. აკრძალულია წყალსაცავის ავსება, ვიდრე არ განხორციელდება მისი კალაპოტის მოსამზადებლად პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- იმ საწარმოს, ნაგებობისა და სხვა ობიექტის მშენებლობის ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა ორგანოებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

13.4.3. წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება და სახელმწიფო მართვა

წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება მოიცავს:

- წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ეკონომიკური ურთიერთობის განსაზღვრასა და მართვას, მათ შორის ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბუნებათმოსარგებლეთა შორის;
- გადასახადების სისტემის ფორმირებას წყლითა და მისი ობიექტებით სარგებლობისათვის;
- წყალმოსარგებლეთა ეკონომიკურ დაცვას.
- წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი მოიცავს:
 - წყლის აღრიცხვას და ეკონომიკურ შეფასებას;
 - ეკონომიკურად დასაბუთებული წყალსარგებლობის გადასახადების სისტემას;
 - წყლის დაცვის, აღდგენის და წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების ბიუჯეტიდან დაფინანსებას;

- წყლის დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ეკონომიკურად დასაბუთებული ჯარიმების სისტემას;
 - წყლით უკანონო სარგებლობისას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩამორთმეული ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების და წყლის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული სახსრების, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წებაყოფლობითი შენირულობების მიზან-მიმართულ გამოყენებას.

წყალსარგებლობის გადასახადების სისტემა მოიცავს:

- გადასახადს წყლის ობიექტებით სპეციალური სარგებლობისათვის;
 - წყალსარგებლობის სალიცენზიო მოსაკრებელს.

წყალსარგებლობის გადასახადისა და ჯარიმის გადახდა მოსარგებლეს არ ათავისუფლებს წყლის დაცვის ღონისძიებების შესრულების ვალდებულებისაგან და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

ნყალსარგებლობის გადასახადი გადაიხდება ლიცენზიის გაცემიდან მისი მოქმედების მთელი ვადით.

- წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის მიზნით საქართველოში მოქმედებს წყლის დაცვისა და გამოყენების რთვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემის მიზანია:

- წყლით რაციონალური სარგებლობის სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა;
 - გაბინდურების, დანაგვიანების და დაშრეტისაგან წყლის დაცვის უზრუნველყოფა;
 - წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ლიკვიდაცია;
 - ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის წყალსარგებლობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
 - თავისუფალი ეკონომიკური კავშირების განვითარება;
 - წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში საერთაშორისო კავშირების განვითარება და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის, მათ შორის იმპორტისა და ექსპორტის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების

- წყალსარგებლობის სფეროში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;
 - წყალმოსარგებლეთა, მათ შორის უცხოელების, აუცილებელი გარანტიების უზრუნველყოფა და წყალსარგებლობაზე მათი უფლებების დაცვა.

საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში - საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროები, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი და ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

ნელის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა ხორციელდება აღრიცხვის, მონიტორინგის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის მეშვეობით.

ნების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვის ამოცანაა წყლის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წყლისა და გარემოს დაცვა, აგრეთვე წყალ-სარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირება, მინისევეშა წყლების სარესურსო პაზის შექმნა.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ამოცანა წყლის ობიექტების და მათში არსებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის, მისი გამოყენების მონაცე-

მების დადგენა, წყალმოსარგებლეთა შორის წყლის მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დასაკმაყოფილებლად, წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების ფორმებით. ფორმები ივსება წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, რომლის წარმოება დადგენილი ფორმით სავალ-დებულო ყველა წყალმოსარგებლისათვის.

წყალსარგებლობის სპეციალური ფორმით მოსარგებლე ვალდებულია წყალსარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია უსასყიდლოდ გადასცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო სახელმწიფო ფონდს, სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

მიწისქვეშა წყლების შესწავლის სამუშაოები, მათი საბადოები, მარაგი და რესურსები, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებით ყველა სხვაგვარი სარგებლობა, ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციასა და აღრიცხვას "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

წყლის სახელმწიფო კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლის აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლის გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო კადასტრის წარმოება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო კადასტრის შედგენის, აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესები განისაზღვრება დებულებით წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო კადასტრის შედგენის, აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესების შესახებ, რომელსაც საქართველოს გეოლოგიისა და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო.

წყალსამეურნეო ბალანსები დგება ცალკეული წყლის ობიექტების აუზების, ადმინისტრაციული ერთეულების, რეგიონების და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით და მათში შეფასებულია წყლის მდგომარეობის ხარისხი, მოხმარებისა და არსებული რესურსების თანაფარდობა და სტრუქტურა.

წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის წესი განისაზღვრება დებულებით წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის წესის შესახებ, რომელსაც ამტკიცებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ერთობლივი ბრძანებით.

წყლის სახელმწიფო მონიტორინგი (მდგომარეობაზე დაკვირვების და ანალიზის სისტემა) წარმოადგენს წყლის ობიექტებში და ჩამდინარე წყლებში წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობაზე რეგულირებული დაკვირვებისა და ინფორმაციის ანალიზის ერთიან სისტემას, რომლის მიზანია ინფორმაციის მიღება წყლისა და მისი ობიექტების მდგომარეობის შესახებ, მისი გარემოსთან (ბუნებრივ და ანთროპოგენულ ურთიერთებების, წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობის, ღვარცოფის, მეწყერის და სხვა) პროგნოზირება და სხვა).

წყლის სახელმწიფო მონიტორინგი ხორციელდება გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფარგლებში.

წყლის სახელმწიფო მონიტორინგის წარმოების სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

წყლის სახელმწიფო მონიტორინგს თავიანთი კომპენსაციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი.

13.5. საერთაშორისო კონვენციები

საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს **საერთაშორისო კონვენციები** წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობის არარსებობის, ან განსხვავებული ნორმების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულია წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების წესები.

საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ" განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების სამართლებრივ იურიდიული ძირი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა ადგილობრივ სამართლებრივ აქტებთან (გარდა კონსტიტუციისა) შედარებით.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები მოიცავს:

ორჰესის კონვენცია — "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მარლომსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ". საქართველოს მიერ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის №135 დადგენილებით.

ორჰესის კონვენციის საფუძველი ჩაეყარა 1998 წელს ქ. ორჰესში, დანიაში და იგი ძალაშია 2001 წლის ოქტომბრიდან. კონვენციაში მონაწილეობს 49 ქვეყანა. მათ შორის საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, მოლდოვა, პოლონეთი, ბულგარეთი, გერმანია, ავსტრია, მალტა, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ჩეხეთი და სხვა.

კონვენციის მთავარი მიზანია გააძლიეროს გარემოს დაცვა საზოგადოების სხვადასხვა პროცესებში ჩართვით და მათი მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღებაში. კონვენცია შექმნილია ისე, რომ ეხმარება დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების უფლებები, ვინაიდან ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში ცხოვრების უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო.

ორჰესის კონვენცია ერთმანეთთან აკავშირებს გარემოს დაცვის საკითხებსა და ადამიანის უფლებებს და შედეგად ადასტურებს, რომ:

- მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია;
- საზოგადოებას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება;
- საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უფლება მარლომსაჯულებაზე ზემოთხსენებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს გარემოსდაცვითი სფეროს კანონმდებლობაზე.

1992 წლის 5 ივნისის კონვენცია "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ"

(რომ დე უანერიო) - საქართველოს მიერ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, აქვთ საკუთარი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად საკუთარი რესურსების ექსპლუატაციის სუვერენული უფლება და პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე, რომ მათი იურისდიქციისა და კონტროლის ფარგლებში წარმოე-

ბულმა საქმიანობაში არ მიაყენოს ზიანი სხვა სახელმწიფოების გარემოსა თუ მათი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არსებულ ტერიტორიებს.

შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია (ბუქარესტის კონვენცია, 1992 წლის 21 აპრილი) - რატიფიცირებულია ყველა მონაწილე ქვეყნის (საქართველო, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი უკრაინა) მიერ 1994 წელს.

კონვენციაში აღნიშნულია, რომ: შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა რჩება შეშფოთების საგნად, ვინაიდან გრძელდება მისი ეკოსისტემების გაუარესება და ბუნებრივი რესურსების არამდგრადი მოხმარება. ტრანსსასაზღვრო დიაგნოსტიკურ ანალიზს, რომელიც ამ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ტექნიკურ დანართს წარმოადგენს და შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

- შავი ზღვის ეკოსისტემებს კვლავ საფრთხეს უქადის ზოგიერთი დამაპინძურებელი, კერძოდ - ნუტრიენტები (საკვები ნივთიერებები). ისინი ხვდებიან შავ ზღვაში ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან მდინარეების მეშვეობით. ნუტრიენტების მთელი მოცულობის ნახევარზე მეტი შავ ზღვაში მდინარე დუნაის შემოაქვს. ეუთოროვიკაცია შავი ზღვის ბევრ არეში დამახასიათებელი მოვლენაა და მოითხოვს შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის ზრუნვას.
- ჩამდინარე წყლების არასაკმარისად განმენდა იწვევს მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების არსებობას, ადამიანთა ჯანმრთელობას უქადის საფრთხეს და მთელ რიგ შემთხვევებში, მდგრადი ტურიზმისა და აკვაკულტურის განვითარებას ელობება წინ. გარდა ამისა, სხვა მავნე ნივთიერებების, განსაკუთრებით ნავთობის, მოხვედრა, კვლავ უქადის საფრთხეს შავი ზღვის ეკოსისტემას. ნავთობის მოხვედრა გარემოში გამოწვეულია მისი ავარიული ან მუშა ჩაღვრით გემებიდან, ასევე - შემოდინებით ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან. თითქმის ნახევარი იმ ნავთობისა, რაც შავ ზღვაში ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან ხვდება, მდინარე დუნაის გზითაა შემოსული. უფრო მეტიც, გემებიდან ბალასტური წყლების ჩაღვრის შედეგად ეგზოტიკური სახეობების დამკვიდრებამ სერიოზულად დააზიანა შავი ზღვის ეკოსისტემა და საფრთხეს არა მარტო შავ ზღვას, არამედ მომიჯნავე კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებსაც უქადის.
- რესურსების შეუსაბამო მართვა და, კერძოდ, შეუსაბამო მიდგომა თევზრეწვისა და სანაპირო ზოლის მართვაზე, კვლავ ელობება წინ რეგიონის მდგრად განვითარებას. სარეწაო თევზის მარაგის უმეტესი ნაწილი, არის რა ამჟამად დაზარალებული დაბინძურებისაგან, ჭარბ ექსპლუატაციასაც განიცდიდა ან ასეთი ექსპლუატაციის საფრთხის ქვეშა;
- ბევრი სანაპირო არე ეროზის ან ქალაქებისა თუ საწარმოების უსისტემო განვითარების შედეგად ცუდ მდგომარეობაშია. ყველაფერი ამის გამო არსებობს სერიოზული საფრთხე ცხოველთა თუ მცენარეთა გავრცელების ფასეული არეალებისა თუ განუმეორებელი ლანდშაფტების დაკარგვისა და საბოლოო ჯამში შავი ზღვის ეკოსისტემის ნაყოფიერებისა და ბიომრავალფეროვნების მკვეთრი დაცემის.
- ზემოთაღნიშნულ მოსაზრებებს შავი ზღვის დეგრადაციის შეუქცევადობისაკენ მივყევართ. საჭიროა აღინიშნოს, რომ გარემოზე დაკვირვებამ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში გამოვლინა შესამჩნევი და ახლაც მიმდინარე გაუმჯობესება შავი ზღვის ეკოსისტემის რამდენიმე კერძო უბანში. ეს სასიკეთო ძვრები - არაპირდაპირი შედეგია რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითებისა, ნაწილობრივ კი - მთავრობების მხრიდან გატარებული დაცვითი ღონისძიებების. ამოცანა, რომლის წინაშეც დგას ახლა რეგიონი, ასეთია: შენარჩუნებული იქნას გარემოს ჯანსაღი მდგომარეობა იმ მომენტისათვის, როდესაც დაიწყება რეგიონის ეკონომიკური აღორძინება.
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა არის ერთ-ერთი საფეხური შავი ზღვის რეგიონში მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში. მისი საბოლოო მიზანია - მიეცეს შავი ზღვის რეგიონის მოსახლეობას საშუალება - ისარგებლოს ჯანსაღი

საცხოვრებელი გარემოთი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად და მიღწეულ იქნას შავი ზღვის ეკოსისტემის ისეთი ბიომრავალფეროვნება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება უმაღლესი ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანი ბუნებრივი პაბულაციები, ზღვის ძუძუმწოვრებისა და ზუთხისებრთა ჩათვლით, და რომელიც ხელს შეუწყობს სასიცოცხლო მნიშვნელობის ისეთ მდგრად საქმიანობას, როგორიცაა თევზჭერა, აკვაკულტურა და ტურიზმი შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყანაში.

13.6. ევროკავშირის წყლის პოლიტიკა

ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის **ჩარჩო დირექტივა "წყლის შესახებ"**, წყლის პოლიტიკის სფეროში ევროპის კანონმდებლობის ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. დირექტივა განსაზღვრავს წყლის პოლიტიკას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის და ამდენად, წარმოადგენს ჩარჩო კანონს, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მართვასა და დაცვას თანამეგობრობის ქვეყნებში.

"წყლის შესახებ" ჩარჩო დირექტივა ქმნის ზედაპირული წყლების, გარდამავალი და სანაპირო წყლებისა და მინისქვეშა წყლების მართვის საფუძველს. კერძოდ, უზრუნველყოფს წყლის ობიექტების დეგრადაციის თავიდან აცილებას; დაბინძურების შემცირებას და აღკვეთას; წყლის მდგრადი მოხმარების სტიმულირებას; წყლის ეკოსისტემების მდგომარეობის გაუმჯობესებას; წყალდიდობებისა და გვალვების შედეგების ლიკვიდაციას.

წყლის ობიექტების იდენტიფიცირება და ანალიზი დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულები არიან მოახდინონ მათი ტერიტორიის ფარგლებში არსებული მდინარეთა აუზების იდენტიფიცირება, ისევე როგორც ტრანსასაზღვრო აუზების იდენტიფიცირება, რომლებიც ორი ან მეტი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზეა განვითარებული; ასევე, მოაგვარონ შესაბამისი ადმინისტრაციული საკითხები, მათ შორის, მოახდინონ შესაბამისი კომპეტენტური მმართველი ორგანოს იდენტიფიცირება თითოეული აუზისათვის.

ამასთან, დირექტივაში განსაზღვრულია განხორციელების კონკრეტული ვადები. კერძოდ, წევრ ქვეყნებს აუზების მმართველი კომპეტენტური ორგანოები უნდა დაედგინათ არაუგვიანეს 2003 წლის 22 დეკემბრისა; ხოლო დირექტივის ძალაში შესვლიდან 4 წელიწადში წევრ ქვეყნებს უნდა დაესრულებინათ მდინარეთა აუზების მახასიათებლების ანალიზი, წყლის ობიექტებზე ადამიანის საქმიანობის გავლენის შეფასების მიმოხილვა, წყლის მოხმარების ეკონომიკური ანალიზი; და იმ ტერიტორიების რეგისტრაცია, რომლების განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ. ამ კვლევების გადასინჯვა და საჭიროების შემთხვევაში, განხალება უნდა მოხდეს დირექტივის ძალაში შესვლიდან 13 წლის შემდეგ და შემდგომში, ყოველ 6 წელიწადში.

2005 წლს ევროკავშირისამ გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინებები საბერძნების, იტალიისა და ესპანეთის მთავრობებს იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნებიდან არ იქნა მონიდებული მდინარეთა აუზებისა და მათი მმართველი პასუხისმგებელი ორგანოს შესახებ ინფორმაცია დადგენილ ვადებში, ანუ 2004 წლის 22 ივნისისათვის, ისევე როგორც, ინდივიდუალური მდინარეთა აუზების ანალიზი, რომელიც უნდა მომზადებულიყო 2005 წლის 22 მარტამდე.

"წყლის შესახებ" ჩარჩო დირექტივის მთავარი მიზანია წყლის რესურსების კარგი ხარისხის მიღწევა 2015 წლისათვის. ამ მიზნის მისაღწევად დირექტივა წევრი ქვეყნებისაგან მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ:

- ზედაპირული წყლების ხარისხის დეგრადაციის აღკვეთა; ზედაპირული წყლის ობიექტების დაცვა, გაუმჯობესება და აღდგენა; წყლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

- ჩამდინარე წყლებით გამოწვეული დაბინძურებისა და სახიფათო ნივთიერებათა ჩამვების შემცირება.
- მინისქვეშა წყლების დაცვა, ხარისხის გაუმჯობესება და აღდგენა; მინისქვეშა წყლების დაბინძურებისა და დეგრადაციის აღკვეთა; მინისქვეშა წყლების მოხმარებასა და თვითაღდგენას შორის ბალანსის უზრუნველყოფა.
- მდინარეთა აუზების ფარგლებში დაცული ტერიტორიების აღრიცხვა.

აღნიშნული ამოცანების მიღწევა უნდა განხორციელდეს დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 წლის ვადაში. ვადების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ამ დირექტივით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამ მიზნების შესასრულებლად, დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მდინარეთა აუზების კვლევებისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მართვის გეგმისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავება მათ ტერიტორიაზე არსებული თითოეული აუზისათვის. ძირითადი სამოქმედო გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს წყლის მდგრად მოხმარებას, წყლის ხარისხის დაცვას, წყლის დაბინძურებასა და მოხმარებაზე კონტროლის დაწესებას და სხვ.

აღნიშნული სამოქმედო პროგრამა უნდა შემუშავდეს დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 9 წლის ვადაში და ამოქმედდეს არაუგვიანეს 12 წლის ვადაში. დირექტივის ძალაში შესვლიდან 15 წლის შემდეგ და ყოველ მომდევნო 6 წელიწადში აუცილებელია სამოქმედო პროგრამების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება.

გარდა ამისა, წევრმა ქვეყნებმა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე და პრინციპის „დამაბინძურებელი იხდის“ გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ წყალმომარაგების ხარჯების ამოღება, გარემოსდაცვითი და რესურსის ფასის ჩათვლით.

წყლის რაციონალურად მოხმარების უზრუნველსაყოფად წევრმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ ადექვატური წამახალისებელი მექანიზმები წყლის მომხმარებლებისათვის. ამასთან, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა ამ დირექტივის განხორციელების პროცესში და კერძოდ, აუზების მართვის გეგმის შემუშავებაში, განხილვასა და განახლებაში.

დირექტივის თანახმად, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ უნდა შეიმუშაოს სპეციალური ღონისძიებები გარკვეული ნივთიერებებით ან ნივთიერებათა ჯგუფებით წყლის დაბინძურების წინააღმდეგ, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენ წყლის გარემოსათვის, მათ შორის სასმელი წყლისთვის.

წარმოდგენილი იქნა სია 33-მდე პრიორიტეტული ნივთიერებისა და ნივთიერებათა ჯგუფებისათვის, ისევე როგორც ამ ნივთიერებათა კონცენტრაციების ხარისხობრივი მაჩვენებლების და კონტროლის საშუალებები. აღნიშნული სია უნდა გადაიხედოს და განახლდეს ყოველ 4 წელიწადში. ამასთან, წევრმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ დამსჯელი ღონისძიებები ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული სამართლებრივი აქტების დარღვევის წინააღმდეგ. დამსჯელი ღონისძიებები უნდა იყოს ეფექტური, ადექვატური და ქმედითი.

ადმინისტრაციული ღონისძიებები, ანგარიშება დირექტივის მიხედვით, დირექტივის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 12 წლის ვადაში და ყოველ 6 წელიწადში ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში დირექტივის განხორციელების შესახებ. ასევე უნდა მოხდეს ანგარიშის წარდგენა ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოში.

ანგარიში უნდა მოიცავდეს დირექტივის განხორციელების პროგრესის მიმოხილვას; ზედაპირული წყლებისა და მინისქვეშა წყლების მდგომარეობის მიმოხილვას; მდინარეთა აუზების მართვის გეგმების მიმოხილვას და სხვ. გარდა ამისა, ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს დირექტივის განხორციელების ანგარიში წევრი ქვეყნების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით.

შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა უნდა მოამზადონ და ევროკომისიას წარუდგინონ მათ ტერიტორიაზე არსებული მდინარეთა აუზების მართვის გეგმები; ანგარიშები დირექტივით განსაზღვრული ანალიზისა და მონიტორინგის პროგრამების შედეგების შე-

სახებ; მდინარეთა აუზების მართვის გეგმების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი წლის ვადაში კი უნდა წარმოადგინონ შუალედური ანგარიში სამოქმედო პროგრამის განხორციელების შესახებ. ასევე, ევროკომისიამ ანგარიშების პროცესში უნდა მოაწყოს კონფიდენციალური მხარეებისათვის, თითოეული წევრი ქვეყნიდან კომენტარებისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კითხვები

1. რა არის მონიტორინგი?
2. რას ენოდება გარემოს მონიტორინგი?
3. რას ენოდება ეკოლოგიური მონიტორინგი?
4. რა პროცესებს მოიცავს მონიტორინგი?
5. რას მოცავს ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემა?
6. ეკოლოგიური მდგომარეობის ინფორმაციული სურათი.
7. რა ინფორმაციის ფლობაა საჭირო ეკოლოგიური მონიტორინგის პროექტის შემუშავების დროს?
8. რას მოცავს საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ?
9. საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" - მიზნები და ამოცანები.
10. საქართველოს კანონი "წიაღის შესახებ". - მიზნები და ამოცანები.
11. საქართველოს კანონი "წყლის შესახებ" - მიზნები და ამოცანები.
12. საქართველოს წყლის სტატუსი.
13. რა არის საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდი?
14. წყლის ჯგუფები.
15. რა არის წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა? მისი ჯგუფები.
16. რას მოცავს წყლის სამართლებრივი დაცვა?
17. რომელი ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემა არის აკრძალული?
18. რა არის წყლის დაცვის და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება? მისი მექანიზმი.
19. რას მოცავს წყალსარგებლობის გადასახადების სისტემა?
20. წყლის დაცვისა და გამოყენების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. მიზნები და ამოცანები.
21. რა არის წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ამოცანა?
22. წყლის სახელმწიფო კადასტრი.
23. რა არის საერთაშორისო კონვენციები? რომელი კონვენციები იცით?
24. ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის ჩარჩო დირექტივა "წყლის შესახებ".

ლიტერატურა

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სისტემის ეფექტურობის შესწავლა საქართველოში. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN. თბილისი, 2004 წ. ივნისი.
2. "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მარლომსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" - ორპუსის კონვენცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო, ევროპის ეკონომიკური კომისია, გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი; ორპუსი, დანია, 1998 წ. 25 ივნისი.
3. გარემოსდაცვითი სახელმძღვანელო. აგრობიზნესის განვითარების პროექტი ADA. თბილისი, 2007 წ. 15 იანვარი.

4. გუგუშვილი თ. წყლის რესურსების მართვა და დაცვა საქართველოსა და ევროპული კავშირის მიდგომები. თბილისი, 2007 წ.
5. ქონვენცია "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ". რიო დე ჟანეირო, 1992 წ. 5 ივნისი.
6. მინისტრების დეკლარაცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ. ოდესა, 1993 წ.
7. საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ". თბილისი. 1996 წ. 10 დეკემბერი.
8. საქართველოს კანონი "წიაღის შესახებ". თბილისი, 1996 წ. 17 მაისი.
9. საქართველოს კანონი "წყლის შესახებ". თბილისი, 1997 წ. 16 ოქტომბერი.
10. ლოლობერიძე მ. წყლის ეკოსისტემების დაცვა და რაციონალური გამოყენება. მეცნიერება, თბილისი, 1992.
11. შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია - ბუქარესტის კონვენცია. 1992 წ. 21 აპრილი.
12. **Barbara J. Downes, Leon A. Barmuta, Peter G. Fairweather, and Daniel P. Faith** *Monitoring Ecological Impacts: Concepts and Practice in Flowing Waters*. Cambridge University Press; 1 edition , 2002;
13. **Barbara J. Downes, Leon A. Barmuta, Peter G. Fairweather, and Daniel P. Faith**. *Monitoring Ecological Impacts: Concepts and Practice in Flowing Waters*. Cambridge University Press; 1 edition, 2008;
14. **Ian F. Spellerberg** *Monitoring Ecological Change*. Cambridge University Press; 2 edition , 2005);
15. **Langford T.** *Ecological Effects of Thermal Discharges (Pollution Monitoring Series)*. Springer; 1 edition, 2007);
16. **Mike T. Furse, Daniel Hering, Karel Brabec, and Andrea Buffagni**. *The Ecological Status of European Rivers: Evaluation and Intercalibration of Assessment Methods (Developments in Hydrobiology)*. Springer, 2006;
17. **Philippe Quevauviller, Ulrich Borchers, Clive Thompson, and Tristan Simonar.t Wiley**. *The Water Framework Directive: Ecological and Chemical Status Monitoring (Water Quality Measurements)*; New edition, 2008.

ვებ გვერდები

1. www.olpejetaconservancy.org
2. www.emaprogram.com
3. www.werc.usgs.gov
4. www.epa.gov/emap/
5. www.eman-rese.ca
6. www.aarhus.dsl.ge
7. www.garemo.itdc.ge
8. www.parliament.ge
9. <http://ec.europa.eu>

**საქართველოს ფილის და სოფლის მეურნეობის კანონმდებლობაში
გამოყენებული ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი**

(ინფორმაციის წყარო: www.parliament.ge)

5

აბრაზია - ზღვის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის რღვევა-ჩარეცხვა წყლის მი-
მოქცევისა და ტალღების შედეგად.

აგრომადნეულები - წიაღისეული, რომელსაც აქვს ნიადაგების გაუმჯობესებისა და
ნაყოფიერების ამაღლების თვისებები.

აგროქიმიკატები - სასუქები, ქიმიური მელიორანტები, აგრომადნეულები, საკვები და-
ნამატები, რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგის
ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი კვებისათვის.

ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო - გარემოს შემადგენელი ნაწილი,
რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ
და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეც-
ვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ
ლანდშაფტებს.

ანთროპოგენური ზემოქმედება - ადამიანის, საზოგადოების მხრიდან სასიცოცხლო გა-
რემოზე გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი გარდამქმნელი შემოქმე-
დება, რასაც უმეტესწილად მოსდევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და
ბუნებრივი რესურსების აღუდგენელი განადგურება.

ანტიდოტები - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების არასწორი ხმარებით გამოწვეული
მონამვლის საწინააღმდეგო საშუალებანი.

აღკვეთილი - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული
ტერიტორიების IV კატეგორიას - ჰაბიტატების სახეობების მართვის ტერიტორია
(Habitat /Species Management Area).

6

ბაქტერიოლოგიური სინჯი - ბაქტერიოლოგიური ანალიზისათვის სტერილურ კონტეი-
ნერში ასეპტიკურად აღებული სინჯი, აღებისა და შენახვის სათანადო წესების
დაცვით.

ბიოგეოგრაფიული ერთეულები - ლანდშაფტის, ფლორისა და ფაუნის მიხედვით და-
რაიონების ერთეულები.

ბიომასა - მოცემულ წყლის ობიექტში ცოცხალი ნივთიერების საერთო მასა.

ბიომი - ბიოგეოგრაფიული დარაიონების ერთეული.

ბიომრავალფეროვნება - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და
წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრა-
ვალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.

ბიოსფერო - აქტიური არეალი, რომლის შედეგენილობა, სტრუქტურა და ენერგეტიკა
განპირობებულია ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობით.

ბიოტა - წყლის სისტემის ცოცხალი კომპონენტები.

ბიცობი ნიადაგი - ნიადაგი, რომლის პროფილშიც ნატრიუმიანი ჰორიზონტი გამოხატუ-
ლია ზედაპირიდან 100 სმ-ის ფარგლებში.

ბუნების ძეგლი - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) და-
ცული ტერიტორიების III კატეგორიას - ბუნების ძეგლი. (Natural Monument).

ბუნებრივი გარემო - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდა-
მოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ
ბუნებრივ ლანდშაფტებს.

ბუნებრივი რესურსები - ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი.

გ

გარემო - ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს.

გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემა - გარემოს დაბინძურების რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც ეფუძნება დაბინძურების აკუმულირების უნარის მქონე გარემოს ძირითადი კომპონენტების - მიწის, წყლისა და ატმოსფერული ჰარერის დაბინძურების ინტეგრირებულ (კომპლექსურ) კონტროლს.

გარემოს დაცვა - ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ - სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას.

გარემოს დაცვის სამენეჯმენტო სისტემა - საქმიანობის ობიექტის მართვის სისტემისა და ბიზნეს-სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ, ობიექტების ფუნქციონირების ყველა ასპექტს (გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ორგანიზაციისა და კადრების, გარემოს დაცვის ნორმების რეესტრის ჩათვლით).

გარემოსდაცვითი ნებართვა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების ნერილობითი გადაწყვეტილება. მისი შინაარსი, ფორმა (გაფორმების წესი) და გაცემის პროცედურა განსხვავებული საქმიანობის კატეგორიის მიხედვით. გარემოსდაცვითი ნებართვა არის ინტეგრირებული ნებართვა, რომელიც შეიცავს ნებართვას გამონაბოლქვზე, ნარჩენების განთავსებაზე და სხვა. გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებს მხოლოდ ის საქმიანობა, რომლის განხორციელება დაგეგმილი იყო “გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

გეოლოგიური მინაკუთვნი - წიაღის უბანი, რომლის სარგებლობაში გადაცემა ხდება მხოლოდ წიაღის მარაგის შესწავლის მიზნით.

გრუნტის წყლები - უდანერთ მინისქვეშა წყლები, რომელიც განლაგებულია პირველი წყალგაუმტარი შრის ზედაპირს ზემოთ, მათი კვებისა და გავრცელების არეთანხვედრილია.

დ

დამახასიათებელი პეიზაჟი - სხვადასხვა რეგიონის ბუნებრივი და ისტორიული კულტურული ლანდშაფტების ტიპების ვიზუალური იერსახე.

დამოუკიდებელი პიდროტექნიკური ნაგებობა - საინჟინრო ნაგებობა, რომელიც არ წარმოადგენს სამელიორაციო სისტემის შემადგენელ ნაწილს და დამოუკიდებლად უზრუნველყოფს წყლის რეგულირებას, ეროზიის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობისაგან დაცვას.

დამშრობი სისტემა - პორიზონტალური და ვერტიკალური დრენაჟის, სარეგულაციო და გამყვანი ღია არხის, წყალმიმღების, მთისძირა არხის, დამბის, სატუმბი სადგურის ან სხვა პიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც მცენარის ზრდა-განვითარების გარკვეულ ფაზაში, წყლის მოთხოვნილების მიხედვით, უზრუნველყოფს ჭარბი წყლების მოცილებას.

დაცული ლანდშაფტი - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას - დაცული ლანდშაფტი (Protected Landscape).

დაცული ტერიტორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორია იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელი - ბიოსფერული რეზირვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, დაკვირვების, ზრუნვისა და ფინანსური ხელშეწყობის სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიების ქსელები.

დაცული ტერიტორიების სისტემა - დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებისაგან აგებული ქსელი, რომელიც ფუნქციონირებს და იმართება, როგორც ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ერთიანი სისტემა.

დაჭაობება - პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ნიადაგში ტენიანობის გაზრდის შედეგად და რომელსაც თან სდევს მცენარეულობის, მიკროფლორისა და ჟანგვა-ალდგენის რეჟიმის შეცვლა, რკინის ქვეუანგისა და დაუშლელი ორგანული ნივთიერებების დაგროვება.

დევრადირებული ნიადაგი - ნიადაგი, რომლის ბიოლოგიური თვისებები გაუარესებულია, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად;

3

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია - ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულისაგან რესურსთანამზოგი და საუკეთესო ტექნოლოგიითა და ტექნიკით წარმოებული პროდუქცია.

ეროვნული პარკი - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას - ეროვნული პარკი (National Park).

ესტუარია - მდინარის ქვედა დინების ნაწილობრივ ჩაკეტილი წყლის მასა, რომელიც თავისუფლად არის დაკავშირებული ზღვასთან და წყალშემკრები აუზიდან იკვებება მტკნარი წყლით.

3

გიზიტორი - დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის პერსონალის გარდა ამ ტერიტორიაზე კანონით განსაზღვრული წესით დაშვებული პირი.

4

ზვავი - დიდ გროვად წამოსული ჩამორღვეული მიწა ან თოვლი.

5

თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემო - მრავალფეროვანი, ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემო და მისი მრავალსაუკუნოვანი ათვისების შედეგად ჩამოყალიბებული და მასთან შერწყმული ისტორიულ-კულტურული გარემო, რომელიც გამოირჩევა ეკოლოგიური წონასწორობით, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით და რაციონალური სამეურნეო გამოყენებით.

6

ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტი - ანთროპოლოგიური წარმოშობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ან მისი რომელიმე პერიოდის მატერიალურად ამსახველი ლანდშაფტი, რომელიც გამოირჩევა ეთიკურ-ესთეტიკური და სხვა კულტურული ღირებულებით. მანიაულაციები - მეცნიერული კვლევისა და მოვლა-პატრონობის აქტიური ქმედება და საქმიანობა, კერძოდ, ბუნებრივი მასალის მოპოვება, ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მოწყობა, ცხოველთა სახეების ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, ტრანსლოკაცია, სანიტარული და სხვა მოვლითი და აღდგენითი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები და სხვა.

7

კონტინენტური შეღვის რესურსები - ზღვის ფსკერზე ან მის წიაღში არსებული წიაღისეული და სხვა არაცოცხალი ორგანიზმები, ზღვის ცხოველთა სამყაროს ის ობიექტები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც მათი სარეწაო მოპოვებისათვის განსაზღვრულ პერიოდში მიმაგრებულნი არიან ზღვის ფსკერზე ან წიაღში, ან შეუძლიათ გადაადგილდნენ მხოლოდ ზღვის ფსკერზე ან მის წიაღში.

კულტურ-ტექნიკა და რეკულტივაცია - მიწების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიება, რომლის სახეებია: ტყე-ბუჩქნარის ამოძირვა, კორძების, ქვებისა და სხვა ნარჩენებისაგან მიწის ნაკვეთის განმენდა, წიაღის პირველადი დამუშავება, პლანტაჟი, გაფხვიერება, ფართობის მოშანდაკება ან სხვა სახის კულტურ-ტექნიკური და რეკულტივაციის სამუშაოები.

8

მდგრადი განვითარება - საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრინციპები - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებული "გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის" "XXI საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ XXI-ის" და "ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების" დასკვნით დოკუმენტებში.

მელიორაციის გელი - ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ნაერთები, რომლებიც გამოიყენება წიაღადაგის გასაუმჯობესებლად.

მელიორირებული მიწები - მიწები, რომლებზეც ჩატარებულია სამელიორაციო ღონისძიებები (იხ. მელიორირებული წიაღადაგი).

მელიორირებული წიაღადაგი - წიაღადაგი, რომელზედაც, ჩატარებულია სამელიორაციო ღონისძიებები (ირიგაცია, დაშრობა, ქიმიური მელიორაცია, ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებები, წიაღადაგის ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება და სხვა).

მენეჯმენტის გეგმა - ტერიტორიის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ორგანიზაციისა და ეკონომიკური დაგეგმვის ინტეგრალური, განხორციელებად ღონისძიებებზე ორიენტირებული ღოკუმენტი.

მეწყერი - ფერდობების დიდი მოცულობით ჩამონიგრევა.

მიწა - ხმელეთის ბიოპროდუქტიული სისტემა, რომელიც მოიცავს ნიადაგს, მცენარეულ საფარს, სხვა ბიომასებს, ეკოლოგიურ და ჰიდროლოგიურ პროცესებს, რომლებიც მოქმედებენ ამ სისტემაში.

მიწის მელიორაცია - ჰიდრომელიორაციული, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ქიმიური, აგროტექნიკური, სატყეო - სამელიორაციო, ნიადაგდაცვითი და სხვა სახის კომპლექსური ღონისძიებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს გამოუსადეგარი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ათვისებას, ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური, ქიმიური, ნყალ-ჰაეროვანი თვისებების გაუმჯობესებას, ნაყოფიერების ამაღლებას და მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას.

მიწის კადასტრი - მიწის სახელმწიფო რეგისტრაცია.

მიწისქვეშა წყლები - ნიაღისეული, ნიაღის ნებისმიერ აგრეგატულ (თხევადი, მყარი, აირი), სტატიკურ ან დინამიკურ მდგომარეობაში არსებული წყალი.

მლაშობი ნიადაგი - წყალში ხსნადი მარილებით მდიდარი ნიადაგი, რომელიც ხასიათდება უარყოფითი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და მნიშვნელოვნად აბრკოლებს მცენარეთა ზრდა-განვითარებას.

მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება - ისეთი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის შემუშავება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას - რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area).

მუავე ნიადაგი - ნიადაგი, რომელსაც ახასიათებს ფუძეებით მაძლრობის დაბალი ხარისხი და მუავე რეაქცია.

6

ნიადაგი - დედამიწის ზედა, ფხვიერი და ნაყოფიერი ფენა, რომელიც ნიადაგწარმოქმნელ ფაქტორთა ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგია.

ნიადაგის ეროვნია - ნიადაგის ზედა ფენის რღვევა, დაშლა, გაფანტვა და ჩამორეცხვა ანთოპოგენური და სხვა ფაქტორების ზეგავლენის შედეგად.

ნიადაგის ბონიტირება - ნიადაგის, როგორც სოფლისა და სატყეო მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალების, ხარისხობრივი შეფასება, რაც დაფუძნებულია ნიადაგის თვისებებსა და მოსავლიანობის დონეზე და გამოხატულია რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

ნიადაგების კონსერვაცია - ნიადაგების დაცვა და ტიპური სახით შენარჩუნება.

ნიადაგის მონიტორინგი - ნიადაგში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება დროსა და სივრცეში, მიღებული მონაცემების ანალიზი და პროგნოზი.

ნიადაგის ნაყოფიერება - ნიადაგის უმთავრესი და არსებითი თვისება, რომელიც განასხვავებს მას დედაქანისაგან და რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის უზრუნველყოფით თვისებების ერთობლიობას.

ნიადაგის ტიპი - ნიადაგის კლასიფიკირების ძირითადი ტაქსონომიური ერთეული.

3

პირველადი წყალმოსარგებლე - ლიცენზიატი, რომელსაც წყლის ობიექტი გადაცემული აქვს განკერძოებულ სარგებლობაში და უზრუნველყოფს მის ექსპლუატაციას.

პესტიციდები — ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების, სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის და საყოფაცხოვრებო მავნებლების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის,

აგრეთვე მცენარეთა ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარების შესახმობად (დესიკანტები) მოსავლის აღების წინ.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენება - მათი რეგლამენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული, მიზანდასახული მოხმარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის, ადამიანის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის, მცენარებისა და ცხოველების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარება — მოქმედების ნორმები და სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, დასაცავი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას მათი კონკრეტული სახით გამოყენების, შემუშავების, გამოცდის, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გაუვნებელყოფის, განთავსების, რეკლამისა და ექსპორტიმპორტის დროს.

რ

რადიონუკლიდები - რადიაქტიური ელემენტები (სტრონციუმი, ცეზიუმი და სხვა), რომლებიც ნიადაგში შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა გზით.

რეკულტივაცია - იხ. კულტურ-ტექნიკა.

ს

სამელიორაციო მიწები - მიწები, რომელთა ათვისება, მაღალინტენსიური სავარგულების კატეგორიაში გადაყვანა და ნაყოფიერების ამაღლება ხდება სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელებით.

სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივი - "მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მიწათმოსარგებლეთა წყალმომხმარებელთა" მიერ საერთო წილობრივ საკუთრებაზე და შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომლის ამოცანა არ არის უპირატესად მოგების მიღება და მისი ძირითადი ფუნქცია მიწათმოსარგებლეთა (წყალმომხმარებელთა) ინტერესების დაცვა, შიდასასოფლო-სამეურნეო ქსელების მოვლა-პატრონობა, წყალგანაწილების წერტილში მიწოდებული წყლის მიღება - აღრიცხვა, მეპაიეთა შორის რაციონალურად განანილება, არანევრი წყალმომხმარებლების ხელშეკრულებით მომსახურება.

სამელიორაციო სისტემა (სარწყავი, დამშრობი, ორმეტვი რეგულირების) - ურთიერთდაკავშირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მცენარისათვის ნიადაგში წყლის, ჰაერაციის, სითბური ოპტიმალური რეჟიმის შექმნას და ნაყოფიერების ამაღლებას.

სამელიორაციო ღონისძიებები - სამელიორაციო სისტემებისა და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია, საძოვრების გაწყლოვანება, სატყეო მელიორაციის, კულტურ-ტექნიკური, რეკულტივაციის, ქიმიური, აგროტექნიკური, ნიადაგდაცვითი და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება, მათი მეცნიერული და საწარმო - ტექნიკური უზრუნველყოფა.

სამეურნეო ობიექტები - საქმიანობის ობიექტი.

სამთო მინაკუთვნი - წილის სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წილის უბანი, რომლის ფარგლებშიც წილით მოსარგებელს ეძლევა სარგებლობის უფლება.

სარწყავი სისტემა - წყალსაცავის, სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, მილსადენის, გამანაწილებელი და სხვადასხვა რიგის სარწყავი ქსელის, ღრმა დრენაჟის, სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის, სატუმბი სადგურის, ჭაბურღილის, საექსპლუატაციო გზების, ხიდების, მილხიდების ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც მცენარის ზრდა-განვითარების გარკვეულ ფაზა-

ში, წყლის მოთხოვნილების მიხედვით, უზრუნველყოფს წყლის დაგროვებას, მიღებას, ტრანსპორტირებას და ფართობში განაწილებას.

სარწყავის წყლის მიწოდების და დამშრობის სისტემებით საჰექტარო მომსახურების ტარიფები: ა) საბითუმო ტარიფი - სახელმწიფო სარწყავი, ორმხრივი რეგულირების და საძოვრების გაწყლოვანების სისტემებიდან სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივებისათვის და სხვა წყალმომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის და სახელმწიფო დამშრობი სისტემებით ჭარბი წყლების მოცილების მომსახურების საჰექტარო ღირებულება; ბ) საცალო ტარიფი - საბითუმო ტარიფს დამატებული მიწათმოსარგებლეთა (წყალმომხმარებელთა) სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივის საერთო კრების მიერ დადგენილი კოოპერატივის შენახვის (განეული მომსახურების) ხარჯები.

სასარგებლო წიაღისეული - დაძიებული წიაღისეული - რომლის მოპოვება და გადამუშავება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღებია.

სასარგებლო წიაღისეულის საბადო - წიაღის გარკვეულ ფარგლებში ბუნებრივად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეული.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატები - ქიმიური ნივთიერებების კატეგორია, რომელიც მოიცავს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს და გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სატყეო, კომუნალურ მეურნეობაში და სხვ.

სატყეო მელიორაცია - ქარსაფარი ზოლებისა და ტყის ნარგავების გაშენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ნიადაგების, წყალსატევების, ხევების და ხრამების ეროზის, ქარისა და გამოშრობისაგან დაცვა და კლიმატურ-ჰიდროგეოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

საუკეთესო ტექნიკა - საუკეთესო ტექნოლოგია და მისი მართვის, ორგანიზაციის, ზედამხედველობის, კონტროლის მეთოდები და განხორციელების საშუალებები.

საუკეთესო ტექნილოგია - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის.

საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა - საზღვაო რაიონი, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

საქართველოს კონტინენტური შელფი - ზღვის ფსკერი და წყალქვეშა რაიონის წიაღი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მთელ მანძილზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზეც, ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილისა იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე.

საქართველოს ტერიტორიული წყლები - შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და აითვლება იმ ნერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს შიგა წყლები - მდინარეების, ტბების და სხვა წყლის ობიექტების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად ეკუთვნის საქართველოს; შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; საქართველოს ნავსადგურის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრუ-

ლია ზღვის მხარეს ნავსადგურის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქმიანობა - სამენარმეო, სამეურნეო, ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული სანარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომლებიც ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ გავლენა გარემოს მდგომარეობის ხარისხზე.

საქმიანობის სუბიქტი - საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო და კერძო სამართლის სუბიქტი.

საშიშროება - ადამიანსა და გარემოზე უარყოფითი გავლენის ალბათობა.

საძოვრების განყლოვანების სისტემა - სათავე ნაგებობა, სატუმბი სადგური, მაგისტრალური მილსადენი, სარეგულაციო რეზერვუარი, გამანანილებელი ქსელი ან სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ჰიდროტყვის სარწყულებლების, მეცხოველეობის ფერმების და სხვა ობიექტების სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგებას.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა - აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახელმწიფო საერთო სარგებლობის (დანიშნულების) სამედიორაციო სისტემა და დამოუკიდებელი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა - სახელმწიფო სახსრებით აშენებული (მშენებარე) სარწყავი, დამშრობი, ორმხრივი რეგულირების, საძოვრების განყლოვანების სისტემების სათავე ნაგებობა, წყალსაცავი, მაგისტრალური არხი, მილსადენი, წყალგამანანილებელ ან წყალმიმღებ ნაგებობამდე მონაცემილი სხვადასხვა რიგის მარეგულირებელი, შემკრებ-საკოლექტორო და დრენაჟის ქსელი, სატუმბი სადგური, ფრონტალური და რეზიმული დაკვირვების ჭაბურღილები, აგრეთვე ეროზის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნისა და წყალდიდობის საწინააღმდეგო რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რომლებიც ემსახურება ორი ან მეტი რაიონის, ან რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილის (მასივის) ჰიდრომელიორაციას.

სინჯამდები - წყლის სინჯის უწყვეტი ან პერიოდული აღებისათვის განკუთვნილი ხელ-საწყო, განსაზღვრული მახასიათებლებისა და თვისებების გამოკვლევის მიზნით.

სინჯი - წყლის განსაზღვრული მასის გარკვეული ნაწილი, უწყვეტად ან პერიოდულად აღებული სხვადასხვა მახასიათებლების კვლევის მიზნით.

სინჯის ავტომატური აღება - სინჯის აღების პროცესი, რომლის დროსაც სინჯის აღება წარმოებს უწყვეტად ან დროის გარკვეულ შუალედში, ადამიანის მონანილეობის გარეშე, წინასწარ განსაზღვრული პროგრამის თანახმად.

სინჯის აღება - წყლის მასის გარკვეული ნაწილის აღების პროცესი, განსაზღვრული მახასიათებლებისა და თვისებების გამოსაკვლევად.

სინჯის აღების წერტილი - სინჯის აღების ადგილზე ზუსტად დაფიქსირებული ადგილმდებარეობა.

სინჯის პერიოდული აღება - წყლის მასაში ცალკეული სინჯების აღების პროცესი.

სინჯის უწყვეტი აღება - წყლის მასიდან სინჯის აღების უწყვეტი პროცესი.

ტ

ტერიტორიული დაგეგმარება - სახელმწიფოს ქონების ტერიტორიის დაგეგმარება სხვადასხვა ტერიტორიულ რანგში და სხვადასხვა დეტალიზაციით: განსახლების გენერალური სქემებით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რაიონული დაგეგმარების

სქემებითა და პროექტებით რეგიონალურ დონეზე, გენერალური სქემებითა და მენეჯმენტის გეგმებით სპეციალური მნიშვნელობის ტერიტორიებისა და ზონებისათვის და გენერალური გეგმებით დასახელებებისა და დასახელებების ჯგუფებისათვის და სხვა. ჰარმონიული ლანდშაფტი - ლანდშაფტი, რომელშიც ბუნებრივი და ანთროპოგენული კომპონენტები და ელემენტები ფუნქციონალურად განონასწორებულია და მიღწეულია მათი მაღალესთეტიკური შერწყმა.

ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტი - სასაზღვრო ზოლში განლაგებული მდინარე, ტბა და სხვა ზედაპირული წყალსატევი, რომლის ნაპირების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეკუთვნის საქართველოს.

უფრო სუფთა ნარმოება - საწარმოო პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის უწყვეტი გამოყენება.

ფიტოსანიტარიული მდგომარეობა - სავარგულების, ტყეებისა და მცენარეული საფარის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია მცენარეთა მავნებლების რიცხოვნობით, მცენარეთა დაავადებების გავრცელებითა და სარეველა მცენარეების არსებობით.

ფიტოსანიტარიული მონიტორინგი - ორგანიზმთა გავრცელების, რიცხოვნობის, განვითარების ინტენსივობისა და მავნეობის მოსალოდნელი დონის დადგენა და პროგნოზი.

ქიმიური მელიორაცია - თაბაშირის, კირის, ტორფ-კომპოსტების, ბენტონიტური თიხების და სხვა ქიმიური მელიორანტების გამოყენებით ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებების გაუმჯობესება, ბიცობი ნიადაგების აგრომელიორაციული დამუშავება.

ღვარცოფი - მთისა და მთისწინა რეგიონებიდან დიდი რაოდენობით მთის ქანის ნანგრევის დაბლობში ჩამოტანა, რაც იწვევს ნიადაგის გადარეცხვას და ფართობის დარიყვას.

შედგენილი სინჯი - ცნობილი პროპორციებით შერეული ორი ან მეტი სინჯი ან მათი ნაწილები გასაშუალებული შედეგების მისაღებად. პროპორციების სიდიდე ჩვეულებრივ დაფუძნებულია დროის ან ნაკადის სიჩქარის გაზომვებზე.

შიდასასოფლო-სამეურნეო სარეგებლობის (დანიშნულების) სამელიორაციო ქსელი, დამოუკიდებელი მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ლოკალური სისტემა - სახელმწიფო სამელიორაციო სისტემის წყალგამანაწილებელი ან წყალმიმღები ნაგებობის შემდეგ მოწყობილი სამელიორაციო ქსელი, აგრეთვე ეროზიის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სატუმბი სადგური, მცირე მელიორაციის ჭაბურლილები და ლოკალური სისტემა, რომლებიც ემსახურება რაიონის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

ძლიერდაქვიანებული ნიადაგი - ნიადაგი, რომლის ზედაპირის 20-40% დაფარულია 5 სმ-ზე მეტი დიამეტრის ქვებით

6

ნარმოების ნარჩენები - მრეწველობაში პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი მასა, რომელიც გამოიყენება ნიადაგების გასაუმჯობესებლად.

ნერტილოვანი სინჯი - წყლის მასიდან ცალკეულად აღებული, დამოუკიდებელი (დრო-სა და/ან ადგილთან მიმართებაში) სინჯი.

ნეიტრულური ნერტილობის წყლები - ატმოსფერული ნალექებიდან ნარმოქმნილი წყლები, რომელიც ჯერ კიდევ არ შეიცავს ნიადაგის ხსნად ნივთიერებებს.

ნიალი - მიწის ზედაპირის, ნიადაგის და წყალსატევების ფსკერის ქვეშ არსებული ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად.

ნიალისეული - ნიალში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები.

ნეკლიდიდობა - მდინარეების ადიდება თოვლის დნობის ან წვიმების შედეგად.

ნეკლიდსარგებლობა - წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისათვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ.

ნეკლიდმოსარგებლები - ფიზიკური ან იურიდიული პირო (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნეკლალება - წყლის ზედაპირული ან მიწისქვეშა ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან უამისოდ.

ნეკლჩაშვება სამეურნეო - საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სადრენაჟო, სანიაღვრე და სხვა წყლების ორგანიზებული ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში.

3

ჰიდრომელიორაცია - სამელიორაციო, საძოვრების განყლოვანების სისტემების და მათზე მოწყობილი ან დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მეშვეობით წყლის რეგულირების კომპლექსური ღონისძიება, რომლის სახეებია: მორწყვა, დაშრობა, ორმხრივი რეგულირება, საძოვრების განყლოვანება, აგრეთვე ეროზის, მეწყერის, ღვარცოფის, წყალმოვარდნის და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიები და სხვა.

ჰუმუსი - ნიადაგში არსებული სპეციფიკური და არასპეციფიკური ორგანული ნივთიერებების ერთობლიობა, მუქად შეფერილი უფორმო მასა, რომელიც არ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებსა და მათი ნარჩენების ისეთ მინარევებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ უჯრედული აგებულება.

ირაკლი ყრუაშვილი — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), აგროსაინჟინრო ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დეპარტამენტის სრული პროფესორი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. საინჟინრო ჰიდრავლიკის სფეროში კვლევის საერთაშორისო ასოციაციის (IAHR) წევრი. წყლის რესურსების პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ორგანიზაციების (WB, USAID, DAI, USDA, NATO, NUFFIC) პროექტებისა და მრავალი საერთაშორისო კონგრესებისა და შეხვედრების მონაწილე. 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 15-მდე გამოგონების, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების და მეთოდური მითითებების ავტორი. დაჯილდოებულია “ლირსების ორდენით”. მინიჭებული აქვს 2008 წლის ინჟინრის საპატიო წოდება.

ირმა ინაშვილი — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. წყლის რესურსების პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ორგანიზაციების (WB, USAID, DAI, USDA, NATO, NUFFIC) პროექტებისა და საერთაშორისო ფორუმებისა და შეხვედრების მონაწილე. 25-მდე სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს და მეთოდური მითითებების ავტორი.

იბეჭდება ავტორთა მიერ ფარმოლგნილი სახით

გადაეცა წარმოებას 30.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.08.2009. ქაღალდის
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 11. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

